ყოველკვირეული ჟურნალი, გამოდის ოთხშაბათობით

# სარკე

ფასი: 1 ლარი
№17
24-30.IV 2013





გვ.8

სალომე გოგიაშვილი ნინი ბადურაშვილის მშობიარობას დაესწრება

სალომე: „ნინის პირადი გინეკოლოგი ვარ“



გვ.30

მიშა ანდღულაძემ ცოლს კაცების მოსაგერიებელი ილეთი ასწავლა



გვ.31

ნინო ჩხეიძე: „ჩემს შვილში სიმღერის ნიჭს ვერ ვხედავ“

## იყო თუ არა სასიყვარულო სამკუთხედი ნინო მუმლაძისა და ლევან ყოჩიაშვილის ცხოვრებაში

ლევანი: „აფთიაქში ფარმაცევტმა მთხოვა, დაანებე იმ ქალს თავი და ოჯახს დაუბრუნდიო“

ნინო: „ჩემს თაყვანისმცემლებში ასაკით უფროსები და ცოლიანები მომრავლდნენ“ გვ.6



გვ.50

როგორი ქალები აღიზიანებს ვანო ჯავახიშვილს



გვ.38

რითი ჰგვანან ერთმანეთს შორენა ბეგაშვილი და კახა ჯოხაძის ცოლი



გვ.26

ზაზა მიმინოშვილი: „ჩემი ბედი შვილებმა გადაწყვიტეს“



გვ.10

ირაკლი მელაშვილმა ცოლს საქორწილო კაბა თვითონ შეურჩია

ISSN 1987-9369

გულახდილი საუბრები „საყვარელი ქალისთვის დამაგვიანდა თქმა, როგორ მიყვარდა“ გვ.12



26 აპრილიდან ახალი
შოუ GDS ზე
KNOCK OUT
GDS TV
პირველად საქართველოში, კარგი ხუმრობა ფულით ფასდება!
ყოველ პარასკევს, 22:00
დამწყები იუმორისტები გამოცდილი ჟიურის პირისპირ!

# ნომერში


**ეკრანული წყვილი**

იყო თუ არა სასიყვარულო სამკუთხედი ნინო მუმლაძისა და ლევან ყოჩიაშვილის ცხოვრებაში 6

**ნათესაური კავშირები**

სალომე გოგიაშვილი ნინი ბადურაშვილის მშობიარობას დაესწრება 8

**მთავრობის სახე**

ირაკლი მელაშვილმა ცოლს საქორწილო კაბა თვითონ შეურჩია 10

**გულახდილი საუბრები** 12-13

**სიყვარულის ამბავი**

გოგი გეგეჭკორი და ნათელა ურუშაძე — ბეწვის ხიდზე გამოვლილი ოჯახი 14

**პოლიტიკა**

- მანანა კობახიძე: „მერაბიშვილი რა უფლებით გამოვიდა იმ ადგილას, სადაც ხალხის დახოცვის ბრძანება გასცა?!“ 16
- აკაკი ბობოხიძე: „ჩვენც გვეგონა, სულ ვიმეფებდით, მაგრამ...“ 17
- ნოდარ ნათაძე: „ვინც მართლა ეროვნულია, ეკრანზე არ გამოაჩენენ“ 19

**გზა ტაძრისაკენ**

მამა გივი: „სხვისი ცოდვებისგან მეც ჭკუას ვსწავლობ“ 22

**კულტურის ამბები**

- პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ლექსები კიდევ ერთხელ ამღერდა 24
- ვერიკო ტურაშვილი და თემო საჯაია ვოლგოგრადში სამღერად წავიდნენ 24
- ქუთაისში „საუკეთესო თეატრალური ქმნილებები“ დააჯილდოვეს 24

**დაბრუნება**

ზაზა მიმინოშვილი: „ჩემი ბედი შვილებმა გადაწყვიტეს“ 26

**მოზარდები** 28-29

**ცოლ-ქმრის კლუბი**

მიშა ანდღულაძემ ცოლს კაცების მოსაგერიებელი ილეთი ასწავლა 30

**დედები და ქალიშვილები**

ნინო ჩხეიძე: „ჩემს შვილში სიმღერის ნიჭს ვერ ვხედავ“ 31

**მეორედ დაბადება**

თემო მჟავიას დაუჯერებელი გადარჩენა 33

**ავტომოყვარული**

რამაზ საყვარელიძე „ახალგაზრდა“ მანქანას ეძებს 34

**სარკის წინ**

დათო ევგენიძე მძინარე ცოლს ხატავს 35

**ცხოვრების გაკვეთილები**

თამარ მაყაშვილი: „განსხვავება არ არის, 17 წლისას შეგიყვარდება თუ — 38 წლისას“ 36

**ტანდემი**

რითი ჰგვანან ერთმანეთს შორენა ბეგაშვილი და კახა ჯოხაძის ცოლი 38

**ცხოვრება ჩემოდნებზე**

სტეფანე მღებრიშვილი: „პარიზი ხუთ დღეში მბეზრდება“ 43

**მეგზური**

ბუქარესტი — ქალაქი, სადაც ქართველმა წმინდანმა კვალი დატოვა 44



№17(782) 24 — 30 აპრილი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 22.04.2013, 21.00 სთ-ზე.



**მხოლოდ ქალებისთვის** 48

**დედიკოების სკოლა** 49

**ჩემი მშვენიერი ლედი**

როგორ ირიგებს ვანო ჯავახიშვილი გაბუტულ მეუღლეს 50

**სპორტის მიღმა** 51

**ადამიანის ინსტიტუტი**

როგორ დავძლიოთ შური ჩვენში და ჩვენ მიმართ 52

**ცოტ-ცოტა ყველაფერზე** 53

**შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო** 54-55

**სახალისო** 56-57

**იყავით ჯანმრთელი**

- ტუბერკულოზი: საშიში მეზობლობა 58
- უნივერსალური ვაშლი 58
- გვპასუხობს ექიმი 59


## ცეკვებს შეწირული წყვილები



■ რუსკა და გიორგი

ეკრანზე შესრულებულ ცეკვებს — ვნებიანს, ლამაზს, დახვეწილს და ზოგჯერ კომიკურსაც, „ვარსკვლავებისთვის“ მოაქვს პოპულარობა, ახალი შესაძლებლობები, ზოგისთვის — ბინა, მანქანა, სანაცვლოდ კი, როგორც ჩანს, პირად გრძნობებს ითხოვს. უცნაურია, მაგრამ ტელეპროექტის „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ორი სეზონის განმავლობაში ბევრმა მონაწილემ დაკარგა საკუთარი ბედნიერება. ცეკვებმა ოთხი შეყვარებული წყვილი შეიწირა — რუსკა მაყაშვილი და გიორგი ყიფიანი, ნუკი კოშკელიშვილი და ოთო მარგოშვილი, ეკო ფანგანი და ბექა ჩხაიძე, გიორგი ვარდოსანიძე და თამთა შალამბერიძე. თითოეული მათგანი პოპულარულ შოუს სიყვარულის დაკარგვაში პირდაპირ არ ადანაშაულებს, მაგრამ ირიბად — კი. სპორტული სამეჯლისო ცეკვების რიტმის ქვეშ ისინი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მკაცრმა რეჟიმმა თუ რაღაც სხვამ მათ პრობლემები მოუტანა პირად ცხოვრებაში. დამნაშავეა თუ არა ვნებიანი ტანგო წყვილების დაშორებაში, დასკვნა თქვენთვის მოგვინდია, „სარკე“ ამ წყვილების წარსულ და ახლანდელ ურთიერთობებს შეგახსენებთ.



■ გიორგი და თამთა



■ ოთო და ნუკი



■ ბექა და ეკო

გვ.20


**ქალური მოთხრობები**

- თინათინ ბონი — „ეიფორია“ (გაგრძელება, დასაწყისი №7-16) 66
- ლელა ცუცქირიძე — „გაურკვევლობა“ 68

**წმინდანები**

წრფელი სინანული არის ის იარაღი, რომელიც ჩვენს ცოდვებს სამუდამოდ აცამტვერებს 72

**კითხვები მოძღვარს**

„ვინც ირჩევს არაეკლესიურ ცხოვრებას, ეგუება მხოლოდ ფიზიოლოგიურ არსებად ყოფნას“ 74

**საბავშვო გვერდი** 76

**კულინარიული შედევრები** 77

**ხელსაქმე** 78

## 62% ისევ „ქართულ ოცნებას“ ირჩევს

ენდიაი-ს („ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“) მიერ ჩატარებული გამოკითხვით, ხვალ რომ ადგილობრივი არჩევნები ტარდებოდეს, გამოკითხულთა 62% ხმას ისევ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მისცემდა, გამოკითხულთა 9% კი — ნაციონალურ მოძრაობას. გამოკითხულთა 17%-მა არ იცის, ვის აირჩევდა, 6%-მა კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა.

გამოკითხულთა 56% მიიჩნევს, რომ ნაციონალური მოძრაობა ქვეყანაში ყველაზე ძლიერი ოპოზიციური ძალაა. 16% ფიქრობს, რომ არც ერთი პარტია არაა ძლიერი ოპოზიცია, ხოლო „დემოკრატიული მოძრაობა“, ლეიბორისტული პარტია, ქრისტიან-დემოკრატები და „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს მოსახლეობის 1-1%-ს მიაჩნია ძლიერ ოპოზიციად.


ზურაბ ადეიშვილი

## დათა ახალაიას კვალდაკვალ ზურაბ ადეიშვილი სააკაშვილს და მერაბიშვილს ამხელს

დათა ახალაიას პრაქტიკა იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმაც გაიზიარა. მისი სახელით სოციალურ ქსელში ღია წერილი გამოქვეყნდა, სადაც ის ციხის და სხვა დანაშაულში მერაბიშვილს და სააკაშვილს პირდაპირ სდებს ბრალს.

ადეიშვილი აცხადებს:

„მე, ზურაბ ადეიშვილი, ვარ საქართველოდან გაქცეული და მინდა, დღეს დუმილი დავარღვიო და ყველაფერი ვთქვა, რაც ამ ცხრა წლის განმავლობაში საქართველოში ხდებოდა. დიახ, მე მინდა, ზუსტად ყველაფერი ვთქვა იმაზე, რაც ვიცი ციხის ამბების შესახებ. ამ საქმეში ვანო მერაბიშვილია დამნაშავე, რომელიც ყველა იმ საშინელებას მეთაურობდა, რაც იმ დროს ციხეებში ხდებოდა. ლაფანყურის ამბებიც მაგის ერთ-ერთი „საგმირო“ საქმეა. მე მარტო ვანო მერაბიშვილს არ ვადანაშაულებ იმაში, რაც იმ დროს საქართველოში ხდებოდა, ამ საქმეებს ძირითადად საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეკვეთით ასრულებდა ვანო მერაბიშვილი, ძმები ახალაიებიც მისი ქვეშევრდომები და შემსრულებლები იყვნენ და არაერთი ბოროტება აქვთ ჩადენილი“.

ადეიშვილი დასძენს, რომ მზად არის, სამართალდამცავებთან ითანამშრომლოს.

„მე მზად ვარ, ჩამოვიდე და სამართალდამცავების ყველა კითხვას ვუპასუხო. მე არ გავურბივარ სამართალს და თუ დამნაშავე ვარ, მზად ვარ, კანონის წინაშე წარვდგე. მე ასევე მაქვს ის დამამტკიცებელი საბუთები, სადაც სააკაშვილის ბრძანებით მოხდა 7 ნოემბერს მშვიდობიანი ხალხის დარბევა. ასევე, მისივე ბრძანებით დაარბიეს 26 მაისს მშვიდობიანი მოქალაქეები და რამდენიმე ადამიანი ცემით მოკლეს. ბევრი მაქვს სათქმელი ხალხისთვის. მინდა, ხალხს ბოდიში მოვუხადო იმის გამო, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვდუმდი და არ ვლაპარაკობდი. დიახ, აი, ამიტომ ვარ მე დამნაშავე და არ მიკვირს, რომ ხალხს ჩემდამი ზიზღის გრძნობა აქვს“, — აღნიშნულია წერილში.

## გიგა ბოკერია და ნინო ბურჯანაძე გამოკითხულთა უმრავლესობას არ მოსწონს

არასამთავრობო ორგანიზაცია „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (ენდიაი-ს) მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 48%-ს ოპოზიციონერ ლიდერებს შორის დავით ბაქრაძე მოსწონს, 29%-ს არ მოსწონს, 15%-მა არ იცის, 1%-ს მის შესახებ არ სმენია, 7%-მა კი კითხვას პასუხი არ გასცა. საინტერესოა ის დეტალი, რომ ბაქრაძის რეიტინგი 2012 წლის ნოემბრის კვლევასთან შედარებით 42%-ითაა გაზრდილი.


გიგა ბოკერია

მეორე ადგილს იკავებს ქრისტიან-დემოკრატთა ლიდერი გიორგი თარგამაძე, რომელიც გამოკითხულთა 31%-ს მოსწონს, მაგრამ 43%-ს არ მოსწონს.

ვანო მერაბიშვილი მოსწონს 26%-ს, ხოლო ნახევარზე მეტს, 52%-ს, არ მოსწონს. რეიტინგში მერაბიშვილს მოსდევს გიგი უგულავა, რომელიც 25%-ს მოსწონს, ხოლო 52%-ს — არა. 25%-ს მოსწონს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავაც, 35%-ს კი — არა.


ნინო ბურჯანაძე

კვლევებში პირველად გაჩნდა ნაციონალ გიორგი ვაშაძის რეიტინგი, გამოკითხულთა 15%-ს ის მოსწონს, 36%-ს — არა, 23%-ს კი ჩამოყალიბებული პოზიცია არ აქვს, 16%-ს ვაშაძის შესახებ არ სმენია.

კვლევაში ყველაზე მაღალი არმოწონების მაჩვენებელი უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიას (67%) და „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერ ნინო ბურჯანაძეს (60%) აქვთ.

## ივანიშვილმა სტრასბურგში რუსეთთან პრობლემების მოგვარებაზე ისაუბრა

სტრასბურგში ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ ჟან კლოდ მინიონთან შეხვედრისას საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დალაგების შესაძლებლობებზე ისაუბრა.

— მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პირველი ვიზიტი იყო, ძალიან გულთბილად წარიმართა შეხვედრა, სადაც მოკლედ შევეხეთ ყველა იმ საკითხს, ყველა იმ ვალდებულებას, რაც საქართველოს გააჩნია ევროსაბჭოს წინაშე. მე დავარწმუნე პრეზიდენტი, რომ ახალი მთავრობა დაჩქარებული ტემპებით განახორციელებს და შეასრულებს ყველა იმ ვალდებულებას, რომელიც ჩვენ გვაქვს აღებული. ამავდროულად ვისაუბრეთ იმ პრობლემებზე, რომლებიც დიდ მეზობელთან, რუსეთთან გვაქვს და პრობლემების მოგვარების გზები და შესაძლებლობები დავსახეთ, — განაცხადა ივანიშვილმა შეხვედრის შემდეგ.

სარკე
ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი — შპს „სარკე“
მთავარი რედაქტორი — მედეა სანაია
კომერც. დირექტორი — ვაჟა შენგელია

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები — ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა — მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა — აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო — ქეთი ყორიმლიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება — ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი — მარინა ჟღენტი, მაია ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მაია ფიფია.
სარეკლამო სამსახური — მამუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru
მდივანი — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE



Cyan Magenta Yellow Black

## ანქვაბი ივანიშვილის მთავრობისგან პოზიციების ცვლილებას ელის

საქართველოში გაერო-ს ყოფილი სპეციალური წარმომადგენელი, ამჟამად კი „რობერტ ბოშის ფონდის“ კონსულტანტი დიტერ ბოდენი, ოკუპირებულ აფხაზეთში იმყოფებოდა.


■ ალექსანდრ ანქვაბი

აფხაზური მედია იტყობინება, რომ ბოდენი ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრ ანქვაბს შეხვდა, საუბარი კი საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობებს შეეხო. ანქვაბმა აღნიშნა, რომ აფხაზეთი „მეზობელი ქვეყნის“ ახალი ხელისუფლებისგან საკვანძო საკითხებში პოზიციის ცვლილებას ელის.

— თავდაპირველად საჭიროა მშვიდობის შესახებ შეთანხმების გაფორმება, მაგრამ ჯერჯერობით ვერანაირ პერსპექტივას ვერ ვხედავ, — განაცხადა დე ფაქტო პრეზიდენტმა და ბოდენი დასასვენებლად აფხაზეთში მიიწვია.

## დავით ზურაბიშვილი: „ამათ არაფერი ეშველებათ!“

19 აპრილის მიტინგის შესახებ თავისი შთაბეჭდილებები განათლების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილმა „ფეისბუქზე“ გამოაქვეყნა და პუნქტებად ჩამოაყალიბა:

ა) ნაცმოძრაობა არ მომკვდარა და ჯერ კიდევ საკმაო ადამიანური რესურსი აქვს პარტაქტივის სახით;

ბ) ნაცმოძრაობის მმართველი ბირთვი რჩება იგივე და ლაპარაკი განახლებაზე არის მხოლოდ რიტორიკა. ახალაიების გარიყვა არსებითად არაფერს ცვლის. ახალაიები ნაცმოძრაობის ელიტად არც არასდროს მოიაზრებოდნენ — ისინი მხოლოდ შემსრულებლები იყვნენ და მათ მიშა უფრო სხვა ელიტართა გავლენის დასაბალანსებლად იყენებდა;

გ) ყველა პრობლემა და მათი გადაჭრის გზები კვლავინდებურად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. პიარისა და პროპაგანდის კონტექსტში. ამის ნათელი ნიმუში, ჩემი აზრით, არის სწორედ განაცხადი ახალ ეროვნულ მოძრაობაზე, რაშიც რეალურად ახალი არაფერია. ეს არის განაცხადი იმაზე, რომ ახალი ერთობა არის (უნდა იყოს) მთავარი პროევროპულ-პროდასავლური ძალა საქართველოში, ხოლო ნაცელიტა, ანუ ძველი მმართველი ბირთვი, არის (უნდა იყოს) მთელი ქვეყნის პროევროპელ-პროდასავლელთა გამაერთიანებელი, შემკვრელი და მოძღვარ-დამრიგებელი. სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ უნდათ, იგივე „საქონელი“ გაყიდონ, ოღონდ ახლებური შეფუთვით;

დ) მთავარი ტიპი ნაცმოძრაობაში არის მაინც მიშა და მისი რეალური შემცვლელი არ ჩანს.

ზურაბიშვილის საბოლოო დასკვნა კი ასეთია: „ამათ არაფერი ეშველებათ!“.

## გიგი უგულავას ცოლი მანქანას ნასვამი მართავდა


■ ლელა კილაძე

თბილისის მერ გიგი უგულავას ცოლს, ლელა კილაძეს, მართვის მოწმობა ჩამოართვეს. გავრცელებული ინფორმაციით, ის ავტომობილს ნასვამი მართავდა. როგორც აღმოჩნდა, პოლიციამ ის საჭესთან ასეთ მდგომარეობაში უკვე მეორედ ნახა. ასე რომ, ლელა კილაძეს მართვის მოწმობა, კანონის დაცვით, ერთი წლით ჩამოერთვა.


■ სალომე ზურაბიშვილი

## სალომე ზურაბიშვილი: „ნაცსახელმწიფო დამთავრდა!“

პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა 19 აპრილის აქცია „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე შეაფასა.

— მახსენდება სხვა აპრილი და სხვა ხალხი... და ასი დღე წვიმაში და ქარბუქში გატარებული... და ათი ათასზე ნაკლები იშვიათად თუ ყოფილა... მაგრამ მარგინალებს და რადიკალებს გვეძახდნენ... და არც სახელმწიფო, პარტიული ბიუჯეტი გვეხმარებოდა ხალხის მოზიდვაში და არც „უპარტიო“ პრეზიდენტი „გვიმშვენებდა“ მხარს... ნამდვილად დამთავრდა „ნაცსახელმწიფო“, ესენი შეძლებენ თუ არა ოპოზიციად გარდაქმნას, საეჭვოა... იწყება საქართველოსთვის პოლიტიკური დამშვიდების და ქვეყანაზე ზრუნვის დრო! — წერს სალომე ზურაბიშვილი.

## კობა დავითაშვილმა ჯანდაცვის მინისტრი კორუფციულ გარიგებაში დაადანაშაულა

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა კობა დავითაშვილმა ჯანდაცვის მინისტრი სადაზღვევო კომპანიებთან გარიგებაში დაადანაშაულა. მისი თქმით, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ყველა გადაწყვეტილება სადაზღვევო კომპანიების სასარგებლოდ მიიღება და არა — პაციენტებისა და ექიმებისა.


■ კობა დავითაშვილი

— ჩვენ ვიცოდით, რომ მინიმალური კომპონენტი ჯანდაცვისა უნდა ყოფილიყო 2,5 ლარი და საბოლოოდ მივიღეთ 1,5 ლარი. ვიცოდით სხვა პაკეტი და ბოლოს დარჩა სისხლის და შარდის ანალიზები. არ არის გათვალისწინებული არც იჯარის თანხები, არც ტრანსპორტირების. გაწერილია სქემები, რომლებიც კერძო სადაზღვევო კომპანიებს აწყობთ. მინისტრთან შედგა თათბირი, სადაც საუბარი იყო, თუ რა უნდა გაეკეთებინა სამინისტროს. მე გაოცებული და შეურაცხყოფილი ვარ იმ გადაწყვეტილებებით, რომლებიც მან მიიღო, — აცხადებს დავითაშვილი.


■ დავით სერგეენკო

დეპუტატის ბრალდებებს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო გამოეხმაურა და მას დამამტკიცებელი დოკუმენტების წარდგენა ან საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოსთხოვა.

— ბატონი კობა ბრალს მდებს ძალიან მძიმე დანაშაულში — კორუფციაში. მან ან უნდა დაადასტუროს ეს ყველაფერი და დოკუმენტები წარმოადგინოს, ან საჯაროდ მოიხადოს ბოდიში. ჯანდაცვის სამინისტრომ მსოფლიო ჯანდაცვის ექსპერტებთან ერთად შეიმუშავა სტრატეგიული გეგმა, რომელიც ახალი პროექტის განხორციელებას ითვალისწინებდა. წარმოდგენილი იყო გარდამავალი პერიოდის რამდენიმე ვარიანტი. ამაში ბატონი კობაც მონაწილეობდა, მაგრამ მან მოახერხა და შუამდებარე სამუშაოებით დაიწყო ღია ეთერში აპელირება. მერე მე ის ჩამოვაშორე ამ გეგმის განხორციელებას, — განაცხადა სერგეენკომ.

## აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი ქრთამისთვის დააკავეს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი, რაულ ქირია, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ბრალდებით 18 აპრილს დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ მან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში დასაქმების სანაცვლოდ ერთ-ერთ მოქალაქეს ქრთამის სახით 3.000 აშშ დოლარი გამოართვა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. საქმეზე მომდევნო სასამართლო სხდომა 2013 წლის 7 ივნისს გაიმართება.

ამჟამად რაულ ქირია 15.000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ პატიმრობიდან გათავისუფლებულია.



Cyan Magenta Yellow Black

# იყო თუ არა სასიყვარულო სამკუთხედი ნინო მუმლაძისა და ლევან ყოჩიაშვილის ცხოვრებაში

სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ განვითარებულ ინტრიგას, რომელიც სამაგალითო მეოჯახის მიერ „გვერდზე“ გაჩაღებული რომანით გამოიხატება, იმაზე გაცილებით დიდი რეაქცია მოჰყვა მაყურებლისგან, ვიდრე სერიალის შემქმნელებს სურდათ და ელოდნენ, ზომაზე მეტიც კი. „ფეისბუქზე“ სპეციალური გვერდიც შეიქმნა დათოსა და ნინას ოჯახის მხარდასაჭერად და გადასარჩენად. ცოლ-ქმარს შორის ჩამდგარ პერსონაჟს, სტომატოლოგ ნათიას, პირდაპირ წყევლიან. მაყურებლის ასეთი ემოციური გამოხმაურებით მსახიობებიც შეწუხებული არიან, რადგან თავიანთი გმირების საქციელის გამო რატომღაც პასუხს მათ სთხოვენ. დათოს როლის შემსრულებელ ლევან ყოჩიაშვილს ემუქრებიან და მოუწოდებენ, გონს მოეგოს, ნინო მუმლაძეს კი ოჯახის ქალები პირად მტრად აცხადებენ.



მეორე მხრივ, ასეთი პოპულარობა ორივე მსახიობს ახარებს, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ მათი პროფესიული მუშაობა შედგა და დამაჯერებელი საჯეები შექმნეს.

**— ელოდით, თქვენი გმირების საქციელი ასეთ რეზონანსს გამოიწვევდა საზოგადოებაში?**

**ნინო:** ვიცოდი, რომ მაყურებელს გული შესტკივა სერიალის გმირებზე, ამიტომ ნამდვილად ველოდი, ჩემი პერსონაჟი რომ რაღაცას გამოიწვევდა, მაგრამ რაც ახლა ხდება, მეტისმეტია. ასეთი მძაფრი რეაქცია ადამიანებს ხანდახან რეალურ ცხოვრებაში არ აქვთ.

**ლევანი:** ზუსტად ვიცოდი, რომ ჩვენი გმირების ამბავი ასეთ ხმაურს გამოიწვევდა. გოცირიძეების ოჯახი მაყურებელს ძალიან უყვარდა, კარგი ქართული ოჯახის სიმბოლოდ აღიქვა. ისეთ რაღაცეებს წერენ ჩვენზე, გული გაგისკდებათ! ამას წინათ აფთიაქში ფარმაცევტმა მთხოვა, იქნებ დაანებოთ იმ ქალს თავი და თქვენს ოჯახს დაუბრუნდეთო. მეხვეწებიან, ოჯახს ნუ დაანგრევო.

**ნინო:** საქართველოში ეს ყოველთვის პრობლემა იყო, ამიტომაც გამოიწვია ასეთი რეაქცია. ყველა ოჯახში არსებობს ისეთი დეტალები, რაც ამ რომანისთვისაა დამახასიათებელი. დათოსა და ნათიაში საკუთარ თავს თუ არა, მეგობრებს მაინც ამოიცნობ. ამ ტიპის ღალატი ჩვენს საზოგადოებაში ყოველთვის იყო, უბრალოდ ბოლო დროს ქართველმა ცოლებმა უფრო ამოიღეს ხმა. ძალიან ბევრი ქალი თვალს ხუჭავს იმაზე, რომ ქმარს საყვარელი ჰყავს. მე ასეთი ცოლების აბსოლუტურად არ მესმის.

**ნინო: „სასიყვარულო სამკუთხედში სამივე დამნაშავეა. კაცი არასოდეს დაიწყებს სხვაგან ყურებას, თუ ყველაფერი კარგად აქვს აწყობილი სახლში“.**

**ლევანი:** ჩემი აზრით, ამ რომანით კლასიკურად არის ნაჩვენები ქართველი მამაკაცის ღალატი. ყველა მაყურებელს იმიტომ მოხვდა გულზე, რომ მათთვის ნაცნობია სააბაზანოში ტელეფონზე ჩუმად ლაპარაკი და კიდევ ბევრი სხვა დეტალი.

**— თქვენს ცოლსაც რამე ხომ არ ეცნო ამ ისტორიიდან?**

**ლევანი:** არ ვიცი. ბუნებით ეჭვიანი არ არის და არა მგონია, პარალელები გაავლოს ჩემსა და ჩემს გმირს შორის. პირადად ჩემთვის დათოს თამაში ახლა უფრო საინტერესო გახდა. ცალსახად ვამბობ, რომ უსინდისოდ იქცევა, მაგრამ სათამაშოდ ეს ძალიან საინტერესოა. ჩემმა შვილმა ცოტა ხნის წინ მითხრა, მაგას უთხარი, ჭკვიანად მოიქცესო. ამით ჩემს გმირს შენიშვნა მისცა.

**— რა გამართლებას მოუძებნით მამაკაცს, რომელიც ცხოვრებაში ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა?**

**ლევანი:** როცა ჩემს გმირზე ვმუშაობ, ხანდახან ხმამაღლაც კი ვესაუბრები საკუთარ თავს, დათო, არ ხარ მართალი-მეთქი. ტყუილში ცხოვრება ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ყველაზე მეტად ის მაღიზიანებს, რომ ჩემი გმირი რომეოდ გადაიქცა. როგორ შეიძლება, ცოლშვილიანმა კაცმა რომეოს როლი მოირგო?! არ მესმის, როგორ ახერხებენ ადამიანები, დამალული რომანი ჰქონდეთ. როგორ არ გიჟდებიან, როდესაც ოჯახს ტყუილში აცხოვრებენ.

**ნინო:** თქვენ უნდა ნახოთ, სცენარს რომ ეცნობა, რა რეაქციები აქვს ლევანს. აღშფოთებას ვერ მალავს, სულ დათოს ლანძღვაშია. ძალიან განიცდის ღალატისკენ დათოს გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს.

**— თუკი მამაკაცი სიყვარულმა გააგიჟა, რა ქნას, როგორ გაუძლოს გრძნობას?**

**ლევანი:** ეს ძალიან რთულია. მამაკაცი ყოველთვის უნდა დაფიქრდეს იმაზე, რაც

**ნინო: „ბოლო ერთი წლის განმავლობაში ძირითადად ასაკით უმცროს მამაკაცებს მოვწონდი და შესაბამისად — უცოლოებს. ახლა ისევ უფროსების და ცოლიანების რიგენობა გაიზარდა“.**

ამ ცხოვრებაში მოიპოვა და შექმნა. რომეობაზე მაღლა ის ბავშვები და მეუღლე უნდა დააყენო, რომლებიც ამდენი ხანი ყველა სიტუაციაში შენ გვერდით იყვნენ. გაუგებარია, როგორ შეიძლება გიყვარდეს ცოლი და კიდევ სხვა ქალი. მე არ მიყვარს ასეთი მძაფრი შეგრძნებები და არასოდეს მქონია ასეთი თავგადასავლები.

**— ნინო, თქვენი პერსონაჟი საზოგადოებაში დიდ აგრესიას იწვევს, როგორც ოჯახის დამანგრეველი. რაიმეს იტყოდით მის დასაცავად?**

**ნინო:** ვერაფერს. ძალიან სწორად იქცევა საზოგადოება, რომ ნათიას მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. ქალის ურთიერთობას ცოლიან მამაკაცთან ვერაფრით გავამართლებ. არასოდეს შევხვდები მამაკაცს, თუ გავიგებ, რომ ცოლიანია. ცოლიანი კაცი ჩემთვის ყოველთვის სხვისი კაცია. პრობლემები ყველას უჩნდება ცხოვრებაში, შეიძლება ვიღაცას აღარ უყვარს თავისი ცოლი, მაგრამ ჯერ ის პრობლემა მოაგვარე და მერე იფიქრე ახალ სიყვარულზე. მე რომ ნათიას ადგილზე ვყოფილიყავი, დათო კარგა ხნის დავიწყებული მეყოლებოდა.

**ლევანი: „როგორ შეიძლება, ცოლშვილიანმა კაცმა რომეოს როლი მოირგო?!.. გაუგებარია, როგორ შეიძლება გიყვარდეს ცოლი და კიდევ სხვა ქალი. მე არ მიყვარს ასეთი მძაფრი შეგრძნებები და არასოდეს მქონია ასეთი თავგადასავლები“.**

**— სხვაზე საუბარი ადვილია მანამ, სანამ იმავეს თავად არ გამოცდი. ხანდახან ძნელია, მით უმეტეს, გრძნობებში, ბოლომდე საკუთარი პრინციპების ერთგული იყო.**

**ნინო:** კი. ნათქვამია, არასოდეს თქვა არასოდესო, მაგრამ ნამდვილად არ მქონია ისეთი სიტუაცია, რომ თავს ვერ მოვრეოდი. სულ რომ ბრედ პიტი ყოფილიყო, იმ მამაკაცთან ურთიერთობა არ გამიგრძელებია, რომელსაც ოჯახი ჰყავდა. რაღაც თუ არ მაწყობს ადამიანში, მაშინვე ვწყვეტ ურთიერთობას, გრძნობებში არასოდეს შევდივარ.

**— თქვენ მაინც ვის ბრალეულობას უფრო ხედავთ — ქალისას თუ მამაკაცისას?**

**ნინო:** ძნელი სათქმელია. ნათიას იმიტომ არ ვამართლებ, რომ კი, თითქოს არ უნდა სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების აგება, მაგრამ არც უკან იხევს. საერთოდ არ მჯერა, რომ ოჯახურ ცხოვრებაში მხოლოდ ერთია დამნაშავე. სასიყვარულო სამკუთხედში სამივე დამნაშავეა. კაცი არასოდეს დაიწყებს სხვაგან ყურებას, თუ ყველაფერი კარგად აქვს აწყობილი სახლში. შეიძლება დათოს და ნინას ყველაფერი იდეალურად ჰქონდათ, მაგრამ მათი ცხოვრება ერთფეროვანი გახდა, სახლში მისვლისას ცოლი სულ ხალათით და ფაჩუჩებით ხვდებოდა, ამიტომაც გარკვეულწილად ნინას დანაშაულიცაა.

**ლევანი:** წვრილმანები ყველაზე მყარ ოჯახსაც კი ღუპავს. ყოველთვის მნიშვნელოვანია, ესა თუ ის ადამიანი რა ეტაპზე გამოჩნდება შენს ცხოვრებაში. ვერასოდეს გამოიტან დასკვნას სხვისი პრობლემებიდან. ძნელია, ადამიანებს იდეალური რჩევა მისცე, რომ ღალატის მსხვერპლი არ აღმოჩნდნენ.

**— ხშირად მამაკაცის ცხოვრებას თავდაყი-**



Cyan Magenta Yellow Black

**რა აყენებს კარგად ნაცნობი „დამნაშავე“ — საშუალო ასაკის კრიზისი.**

**ლევანი:** საქმეც მაგაშია, რომ დათოს ცხოვრებაში ეს კრიზისული პერიოდიც კი არ დამდგარა, ამიტომ ეს არ არის გამართლება! პრინციპში, ღალატს არასოდეს აქვს გამართლება, მათ შორის, არც ასაკობრივი კრიზისით.

**— სერიალში ნათიას სახით თეთრხალათიანი ქალი ალბათ სპეციალურად არის შერჩეული, მამაკაცების ფანტაზიებში თეთრხალათიანი ქალი — ექიმი, მედდა, ყოველთვის საინტერესოა.**

**ნინო:** ნამდვილად ამ კუთხით არის შერჩეული.

**ლევანი:** მე სტიუარდესებზეც მაქვს გაგონილი. ალბათ ამ სერიალის შემდეგ სტომატოლოგი ქალების თაყვანისმცემლების რიცხვი გაიზრდება.

**ნინო:** სტიუარდესების არ ვიცი, მაგრამ ექიმების მიმართ მამაკაცების განსაკუთრებული სიმპათია იმით აიხსნება, რომ კაცისთვის მნიშვნელოვანია, როცა უჭირს, ვინ დგას მის გვერდით. აი, მაგალითად, ნათიას და დათოს შემთხვევაშიც, დათოს პანიკურად ეშინოდა კბილის ექიმთან ვიზიტის და როდესაც იქ ძალიან გულღია ქალი დახვდა, რომელმაც ეს შიში დააძლევინა, მისთვის ნომერი პირველი გახდა. მამაკაცისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია ქალი, რომელიც მას პრობლემას უგვარებს.

**ლევანი:** მეც ვყოფილვარ კბილის ექიმთან, მაგრამ ასეთი ისტორიები არ მქონია. ყველა კბილის ექიმი არ არის ერთნაირი. სხვათა შორის, მეც ძალიან მეშინოდა სტომატოლოგის. ერთხელ იმდენად არ მინდოდა ექიმთან მისვლა, რომ მტკივან კბილში იმდენი გამაყუჩებელი ჩავიდე, ნერვი თვითონ მოვკალი.

**ნინო:** ნათია იმითაცაა მომხიბვლელი,

**ნინო: „არასოდეს შევხვდები მამაკაცს, თუ გავიგებ, რომ ცოლიანია. ცოლიანი კაცი ჩემთვის ყოველთვის სხვისი კაცია“.**

რომ მამაკაცისგან ოჯახის მიტოვებას არ მოითხოვს. ის არაფერს ითხოვს, რაც კაცებისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია ქალთან ურთიერთობაში.

**— თქვენი აზრით, რა შეცდომებს უშვებენ ქართველი ცოლები, როდესაც მათი ქმრები სხვებთან მიდიან?**

**ნინო:** ძალიან რთულია კონკრეტული მიზეზის დასახელება, ყველაფერი ინდივიდუალურია. ზოგისთვის გამაღიზიანებელია, როდესაც ქალი სულ მუდამ იპრანჭება და ზოგისთვის პირიქით, რომ არ იპრანჭება. იცით, ყველაზე მეტად რაზე ვღიზიანდები ხოლმე? ქმრები სთხოვენ ცოლებს, რომ არ იმუშაონ, ისხდნენ სახლში, არ იყვნენ ზედმეტად გაპრანჭულები, რომ სხვისთვის საინტერესონი არ გახდნენ და, როდესაც ცოლი ამ ყველაფერს ასრულებს, ის უკვე აღარ აინტერესებთ. ამიტომაც ამბობს დათო სერიალში, კი მიყვარს ჩემი ცოლი, მაგრამ გული ისე აღარ მიცემს, როგორც ადრეო. ჩემი აზრით, პირველ რიგში, ეს დათოს დანაშაულია, რადგან მან შექმნა ნინასგან ისეთი ცოლი, რომელიც აღარ მოსწონს.

**— ადრეულ ასაკში შექმნილი ოჯახები,**



■ ნინო და ლევანი

**ლევანი: „ამას წინათ აფთიაქში ფარმაცევტმა მთხოვა, იქნებ დაანებოთ იმ ქალს თავი და თქვენს ოჯახს დაუბრუნდეთო“.**

**როგორც წესი, დანგრევისთვისაა განწირული. ლევან, თქვენ გამონაკლისი ხართ. 19 წლის ასაკში შექმნილი თქვენი ოჯახი დღემდე მყარია. ეს როგორ მოახერხეთ?**

**ლევანი:** ადამიანებმა ყოველთვის რაღაცას უნდა გაუწიონ ანგარიში. თავიდან ოჯახური ცხოვრება ძალიან ძნელია, მით უმეტეს, როცა ახალგაზრდა ხარ. ვაღიარებ, ჩემს ცხოვრებაშიც იყო სირთულეები, მაგრამ შემდეგ წამოვიდა ურთიერთპატივისცემა, ერთობლივი ზრუნვა შვილებზე, ერთმანეთზე. ეს ყველაფერი კი უკვე ერთიანობას ქმნის, რომლის დაკარგვაც აღარ გინდა. ბავშვები რომ იზრდებიან, ცოლქმრული თანაცხოვრება უფრო საინტერესო ხდება. ჩემს ოჯახურ ცხოვრებაში ასეთმა მიდგომებმა გაამართლა.

**— ნინო, თქვენ ოჯახის შექმნა წინ გელოდებათ. როგორ უნდა მოიქცეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ის ქალი არ აღმოჩნდეთ, რომელსაც ქმარი ღალატობს?**

**ნინო:** ძალიან ფრთხილი რომ ვარ და ბევრ რამეს ვითვალისწინებ, ამიტომაც არ ვარ გათხოვილი. ჩემ გარშემო ყველა მეგობარს აქვს ოჯახი და სულ მეუბნებიან, ძალიან ბევრს ფიქრობ, ასე არ შეიძლებაო. არ შემიძლია, ჩემთვის მიუღებელ თვისებებზე და პირობებზე თვალი დავხუჭო. არ მინდა ოჯახის შექმნა მხოლოდ იმის გამო, რომ გათხოვილი ქალი მერქვას. მინდა, ჩემს რჩეულთან მართლა ბედნიერი ვიყო. როცა ასაკი ძალიან მომიჭერს, ალბათ რაღაცეებზე თვალს დავხუჭავ, ჯერჯერობით კი ჩემს პრინციპებზე უარს ვერ ვიტყვი.

**— ალბათ გერჩივნათ, ნინას როლი გეთამაშათ, რადგან მაყურებელი გადაგემტერათ.**

**ნინო:** სხვათა შორის, ნინას როლი ნამდვილად არ მინდოდა. ბევრი მეუბნება, ვაი, შე საწყალო, რა ცუდი როლი შეგხვდაო, მაგრამ მე არ ვთვლი, რომ ცუდია, როგორც მსახიობისთვის, ჩემთვის ძალიან საინტერესოა. ნათიამ უკვე დიდი წარმატება მომიტანა. მომწონს ისეთი როლების თამაში, სადაც ჩემს გმირს ბეწვის ხიდზე უწევს სიარული. „ფეისბუქზე“ რასაც წერენ, ის რომ სერიოზულად აღვიქვა, შეიძლება გული გამისკდეს. ერთმა ინტერნეტში დაწერა — შენ დაგილპეს ეგ მკერდიო. ასევე დადეს ის კადრი, სადაც ტელეფონით დათოს მესიჯს ვწერ და იქაც მომაწყევლეს — შენ გაგიხმა ეს ხელები, ცოლიან კაცს მესიჯს რომ სწეროო. სასაცილოა, რომ სერიალის პერსონაჟები ადამიანებში ასეთ რეაქციას იწვევენ.

**— რა ტიპის მამაკაცებს მოსწონხართ ყველაზე მეტად?**

**ნინო:** ჩემ გარშემო თაყვანისმცემელთა ტიპაჟები ეტაპობრივად იცვლება. 4-5 წლის წინ ჩემზე ცოლიანი მამაკაცების შემოტევა იყო. არ ვიცი, რა იყო ამის მიზეზი, მაგრამ ყოველი მეორე თაყვანისმცემელი მამაკაცი ცოლიანი გახლდათ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ძირითადად ასაკით უმცროს მამაკაცებს მოვწონდი და შესაბამისად — უცოლოებს. ახლა ისევ უფროსების და ცოლიანების რაოდენობა გაიზარდა.

**— ლევანთან აქამდე არ გქონიათ მუშაობის გამოცდილება, როგორ დაახასიათებდით პიროვნული და პროფესიული კუთხით?**

**ნინო:** მთელი გადამღები ჯგუფი გეტყვით, რომ ლევანი საოცრად საყვარელი, კეთილი და კარგი ადამიანია. ყოველ წუთში მისგან დადებითი მუხტი მოდის. ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პარტნიორს კომფორტი შეუქმნას. ძალიან ბევრი პარტნიორი მყოლია სერიალებში თუ სპექტაკლებში, მაგრამ ლევანმა ყველა დაჩრდილა. ასეთ ადამიანს ცხოვრებაში იშვიათად შეხვდები. ძალიან მოკლე დროში ერთმანეთს ისე გავუგეთ, რომ ახლა რეპეტიციაზე უსიტყვოდ ვხვდებით, ერთმანეთისგან რა გვინდა.

**ნინო: „არ მჯერა, რომ ოჯახურ ცხოვრებაში მხოლოდ ერთია დამნაშავე. სასიყვარულო სამკუთხედში სამივე დამნაშავეა. კაცი არასოდეს დაიწყებს სხვაგან ყურებას, თუ ყველაფერი კარგად აქვს აწყობილი სახლში“.**

**ლევანი:** პარტნიორ ქალებში სულ მიმართლებდა, ერთმანეთზე არაჩვეულებრივ ქალებთან მიწევს თამაში.

✓ **ავთო ჩიტიძე**


**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლა, ღვიძლის გაწმენა, ფუნქციის აღდგენა. კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი. ასევე იმპოტენციის, შარდვის პრობლემების (შეკავება-შეუკავებლობა, ხშირი შარდვა), წვის, ქავილის, უშვილობის მკურნალობა. პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც). უნებლიე შარდვა ასაკიანებშიც, ბავშვებშიც. გაჯანსაღება 100%-იანი ბიოპრეპარატებით, უკუჩვენება 0-ია. ანონიმურობა დაცულია.

გამოცდილი სპეციალისტი, ქ-ნი ქეთი

☎ 599-90-54-78, 234-02-38





Cyan Magenta Yellow Black

# სალომე გოგიაშვილი ნინი ბადურაშვილის მშობიარობას დაესწრება

## სალომე: „ნინის პირადი გინეკოლოგი ვარ“



ნინი და სალომე

ორი ახალგაზრდა ქალს თბილისური ბომონდიდან — ნინი ბადურაშვილს და სალომე გოგიაშვილს, საერთო „ფესვები“ აქვთ — მათი ბებიები დეიდაშვილები არიან, თვითონ კი ერთმანეთს ბიძაშვილ-მამიდაშვილად ეკუთვნიან. შეიძლება ითქვას, ბავშვობიდან შეზრდილები არიან და მალე ნათელმირონიც დააკავშირებთ — სალომე ნინის მეჯვარე იყო და მის მომავალ შვილსაც მონათლავს. როგორც ცნობილია, ნინი ივლისის ბოლოს გოგონას დედა გახდება. სალომეს ამ მხრივ უკვე საკმაო გამოცდილება აქვს და შეუძლია ბიძაშვილს თავისი გამოცდილება გაუზიაროს. აპირებს კიდეც, ნინის მშობიარობას დაესწროს. მათი ერთად ყოფნა ყოველთვის დიდი გართობა და მხიარულებაა, ისე როგორც მათი ბებიების, რომლებიც ნარდის საოცარი მოყვარულები ყოფილან.

ეს და სხვა ამბები მათ ნათესაურ კავშირებზე ნინიმ და სალომემ „სარკეს“ უამბეს.

**სალომე:** ჩვენ არც საბავშვო ბაღის მეგობრები გახლავართ და არც — სკოლის, ნათესავები ვართ. ჩვენი ბებიები — ლალი და ლეილა — დეიდაშვილები არიან. ჩვენი მშობლები — ერეკლე და თიკო — და-ძმასავით გაიზარდნენ, ერთ ლოგინში იწვნენ. ჩვენც ბავშვობიდან ერთად მოვდივართ. წლების შემდეგ კი უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს.

**ნინი:** მახსოვს, ჩვენი მეგობრობა როდის დაიწყო — სალომე 15 წლის იქნებოდა, მე — 12-ის. ძალიან მომწონდა მისი სამეგობრო წრე, იმ ისტორიების მოსმენა, რომლებიც ჩემთვის ჯერ კიდევ ნაადრევი იყო. თაყაიშვილის ქუჩაზე ცხოვრობდნენ, სალომეს ცალკე ოთახი ჰქონდა. სადარბაზოდან რომ შეხვიდოდი, სალომეს ოთახამდე მანსარდიდან კიბით უნდა ასულიყავი. ოთახში იყო წარწერები, კედელზე მიწერილი ლექსები. სულ მინდოდა, ასეთ სახლში მეცხოვრა. მახსოვს, როგორ გამიხარდა, სალომემ პირველი მანქანა რომ შეიძინა.

> **ნინი: „არ მახსოვს, ჩემს ქორწილში რა ხდებოდა, ძალიან დაძაბული ვიყავი“.**

**სალომე:** ეს იყო უხსოვარ დროს! 16 წლის ვიქნებოდი, მანქანა რომ ვიყიდე. მაშინ ჯერ კიდევ „გაიშნიკები“ არსებობდნენ.

— ***მარტო ნათესაობა საკმარისი არ არის დამეგობრებისათვის, საჭიროა საერთო ინტერესები, გემოვნება, ხასიათი და ა.შ.***

**სალომე:** კი, რა თქმა უნდა. ბევრი ისეთი ნათესავი გვყავს, ვისაც მხოლოდ მაშინ თუ შევხვდებით, როცა ლხინი ან ჭირია. შეიძლება ოჯახები მეგობრობდნენ, მაგრამ პირადად არ გამოგივიდეს ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლეც ძალიან მიყვარს და ლალიც, ნინი ასეთი რომ არ ყოფილიყო, მეგობრები ნამდვილად არ ვიქნებოდით.

**ნინი:** რასაკვირველია, მე და სალომეს ერთნაირი ინტერესები გვაქვს, ორივე 53-ე სკოლაში ვსწავლობდით, ერთი სანაცნობო წრე გვყავდა.

— ***როგორები იყავით მაშინ, თინეიჯერობის პერიოდში?***

**ნინი:** სალომე ყოველდღე იღებავდა თმას, ხან წითელი თმით მოვიდოდა, ხან — მწვანეთი. ექსპერიმენტებს ატარებდა.

> **სალომე: „იმ სიტყვების წარმოთქმისას გულით ვტიროდი და ნახევარი დარბაზიც ვატირე. ვერ ვიტან, ქალი რომ სადღეგრძელოს სვამს, მაგრამ ნინის ქორწილში სიტყვით გამოსვლა მომინდა“.**

**სალომე:** ფაქტია, რომ კარგად არ ვიყავი... (იცინიან).

**ნინი:** ცოტა რომ წამოვიზარდე, მეც მივბაძე და ასეთივე ექსპერიმენტებს მეც ვატარებდი, თმას ხშირად ვიღებავდი.

**სალომე:** ნინის ბადის ეძახდნენ. „ბასტი-ბუბუს“ პერიოდიდან მოყოლებული ძალიან პოპულარული გახლდათ. თავიდანვე ლამაზი, კარგი გოგო იყო.

**ნინი:** მაშინ უფრო წყნარი და მორიდებული ვიყავი.

— ***თქვენ ორნი ყოველთვის ხართ ყურადღების და, აქედან გამომდინარე, ჭორების ცენტრში. როცა ერთმანეთზე მოგდით რაღაც ხმები, ამ დროს როგორ რეაგირებთ?***

**სალომე:** ნინიზე რამე ჭორს თუ გავიგებ, ყველას საკადრის პასუხს ვაძლევ. არასასიამოვნო ჭორებზე ძალიან ცუდად ვრეაგირებ. არ შემიძლია კარგი დამოკიდებულება მქონდეს მასთან, ვინც ჩემი მეგობრის მიმართ ცუდადაა განწყობილი. ნეიტრალური ურთიერთობები არ გამომდის, დიპლომატიის უნარი საერთოდ არ მაქვს.

> **ნინი: „სალომე გათხოვდა და დამშვიდდა ხალხი, მე გავთხოვდი და მაინც არ დაწყნარდნენ!“**

**ნინი:** ყველამ იცის, სალომეს მეგობარი რომ ვარ და არა მგონია, ჩემი თანდასწრებით ვინმემ მასზე ცუდი რამის თქმა გაბედოს. ადრე უფრო მესმოდა — იმასთან დადის, ვიღაცამ მანქანა უყიდაო და ასეთი უაზრობები... ამ ბოლო დროს მასზე არანაირი ჭორია არ გამიგია.

**სალომე:** გავთხოვდი და დაისვენა საზოგადოებამ.

**ნინი:** სალომე გათხოვდა და ხალხიც დამშვიდდა, მე გავთხოვდი და მაინც არ დაწყნარდნენ... (იცინიან).

— ***ნინი, მართლაც დიდი ხანია ჭორაობენ, რომ ქმარს გაშორდით. იქნებ ყველას თავად გასცეთ პასუხი ამაზე.***

**ნინი:** ხალხის ფანტაზიები მაოცებს, ყოველდღე ახალ-ახალ რაღაცას ვიგებ. ქმართან ჩემი გაშორების იმდენი ვერსია და მიზეზი მოიგონეს, მართლა მაინტერესებს, ამ ყველაფერს ვინ თხზავს. აშკარად ვიღაც ზის, იგონებს და უხარია.

**სალომე:** ჩვეულებრივი ვერსია, რომ უბრალოდ ქმრისგან წამოხვედი, საინტერესო არ იყო, ამიტომ სხვადასხვა ვარიანტს ამატებენ.

**ნინი:** იჭორავეთ! მაინც ვერაფერს ვიზამ, ამ ხალხს ვერ შევაჩერებ.

— ***ალბათ ძალიან დამღლელია ასეთი გადამეტებული ყურადღება.***

**ნინი:** რა თქმა უნდა, ვიღლები, მაგრამ თან შეჩვეული ვარ. იმ წამში ნერვები მეშლება, მაგრამ მერე ყურადღება სხვა რამეზე გადამაქვს. ორსულად ვარ და ყველა ინსტინქტი გამძაფრებული მაქვს. ხალხი არაფერს ერიდება, მათ შორის — სისულელეების წერას სოციალურ ქსელში. აჯობებს, თავიანთ თავზე დაწერონ და თავიანთი ცხოვრება განიხილონ! ვერ გამიგია, ეს ხალხი რამ გააბოროტა, თუმცა შეიძლება საამისოდ ბევრი მიზეზი აქვთ — წარუმატებელი ცხოვრება და ასე შემდეგ... გადავწყვიტე, პირად ცხოვრებაზე აღარ ვილაპარაკო. რამდენჯერაც კომენტარი გავაკეთე, იმდენჯერ სოციალურ ქსელში დაიდო და განხილვა დაიწყეს. ამ ყველაფრით დავიღალე და არ მინდა ჩემს ცხოვრებაზე საუბარი.

— ***სალომე, ნინი ახლა განსაკუთრებულ მდგომარეობაშია, რომელიც თქვენ უკვე ორჯერ გაქვთ გამოცდილი. ალბათ აძლევთ კიდეც სასარგებლო რჩევებს.***

**სალომე:** ნინის პირადი გინეკოლოგი ვარ. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მოსკოვში იყო, ტელეფონზე დამირეკა და მითხრა, ეს და ეს პრობლემა მაქვს და რა მივიღოო. მეც კარგი ექიმივით წამლები ჩავაწერინე, რაც უნდა დაელია. ტელეფონი რომ გავთიშე, მერე მივხვდი, რაც გავაკეთე. ძალიან ვინერვიულე, მაშინვე ექიმს გადავურეკე და ეს ამბავი მოვუყევი. ექიმმა დამამშვიდა, სწორი მკურნალობა დაგინიშნავსო.

პერიოდულად ჩემთან რაღაც კითხვები აქვს, მეც, რაც შემიძლია, ვეხმარები და გამოცდილებას ვუზიარებ.

— ***ნინი, როგორ მიმდინარეობს ორსულობა, რა „ახალ“ თვისებებს ამჩნევთ თავს?***

**ნინი:** კარგი ორსულობა მაქვს, თუ არ ჩავთვლით ხასიათს, რომელიც ხშირად მეცვლება. ამას წინათ ისეთ ხასიათზე ვიყავი, არაფერი მინდოდა. ახლა კი ფანტასტიკურ განწყობაზე ვარ. ვერ ვიგებ, ეს ცვალებადობა ამინდის ბრალია თუ ორსულობის. შეგრძნებები უფრო გამძაფრებული მაქვს, მაგრამ პრეტენზიული ორსული ნამდვილად არ ვარ. არაფერი მინდება, ღამით არ ვჭამ, ახირებები არ მაქვს, არც მადა მაქვს მომატებული, როგორც ვიკვებებოდი, ახლა იმაზე ოდნავ მეტს გეახლებით. სახლში მეჩხუბებიან, მეტი უნდა ჭამოო. მხოლოდ 10 კილოგრამი მოვიმატე.

**სალომე:** ნინის მშობიარობას უნდა დავესწრო.

— ***უკვე იცით, ვინ დაესწრება ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას?***

**სალომე:** აქ ასეთი პასუხი უნდა გასცე — ვისაც სურვილი ექნება, ყველას დავასწრებთ. შეიძინეთ ვაუჩერი და მობრძანდით! იმედია, მიხვდით, რომ ვხუმრობთ. ჩემ გარდა, ნინის მშობიარობას არავინ დაესწრება. მიხარია, რომ პატარას სურათები ექსკლუზიურად მე



Cyan Magenta Yellow Black

მექნება.

**— ნინი, გადაწყვეტილი გაქვთ, სად და რა მეთოდით გააჩენთ შვილს?**

**ნინი:** ჩემი შვილი საქართველოში დაიბადება, მაგრამ ჯერ ვერ მოვიფიქრე, სად ვიმშობიარებ. თუ ყველაფერი კარგად იქნება, ბავშვს ფიზიოლოგიურად გავაჩენ.

**— როგორც ვიცი, გოგონას ელოდებით. ახლა უკვე, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ მაინც, პირველი გოგო გინდოდათ თუ ბიჭი?**

**ნინი:** ჩვენს ოჯახში ბიჭის ენაზე ლაპარაკი არავინ იცის. დედაჩემის, ეკას ძმა, ლადო, 13 წლის ასაკში გარდაიცვალა, მას შემდეგ სულ გოგოები გავჩნდით. ჩემი და, ანასტასია, ელოდება ბიჭს, რომელსაც ლადოს არქმევს. ჩემთვის სქესს მნიშვნელობა არ აქვს. სანამ ექოსკოპიურ გამოკვლევაზე არ მივედი, ვერ ვგრძნობდი, ბიჭის დედა უნდა გავმხდარიყავი თუ გოგონასი, სალომემ კი ყველაფერი იგრძნო. ამან უნდა გამოუშვას გაზეთი, სადაც თავის წინასწარმეტყველებებს დაბეჭდავს... (იცინიან).

**სალომე:** საოცარი სიზმრები მესიზმრება და, რაც მთავარია, მისრულდება. არც ვიცოდი, ნინი ორსულად იყო თუ არა, „ფეისბუქით“ მივწერე, ნინი, სიზმარში ვნახე, შენს პატარა გოგოს ლამაზი კაბა ვუყიდე-მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ ნინის პასუხი მომივიდა, სალომე, იცი, მართლა ორსულად ვარო. მეც დანამდვილებით მივწერე, უეჭველად გოგო გეყოლება-მეთქი და, აჰა, ჩემი სიზმარიც გამართლდა!

**ნინი:** სალომეს სიზმრების ძალიან მჯერა.

**სალომე:** ჰოდა, ამ სიზმრების შემდეგ ნინი ექიმთან აღარ დადის. ვუყურებ და ვეუბნები, მის მუცელში ბავშვი როგორ გრძნობს თავს... (იცინიან).

**— სალომე, თავად არ გეგმავთ მესამე შვილის გაჩენას?**

**სალომე:** თუ ღმერთი მესამე შვილს მაჩუქებს, ძალიან გამიხარდება. მინდა, ჩემსა და ნინის შვილებს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა არ იყოს, ამიტომ გადავწყვიტე, ამ საკითხზე ვიმუშაო.

**— როცა ერთად ხართ, როგორ ატარებთ დროს, რა თემებზე საუბრობთ?**

**ნინი:** როცა ერთად ვართ, ძირითადად სულ ვხუმრობთ. 5 საათიდან 3 საათი ვიცინით და ვერთობით.

**სალომე:** თუ სერიოზულად ვლაპარაკობთ, მტერს, ჩვენს ყბაში ვინმე ჩავარდეს! ახლა ბავშვის თემაა აქტუალური. ამას წინათ დიდხანს ვისხედით და ვლაპარაკობდით, რა ჯობია, რომ წინასწარ შევიძინოთ. მერე ვისაუბრეთ, პატარა ელენეს, როგორი ეტლი უნდა ვუყიდოთ.

**— შვილისთვის უკვე ყიდულობთ ნივთებს?**

**ნინი:** არა, ჯერ არაფერი მიყიდია.

**სალომე:** სარაფანი უნდა ვუყიდო. ელენე ზაფხულში დაიბადება, თანაც, წარმომიდგენია, როგორი იქნება. მინდა, ვუყიდო მოკლე სარაფანი, საიდანაც მსუქანი ბარკლები გამოუჩნდება. ასევე მისთვის ვიყიდი წინდებს, „ბასანოჟკებს“ და თმაზე წითელ გადასაჭერს. ეს ყველაფერი ელენეს აუცილებლად ექნება ჩემგან.

**— ერთმანეთის ქმრები როგორ გაიცანით?**

**ნინი:** სალომეს არაჩვეულებრივი ქმარი ჰყავს. მისით დანახვისთანავე მოვიხიბლე. სასიამოვნო მოსაუბრე, განათლებულია. სალომეს პატივს სცემს, ქალაქელია, მის გვერდით სწორედ ასეთი ბიჭი მინდოდა.

**სალომე:** ნინის ქმარი ძალიან უშუალო და კომუნიკაბელურია. სამწუხაროდ, ერთმანეთს ხშირად ვერ ვხვდებით, მე აქ ვარ, ირაკლი — მოსკოვში. ჩემთვის მთავარია, ნინი იყოს კარგად და თუ ამას ირაკლი ცხოვრების ბოლომდე მოახერხებს, მაშინ მისი მისამართით საუკეთესო სიტყვებს არ დავიშურებ.

**სალომე: „მაშინ, როცა ყველაზე მეტად მიჭირდა, საოცარი ხალხი რომ მოდიოდა და საქმეებს მირჩევდა, ნინის მამა, ერეკლე, გვერდიდან არ მომშორებია“.**

**— სალომე, ნინის დანიშვნა და გათხოვება მოკლე დროში და მოულოდნელად მოხდა. ეს თქვენთვისაც სიურპრიზი იყო თუ თავიდანვე ინფორმირებული იყავით?**

**სალომე:** ჩემ გარდა, ყველასთვის მოულოდნელი იყო. მათი სიყვარულის შესახებ ვიცოდი, ამიტომ არ გამკვირვებია, ოჯახის შექმნა რომ გადაწყვიტეს. ბევრისთვის კი ეს შოკი იყო.

**— ნინის ქორწილში ჟურნალისტები არ იყვნენ, ამიტომ საინტერესოა, სტუმრის თვალით დანახული ის დღე.**

**სალომე:** ნინის ძალიან პომპეზური ქორწილი ჰქონდა და, რაც მთავარია, ძალიან ლამაზი ნეფე-დედოფალი იყვნენ. მათი ქორწილისთვის სპეციალურად ჩავწერე დუეტი დათუნა სირბილაძესთან ერთად, რომელიც ქორწილში ვერ მობრძანდა, ამიტომ სიმღერაც ვერ ვიმღერე და სიურპრიზი ასე ჩამეშალა.

**ნინი:** მართლა? არც ვიცოდი. რომ არა ჟურნალი „სარკე“ და ეს ინტერვიუ, ალბათ ვერც გავიგებდი. რა სიმღერა უნდა გემღერათ?

**სალომე:** ანჟელიკა ვარუმის და აგუტინის ერთ-ერთი სიმღერა. ძალიან დამწყდა გული, მაგრამ რას ვიზამთ? ნინი თავის ქორწილში ისეთი ლამაზი იყო, სიტყვებით ვერ გადმოგცემთ!

**ნინი:** არ მახსოვს, ჩემს ქორწილში რა ხდებოდა, ძალიან დაძაბული ვიყავი. მინდოდა, ყველა კარგად ყოფილიყო.

**სალომე:** არც ის გახსოვს, თქვენი პერსონალური სადღეგრძელო ხმამაღლა, მთელი დარბაზის გასაგონად რომ დავლიე?!

**ნინი:** არა...

**სალომე:** იმ სიტყვების წარმოთქმისას გულით ვიტირე და ნახევარი დარბაზიც ვატირე. ჩემს ცხოვრებაში პირველად დავლიე სადღეგრძელო. ვერ ვიტან, ქალი რომ სადღეგრძელოს სვამს, მაგრამ ნინის ქორწილში სიტყვით გამოსვლა მომინდა.

**— ნინი, სალომემ ცხოვრებაში დიდი დარტყმები გადაიტანა და მაინც მხიარული ხასიათი შეინარჩუნა. იმ მძიმე პერიოდებში მის გვერდით იყავით?**

**ნინი:** თავისთავად! სალომე ძალიან ძლიერი პიროვნებაა, ცხოვრებაში ბევრი სიძნელე ჰქონდა, რომელიც ისე გადაიტანა, რომ მოთქმა-გოდება არასოდეს დაუწყია. ყველა სიტუაციიდან გამოსავალს ეძებს. ამ ყველაფერში კი არაჩვეულებრივი იუმორი ეხმარება, თავის უბედურ პრობლემებზეც კი ხუმრობს.

**სალომე:** მაშინ, როცა ყველაზე მეტად მიჭირდა, საოცარი ხალხი რომ მოდიოდა და საქმეებს მირჩევდა, ნინის მამა, ერეკლე, გვერდიდან არ მომშორებია, ხან ერთი გაჰყავდა სალაპარაკოდ, ხან — მეორე. მამასავით მედგა გვერდით. ნინისაც ერთი წამით არ მივუტოვებივარ.



**ნინი:** რაც წლები გადის, ჩვენი ურთიერთობა მით უფრო მყარდება. ხშირად ვხუმრობთ, რომ დავბერდებით, ნეტა, როგორები ვიქნებით.

**სალომე:** იმედია, ჩვენი ბებიების ასლები ვიქნებით.

**ნინი:** ხო, ნარდში ასი პარტია დღეში!

**— თქვენი ბებიები თამაშობენ?**

**სალომე:** ლეილა და ლალი ჩემპიონები არიან ნარდში. თამაშის დროს თუ ბებიაჩემი კივის, ესე იგი ლალი აგებს, თუ ლალი კივის, ესე იგი ლეილა აგებს.

**ნინი:** მათი ანგარიშია ხოლმე 200:700. ოღონდ ვის სასარგებლოდ, ვერ გაიგებ.

**სალომე:** იცით, ნარდის თამაშის დროს როგორ ჩხუბობენ? კაცები რომ იყვნენ, ერთმანეთი დაჭრილი ეყოლებათ... (იცინიან). სავარაუდოდ, ჩვენც მათნაირი სიბერე გვექნება.

**— ნინი, პროექტ „საქართველოს ვარსკვლავის“ ჟიურის წევრი ხართ. ამაზეც ბევრი მითქმა-მოთქმა ატყდა, ნინის იქ რა უნდოდაო...**

**სალომე:** რატომ, რას უწუნებენ?!

**— ახალგაზრდა და გამოუცდელია ამ საქმისთვისო.**

**სალომე:** ასაკოვანი მომღერალი ბიონსეს სიმღერას ვერ შეაფასებს. ნინიმ რაც თვალი გაახილა, მას შემდეგ მღერის და რატომ არ უნდა იჯდეს ჟიურიში?! ეს კითხვა იმ ადამიანებს, ვისაც ნინის მიმართ პრეტენზია აქვთ! მათ ასევე ვეკითხები, ამ თაობიდან ნინიზე კარგი მომღერალი დამისახელონ!

**ნინი:** სალომემ იჩხუბა!.. (იცინიან). ფაქტი ერთია, რომ ჟიურიში ჯდომა საპასუხისმგებლოა, სწორი არჩევანი უნდა გააკეთო. ვთვლი, რომ ის 10 კაცი, რომლებიც წელს შევარჩიეთ, პროექტში ყოფნას ნამდვილად იმსახურებენ. ჟიურის სამივე წევრმა ცალ-ცალკე დავწერეთ ჩვენი სავარაუდო კანდიდატები. სია კასტინგის დღეს გამოვააშკარავეთ და აღმოჩნდა, რომ სამივეს არჩევანი იდენტური იყო.

**ნინი: „კარგი ორსულობა მაქვს, თუ არ ჩავთვლით ხასიათს, რომელიც ხშირად მეცვლება. ამას წინათ ისეთ ხასიათზე ვიყავი, არაფერი მინდოდა. ახლა კი ფანტასტიკურ განწყობაზე ვარ“.**

**— ნინი, ორსულს არ გიჭირდათ მუშაობა, ამდენი კონკურსანტის მოსმენა, შეფასება?**

**ნინი:** ძალიან დამღლელი იყო. დღეში 50 კონკურსანტს ვუსმენდით, თითო კი 3 სიმღერას ასრულებდა. დღის 12 საათზე რომ ვიწყებდით, საღამოს 8 საათზე ვამთავრებდით, მაგრამ ამ ყოველივეს გავუმკლავდი.

✓ ლანა კიკნაძე


## გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
## გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

უვნებლად, აკრძალვების გარეშე. ორგანიზმი სწავლობს სწორ კვებას. მადა რეგულირდება, პირიდან უსიამოვნო სუნი ქრება. წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავის პრობლემები. სისხლძარღვები იწმინდება ქოლესტერინისგან. იმუნიტეტი ძლიერდება. კანი ხდება ელასტიკური და ახალგაზრდა. გახდებით სასურველ წონამდე და სტაბილურად შეინარჩუნებთ მიღებულ შედეგს.

გვაქვს <u>სიმაღლეში ზრდის</u> ეფექტური სწრაფი პროგრამა. კურსით 3-5 სმ-ის მომატებით 25 წლამდე. ძვლის მკვებავი ვიტამინებით, ამინომჟავებით+ვარჯიშებით. მაქვს წარმატებული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

ქ-ნი ქეთევანი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

# ირაკლი მელაშვილმა ცოლს საქორწილო კაბა თვითონ შეურჩია

## მაგდა პოპიაშვილი: „ჩვენს ურთიერთობაში მე ვიაქტიურე“



პოლიტიკოსი მამაკაცისა და ჟურნალისტი ქალის, ირაკლი მელაშვილისა და მაგდა პოპიაშვილის ურთიერთობა, რომელიც საბოლოოდ ქორწინებამდე მივიდა, 15 წლის წინ ჩაისახა, თუმცა ნაცნობობა გაცილებით ადრე, 1992 წელს დაიწყო, როცა მაგდამ ირაკლისთან ინტერვიუ ჩაწერა. დრომ მოიტანა და ჯერ თანამებრძოლები გახდნენ, რადგან ორივენი ოპოზიციურ ბანაკში იყვნენ, ახლა კი ხელისუფლებაში არიან — ირაკლი მელაშვილი პრემიერმინისტრის მრჩეველია, მაგდა პოპიაშვილი — რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი. ჰყავთ ერთადერთი ქალიშვილი — 14 წლის ნია მელაშვილი, რომელსაც მთელ თავისუფალ დროს უთმობენ, თუკი ასეთი გამოუჩნდებათ.

ბატონ მრჩეველს, როგორც მისი ცოლისგან შევიტყვეთ, ჩაცმის საკითხში შესანიშნავი გემოვნება ჰქონია, იმდენად, რომ მაგდას ეს საქმე მთლიანად მისთვის გადაუბარებია და ქმრის შერჩეულ სამოსში თავს ბედნიერად გრძნობს. დანარჩენს სახელისუფლებო წყვილის ოჯახური ცხოვრების შესახებ ქვემოთ შეიტყობთ.

**მაგდა:** ირაკლის 1992 წლიდან ვიცნობდი. ის პარლამენტის წევრი იყო, მე — ჟურნალისტი, თუმცა 1998 წლამდე მასთან კონტაქტი არ მიწევდა. ირაკლისთან ერთადერთი ინტერვიუ გავაკეთე, რომელიც აფხაზეთის საკითხს ეხებოდა. ეს იყო ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი, რადგან მნიშვნელოვან პრობლემას შევეხე. ჩვენი მეგობრობა კი გვიან, 1998 წელს დაიწყო. ჩვენი ურთიერთობა სამსახურებრივი რომანი იყო. გაზეთ „ალიას“ დატოვების მერე სამუშაოდ კომპანია „პირველ ლობში“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსად გადავედი. ირაკლი ჩემი უფროსი იყო. მას შემდეგ სულ ერთად ვმუშაობდით. ამჟამად პირველი შემთხვევაა, როცა სხვადასხვა სამსახურები გვაქვს.

**— საქმიან მხარეზე ბევრი ილაპარაკეთ, მაგრამ სად არის ლირიკა? როგორ გაჩნდა თქვენ შორის გრძნობა?**

**ირაკლი:** გრძნობა ურთიერთობამ მოიტანა. ეს არ ყოფილა ერთი ნახვით შეყვარება. სიყვარული თვეების და წლების განმავლობაში მწიფდებოდა. პატარები არც ერთი ვიყავით, მე 37 წლის გახლდით, მაგდა — 27 წლის. ამ ურთიერთობას ორივე შეგნებულად ვუდგებოდით.

**— როდის აღმოაჩინეთ, რომ ერთმანეთი გიყვარდათ?**

**მაგდა:** ეს ბუნებრივად მოხდა. ძალიან მძიმე წლები იყო. 24 საათიან რეჟიმში გვიწევდა მუშაობა. ფაქტობრივად სამსახურში ვცხოვრობდით, ამიტომ ის ურთიერთობა, რაც ჩვენ შორის განვითარდა, ბუნებრივი იყო.

**— რომელმა იაქტიურა ურთიერთობის საწყის ეტაპზე?**

**მაგდა:** ალბათ მე უფრო ვიაქტიურე.

**— როგორ? კარგი თანამშრომელი იყავით თუ გემრიელ ყავას ადუღებდით?**

**მაგდა:** არა, ირაკლი ჩემს შესაძლებლობებში ისედაც დარწმუნებული იყო, ამიტომ ამიყვანა სამსახურში. ყავის მოდუღებაზე კარგად კი ხინკალი და ჩაქაფული გამომდიოდა.

**— სამსახურში ამზადებდით ხინკალს და ჩაქაფულს?**

**მაგდა:** ამისთვის სახლი არსებობს, თუმცა სამსახურშიც გაგვიკეთებია ხინკალი. საერთო

**ირაკლი: „გრძნობა ურთიერთობამ მოიტანა. ეს არ ყოფილა ერთი ნახვით შეყვარება. სიყვარული თვეების და წლების განმავლობაში მწიფდებოდა“.**

სამეგობრო წრე გვყავს და ამიტომ სამსახურში გართობაც არ გვიჭირდა.

**— ბატონო ირაკლი, სამსახურებრივი რომანი მაგდას მიმართ შეღავათებს არ გულისხმობდა?**

**ირაკლი:** არა! საკმაოდ მძიმე ხასიათის ვარ. სხვადასხვა საქმესა თუ შეხედულებებზე ხშირად ვკამათობთ, მაგრამ, როგორც წესი,



ქორწილის დღე

შეთანხმებამდე ყოველთვის მივდივართ.

**— ცდილობდით, თანამშრომლებს არ გაეგოთ ამ რომანის შესახებ?**

**ირაკლი:** ღია ურთიერთობა გვქონდა და ყველამ ყველაფერი იცოდა.

**მაგდა:** თან ეს იყო ორგანიზაცია, სადაც მეგობრები ვმუშაობდით და პირიქით, ხელს გვიწყობდნენ.

**— შეყვარებულობის პერიოდი რითი გამოირჩეოდა?**

**მაგდა:** ეს ეტაპი ბუნებრივად დადგა. განსაკუთრებული არაფერი ყოფილა, უბრალოდ სულ ერთად ვიყავით.

**— თქვენს ურთიერთობაში იყო რომანტიკა?**

**მაგდა:** ჩვენი საქმე რომანტიკის შესაძლებლობას არ გვაძლევდა და ზოგადად არც მე ვარ დიდად რომანტიკული.

**— მგონია, რომ გარკვეული დოზით ყველა ქალი რომანტიკულია, უყვარს ყვავილები, სიურპრიზები...**

**მაგდა:** ყვავილები მიყვარს, მაგრამ ამას რომანტიკას ვერ ვუწოდებ. ეს ჩემი ყოველდღიური ცხოვრებაა. ირაკლი ყვავილებით ხშირად მანებივრებს. ასევე, პრაქტიკულად მისი გემოვნებით ვიმოსები. თავად ყიდულობს სამოსს ჩემთვის, როცა ამის მატერიალური საშუალებაა. საზღვარგარეთ როცა მიდის, ყოველთვის მაინტერესებს, რას ჩამომიტანს, რადგან ძალიან კარგი გემოვნება აქვს. საყიდლებზე წასვლა ირაკლისთან ერთად მირჩევნია და მის აზრს ყოველთვის ვითვალისწინებ.

**— როგორ დაახასიათებთ ქმარს, რა თვისებებს გამოარჩევთ მის პიროვნებაში?**

**მაგდა:** წესიერი ადამიანია და ეს თვისება ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ძალიან გონიერია. უყვარს ის საქმე, რასაც აკეთებს და ის ქვეყანა, სადაც ცხოვრობს. ეს არის ის, რის გამოც ალბათ ჩემი სხვა ინტერესიც გამოიწვია. ბევრი უსამართლო და მტკივნეული შეფასება გაკეთებულა მისი მისამართით სხვადასხვა პოლიტიკური ინტერესების მატარებელი ადამიანებისგან, თუმცა მე ვარ მისი ცოლი და ვიცი მის შესახებ ყველაფერი — წარსულიდან დღემდე. შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი წესიერი ადამიანები თუ ბევრნი იქნებიან, კარგი იქნება.

**— ქორწილის დღე როგორ გახსენდებათ?**

**მაგდა:** ძალიან კარგად. ჩვენი ქორწილის სურათი ყველა სამსახურში დამაქვს. ნიშნობა კახეთში, ჩემს მშობლებთან გვქონდა. დიდი ქორწილი გადავიხადეთ. ირაკლის მეჯვარე დავით უსუფაშვილი იყო. ჩემი ქმრის შერჩეული საქორწილო კაბა მეცვა.

**— ბატონო ირაკლი, თქვენ რატომ შეარჩიეთ საპატარძლო კაბა?**

**ირაკლი:** გავიარე ქუჩაში და დავინახე კაბა, რომელიც მომეწონა. თან იმ პერიოდში თბილისში საქორწილო კაბების ისეთი ფართო არჩევანი არ იყო, როგორც დღესაა. ლამაზ კაბას ლამაზი ქორწილისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

**მაგდა:** მართლა ძალიან ლამაზი იყო.

**ირაკლი:** ერთნაირი გემოვნება გვაქვს, რაც ურთიერთობას აადვილებს.

**— თავად მაგდა თუ ზრუნავს თქვენს ჩაცმულობაზე?**

**ირაკლი:** ამის დრო არ აქვს.

**მაგდა:** თანაც, რაც ირაკლისთვის მომწონს, თინეიჯერულია.

**ირაკლი:** ოფიციალური ჩაცმულობა არასდროს მიყვარდა და დღესაც ვცდილობ, თავისუფალი სტილი მქონდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის საშუალება ხშირად არ მეძლევა.

**— გქონდეს ოჯახი — ნიშნავს, ბევრი რამ დათმო, ბევრ სირთულეს გაუძლო. თქვენს ცოლქმრულ ცხოვრებაშიც იქნებოდა მსგავსი ეტაპები.**

**მაგდა:** ჩვენი ოჯახი პრაქტიკულად შეწირული იყო იმ საქმეს, რასაც ვაკეთებდით. გაერთიანებული ოპოზიციის აქციების დროს ერთ კარავში ვიყავით — მე, ირაკლი და ზვიად ძიძიგური. ზვიადი ხუმრობდა ხოლმე, კი ვარ მურმანის ეკალი, მაგრამ რა ვქნა, ამ



Cyan Magenta Yellow Black

ერთხელ ამიტანეთო. როცა შენ თვალწინ სცემენ ქმარს, ეს წარმოუდგენელია. როცა აქციაზე გვერდიგვერდ ვიდექით, ერთმანეთს ვუყურებდით თვალებში და არ ვიცოდით, რა დაგვემართებოდა. იმ მომენტში კარგად ვერც ვიაზრებდით, ეს რა იყო. ამ ყოველივეს გაძლება მორალურადაც რთული იყო და ფიზიკურადაც. წლების მერე ძალიან მძიმეა იმის გახსენება, რომ შენს საყვარელ ადამიანს შეიძლებოდა რამე მოსვლოდა.

**ირაკლი**: ყველაფერი გამოვიარეთ და ამან უფრო შეგვადუღაბა. ცხოვრებას მოაქვს ყველაფერი. მერე და მერე იმდენად მუდმივი გახდა გაჭირვება, ზეწოლები და ა.შ., რომ აღარც ვაქცევდით ყურადღებას.

**მაგდა**: ცხოვრების წესად იქცა, რომ ჩვენს მანქანას მუდმივად უთვალთვალებდნენ, რომ ტელეფონები ისმინებოდა, რომ სკოლაში ბავშვის გაშვება გვეშინოდა და ა.შ. ეს ყველაფერი იყო, მაგრამ უნდა გაგვეძლო, სხვა გზა არ გვქონდა.

**ირაკლი**: ახლა ორივენი ხელისუფლებაში ვართ და იმედი მაქვს, იმ ხალხს, ვინც ამას აკეთებდა, იმავეს გავლა არ მოუწევს, რაც ჩვენ გავიარეთ. ღმერთმა დაიფაროს ისინიც და ჩვენც ამ ყველაფრისგან.

**მაგდა**: ჩვენ კარგი გაკვეთილი მივიღეთ ხელისუფლებაში მოსვლამდე, თუ რა არ უნდა გავაკეთოთ.

**— რა არის მთავარი საყრდენი, რაზეც თქვენი ურთიერთობა ააშენეთ?**

**მაგდა**: ოპტიმიზმი, რომელიც ორივეს გვაქვს და რომელმაც ყველაზე მძიმე წლები გადაგვატანინა.

**— რა შეგრძნებაა იმ მძიმე წლებიდან ხელისუფლებაში მოსვლა?**

**მაგდა**: ეს სხვა ტიპის სიმძიმეა. გარდა იმისა, რომ პასუხისმგებლობა გვაქვს, ამავდროულად, მე და ირაკლი სხვადასხვა ადგილას ვმუშაობთ, რაც მანამდე არ ყოფილა. პირველად რომ აღმოვაჩინე, სახლიდან მე და ირაკლი სხვადასხვა სამსახურში მივდიოდით, სერიოზულად დავიბენი, არ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა.

**ირაკლი**: ჩემთვის ფსიქოლოგიურად რთულია ჩინოსნობა. ეს ყველაფერთან ერთად იმას მოითხოვს, რომ ხანდახან ენას კბილი დააჭირო. ერთია, როცა „ქვევით" ხარ და, რაც გინდა და რა ტონალობითაც გინდა, იტყვი. მეორეა, როცა ხელისუფლებაში ხარ, იმავე ტონით ლაპარაკი არ უნდა დაიწყო. ძალიან მიყვარს ფეხით სიარული, მაგრამ ბოლო დროს ველარ ვახერხებ. ჩინოსნობას კიდევ ერთი მინუსი აქვს — თუ კაბინეტში ჩაიკეტე, შეიძლება რეალურ სამყაროს აბსოლუტურად მოსწყდე, რაც ძალიან არ მინდა.

**— ზოგი თვლის, რომ ცოლ-ქმრის ერთ სამსახურში ყოფნა კომფორტი არ არის. თქვენ კი პირიქით, ის დრო გენატრებათ, ერთად რომ მუშაობდით.**

**ირაკლი**: ეს ადამიანებზეა დამოკიდებული. ზოგისთვის ერთ სამსახურში ყოფნა შეიძლება ტვირთი იყოს, ზოგისთვის კი — სიხარული. ჩვენთვის პრობლემაა, როცა ერთმანეთს ან ბავშვს ვერ ვნახულობთ. სახლში რომ მივდივართ, ხშირ შემთხვევაში ბავშვს უკვე სძინავს.

**მაგდა**: თავისუფალი დრო იშვიათად გვაქვს და ამ დროს ვცდილობთ, ბავშვთან მეტი დრო გავატაროთ, სადმე წავიყვანოთ და ა.შ.

**ირაკლი**: მეგობრებს ნამდვილად მოვაკლდით.

**მაგდა**: დატვირთული რეჟიმის გამო სამეგობროში დროის აღქმა ყველას დაკარგული გვაქვს. ზოგჯერ მეგობრები ღამის 12 საათის მერეც მოდიან.




**მაგდა: „როცა შენ თვალწინ სცემენ ქმარს, ეს წარმოუდგენელია. როცა აქციაზე გვერდიგვერდ ვიდექით, ერთმანეთს ვუყურებდით თვალებში და არ ვიცოდით, რა დაგვემართებოდა".**

**— თუ ასეთ კარგ ხინკალს აკეთებთ, უარს ვინ იტყვის თქვენთან სტუმრობაზე.**

**ირაკლი**: 5 წელია ხინკალი არ გაუკეთებია.

**მაგდა**: ყოველდღიურ სადილს მე ვამზადებ. არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ დამხმარე ავიყვანოთ. ერთადერთი, რაც მოვახერხეთ, ბავშვს ჰყავს ძიძა, რომელიც პატრონობს და ამეცადინებს.

**ირაკლი**: მაგდა ტრიალებს სამზარეულოში, ოღონდ ნახევარფაბრიკატებზე გადაგვიყვანა.

**მაგდა**: კარგი, დღეს ჩაქაფულს გავაკეთებ. ოჯახში ყველას ერთი გემოვნება გვაქვს — ხორცი გვიყვარს.

**ირაკლი**: ბაზარში მე დავდივარ. ერთადერთი, მწვანილის არჩევა არ ვიცი.

**— მაგდა, როგორი მამაა ბატონი ირაკლი?**

**მაგდა**: თუ ვინმემ შეიძლება ინატროს იდეალური მამა, ირაკლი სწორედ ასეთია. კეთილშობილი, სამაგალითო და საუკეთესო მამაა.

**ირაკლი**: განსაკუთრებით მაშინ ვარ ასეთი, როცა დედას და შვილს ერთად ვამეცადინებ მათემატიკაში. ეს საგანი ორივეს ზუსტად ერთნაირად ესმის... (იცინიან).

**მაგდა**: ნიას მიმართ სიმკაცრეს არასდროს ვიჩენთ. თვითონაც არ არის ისეთი ბავშვი, რომ ეს დასჭირდეს.

**— ბატონო ირაკლი, ახლო ურთიერთობა გაქვთ ბიძინა ივანიშვილთან, მის ოჯახთან?**

**ირაკლი**: მას იმდენად დატვირთული გრაფიკი აქვს, რომ მეც კი იშვიათად ვნახულობ. შეზღუდული და საქმიანი ურთიერთობა გვაქვს.

**მაგდა**: ნიას ძალიან მოსწონს ბერას სიმღერები, მაგრამ მას არ იცნობს.

**— ოჯახში ვის უფრო ახსოვს მნიშვნელოვანი თარიღები?**

**მაგდა**: თარიღები მე მახსოვს. ირაკლი, აბა, თუ გახსოვს, დაბადების დღე როდის მაქვს?

**ირაკლი**: 7 ოქტომბერს. ვერ ვიტან ამ თარიღების დაზეპირებას!

**— ბოლოს მაინც ოჯახზე გკითხავთ. რა არის საჭირო იმისთვის, რომ წყვილი ბოლომდე ერთად იყოს?**

**ირაკლი**: ბევრი რამ — საერთო ღირებულებები, მოთმინების უნარი, პასუხისმგებლობა და სიყვარული.

**მაგდა**: ჩვენ საერთოდ არგვაქვს განსხვავებული თვისებები, ერთნაირები ვართ.

✓ მანანა ნოდია



GELENK NAHRUNG გელენკ ნარუნგი
სახსრების საკვები
სახსრების და ხერხემლის პრობლემები
• ახდენს ძლიერ აღდგენით მოქმედებას სახსრებსა და ხრტილოვან ქსოვილზე
• ააქტიურებს სახსარშიდა სითხის გამომუშავებას
ერთი შეფუთვა გათვლილია სრულ კურსზე — 85 დღეზე
ტრადიციული გერმანული ხარისხი!
ანთებითი პროცესების შემთხვევაში რეკომენდებულია ანთების საწინააღმდეგო ტკივილგამაყუჩებელი
გელენკ ემ-ეს-ემ-ის მიღება გელენკ ნარუნგთან ერთად

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ☎ 236 81 82
მოხმარებამდე გაეცანით ინსტრუქციას
მწარმოებელი ProVista AG. ჰანოვერი, გერმანია.


LEZITHIN-SUPER ლეციტინი-სუპერი
• არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში.
• აუმჯობესებს ღვიძლის ფუნქციონირებას. იცავს მას ალკოჰოლური, მედიკამენტოზური და სხვა მავნე ზემოქმედებისგან.
☎ 214-34-36



# „მძახალი მაყვედრის, რომ უცხოეთიდან ჩემს ოჯახს არჩენს“

თქვენს ჟურნალში ხშირად ვკითხულობ იმ ქალების წერილებს, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ და მუშაობენ. წერენ, თუ რის ფასად უჯდებათ თითოეული თეთრი, რომელსაც ოჯახებში აგზავნიან. ამიტომაც გამიჩნდა სურვილი, ჩემი ამბავიც მომეყოლა. დარწმუნებული ვარ, ამას უცხოეთშიც წაიკითხავენ და იქნებ რაღაცეებს სხვა თვალით შეხედონ.

ტრაბახით არ ვიტყვი, მაგრამ არაჩვეულებრივი ოჯახი მაქვს. მე და ჩემმა ქმარმა ორი შვილი დიდ სითბოში გავზარდეთ. პედაგოგისა და ეკონომისტის ოჯახს დიდი ფუფუნება არ გვქონდა, მაგრამ არც არაფერი გვაკლდა. ვფიქრობ, ჩემს შვილებს მთავარი მივეცი — განათლება. ორივე მუშაობს და დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან თავიანთი ცოდნით მეტს მიაღწევენ და ცხოვრებაში არაფერი გაუჭირდებათ.

გაჭირვების წლები რომ იყო ქვეყანაში, ბუნებრივია, ჩვენს ოჯახსაც დაეტყო. მაშინ ძალიან ბევრი ქალი წავიდა უცხოეთში სამუშაოდ. გულახდილად გეტყვით, რომ ამაზე მეც ვფიქრობდი, მაგრამ მაინც ვერ გავრისკე და ოჯახში დავრჩი. ჩემს ქმარს სოფელში პაპის დატოვებული კარ-მიდამო ჰქონდა. იქ ჩავედით და მიწის დამუშავება დავიწყეთ. არ მერიდებოდა, სოფელში ყველს, მაწონს ვაგროვებდი და თბილისში ვაბარებდი. მე და ჩემი ქმარი ბევრს კი ვწვალობდით, მაგრამ შვილებს არაფერი დაჰკლებიათ — არც პური და არც წიგნი. მართალია, სასახლეები ვერ ავუშენეთ, ვერც მანქანები ვუყიდეთ, მაგრამ იმდენი კი გავუკეთეთ, რომ საყვედური არასოდეს გვითხრან.

ჩემმა ვაჟმა ცოლი რომ შეირთო, სიხარულით მაღლა-მაღლა დავფრინავდი. 30 წელს იყო გადაცილებული და ერთი სული მქონდა, როდის დაქორწინდებოდა. რძლის დედა წლებია იტალიაში ცხოვრობს და მუშაობს. შვილები პატარები ჰყავდა, როცა აქედან წავიდა და უცხოეთში მოიკიდა ფეხი. იქიდან ოჯახს ძალიან ეხმარება, შვილებისთვის უამრავ რამეს აკეთებს. ვაღიარებ, რომ ძალიან ყოჩაღი ქალია და საერთოდ ასეთი ადამიანები გმირებად მიმაჩნია. შვილებისთვის ამდენი რამ გაიღო, მართლაც დიდი რამ არის, მაგრამ ახლა სულ სხვა რაღაცაზე მინდა დავწერო.

ჩემი რძალი მიჩვეულია, რომ ყოველთვე ბანკში უნდა მივიდეს, ფული აიღოს და, როგორც უნდა, ისე ფლანგოს. საერთოდ არ აქვს იმის შეგრძნება, რომ ოჯახზე იფიქროს ან დედაზე, რომელიც იმ ფულს, ვინ იცის, რა წვალებით შოულობს. მას ეს არ ადარდებს, რადგან მიჩვეულია ასე ცხოვრებას. ჰგონია, რომ სხვა არის ვალდებული, მუდამ მასზე იზრუნოს, თვითონ კი თითიც არ გაანძრიოს.

დედამ ავტომობილი უყიდა, რაღაც სალონიც გაუკეთა და ვითომ დაასაქმა. ჰგონია, რომ აქეთ-იქით სიარული და ყავის სმა დიდი საქმეა. უცხოეთიდან გამოგზავნილ ფულს აიღებს თუ არა, მაშინვე მაღაზიებში გარბის. ძალიან მიკვირს, როგორ ვერ ძღება ძონძებით. ერთხელ რომ ჩაიცვამს რამეს, მერე სადღაც მიაგდებს და აღარც ახსოვს. შვილიშვილისთვის სული არ მენანება, მაგრამ ვერ ვხვდები, თვეების ბავშვს რაში სჭირდება 300 ლარიანი ქურთუკი, 90 ლარიანი პერანგი... ვერც იმას ვიგებ, ჩვეულებრივ წინდაში რატომ უნდა გადაიხადო 45 ლარი, მხოლოდ იმისთვის, რომ რაღაც მაგარი მარკა არტყია?! თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირად მაღაზიებიდან ნისიად მოაქვს ტანსაცმელი და მერე ვალებს იხდის. ოღონდ საჭმელს ნუ გააკეთებინებ და სუპერმარკეტიდან ნებისმიერ რამეს ამოიტანს. მოკლედ, ასე ცხოვრობს და ამიტომაც ფული რამდენიმე დღეში უქრება ხელიდან.

ამ ყველაფერს არ დავწერდი, ვიფიქრებდი, დედამისის ნაშრომს, როგორც უნდა, ისე დახარჯავს-მეთქი, რომ არა ჩემი მძახლის ჭორაობა. გვაყვედრის, რომ ჩემს ოჯახს ინახავს და შვილს ამდენს უგზავნის. თურმე ნათესავებთან ტირის, სიძის ოჯახიც მე დამაწვა სარჩენადო. ეს არის ტყუილი! არ მახსოვს, მის შვილს სახლში ზეთი მოეტანოს, ან ოჯახის ნივთი ეყიდოს, თუნდაც თეფში, კოვზი... რასაც დედამისი უგზავნის, ყველაფერს თავისი სიამოვნებისთვის ხარჯავს. მისი მანქანაც ერთი ოჯახივითაა, ხან რა უფუჭდება, ხან — რა.

ჩემს ოჯახს სხვისი დასახმარებელი არაფერი სჭირდება. ჩემი გოგო გათხოვილია, არაჩვეულებრივი ქმარი ჰყავს და ცალკე ცხოვრობენ. ჩემი ბიჭი მუშაობს და საკმაოდ მაღალი ანაზღაურებაც აქვს. მე და ჩემი ქმარიც ვმუშაობთ, პენსიასაც ვიღებთ. მოკლედ, სხვისი დასამადლებელი არაფერი გვაქვს. რძალსაც არაფერი აკლია ჩვენგან, არც სითბო და არც ცხელი სადილი. აი, იმის პირობას კი ვერავის მივცემ, რომ შვილიშვილს 45 ლარიან წინდას ვუყიდი, მაგრამ რაც ნორმალური, საშუალო დონის ოჯახისთვის არის საჭირო, ყველაფერს გავუკეთებ.

ასე რომ, მძახლის და მისი შვილის სალაპარაკო ოჯახი ნამდვილად არ მაქვს. თუ ჩვენი პირობები აკმაყოფილებს, ძალიან გამახარებს, თუ არადა გზა დიდია, სადაც უნდა, იქ მიბრძანდეს!

„სარკის“ მკითხველი

# „საყვარელი ქალისთვის დამაგვიანდა თქმა, როგორ მიყვარდა“

ჩემი ცხოვრება რატომღაც ისე აეწყო, რომ ყველგან ვაგვიანებ, მერე კი ვწუხვარ და ვწუწუნებ. თუმცა არაფერზე ვინერვიულებდი, ამ ერთხელ მაინც რომ გამმართლებოდა.

ჩემ მეზობლად, ერთ ოჯახში, ერთი ლამაზი გოგო მოდიოდა სტუმრად. პირველად რომ დავინახე, მის მიმართ მაშინვე უცნაური რაღაც ვიგრძენი, გული გამითბო. ისეთი ლამაზი თვალებით მიყურებდა... იმის შემდეგ სულ მისი მზერა დამყვებოდა ყველგან, მხოლოდ მასზე ვფიქრობდი. იმ მეზობელთან ძალიან ახლოს ვარ, ერთმანეთთან ხშირი მიმოსვლა გვაქვს, ამიტომ მას არცთუ იშვიათად ვნახულობდი. მისი დანახვისას გულში სულ ვიმეორებდი, აი, ახლა ვეტყვი, როგორ მიყვარს და ცოლობას ვთხოვ-მეთქი, მაგრამ



ვერ ვბედავდი. მინდოდა, გულში ჩამეკრა, მაგრამ მასთან მიახლოება წარმოუდგენლად მიმაჩნდა.

ერთ დღესაც გავიგე, რომ დაინიშნა. იმაზე ფიქრმა, რომ სხვისი ცოლი გახდებოდა, გამაგიჟა. როცა სიყვარულის გამხელა ძალიან გვიანი იყო, სწორედ მაშინ მოვინდომე, მისთვის ის მეთქვა, რასაც ვფიქრობდი. დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე. მოვიდა. ვუთხარი, რომ თქმას ვერ ვუბედავდი, როგორ მიყვარდა. გავუმხილე, რომ დანახვის დღიდან მასზე ვფიქრობდი. იცით, რა მითხრა? რომ პირველივე დღიდან ჩემზე ფიქრობდა, ოცნებობდა, რომ შემყვარებოდა. თურმე ეგონა, რომ ყურადღებას არ ვაქცევდი, არ მაინტერესებდა და სხვა მიყვარდა. მითხრა, რომ დამაგვიანდა. ვთხოვე, მას არ გაჰყოლოდა ცოლად და ჩემი მეორე ნახევარი გამხდარიყო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მითხრა, ასეთ რამეს არც ის იმსახურებს და არც ჩემი ოჯახიო.

მეორე დღეს მისგან მესიჯი მივიღე. მწერდა: „მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა წაიკითხე — „ყბაჩამ დაიგვიანა“. ეს ნაწარმოები სკოლიდან კი მახსოვდა, მაგრამ კიდევ ერთხელ გადავიკითხე. მივხვდი, რატომაც მწერდა და მწარედ ჩამეცინა. მეც დამაგვიანდა...

მკითხველი

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე**
**ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**

**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**

1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მაგთიდან და ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**



Cyan Magenta Yellow Black

გამოხმაურება

## „ქმარ-შვილს გამოვექეცი“

ჟურნალ „სარკის“ მე-16 ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „სხვისი ცხოვრებით ცხოვრებას ცუდი ქმარ-შვილი სჯობია“. მედალს ორი მხარე აქვს, გააჩნია, რომელი მხრიდან შეხედავ. ამ ქალის ისტორიამ ჩემი ამბის მოყოლის ხასიათზე დამაყენა. მისგან განსხვავებით, ძალიან ვნანობ, რომ გავთხოვდი.

ქმართან ერთი დღეც არ ვყოფილვარ ბედნიერი. ყოველდღე სვამდა და მერე სახლში საშინელებებს ჩადიოდა. მისგან არ დამკლებია არც სიტყვიერი შეურაცხყოფა, არც ფიზიკური. სამაგიეროდ მაკლდა სიყვარული, პატივისცემა.

ყველაფერს ვიტანდი. ვფიქრობდი, რომ ჩემი შვილების გამო ოჯახი უნდა შემენარჩუნებინა. ორ ბიჭს ვზრდიდი. მეგონა, ისინი მაინც მომანიჭებდნენ ბედნიერებას, მაგრამ ბედმა აქაც მიმტყუნა. მამას დაემსგავსნენ. სამსამჯერ დაქორწინდნენ და ვერც ერთი ცოლი შეინარჩუნეს. მეუღლეებს ისევე ექცეოდნენ, როგორც მე მექცეოდა მათი მამა, მათ შორის განსხვავება არ იყო. ორივემ სმა დაიწყო. ბოლოს ჩემ მიმართ ისინიც აგრესიულები გახდნენ. რამეს რომ ვეტყოდი, სიტყვიერ შეურაცხყოფაზე გადადიოდნენ. ერთ დღეს კი უმცროსი ბიჭი, რომელზეც თან ვარ გადაყოლილი, ხელით შემეხო. ეს ვეღარ ავიტანე და ძმას დავურეკე. ის მოვიდა და მითხრა, თუ ჩემთან წამოხვალ და აქ არასოდეს დაბრუნდები, პირობას გაძლევ, არაფერს მოგაკლებო. მანამდეც ჩემი ძმით მედგა სული, შვილები მან დამაზრდევინა. გავყევი, მის ოჯახს შევაფარე თავი და დღესაც იქ ვცხოვრობ.

მეზობლები მეუბნებიან, შენმა ქმარ-შვილმა სახლი ბუნაგს დაამსგავსეს, უბანში ვინც კი ლოთი იყო, ყველა მანდ ათენებს და აღამებსო. ძალიან მტკივა გული. შვილებს რამდენჯერმე ველაპარაკე ტელეფონით, მათ კი საშინელი სიტყვებით გამომლანძღეს, შენ რა დედა ხარ, ოჯახი დაანგრიეო. იმას კი აღარ ამბობენ, თვითონ ხელით რომ მეხებოდნენ.

ძმის ოჯახში არაფერს მაკლებენ. უფროსი ძმისშვილი სახლიდან რომ გადის, მეკითხება, მამიდა, რა მოგიტანო, რა გინდაო. მისი ცოლიც თან მყვება. არაფერი მაკლია, მაგრამ მაინც უბედური ვარ. ასე რომ, არავინ იცის, რა ჯობია, გაუთხოვრად დარჩენა თუ ცუდი ქმარ-შვილის ყოლა. მე კი ვფიქრობ, რომ ჯობდა, საერთოდ არ გავთხოვილიყავი.

**მკითხველი**

## „შვილი ვერ მპატიობს, რომ აბორტი გავაკეთებინე“

ჟურნალ „სარკის“ მე-16 ნომერში გამოქვეყნდა სტატია — „ორსულ შვილს ხელი ვერ ვკარი და შვილიშვილს ვზრდი“. ძალიან კარგად მოქცეულხართ, მე, მაგალითად, ეგეთი მამაცი დედა ვერ გამოვდექი. ხალხის მითქმამოთქმის შემეშინდა და ორსულ შვილს მუცელი მოვაშლევინე. ახლა ვხვდები, რომ მისთვის უნდა გამეგო და ხელი არ უნდა მეკრა.

ჩემი გოგონა 26 წლის იყო, როცა გამიმხილა, რომ შეყვარებულისგან ბავშვს ელოდებოდა. იმ ბიჭს მუხლებზე დავუდექი, ცოტა ხნით მაინც მოიყვანე ცოლად და მერე ერთმანეთს გაშორდით-მეთქი, მაგრამ უარი თქვა. ძალიან ცუდი რალაცეები იკადრა, მერე კი საერთოდ გადაიკარგა. დავიბენი, ვერაფრით დავუშვი ის, რომ ხალხი ამას გაიგებდა. რომ წარმოვიდგინე, ჩემს ოჯახს რამხელა ლაფი მოეცხებოდა, ძალიან შევშინდი და შვილი აბორტის გასაკეთებლად წავიყვანე.

ახლა ჩემი გოგონა 33 წლის არის და გათხოვებაზე არ ფიქრობს. კარგი სამსახური აქვს, კარგი მანქანა ჰყავს, მაგრამ კატეგორიულად აცხადებს, რომ ოჯახს არასოდეს შექმნის. მიეცა თუ არა საშუალება, ბინა იქირავა და საცხოვრებლად ცალკე გადავიდა. ვატყობ, რომ ხშირად ჩემი დანახვა აღიზიანებს. ამის მიზეზი ზუსტად ვიცი — ვერ მპატიობს, რომ აბორტი გავაკეთებინე. მართალიც არის. მე უფროსი ვიყავი და ის უნდა დამეცვა. ახლა რომ შვილი ჰყავდეს, ცუდი იქნებოდა?.. თუმცა რაღა აზრი აქვს ამაზე ლაპარაკს. სამწუხაროდ, იმ შეცდომას ვეღარ გამოვასწორებ.

**თქვენი მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ





## ახალი სიტყვა ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენასა და შენარჩუნებაში

### „ბიოფიტონი“-ს სერიის ბიოლოგიურად აქტიური დანამატები




**„ბიოფიტონი“-ს** სერიის პრეპარატები დაამუშავა ფარმაკოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ალექსეი ჩისტიაკოვმა, 50-ზე მეტი ორიგინალური სამედიცინო პრეპარატისა და დიეტური დანამატის ავტორმა. აღნიშნული პროდუქტის გამოყენებამ ჯანმრთელობა დაუბრუნა უამრავ ადამიანს.

**„ბიოფიტონი“-ს** სერიის პრეპარატების უპირატესობა გამოიხატება მათი წარმოების ტექნოლოგიაში, რისი საფუძველიცაა მცენარეული ნედლეულის მაქსიმალურად დაქუცმაცება ვაკუუმში, დაბალ ტემპერატურაზე (-196°C), რაც იწვევს მცენარეული უჯრედის გარსის გახსნას (მცენარეთა კრიომექანიკური აქტივაციის პრინციპი). აღნიშნული ტექნოლოგია უზრუნველყოფს არა მარტო ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების თავდაპირველ მდგომარეობაში სრულყოფილად შენარჩუნებას, არამედ ზრდის ადამიანის ორგანიზმში მათ ბიოშეღწევადობას და ათვისებას, რაც ხელს უწყობს:

- დაავადებების პროფილაქტიკას;
- სისხლში ჟანგბადის დონის ამაღლებას;
- უჯრედული მემბრანების გამაგრებას;
- შემაერთებელი ქსოვილების ფორმირებას;
- ორგანიზმის იმუნური ფუნქციების გაუმჯობესებას;
- ჰემოგლობინის დონის ამაღლებას.

ფიტოკომპოზიციების შემადგენლობა მიზანმიმართულად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმის გარკვეულ ორგანოებზე. დღეისათვის საკვები დანამატის სახით შეგვიძლია შემოგთავაზოთ „ბიოფიტონი“-ს ექვსი სახის ტაბლეტირებული ფორმა:

✓ **„ჯანმრთელი ნერვები“** — ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებების პროფილაქტიკისათვის;

✓ **„ჯანმრთელი გული“** — გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისათვის;

✓ **„ჯანმრთელი კუჭუკანა ჯირკვალი“** — კუჭუკანა ჯირკვლის მუშაობის მოსაწესრიგებლად;

✓ **„ჯანმრთელი სახსრები“** — საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ელასტიკურობის აღსადგენად;

✓ **„ჯანმრთელი ღვიძლი“** — ღვიძლის გასაწმენდად და მოსაწესრიგებლად;

✓ **„სუფთა სისხლძარღვები“** — სისხლძარღვების გასაწმენდად.

ასევე წარმოდგენილია ზეთოვანი კაფსულების სამი რექტალური სახეობა:

✓ **„მამაკაცის ჯანმრთელობა“** — პროსტატისა და შარდ-სასქესო ორგანოებისათვის;

✓ **„ქალის ჯანმრთელობა“** — ქალური დაავადებების პროფილაქტიკისათვის;

✓ **„ანტიჰემოროი“** — ჰემოროის პროფილაქტიკისათვის.

ამ სერიის პრეპარატები წარმოადგენს სამკურნალო მცენარეების დაქუცმაცებულ უჯრედებს ნატურალურ მდგომარეობაში. ეს კი, თავის მხრივ, მშვენიერი, ბუნებრივი ენტეროსორბენტია, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმიდან ტოქსიკური ნივთიერებების გამოდევნას და ჭარბი წონის კორექციას, ასევე კუჭ-ნაწლავის მუშაობის მოწესრიგებას.

დადებითი ეფექტი შეიმჩნევა ნივთიერების მიღებიდან პირველივე დღეებში (რამდენიმე დღეში).

**პროდუქტი არ წარმოადგენს მედიკამენტს.**

გაეცანით ვებგვერდს www.biofiton.com

საკონტაქტო ტელეფონი: 595 17 20 77 — ლელა
593 13 08 02 — ვლადიმერი
597 888 001 — გოგა

შედეგების შესახებ მოგვწერეთ მეილზე: biofitgeo@gmail.com





Cyan Magenta Yellow Black

# მანანა გეგეჭკორი: „დედა ხუმრობდა, გოგი ბანქოში მოვიგეო“

## გოგი გეგეჭკორი და ნათელა ურუშაძე — ბეწვის ხიდზე გამოვლილი ოჯახი



ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავის, გოგი გეგეჭკორის გარდაცვალება ყველაზე მძიმე ტრავმა მისი თანამეცხედრის, თეატრთმცოდნე ნათელა ურუშაძისთვის იყო. ზუსტად პანაშვიდის დღეს მათი შეუღლებიდან 50 წელი შესრულდა. თეატრალურ ინსტიტუტში დაწყებული მათი მეგობრობა მარადიულ სიყვარულში გადაიზარდა, რომელსაც დრომ არათუ ვერაფერი დააკლო, პირიქით, განამტკიცა. ამ ურთიერთობას ის სამყარო ადუღაბებდა, რომლითაც ორივე სუნთქავდა — ეს თეატრი იყო.

ქალბატონი ნათელა მეუღლის გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ, ამა წლის თებერვალში გარდაიცვალა. ის 89 წლის გახლდათ.

### სიყვარულის უღელი

ნათელა ურუშაძე თავის მოგონებებში წერს:

„რბილი ხასიათის, ბუზღუნა, მაგრამ უხმაური. ჩემი ბუზღუნა ძალიან მოწესრიგებული და სხვისგანაც ამის მომთხოვნია (თუმცა საკუთარ სათვალეს განუწყვეტლივ ეძებს). იშვიათი მეოჯახეა, ცარიელი ხელით შინ მოსვლა არ უყვარს. აქვს კარგი იუმორი, რომელსაც უფრო ხშირად თავდაცვისთვის იშველიებს. ხშირად მეკითხებიან — რაშია გოგის ასეთი ხანგრძლივი ახალგაზრდობის საიდუმლოო. არ გვაქვს აგარაკი, რომლის ასაშენებლად არც ფინანსური და არც ფიზიკური შესაძლებლობები არ გვქონია. მაშასადამე, ოჯახის მამა თავისუფალია უძრავ ქონებაზე მუდმივი საზრუნავისგან. არ გვყავს საკუთარი მანქანა, მაშასადამე, საჭესთან არ ზის, ფეხით მოსიარულეა. მოსიყვარულეა ძალიან, ბევრი ადამიანი უყვარს. მეგობრობა, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული წამყვანია ჩვენს ოჯახში. ეს უღელი გვადგას...

ცნობილია, რომ მსახიობები დიდხანს ვერ ინარჩუნებენ ოჯახს. ეს წმინდა ფსიქოლოგიური ამბავია. ჩვენ კი ეს შევძელით... მე და გოგი ძალიან ვუგებდით ერთმანეთს. მართალია, ხშირად უწევდა გასტროლებზე წასვლა, მაგრამ ჭორადაც კი არ მოსულა „სხვა ამბავი“ ჩემს ყურამდე. არ ვიცი, ფლირტი ჰქონდა თუ არა ვინმესთან, მაგრამ თუ ამას ისე აკეთებდა, რომ მე ვერ ვიგებდი, მაშინ ბარაქალა მის კაცობას“.

❖

თუ როგორ დაიწყო მათი ურთიერთობა და როგორ იცხოვრეს ერთად 5 ათეული წელი, ამ ყველაფრის გახსენება ლეგენდარული წყვილის ქალიშვილს, მანანა გეგეჭკორს ვთხოვეთ.

### მოგებული სიყვარული

— დედამ და მამამ ერთმანეთი თეატრალურ ინსტიტუტში გაიცნეს. თავიდან მეგობრობდნენ. შემდეგ კი მათი დიდი მეგობრობა დიდ გრძნობაში გადაიზარდა.

დედას მონაყოლიდან ერთ ამბავს გავიხსენებ. მამას და დედას საერთო მეგობარი ჰყავდათ, ნინელი ჩიქოვანი. ერთხელ ჩემი მშობლები ქალბატონი ნინელის აგარაკზე სტუმრად იყვნენ (მაშინ მათ შორის სიყვარული ჯერ არ იყო). ერთი ახალგაზრდა ქალი ყოფილა სტუმრად და უნდოდათ, რომ ის რაღაცნაირად გოგისთან დაეახლოებინათ. ამ მიზეზით ბანქოს თამაში წამოიწყეს. სხვებმა იცოდნენ, ეს ყველაფერი იმისთვის კეთდებოდა, რომ ამ ქალს მოეგო და გოგის მოსწონებოდა. ნათელა კი თურმე სერიოზულად ჩაერთო თამაშში და მოიგო, არადა ბანქოს კარგად ვერ თამაშობდა.

სულ მალე გოგი და ნათელა ცოლ-ქმარი გახდნენ. დედა ხშირად ხუმრობდა, გოგი ბანქოში მოვიგეო.

### ბედნიერება გლოვის დღეს

— დედა და მამა სამსახიობო ფაკულტეტზე სწავლობდნენ. მათი პედაგოგები დიმიტრი ალექსიძე და გიორგი ტოვსტონოგოვი იყვნენ. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დედა სასწავლებლად მოსკოვში წავიდა, სადაც თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა. 3 წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და მალევე დაქორწინდნენ.



■ მანანა გეგეჭკორი

1953 წლის 14 მარტს შეუღლდნენ. სტალინი ახალი გარდაცვლილი იყო, ამიტომ ჩემმა მშობლებმა ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე იქორწინეს. მაშინ დედა თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი იყო, სადაც ანონიმური განცხადება შევიდა, ნათელა ურუშაძემ და გიორგი გეგეჭკორმა ისეთ დროს იქორწინეს, როდესაც მთელი საბჭოთა კავშირი დიდ ბელადს გლოვობდაო. ამ ანონიმური წერილის გამო, ინსტიტუტის პრორექტორმა აკაკი ფაღავამ დედაჩემი დაიბარა და ჰკითხა, რა პასუხი გავცეთო. დედამ უპასუხა: „ასე გადაეცით, რომ გლოვის დღეებში მმაჩის ბიურო ღია იყო, შევედით და დავქორწინდით“.

> „დედა ამბობდა, როდესაც გოგის გავყევი ცოლად, ბარათაშვილს, დონ კიხოტს და სხვა რომანტიკულ გმირებს თამაშობდა, მერე კი ხელში შემრჩა მეგრელი მგელი და რეციდივისტი ტიგრან გულოიანიო“.

### რომანტიკული გოგი

— მამას ბედმა გაუღიმა და რუსთაველის თეატრში მისვლისთანავე დატვირთული იყო. საინტერესო რეჟისორებთან უწევდა ურთიერთობა და როლებიც ასეთივე კარგი ჰქონდა. ჯერ თავის პედაგოგ დიმიტრი ალექსიძესთან მუშაობდა სპექტაკლებზე, შემდეგ უკვე რუსთაველის თეატრში მიხეილ თუმანიშვილი მივიდა.

მამას ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული როლი იყო გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ნათამაშევი ნიკოლოზ ბარათაშვილი. ეს იყო მიხეილ მრევლიშვილის პიესა „ბედი მგოსნისა“, რომლის რეჟისორიც დიმიტრი ალექსიძე გახლდათ. ყოველთვის, როდესაც ჩემი მშობლების თაობის ხალხი მხვდებოდა და გაიგებდნენ, რა გვარი ვიყავი, მაშინვე ეს სპექტაკლი და ნიკოლოზ ბარათაშვილი ახსენდებოდათ. ამ როლით მამაჩემმა ძალიან დიდი პოპულარობა მოიპოვა, გოგონებს ძალიან მოსწონდათ. ხალხი დაჟინებული მზერით აკვირდებოდა, თუ ვის აირჩევდა ცხოვრების თანამგზავრად.

დედას ძალიან კარგი იუმორის გრძნობა ჰქონდა. მახსოვს, მამაზე ამბობდა, როდესაც გოგის გავყევი ცოლად, ბარათაშვილს, დონ კიხოტს და სხვა რომანტიკულ გმირებს თამაშობდა, მერე კი ხელში შემრჩა მეგრელი მგელი (სპექტაკლი „ჭინჭრაქა“. ავტ.) და რეციდივისტი ტიგრან გულოიანიო (სპექტაკლი „საბრალდებო დასკვნა“. ავტ). თავიდან მამა რომანტიკულ პერსონაჟებს ასახიერებდა, მერე — უფრო სახასიათო როლებს. ბოლოს, გასული საუკუნის 90-იან წლებში, უილიამ შექსპირის „მაკბეტში“ კუდიანის როლი ითამაშა. ამის შემდეგ დედა ხუმრობდა, მგელი რეციდივისტად გადაიქცა, ბოლოს კი კუდიანადო.

ერთი სახალისო ისტორია გამახსენდა, რომელიც დედამ მიამბო. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც ჩემი მშობლები 40 წელს ახალი გადაცილებული იყვნენ. თურმე იმ პერიოდში მათი რამდენიმე ახლობლის ოჯახი დაინგრა. მამას ასეთი ჩვევა ჰქონდა, რომ დღის განმავლობაში თავისუფალ დროს სახლში მოდიოდა, ცოტას დაისვენებდა და შემდეგ თეატრში ბრუნდებოდა. დივანზე წამოწვებოდა, ბალიშზე თავს დადებდა და მეორე ყურზე თავის პატარა ყურთბალიშს დაიდებდა. ერთ დღესაც მამა ასე ისვენებდა, დედა კი იქვე იჯდა და ასეთი რამ უთხრა: „გოგი, ვინ წარმოიდგენდა, რომ ასეთი სიყვარულით შექმნილი ოჯახები დაინგრეოდა. აი, მაგალითად, უცებ ჩვენც რომ გავშორდეთ, მე უკვე ისეთ ასაკში ვარ, პირად ცხოვრებას ველარ ავაწყობ. შენ კიდევ ვინმე ახალგაზრდა გოგო აუცილებლად გამოგყვება“. დედა თურმე ელოდებოდა, რომ გოგი ეტყოდა,



■ მამა-შვილი

> „მამა ბოჰემურად არ ცხოვრობდა. მართალია, ქეიფი და დროსტარება უყვარდა, მაგრამ ამის გამო რეპეტიციაზე მოუწესრიგებელი არასოდეს წავიდოდა. მე ასეთი მამა მახსოვს“.



Cyan Magenta Yellow Black

რას ამბობ, ეს არ მოხდებაო ან რამე მსგავსს. დიდი პაუზის შემდეგ მამამ თვალები გაახილა და ცოლს უთხრა: „რას ამბობ, ნათელა, ახლა მე კიდევ იმის ნათესავების გაცნობის თავი მაქვს?!“.

## მკაცრი კრიტიკოსი და სათუთი მსახიობი

— ჩემი მშობლების ოჯახის სიმტკიცე, გარდა დიდი გრძნობისა, სხვა რამეებზეც იყო დამყარებული. სიყვარულს მუდმივად სჭირდება საკვები, გაძლიერება, რომ არ ჩაქრეს და პირიქით, უფრო გაღვივდეს. ნათელასა და გოგის სიყვარულს მათი საერთო საქმეც აძლიერებდა. როდესაც ქმარი მსახიობი გყავს და თვითონ ამ სფეროსთან შეხება არ გაქვს, ძალიან ძნელია იმის გაგება, თუ რატომ აქვს მას სრულიად არანორმირებული სამუშაო დღე — მთელი დღე რეპეტიცია, გადაღება, გახმოვანება... საღამოს ცოტა განტვირთვა სჭირდება და საქეიფოდ მიდის. ამ ყველაფრის გაგება მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია, ვისაც მსახიობის საქმე კარგად ესმის.

არის კიდევ ერთი ფაქტორი — მსახიობი საკმაოდ სათუთი ბუნების ადამიანია. ამიტომაც ძალიან დიდი ხელშეწყობა სჭირდება, ოჯახში შესაბამისი ფსიქოლოგიური კლიმატი უნდა ჰქონდეს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პრემიერისთვის ემზადება. მსახიობის მეუღლე როდესაც ხარ, ყველაფერი უნდა გაითვალისწინო და მას ისეთი გარემო შეუქმნა ოჯახში, რომ თავი კარგად იგრძნოს. ზოგჯერ ის სახლში უხასიათოდ ბრუნდება და უნდა გაუგო, მოითმინო. ჩვენს ოჯახში ასე იყო, არამარტო დედა უწევდა მამას პროფესიას ანგარიშს, მამაც ძალიან აფასებდა იმ საქმეს, რასაც დედა აკეთებდა.

დედას ძირითადი საქმიანობა რეცენზიების წერა იყო და, ბუნებრივია, იმ სპექტაკლების შეფასებაც უწევდა, სადაც მამა თამაშობდა. ნათელა ხუმრობდა, რუსთაველის თეატრზე ვერაფერს ვწერ, რადგან გოგი იქ მუშაობს და მარჯანიშვილის თეატრზეც ვერ ვწერ, რადგან გოგი იქ არ მუშაობსო. ეს ფაქტი რთული იყო მისთვის, რადგან ობიექტური წერილები უნდა დაეწერა. დედას და მამას თავიანთი საქმიანობის გამო ხშირად უწევდათ ბეწვის ხიდზე გავლა.

სხვათა შორის, ყოფილა ერთი საინტერესო შემთხვევაც, რომელიც მე არ მახსოვს და ამას წინათ მეგობარმა მიამბო. ერთ-ერთ სპექტაკლში მამა მთავარ როლს ასრულებდა, დედამ კი ამ დადგმაზე გამანადგურებელი სტატია დაწერა. მამას კრიტიკა ყოველთვის აინტერესებდა, თვითკრიტიკული იყო და ყველა შეფასებას ყურადღებით ისმენდა, მათ შორის — ოჯახის წევრებისასაც.

ჩემს მშობლებს აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათები ჰქონდათ, ცხოვრებისეული პოზიცია და შეხედულებები კი — საერთო, ამიტომაც უგებდნენ ერთმანეთს ასე კარგად. დედა ძალიან მშვიდი იყო, მამა — უფრო ბობოქარი. დედა ოჯახში ერთგვარი დირიჟორი იყო, ანუ ურთიერთობების მომგვარებელი. ნებისმიერ ოჯახში არის კონფლიქტი, კამათი, მაგრამ უნდა იყოს რაღაც, რაზეც ოჯახის მთლიანობა იქნება დაფუძნებული.

## მამაშვილობა

— მშობლები შვილების მიმართ მკაცრები არ ყოფილან, რბილად გვექცეოდნენ. მეც და ჩემს ძმას, გიორგისაც ყველგან გვიშვებდნენ, მაგრამ არ უნდა დაგვეგვიანა, უნდა გვეთქვა, სად ვიყავით და რას ვაკეთებდით. ამ მხრივ ძალიან თავისუფლად გვზრდიდნენ. დედა ხშირად გვეუბნებოდა, ყველგან გაგიშვებთ, რადგან გენდობითო.

მამა კიდევ უფრო რბილი იყო ასეთ საკითხებში, თუმცა ჩვევა ჰქონდა, რომ თავიდან აუცილებლად უარს გვეტყოდა, მერე კი ყველაფერს გვისრულებდა. კვირაობით ისვენებდა და ამ დღეს ვთხოვდით, კინოში წავეყვანეთ. აუცილებლად უარს გვეტყოდა და ბუზღუნს იწყებდა, ძლივს ერთი დღე მაქვს თავისუფალი და მინდა, ეს დრო სახლში გავატაროო. ამ დროს დედა თვალით გვანიშნებდა, აცადეთო. მართლაც, ზუსტად 5 წუთში მოგვიბრუნდებოდა და გვკითხავდა, რომელსაათიან სეანსზე წავიდეთო.

მამასთან ურთიერთობა მაშინ იყო რთული, როცა როლზე სამუშაო არ ჰქონდა. თუ სპექტაკლში არ იყო დაკავებული, ამაზე ნერვიულობდა. მიუხედავად ამისა, მაინც არ მახსოვს, რომ ან მე, ან ჩემს ძმას მასთან რაიმე სახის დაძაბულობა გვქონოდა. ჩემი შეგნებული ცხოვრებიდან ისეთი დღე არ მახსოვს, დილით მამას ხმა არ გამეგონა. თავისი კაბინეტი არ ჰქონდა, ამიტომ ყოველდღე სააბაზანოში ან საძინებელში ვარჯიშობდა მეტყველებაში.

მე და ჩემი ძმა კულისებში გაზრდილი ბავშვები ნამდვილად არ ვყოფილვართ, რადგან მამას რეპეტიციებს არ ვესწრებოდით. მხოლოდ „ჭინჭრაქაზე“ დავყავდი ხშირად, რადგან დილის სპექტაკლი იყო, ამიტომ კულისებში ყოფნაც მიხდებოდა და საგრიმიოროშიც. შემიძლია ვთქვა, რომ „ჭინჭრაქა“ დარბაზის და სცენის ყველა წერტილიდან მაქვს ნანახი.

1976 წელს მოსკოვში რუსთაველის თეატრს გასტროლი ჰქონდა. ძალიან მინდოდა, მამას გავყოლოდი და ძლივს დავითანხმე. დასი მატარებლით წავიდა, მე კი ორი დღის შემდეგ თვითმფრინავით გადავფრინდი. სასტუმროში სხვასთან ერთად ვცხოვრობდი და არა — მამასთან. ასეთ რაღაცეებში პრინციპული იყო. მიაჩნდა, რომ თეატრი სულ სხვა იყო, ოჯახი — სხვა. წესრიგის მოყვარული გახლდათ და ამით ქართველი მსახიობის სტერეოტიპებს ანგრევდა. ბოჰემურად არ ცხოვრობდა. მართალია, ქეიფი და დროსტარება უყვარდა, მაგრამ ამის გამო რეპეტიციაზე მოუწესრიგებელი არასოდეს წავიდოდა. მე ასეთი მამა მახსოვს.

**„მამასთან ურთიერთობა მაშინ იყო რთული, როცა როლზე სამუშაო არ ჰქონდა. თუ სპექტაკლში არ იყო დაკავებული, ამაზე ნერვიულობდა“.**

## „ვინც მართალია, ოჯახში ის თმობს“

— გათხოვებაზე მშობლების მხრიდან წინააღმდეგობა არ მქონია, პირიქით, ეს ამბავი გაუხარდათ. ჩემი მეუღლე, კოტე მირიანაშვილი, დედაჩემის სტუდენტი იყო, ჩვენ კი ერთმანეთს ტელევიზიიდან ვიცნობდით. ისე მოხდა, რომ ჩემი მშობლები თელავში ჩავიდნენ, სადაც კოტეს მშობლები ცხოვრობდნენ და შემთხვევით მათ ოჯახში სტუმრად აღმოჩნდნენ. ამის პარალელურად ჩემი და კოტეს ურთიერთობა ვითარდებოდა. როდესაც ჩვენი ამბავი გაიგეს, ორივე მხარეს ძალიან გაუხარდა, რადგან ერთმანეთს უკვე იცნობდნენ. დედა სულ მარიგებდა, გათხოვებას დიდი დაფიქრება სჭირდება, შენ მარტო იმ ადამიანს არ მიჰყვები, მას უკან შლეიფივით მოჰყვება ოჯახი და ყველა უნდა მიიღოო.

დედა ჩვენს ქორწილში ადგა, დაგვლოცა და ასეთი რაღაც გვითხრა: „ჩემი და გოგის ასეთი ხანგრძლივი ურთიერთობა ძირითადად იმას ეფუძნება, რომ როცა რაიმე უთანხმოება გვქონდა, თმობდა ის, ვინც მართალი იყო“.

ეს სიტყვები მისგან პირველად მოვისმინე და მათ მნიშვნელობას მხოლოდ წლების მერე ჩავწვდი. კოტე დედაჩემს ხშირად ეუბნებოდა, ქალბატონო ნათელა, ზუსტად ისე ვიქცევი, როგორც დაგვარიგეთ, სულ მანანაა დამნაშავე და მე ვთმობო.

ორსულად რომ ვიყავი, ბიჭის მუცელი მქონდა და მამასაც ეგონა, ვაჟს გავაჩენდი. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ვყავდი და სულ იმეორებდა, ბიჭი არ შემიწუხოთო. გოგონა შემეძინა.

მე ერთი ქალიშვილი მყავს, ჩემს ძმას კი — ქალ-ვაჟი. ჩემი ქალიშვილი, ანანო, მათი პირველი შვილიშვილია. მამა ჩვენთან რომ მოდიოდა, საუთოებელი მაგიდის უკან ჩაიმუხლებდა, თოჯინების თეატრს აწყობდა და ანანოს იქიდან ეთამაშებოდა. დედაჩემი შვილთაშვილსაც (ჩემს შვილიშვილს) მოესწრო. პატარა ანდრიას და ნათელას ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. ბავშვი სულ გვეკითხება, ბიბა სად წავიდაო.



**„ნათელა ხუმრობდა, რუსთაველის თეატრზე ვერაფერს ვწერ, რადგან გოგი იქ მუშაობს და მარჯანიშვილის თეატრზეც ვერ ვწერ, რადგან გოგი იქ არ მუშაობსო. დედას და მამას ხშირად უწევდათ ბეწვის ხიდზე გავლა“.**

## განშორება 50 წლის შემდეგ

— 2002 წლის ოქტომბერში მამას სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. ავადმყოფობა უკვე შორს წასული იყო და ოპერაციასაც აზრი აღარ ჰქონდა. თან უკვე ასაკში გახლდათ. ექიმებმა გვითხრეს, რომ ერთი წელი იცოცხლებდა, მაგრამ უფრო ადრე გარდაიცვალა — მარტის თვეში. ჩვენ მხოლოდ ის მოვასწარით, რომ ფილმი გაგვეკეთებინა და წიგნი გამოგვეშვა. ისეთ მდგომარეობაში იყო, სცენაზე ვეღარ ითამაშებდა. თანაც რუსთაველის თეატრში რემონტი იყო. კინოთეატრ „რუსთაველში“ საღამო მოვუწყვეთ და ვუჩვენეთ ფილმი „ხელოვნების ქურუმი“, რომელიც მამას ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნებოდა. 80 წლის იუბილე გადავუხადეთ და ერთ თვეში გარდაიცვალა კიდეც. მამას პანაშვიდის დღეს შესრულდა მათი შეუღლების 50 წელი.

მამამ არ იცოდა, რა სჭირდა. ბოლო დღეებში ალბათ უკვე ხვდებოდა, მაგრამ თავის ავადმყოფობაზე არაფერი უთქვამს. მიხარია, რომ ისე გარდაიცვალა, არ დატანჯულა. ამქვეყნიდან მშვიდად წავიდა. მამას პანაშვიდის დღეს შესრულდა მათი შეუღლების 50 წელი. დედამ ამის შემდეგ 10 წელი იცოცხლა და ახლახან, თებერვალში გარდაიცვალა. 89 წლის იყო, ოქტომბერში 90 წლის უნდა გამხდარიყო.

რა თქმა უნდა, ჩემს მშობლებს შორის დავაც იყო, შეკამათებაც, როგორც ყოფით საკითხებზე, ასევე საქმეზე, მაგრამ რაღაცნაირად ახერხებდნენ, ერთმანეთისა და ოჯახის სიყვარულით ყველაფერი გადაელახათ. მჯერა, მათი სულები იმქვეყნადაც შეერთდებოდნენ.

✓ თეონა კენჭიაშვილი

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58



Cyan Magenta Yellow Black



# მანანა კობახიძე: „მერაბიშვილი რა უფლებით გამოვიდა იმ ადგილას, სადაც ხალხის დახოცვის ბრძანება გასცა?!“

„ცოტა სასაცილოა, როცა რუსთაველის გამზირზე, იქ, სადაც მერაბიშვილმა და სააკაშვილმა ადამიანები დახოცეს, ეროვნულ ინტერესებსა და ევროპულ არჩევანზე საუბრობენ“, — აცხადებს პარლამენტის ვიცესპიკერი მანანა კობახიძე ყოფილი მმართველი პარტიის, ნაციონალური მოძრაობის მიერ 19 აპრილს გამართული მიტინგის შეფასებისას, სადაც აღნიშნულმა პარტიამ თავი ახალ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობად გამოაცხადა. ზოგადი დათვლით, აქციაზე 6 ათასამდე ადამიანი იყო მისული, რომელთა დიდი უმრავლესობა, როგორც მანანა კობახიძემ აღნიშნა „სარკესთან“, თვითმმართველობათა თანამშრომლები, აგრეთვე თავად ნაციონალთა ოჯახის წევრები იყვნენ. ჩვენი რესპონდენტი სირცხვილად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ პარტიას, რომელიც ეროვნული მოძრაობის სახელით შეიძლება შეინიღბოს, ლიდერად ვანო მერაბიშვილი ჰყავს.

— **ქალბატონო მანანა, ახლა როცა უკვე ჩავლილია ნაციონალების მიერ დაქადნებული 19 აპრილის აქცია, როგორ შეაფასებთ ამ მიტინგს, რა გამოჩნდა, რა დაიწყო ან არ დაიწყო ამ დღეს?**

— ნაციონალურმა მოძრაობამ თავი მოუყარა იმ ხალხს, ვინც დასაქმებულია საკრებულოში, მერიაში, პრეზიდენტის აპარატში — ოჯახის წევრებს, ცოლებს, შვილებს, სიდედრებს, ახლობლებს... მე იქ ვერ დავინახე ის სულისკვეთება, რომელიც დამოუკიდებელ სამოქალაქო საზოგადოებას ახლავს. ზოგი სახეს ხელებით იფარავდა და ზოგი — დროშით. თვითონაც თქვეს, რომ მონაწილეები არ ამხელდნენ სახელსა და გვარს, სამუშაო ადგილს. საბოლოო ჯამში, აქცია იყო მშვიდობიანი. შეგნებულად შეხვდა საზოგადოება, რომელსაც დიდი და სამართლიანი აგრესია აქვს ნაციონალური მოძრაობის მიმართ. ეს ხალხი შეგნებულად შეხვდა ჩვენს მოწოდებას, იქ არ მისულიყვნენ, რათა არ მომხდარიყო რაიმე შეხლაშემოხლა. ეს არის მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების მაჩვენებელი და მადლობა ამ ხალხს!

— **მადლობა ნაციონალებმაც გადაიხადეს პოლიციის მისამართით.**

— ზუსტად ეგ არის იმის დასტური, რომ მართლა დემოკრატიული კურსი გვაქვს აღებული. პოლიცია უმაღლეს დონეზე იყო მობილიზებული და თავის ფუნქციებს კარგად ასრულებდა. ჩვენს მიტინგებზე კი პოლიცია არც ჩნდებოდა და, იცით, რატომ? რაიმე რომ მომხდარიყო, გამკითხავი კაციშვილი არ ყოფილიყო.

— **ნაციონალებმა ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყებაზე გააკეთეს განაცხადი. ეს რას უნდა ნიშნავდეს?**

— ეს განცხადება არის უხერხული იმ ხალხის სულების წინაშე, ვინც შეეწირა საუკუნეების და წლების წინ ეროვნულ მოძრაობას. ეროვნული მოძრაობის გმირები ვიცი — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია... ეროვნული მოძრაობა ნიშნავს, რომ უნდა ემსახურო მამულს, ენას, სარწმუნოებას. ამათ კი მამულის ნაწილი რუსეთს ჩააბარეს, ნაწილი კი ერთ ლარად გაყიდეს. რაც შეეხება სარწმუნოებას, ჩემზე უკეთ იცით, რომ ეკლესიებს ანგრევდნენ გლდანსა და ფერიის მთაზე. სერგო რატიანი რვა მართლმადიდებელი ბიჭის საქმეზე გამოდიოდა ინიციატივით, რომ ციხეში ამომპალიყვნენ. ქართული ენა ამათ არ ადარდებთ, პირადობის მოწმობებიდან ეროვნებაც ამოიღეს. მეტი რაღა უნდა დაუშავონ სამშობლოს?! ამ იდეოლოგიის მიმდევრები რომ ეროვნულ მოძრაობის წევრებად ასაღებენ თავს და თან ლიდერად ვანო მერაბიშვილი ჰყავთ, ეს მართლაც სირცხვილია!

**„ეროვნული მოძრაობა ნიშნავს, რომ უნდა ემსახურო მამულს, ენას, სარწმუნოებას. ამათ კი მამულის ნაწილი რუსეთს ჩააბარეს, ნაწილი კი ერთ ლარად გაყიდეს. ეკლესიებს ანგრევდნენ გლდანსა და ფერიის მთაზე. ქართული ენა ამათ არ ადარდებთ, პირადობის მოწმობებიდან ეროვნებაც ამოიღეს".**

მე ვკითხავდი დავით ბაქრაძეს, გიგი წერეთელს, მიხეილ მაჭავარიანს, რომლებიც განათლებული ხალხია და განათლებული ოჯახებიდან არიან — მათთვის მისაღებია, რომ მათი ლიდერი ვანო მერაბიშვილია? ამის გამო უხერხულად არ გრძნობენ თავს?

მართლა ვერ გავიგე, სააკაშვილია მათი ლიდერი, მერაბიშვილი თუ ახალაიები, ახლა რომ გაემიჯნენ და პრეზიდენტი ამბობს, თურმე სულ ორჯერ ჰყავს ნანახი. მერაბიშვილის სისტემა დათა ახალაიაზე არ იდგა?! ის არ იყო მისი კუდის უფროსი?! ყველა ბინძური საქმე ვისი ხელით აკეთა? დარწმუნებული ვარ, ვანო მერაბიშვილის მიმართ პროკურატურას საკმაოდ სერიოზული საქმეები ექნება, თუნდაც 26 მაისთან დაკავშირებით. რა უფლებით გამოვიდა იმ ადგილას, სადაც 2 წლის წინ ხალხის დახოცვის და მაღაზიის თავზე გვამების შემოდების ბრძანება გასცა?! ეს ვისი გეგმა იყო — მერაბიშვილის, ახალაიასი თუ სააკაშვილის?

**„ნაციონალებს ის ადარდებთ, რომ ბიუჯეტის ფულს ვერ შეხრავენ, საუნებში მასაჟისტებთან ვერ ივლიან, ძვირფას სამკაულებს ვერ უყიდიან ერთიმეორეს. თან ის აშინებთ, ვაითუ, დავიჭიროთ. მერაბიშვილი ამას გრძნობს, ყნოსვა აქვს და დაიყენა ხალხი ფარად".**

არ ვიცი, რომელი ერთი ვთქვა. მერაბიშვილი, რომელიც ატერორებდა ბიზნესებს და მერე წართმეულ სახლებში ცოლთან ერთად ისვენებდა, მისმა ცოლმა თაკო სალაყაიამ დაუკვეთა გირგვლიანის გატაცება, წამება და მოკვლა ახალაიების ხელშეწყობით... მარიკა ვერულაშვილიც ორჯერ ხომ არ ჰყავს ნანახი სააკაშვილს? ეს ქალბატონი აცხადებს, სირცხვილია მერაბიშვილის ლიდერობაო. ვერულაშვილია ამ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, წლების განმავლობაში მათი სახე იყო. ხალხის დაბნევა უნდათ? არ გამოუვათ, საზოგადოებამ ყველაფერი კარგად იცის. ამ ხალხს ეს ქვეყანა, უკაცრავად ამ გამოთქმაზე, სულ ფეხზე ჰკიდია — ნატო-ც, ევროკავშირიც, ეროვნულობაც. მხოლოდ ის ადარდებთ, რომ ბიუჯეტის ფულს ვერ შეხრავენ, საუნებში მასაჟისტებთან ვერ ივლიან, ძვირფას სამკაულებს ვერ უყიდიან ერთიმეორეს. თან ის აშინებთ, ვაითუ, დავიჭიროთ. მერაბიშვილი ამას გრძნობს, ყნოსვა აქვს და დაიყენა ხალხი ფარად. სასაცილოა ეს ყველაფერი. ამათზე ამდენი დრო არც მე უნდა დამეხარჯა.

— **მაგრამ პროკურატურას რატომღაც ძალიან დაუგვიანდა საქმეების გახსნა, თუნდაც 26 მაისის ამბების.**

— ამ კონკრეტულ შემთხვევაში მე ვიცი, რომ დაკითხულია ხალხი, მათ შორის — ნინო ბურჯანაძეც. მინიმუმი, არის უფლებამოსილების გადამეტება. აბა, მეტი ვინ გასცემდა ამის ბრძანებას? დარწმუნებული ვარ, პროკურატურა ღირსეულად შეძლებს პასუხის გაცემას, რა მოხდა 26 მაისს.

— **19 აპრილის აქციაზე ერთ-ერთი მთავარი საპროტესტო თემა 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიება იყო, რომელიც ხელისუფლებამ წამოსწია. ეროვნულობაზე აპელირებისას სწორედ ეს მტკივნეული თემა გამოიყენეს.**

— საუბარია საგამოძიებო მოქმედებებზე, რაც ჯერ კიდევ 2008 წელს დაიწყო, ხელისუფლებაში ნაციონალების ყოფნის დროს. თავადაც როცა გახლდით ადვოკატი და ვიცავდი დევნილი მოქალაქეების ინტერესებს, სტრასბურგში არაერთი სარჩელი გავაგზავნე რუსეთის წინააღმდეგ. მაშინ იუსტიციის მინისტრი ჯერ კიდევ გვარამია იყო. გვთხოვა, რომ ამ საქმეებში ჩავრთულიყავით, საქმეები მომზადებულია და რაღაც ლოგიკურ დასასრულამდე უნდა მივიდეს.

აქ არ არის საუბარი, ვინ დაიწყო ომი, ნაცმოძრაობა ამას ცუდ ინტერპრეტაციებს აძლევს. საუბარია იმაზე, რომ იმ მძიმე დღეებში ხელისუფლებას ჰქონდა პასუხისმგებლობა, დაეცვა თავისი მოქალაქეები, ან გაეფრთხილებინა, ან ევაკუაცია მოეხდინა და ეს არ გააკეთა. ფაქტია, რომ ჩვენი ქვეყანა მოუმზადებელი იყო და ამის გამო მშვიდობიანმა მოსახლეობამ ძალიან დიდი მსხვერპლი გაიღო. თორემ რუსეთი რომ აგრესორია და ჩვენი მიწების ოკუპაცია მოახდინა, ამაზე არავინ დაობს. ასევე არის საუბარი იმაზე, რამდენად ადეკვატური იყო ხელისუფლება ომის დროს თუ ომის წინა პერიოდში. არის სხვადასხვა ტიპის კითხვებიც.

— **კონკრეტულად კიდევ რა კითხვები გაქვთ ან ვის მიმართ?**

— მაგალითად, მაშინდელ თავდაცვის მინისტრ კეზერაშვილის მიმართ არის კითხვები ფინანსური კუთხით — ომის დროს ხომ არ მოითბო მან და სხვამაც ხელი? ამ ომის შემდეგ კაცი მილიონერი გახდა. საზოგადოებამ არც იკითხოს და არც გამოიძიოს იმიტომ, რომ სააკაშვილს თანამშრომლობა არ უნდა გამოძიებასთან?! ეს გაუგებარია. ძალიან ბევრი პრეზიდენტი დაუკითხავთ და საკმაოდ მწვავე კითხვებზეც გაუციათ პასუხი, სააკაშვილი გამონაკლისია? თუ არაფერში მიუძღვით ბრალი, მათ დაპატიმრებას არც არავინ აპირებს.

გარდა ამისა, რომის სტატუტი, რომელზედაც მიერთებულია საქართველო, გვავალდებულებს, რომ ომის დარღვევები გამოძიებულ იქნეს. ნაციონალებს ეტყობათ, ამ გამოძიების ძალიან ეშინიათ. აქ მარტო ჩვენს ხელისუფლებაზე არ არის საუბარი. რუსული და ოსური მხარის ქმედებებიც უნდა გამოიძიონ. თუ არც რუსეთი გამოიძიებს და არც — საქართველო, ცხადია, გამოიძიებენ ჰააგის ტრიბუნალის პროკურორები. თუ ვერ ვიძიებთ, უნდა დავუსაბუთოთ მაინც ჰააგას, რომ ჩვენი რესურსი ამოწურულია.

**— მართალია, ნაციონალები საკითხს ინტერპრეტაციას უკეთებენ, მაგრამ ამას გარკვეულწილად ხელი ბიძინა ივანიშვილის განცხადებამაც ხომ შეუწყო, მერე ამას რუსეთის საგარეო მინისტრის სერგეი ლავროვის ინტერვიუც მოჰყვა, რომელიც კმაყოფილებას გამოხატავდა.**

— ბატონმა ბიძინამ ნათლად თქვა, რომ რუსეთიდან აგრესია იყო, მაგრამ ხელისუფლებამ ამას ხელი შეუწყო თუ არაო — მან ეს კითხვის ნიშანი დასვა და შემდეგ ნათლად ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია. მას არ უთქვამს, რომ ომი საქართველომ დაიწყო. საქართველო ვერ დაესხმებოდა რუსეთს, ეს ფაქტია, მაგრამ რამდენად შეუწყვეს ხელი ამ ყველაფერს სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ? ჩვენ გვაქვს უფლება, ეს კითხვა დავსვათ. ჩვენ კი არა, მთელი საზოგადოება სვამს ამ შეკითხვას 2008 წლის შემდეგ, მაგრამ მაშინდელ ხელისუფლებას არ ჰქონდა კეზერაშვილის და სხვების დანაშაულის გამოძიების სურვილი. იყვნენ პოლიტიკოსები, რომლებიც მოგვიწოდებდნენ, ჩვენ ვერ გიცავთ, აიღეთ დანა-ჩანგალი და თავი თვითონ დაიცავითო. ახლა არის სიმართლის გარკვევის რესურსი და გამოვიძიოთ.

**— მაინც რა საჭირო იყო თემის ასე პოლიტიზირება, არ ჯობდა, ზედმეტი ხმაურის, განცხადებების, ნიშნისმოგების გარეშე გაკეთებულიყო საქმე?**

— აჟიოტაჟი არავის აუტეხია, თეა წულუკიანს ჰქონდა პრესკონფერენცია და ერთ-ერთ კითხვა იყო ეს, რასაც ქალბატონმა თეამ იურიდიულად, დასაბუთებულად გასცა პასუხი და მანაც ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი აგრესორია, მაგრამ ხომ არ უწყობდნენ ხელს სააკაშვილი და პოლიტელიტა, რომ უფრო მეტი ტერიტორია დაგვეკარგა, ვიდრე მანამდე გვქონდა. ეს კითხვა თუ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ საქართველო მიშაზე ნაკლებად გვიყვარს, არ არის სწორი. ზუსტად იმ ხალხს აინტერესებს ამ ამბის გამოძიება, ვინც არის მსხვერპლი. სწორედ აგვისტოს დღეებში მქონდა პირადი კონტაქტი მათთან.

სხვათა შორის, თინათინ ბურჯალიანი იყო ის პიროვნება, ვის კაბინეტშიც არასამთავრობო ორგანიზაციები ვიკრიბებოდით, რომ ფაქტები მოგვეპოვებინა. ძალიან ბევრი მასალა იძლეოდა საფუძველს, რომ სარჩელი წასულიყო არამარტო რუსეთის, ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგაც და არა — საქართველოსი. ზუსტად იმიტომ, რომ მერე ამისთვის პოლიტიკური სარჩული არ დაედოთ, მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ ვიჩივლეთ, თუმცა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ საქართველოს მთავრობასაც უჩივლა სტრასბურგში. ეს ფაქტია და ამიტომ აქ ვერაფერს ვხედავ ისეთს, რამაც ჩვენი პოლიტიკური კურსი შეიძლება რუსეთთან დააკავშიროს. ყოფილი ხელისუფლება წლების განმავლობაში ხალხს თვალებში ნაცარს აყრიდა და, ეტყობა, არც ახლა აწყობთ სიმართლის გამოძიება.

**— საპარლამენტო უმცირესობა გეუბნებათ, ამ ყველაფერზე პასუხი ტალიავინის დასკვნაში წერიაო.**

— ევროკავშირის სპეციალური მისიის შედეგად დადებული დასკვნა არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ ის სისხლის სამართლის საქმე არ დახუროს, რაც წლებია პროკურატურაში დევს, უკვე 5 წელი ხდება. იურიდიულად, სამართლებრივი საქმის გამოძიებაზეა საუბარი. ან უნდა დაიხუროს, ან უნდა პასუხი აგოს ვინმემ, ზურაბ ჟვანიას საქმისა არ იყოს. შეიძლება ცუდი შედარებაა, მაგრამ თუ უბედური შემთხვევა, გაზით მოწამლვა იყო, საქმე დახურული რატომ არ არის? ლოგიკურად ისმის კითხვა, თუ არ არის დახურული, უნდა გაგრძელდეს ძიება და ითქვას, არის თუ არა დანაშაული ან უნდა შეწყდეს საქმე დანაშაულის არარსებობის გამო.

**— ექსპერტების აზრი ორად იყოფა. ნაწილი თვლის, რომ ეს დააზიანებს ქვეყნის იმიჯს.**

— იმიჯს ზუსტად ის აზიანებს, რომ შეიძლება ქვეყანას ჰყავდეს ისეთი პრეზიდენტი და ისეთი თანამდებობის პირები, რომლებსაც იმ პერიოდში სერიოზული გადაცდომები ჰქონდათ. სიმართლე დავმალოთ? პირიქით, გვინდა, გავარკვიოთ, რა მოხდა და თუ ჩვენს რიგებში არიან ისეთები, რომლებიც ხელს უწყობდნენ რუსეთის ოკუპაციას და აგრესიას, პასუხი მოვთხოვოთ.

**— 26 მაისის აღლუმზე რატომ თქვით უარი?**

— სამხედრო აღლუმი ნამდვილად არ არის იაფფასიანი ღონისძიება, შეიძლება რამდენიმე მილიონიც ჯდებოდეს. გარდა ამისა, არსად არის გაწერილი, რომ დამოუკიდებლობის დღე მაინცდამაინც აღლუმით უნდა აღინიშნოს. ეს არის შეთანხმების და გემოვნების საკითხი. შეიქნა კომისია, რომელიც ისე გადაწყვეტს, როგორც უკეთესი იქნება. შესაძლებელია, რომ სამხედრო კომპონენტი, ტექნიკა რაღაც დონით იქნეს გამოყენებული.

**— ნაციონალების აზრით კი, რადგან, წესით, აღლუმს მთავარსარდალი ანუ სააკაშვილი იბარებს, ამიტომაც თქვით უარი.**

— ვალდებულება, რომ მიხეილ სააკაშვილს ჩააბაროს აღლუმი მთავრობამ, უფრო სწორად, თავდაცვის უწყებამ, არსად წერია. 1 ოქტომბრის შემდეგ ჩვენს ქვეყანაშიბევრი რამ შეიცვალა და არ არის გასაკვირი, რომ ეს ცვლილება 26 მაისის აღნიშვნის ტრადიციასაც შეეხოს. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

**„მაშინდელ თავდაცვის მინისტრ კეზერაშვილის მიმართ არის კითხვები ფინანსური კუთხით — ომის დროს ხომ არ მოითბო მან და სხვამაც ხელი? ამ ომის შემდეგ კაცი მილიონერი გახდა".**

# აკაკი ბობოხიძე: „ჩვენც გვეგონა, სულ ვიმეფებდით, მაგრამ...“

## „პრეზიდენტის გახდომა და ჯანმრთელობა უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, ვიდრე ეს შეიძლება მკითხველებს მოეჩვენოთ"

„ჩვენ ცოცხლები ვართ!“, „ახალი ეროვნული მოძრაობა იწყება“, „შორს ხელები საქართველოს დამოუკიდებლობისგან!“, „გამარჯვება და არა დაბრუნება!“ — ამ ლოზუნგებით მიმდინარეობდა 19 აპრილს თბილისში ნაციონალების აქცია მათივე ხელისუფლების მიერ პარლამენტის გაუქმებული და დანგრევის პირას მისული შენობის წინ. მიტინგი ზუსტად 4 საათზე დაიწყო. ტრიბუნიდან ხალხს პირველმა გიორგი ვაშაძემ მიმართა და მისგან გახდა ცნობილი, რომ ნაციონალური მოძრაობა „ახალ ეროვნულ მოძრაობას იწყებს“. ვაშაძის შემდეგ მართლაც გამოვიდნენ ახალი სახეები — რატიანი, მელია, ბარნოვი... მათ ძველები მიჰყვნენ — ბაქრაძე, ბობოხიძე, უგულავა, მერაბიშვილი და ბოლოს პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელიც აქციის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ მოულოდნელად გამოჩნდა და ჩვეული მქუხარე სიტყვა დასცხო.

— დღეს იყო გამოცდა იმისა, შესაძლებელია თუ არა, რომ საქართველო ხერხემალში გატყდეს. ვლადიმირ პუტინმა ოთხნახევარი წლის წინ ვერ აიღო თბილისი... იმიტომ, რომ ჩვენ დავდექით აქ, იმიტომ, რომ ჩვენ ჩავკიდეთ ერთმანეთს ხელი, იმიტომ, რომ ჩვენი მეგობრები ჩამოვიდნენ აქ ჩვენ დასახმარებლად... და დღეს ულირსობაა, როდესაც იმ ადამიანს, იუშჩენკოს, რომელმაც მოგვცა საჰაერო დაცვის სისტემები, რომლებითაც ჩვენ ჩამოვყარეთ 12 რუსული თვითმფრინავი, საქართველოს მთავრობამ გაუგზავნა საპნისა და შამპუნის ანგარიში. ასეთი საქართველო გვინდა, სადაც მეგობრებს ასე ხვდებიან?! რომ არ გვინდა, ეს ძალიან კარგად გამოჩნდა დღეს, — ამუნათებდა შეკრებილებს პრეზიდენტი.

აქცია დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა, მისი დასრულების შემდეგ კი სეირის მაყურებლები იმაზე ლაპარაკობდნენ, რაც დასამახსოვრებელი დარჩა — სცენაზე შეგდებული ცოცხი (მიტინგამდე ერთი საათით ადრე) და ნაციონალთა ცოლების სიმრავლე.

შედგა თუ არა ნაციონალების რებრენდინგი და, თუ შედგა, რა იდეას ემსახურება ის? ამ თემაზე „სარკე“ პარლამენტის ნაციონალ დეპუტატ აკაკი ბობოხიძეს ესაუბრა.

**— ბატონო აკაკი, კმაყოფილი ხართ აქციით?**

— დიდი მადლობა ქართველ მოსახლეობას იმისთვის, რომ დასავლური ღირებულებები ჩვენი ხალხისთვის მართლაც მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, გვქონდა იმედი, რომ ჩვენი აქტივისტები, ჩვენი პარტიის წევრები მოვიდოდნენ, მაგრამ მოვიდა, მინიმუმი, სამჯერ მეტი, ვიდრე ველოდით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიტინგი, რისთვისაც დაანონსდა თავის დროზე, მართლა ღირებულია საქართველოს მოსახლეობისთვის. ეს არის სერიოზული მესიჯი ჩვენ-

→18

თვის და უნდა იყოს ხელისუფლებისთვისაც.

**— ევროპული ღირებულებები თუ საკუთარი ძალის დაფიქსირება — რა იყო თქვენი რეალური მიზანი?**

— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ მიტინგზე იყვნენ ადამიანები, რომლებიც ნამდვილად არ არიან ნაციონალური პარტიის წევრები, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ აქციაზე ევროპული ღირებულებების დასაცავად მოვიდნენ. ბუნებრივია, რომ ეს ჩვენთვის ასევე იყო ერთგვარი დათვალიერება, რამდენად მუშაობს ჩვენი პარტიული მანქანა. მინდა, სიამაყით განვაცხადო, რომ ნაციონალური მოძრაობა არის ერთადერთი პარტია, რომელსაც აქვს გამართული სტრუქტურა, განსხვავებით მმართველი კოალიციისგან, სადაც ადამიანები ჯერჯერობით მხოლოდ სპონტანურად მოქმედებენ.

**— თქვენი ოპონენტები კი ამბობენ, რომ აქციაზე საჯარო სამსახურების თანამშრომლები ჭარბობდნენ, ვისაც სამუშაოს დაკარგვა არ უნდათ — მერიიდან, საკრებულოებიდან, ანუ თვითმმართველობებიდან, სადაც მმართველი ძალა ნაციონალები არიან.**

— ნამდვილად იყვნენ ადამიანები, რომელთაც არ უნდათ სამსახურის დაკარგვა,

**„ადამიანებმა შიში დაძლიეს და მაინც მოვიდნენ მიტინგზე. ამაში გარკვეული წვლილი მართლაც მიუძღვის „ქართულ ოცნებას“ და დიდი მადლობა ამისთვის. ამ მხრივ, საქმე ნამდვილად წინ წავიდა“.**

მაგრამ თუ ვინმეს შიში აქვს, რომ თანამდებობას დაკარგავს, ამის უკან უნდა მოიაზრებოდეს დღევანდელი ხელისუფლება. ნაციონალურ მოძრაობას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების სერიოზული ბერკეტი არ აქვს. ასე რომ, ადამიანებმა შიში დაძლიეს და მაინც მოვიდნენ მიტინგზე, რაც წინგადადგმული ნაბიჯია. თუ საქართველოში ეს პროცესები უფრო ნორმალიზებულია დემოკრატიის თვალსაზრისით, ამაში გარკვეული წვლილი მართლაც მიუძღვის „ქართულ ოცნებას“ და დიდი მადლობა ამისთვის. ამ მხრივ, საქმე ნამდვილად წინ წავიდა.

**— მიტინგმა რომ მშვიდობიანად ჩაიარა, პარლამენტის ვიცესპიკერმა მანანა კობახიძემ ახალი ხელისუფლების დემოკრატიულობის ნიშნად მიიჩნია.**

— ჩვენი მმართველობის დროსაც ჩატარებულა მიტინგები, რომლებიც არ დარბეულა, მაგრამ, როცა მიტინგი სცდებოდა კანონიერების ფარგლებს, შესაბამისი ღონისძიებების გატარება ხდებოდა. ის, რომ მიტინგი მშვიდობიანად დამთავრდა, არის ნაცმოძრაობის დამსახურება, რომელმაც ისე დაიწყო და დაასრულა მიტინგი, რომ კანონის არც ერთი მოთხოვნა დაურღვევია.

გაგახსენებთ კობა დავითაშვილის სიტყვებს, რომელიც ამბობდა — ხელები გვექავება, ერთი რამე დაარღვიეთ, პასუხს მოგთხოვთო. შეიძლება ბატონი კობას ნათქვამი არის საზიზღარი, მაგრამ შინაარსით აბსოლუტურად ვეთანხმები. ჩვენც მაშინ მივმართეთ ასეთ ზომებს, როცა სამმართველოს შენობის შტურმით აღებას აპირებდნენ, როცა მიტინგის შემდეგ არ დაიშალნენ და სცადეს, ხელი შეეშალათ აღლუმისთვის და ა.შ. ჩვენ რომ იმ დღეს სადმე შეჭრა გვეცადა, დარწმუნებული იყავით, „კაცთმოყვარეობის“ მიუხედავად, ხელისუფლება აუცილებლად ისე იმოქმედებდა, როგორც საჭიროა.

**— პოლიციამაც კარგად იმუშავა, შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც კი იყო მისული მიტინგამდე და იქაურობა დაათვალიერა.**



— თუ გინდა, რომ მადლობა გადავუხადო, კი, ბატონო, გადავუხდი მადლობას ღარიბაშვილს, მაგრამ მაინტერესებს, რას იზამდა, კანცელარიის აღება რომ დაგვეპირებინა. მაშინაც მშვიდობიანად მიყურებდა?

**— ამ აქციაზე გამოცხადდა ნაციონალების რებრენდინგი და ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყება. ამ მოძრაობაში რა იდეალები იგულისხმება?**

— ჩვენ ვიწყებთ ახალ მოძრაობას, წინ გვაქვს საპრეზიდენტო, ადგილობრივი არჩევნები და საჭიროა მოვემზადოთ, რათა ისეთი შედეგი დავდოთ, როგორიც ქვეყანას სჭირდება. დიახ, მიგვაჩნია, რომ ეს ხელისუფლება არის პრორუსული და ნამდვილად ასრულებს რუსეთის დავალებას, მაგრამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მოსახლეობამ. ჩვენი ამოცანაა, მოსახლეობას დავანახოთ, რომ ეს ასეა.

რაც შეეხება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ქვეყანას სჭირდება ოფლისღვრაც და სისხლისღვრაც, რომ ქვეყანას არაეროვნული ხელისუფლება მოვაშოროთ.

ჩვენი მთავარი ხიფათი არის რუსეთი და გვყავს ხელისუფლება, რომელიც ამკვიდრებს ანტიევროპულ და პრორუსულ განწყობას ქვეყანაში. ეტყობა, პირდაპირ რომ ვერაფერი გააკეთეს, ახლა გადაწყვიტეს, საქართველოს ბოლო მოუღონ ორჯონიკიძეების, ლოლობერიძეების, სტურუების შთამომავლების ხელით. ვანო სტურუას ვგულისხმობ, რობიკოს ბაბუას, რომელიც მე-11 არმიის ერთ-ერთი წინამძღოლი იყო.

**— მუდამ იმაზე ლაპარაკობთ, რომ ქვეყნის პოლიტიკური კურსი შეიცვალა. ევროპული კურსის უცვლელობაზე „ოცნებამ“ პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია დაგიდოთ. მეტი რა ქნას?**

— ყველა ხელისუფლებას ერთი შეცდომა მოსდის. ყველას ჰგონია, რომ ანდაზას, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო, რეალობასთან საერთო არაფერი აქვს — დრონი მეფობენ და არა — მეფენიო. ჩვენც გვეგონა, რომ დრონი არ მეფობენ და ჩვენ ვიმეფებდით, მაგრამ ანდაზა გამართლდა. ასევე გვაქვს ქართული ანდაზა — ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. ჩვენი ხელისუფლება რის დეკლარირებასაც უნდა ცდილობდეს, ბოლო მაინც რუსულია. მისი მოქმედება, რიტორიკა რუსულ წისქვილზე ასხამს წყალს.

**— ხალხმა თქვა, როგორც კი სააკაშვილი გამოვიდა ტრიბუნაზე, მერაბიშვილმა იქაურობა დატოვაო. თქვენ მთელი მიტინგის განმავლობაში ტრიბუნაზე იდექით. შეგიძლიათ გვითხრათ, რა მოხდა?**

— ეს არასწორია! მეც რამდენჯერმე ავედი და ჩავედი, მაგრამარსად წავსულვარ. ეს თქვენ ანიჭებთ დიდ მნიშვნელობას, ვინ სად იდგა და რა მომენტში, სინამდვილეში კი იქ არანაირი ქვეტექსტი არ ყოფილა. ამას არც არავინ მიაქცევდა ყურადღებას, ჟურნალისტების გარდა.

**— ანუ სააკაშვილი-მერაბიშვილის დისტანცირებაზე საუბრები სიმართლეს არ შეესაბამება?**

— ამაზე ხმებს ავრცელებენ ის ადამიანები, რომლებიც დაინტერესებული არიან პარტიის დაშლით. თუ უნდათ, რომ ეს მოძრაობა გაქრეს, მაშინ „ოცნებამ“ ყველა დანაპირები უნდა შეასრულოს, როგორც ეს მერაბიშვილმა თქვა. თავის დროზე შეცდომები ჩვენც იმიტომ დავუშვით, რომ შემაკავებელი ძალა არ გვყავდა. ნაცმოძრაობა დღეს არის ქართული დემოკრატიისთვის ხავსი და ხელისუფლების საპირწონე.

**— როგორ ფიქრობთ, წინა ხელისუფლების საიდუმლო ხარჯების გახმაურება თქვენს დემოკრატიულ იმიჯს წაადგება?**

— საქართველოს ჰყავს ან უპასუხისმგებლო, ან ბოროტების შეგნებულად ჩამდენი ხელისუფლება. რომ გამოექვეყნებინა დოკუმენტის ის ნაწილი (ისიც თუ მართალია), რომელიც ეხება პრეზიდენტის ოჯახს ან ქართული კულტურის წარმომადგენლებს, არაფერს ვიტყოდი, მაგრამ ამ ფარგლებს გასცდნენ და დაწერეს იუშჩენკოსთან და ჟურნალისტთან დაკავშირებული ამბები, ეს არის ქვეყნის მტრობა! ამით საქართველოს ხელისუფლებამ ნებისმიერ მის პარტნიორს დაანახა, რომ შეიძლება ის, რაც ხდება კულისებში, განსჯის საგანი გახდეს. გარწმუნებთ, არამარტო ამ ხელისუფლებას, მომავალსაც კულისებში მოთამაშე პარტნიორი არ ეყოლება.

იცით, რომ 2008 წელს თავიდან ინფორმაციული ომი მოვიგეთ. ამის გაკეთება როგორ წარმოუდგენია ვინმეს დაფარული თვალის გარეშე? რა მდგომარეობაში აღ-

**„გადაწყვიტეს, ქვეყანას ბოლო მოუღონ ორჯონიკიძეების, ლოლობერიძეების, სტურუების შთამომავლების ხელით. ვანო სტურუას ვგულისხმობ, რობიკოს ბაბუას, რომელიც მე-11 არმიის ერთ-ერთი წინამძღოლი იყო“.**

მოჩნდებიან ის ჟურნალისტები, რომლებიც რუსეთში მუშაობენ, მაგრამ საქართველოს მიმართ კეთილგანწყობილები არიან? ვამბობ, ეს არის, მინიმუმი, უპასუხისმგებლობა! მოსახლეობის დიდი ნაწილი ამას ვერ აცნობიერებს. ამ თემაზე პიარის აგება უვიცობა და საკუთარი ქვეყნის მტრობაა.

**— სტუმრებს რომ პარლამენტი უმასპინძლდება, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ პრეზიდენტის შვილის სწავლის საფასური, გასახდომი პროცედურები და დეპუტატი ქალის სამაჯურის საფასური რა ხალხის გადასახდელია?**

— იქ დასახელებულებიდან რამდენიმესთან მქონდა საუბარი და აპირებენ, ამ საქმის ბოლომდე გამოძიებას, რადგან ასეთ ფაქტებს უარყოფენ. მაგრამ აქაც გავმიჯნავდი ორ ნაწილს — პრეზიდენტის გახდომა და ჯანმრთელობა უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, ვიდრე ეს შეიძლება მკითხველებს მოეჩვენოთ, მაგრამ არის საკითხები, რომლებიც სიმართლე თუ აღმოჩნდა, რბილად რომ ვთქვათ, უსიამოვნო იქნება. ვთხოვ, ილაპარაკონ იმაზე, რაც ქვეყნის იმიჯს არ შეურაცხყოფს. ჯანდაბას ჩვენი თავი, თუ შეცდომა დავუშვით, სირცხვილის ოფლი ჩვენვე მოგვადგება, მაგრამ კარგად უნდა გაფილტრონ, ჩვენ როდის გვაყენებენ ცუდ მდგომარეობაში და როდის — ქვეყანას.

# ნოდარ ნათაძე: „ვინც მართლა ეროვნულია, ეკრანზე არ გამოაჩენენ“

19 აპრილი ნაცმოძრაობამ ახალი ეროვნული მოძრაობის დაბადების თარიღად გამოაცხადა, ხოლო საკუთარი თავი ამ მოძრაობის მამამთავრად, თითქოს ეროვნული იდეები ოდესმე შეიძლება დაძველდეს საქართველოში, რომელიც მუდმივად დგას თვითმყოფადობის გადარჩენა-არგადარჩენის ზღვარზე. ძნელი სათქმელია, რა მომავალი აქვს ნაციონალების, ხალხური ენით რომ ვთქვათ, ამ უკუდო ამბიციას, მანამდე კი ეროვნული მოძრაობის უხუცეს წარმომადგენელს, „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარე ნოდარ ნათაძეს ვთხოვეთ, განემარტა, რა არის საქართველოს ეროვნული მოძრაობის კრიტერიუმები და ღირებულებები და რამდენად პასუხობენ მას დღევანდელ ხელისუფლებაში არსებული პოლიტიკური ძალები.

**— ბატონო ნოდარ, ნაციონალურმა მოძრაობამ საკუთარ თავს ახალი ეროვნული მოძრაობა უწოდა. როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს?**

— ეს არის ერთუჯრედიანების მიერ მოფიქრებული და დაგეგმილი აბსურდი. როგორ იქნება სააკაშვილი ეროვნული კაცი, როცა უამრავი სახელმწიფო ღალატი ჩაიდინა რუსეთის სასარგებლოდ — ობიექტები მიჰყიდა რუსეთს, გააუქმა სამშვიდობოები, რუსეთის მითითებით დაშალა ბატალიონი „მონადირე“ და ამით აფხაზეთის სვანეთი ჩააბარა რუსეთს. ამის გარდა, რუსეთი რომ შემოდიოდა საქართველოში 7 აგვისტომდე ბევრად ადრე, ამაზე დუმდა. ამბობს, ვურეკავდი, ვურეკავდიო. ეს არაფერს ნიშნავს, მან არ განაცხადა გაეროში და მსოფლიოს არ მიმართა, რუსი მიტევს ჩემს ტერიტორიაზე და მიშველეთო. დაბოლოს, ტალიავინის კომისია როცა მუშაობდა და ჩაიდინა სიყალბეები საქართველოს წინააღმდეგ, არ გააპროტესტა.ამას ემატება ისიც, რომ არარსებულ სამხრეთ ოსეთს, რომელიც რუსებმა შეთხზეს და რომელიც გააუქმა პირველმა კანონიერმა პრეზიდენტმა, სააკაშვილი უყურებს, როგორც არსებულს და დაუშვა იქ საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი სანაკოევის პრეზიდენტად არჩევა. აი, ეს ყველაფერი საქართველოს ღალატია და ასეთი კაცის ეროვნულ მოღვაწედ გამოცხადება აბსურდია.

სამწუხარო რეალობა გვაქვს. სააკაშვილი რომ რუსების აგენტია, ჩანს და ივანიშვილის გუნდიც რომ რუსეთისკენ არის, ესეც ხილულია.

**— ივანიშვილის გუნდის მიმართ ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?**

— როცა პაატა ზაქარეიშვილი გყავს მინისტრად, რომელიც ყველაფერში საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიდის.... ის მომხრეა ოსების და აფხაზების მხარედ ცნობის. მომხრეა აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზის გახსნის, ოკუპაციის კანონის შერბილების და, რაც მთავარია, ზაქარეიშვილი არის ერთი იმ 4 ნაძირალათაგანი — ამ სიტყვას ხაზს ვუსვამ, რომლებმაც თავიანთი ქართული გვარებით გამოაქვეყნეს მხარდაჭერა ბოდენის გეგმისადმი, რომელიც სინამდვილეში პრიმაკოვის გეგმაა. ეს გეგმა გულისხმობს ხელშეკრულების საფუძველზე დამოუკიდებელი საქართველოსგან, „დამოუკიდებელი“ აფხაზეთისგან და „დამოუკიდებელი“ ოსეთისგან შეიქმნას ერთიანი სახელმწიფო ანუ კონფედერაცია, ისეთი სახელმწიფო, რომელიც მაშინვე დაიშლება, როგორც კი ერთ-ერთი იტყვის, არ მინდაო. ეს გეგმა გამოქვეყნდა დაახლოებით 15 წლის წინ გაზეთ „24 საათში“ და ხელს აწერდა 4 ნაძირალა — პაატა ზაქარეიშვილი, რომელიც დღეს ივანიშვილის გუნდშია; მეორე — ივლიანე ხაინდრავა, რომელიც ასევე ივანიშვილის გუნდშია; მესამე — კოტე კუბლაშვილი, რომელიც სააკაშვილის გუნდშია და მან დასვა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ და მეოთხე — დავით ბაქრაძე, რომელიც იმავე სააკაშვილმა დასვა პარლამენტის სპიკერად.

ეს პირდაპირ სახელმწიფო ღალატია. ისინი ცდილობენ, ეს ორი ძალა დაგვიკანონონ, როგორც ლეიბორისტები და კონსერვატორები ინგლისში და ერთმანეთი ცვალონ. ამას ქართველი ერი ვერ მოითმენს.

**— მაგრამ ერთ-ერთმა ამ ძალამ მაინც მოახერხა რუსთაველზე ევროპული ღირებულებების დაცვის ლოზუნგით ხალხის შეკრება.**

— სააკაშვილი რომ ამბობს, ეროვნული ვარო, გარკვეული მხარდაჭერა ნამდვილად აქვს ევროპაში ივანიშვილის საპირწონედ. ივანიშვილის პრორუსული ნაბიჯების მართლა ეშინიათ. სააკაშვილს ვიღაცა ამ ეროვნულობაში წრფელი გულითაც ემხრობა. 19 აპრილს საჯარო ბიბლიოთეკაში ვიყავი და ავტობუსში გამომელაპარაკა ვიღაც ენერგიული გოგო. ვუთხარი, ესენი ხომ ნაძირლები არიან-მეთქი. იცით, რა მითხრა? აბა, როგორ გინდათ, ისევ რუსების ხახაში ჩავვარდეთო. დაიჯერა, რომ სააკაშვილს მართლა ეროვნული კურსი მიჰყავს,



„მგონია, რომ სააკაშვილის მიერ ეროვნული მოძრაობის სახელის უზურპაცია ხელს შეუწყობს, მართლა ეროვნულმა მოძრაობებმა საერთო ნახონ“.

რადგან სააკაშვილის და მისი გუნდის დღევანდელი რიტორიკა არის უხინჯო. ლაპარაკობენ ევროპულ კურსზე და დეოკუპაციაზე, მაგრამ მათი საქმეები არ ჩანს. ამიტომ ეროვნულმა მოძრაობამ ის მაინც უნდა შეძლოს, რომ გამოაქვეყნოს კრიტერიუმები, რა პოზიცია უნდა ჰქონდეს პარტიას, რომ ეროვნულად ჩაითვალოს.

**— იქნებ ჩვენც გაგვაცნოთ ეს კრიტერიუმები.**

— ეროვნული ინტერესების მომხრე ხაზგასმით უნდა ამბობდეს, რომ ის ლობირებს მსოფლიო მასშტაბით კავკასიის გათავისუფლებას. კოლონიალიზმი და ბარბაროსობა მსოფლიომ გადააგდო და ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ რუსეთის კოლონიალიზმი გაძლებს თუნდაც 2050 წლამდე. ამას ჩვენ უნდა ვლობირებდეთ, ქართველები, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, კავკასიის ლიდერობაში თურქეთი შე გვეცილება. თურქეთი უკვე ღიად აცხადებს, რომ მისი პოლიტიკა არის ოსმალური, ანუ იმპერიული და ასახელებს გეოგრაფიულ პუნქტებსაც — ბათუმიდან მონტენეგრომდე. აი, ამ პირობებში ქართველი ხელისუფალი, თუ ამას არ გააკეთებს, ის ეროვნული არ არის.

არის სხვა პუნქტებიც, რაც მსოფლიო ლობებს არ მოეწონებათ. მაგალითად, უნდა აღიკვეთოს იმიგრაცია. სააკაშვილმა ბათუმში 18 ათასი თურქი დაასახლა. ასევე უნდა ითქვას, რომ საქართველოს მიწა უცხოელებზე არ გაიყიდება. სააკაშვილის ერთ-ერთი ღალატი ისიც არის, რომ მან თავის ფინიას, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე პაპუაშვილს პლენუმზე, რომლის გასაჩივრება არ ხდება, მიაღებინა დადგენილება, რომლითაც მოიხსნა უკანასკნელი შეზღუდვები ქართული მიწების უცხოელებზე გასხვისებისა. ეს არის ქვეყნის მოკვლა, არც მეტი, არც ნაკლები. ამის წინააღმდეგ ზომების მიღება ლობებს არ მოეწონებათ და დაიწყებენ საუბარს, რომ რაღაცეებს ვარღვევთ. ადამიანს, რომელიც ამ ყველაფერს არ აღიარებს, უფლება არ აქვს, თავი ეროვნულ მოძრაობას მიაკუთვნოს.

ეროვნული მოძრაობის პოზიცია მარტივია — საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ნაწილს.

დღეს მოჭიდავე ორივე სუბიექტი რუსეთის პოტენციური გავლენის ქვეშაა და ჩვენთვის უმჯობესია, ერთმანეთი აწონასწორონ, ვიდრე შეერთებულად იმუშაონ საქართველოს წინააღმდეგ. მართლა მეშინოდა, 19 აპრილს ერთობლივად რამე არ მოეწყოთ, ისე როგორც სააკაშვილმა და ბურჯანაძემ მოაწყვეს ერთად 26 მაისი. აშკარა იყო, რომ ბურჯანაძე იყო პროვოკატორი და შეწყობილი ხელისუფლებასთან და დაღვარეს სისხლი ხელოვნურად. ისე კი, მგონია, რომ სააკაშვილის მიერ ეროვნული მოძრაობის სახელის უზურპაცია ხელს შეუწყობს, მართლა ეროვნული მიმართულების მოძრაობებმა საერთო ნახონ.

**— გასული წლის 1 ოქტომბერს ხალხმა ხმა მისცა ივანიშვილის კოალიციას. ეს არჩევანი თქვენთვის არაფრისმთქმელია?**

— სხვათა შორის, ამ წამლეკავი უპირატესობით მოგებულ არჩევნებში ივანიშვილის კოალიციამ არ მიიღო მანდატი ხალხისგან, რომ საქართველოს საწინააღმდეგო ნაბიჯები გადადგას. მან მიიღო ერთადერთი მანდატი — ნაცმოძრაობა დასაჯეო. ხალხმა მისცა ხმა მღელვარე სიტუაციაში, ეს ფაქტია. ეს სწორია თუ არა, სხვაა, მაგრამ, როცა ქვეყნისთვის სასიცოცხლო თემა გამოგაქვს პარლამენტში სამსჯავროდ, ვალდებული ხარ, რეფერენდუმი ჩაატარო.

ძალიან საინტერესო ფაქტია ისიც, რომ დღეს პარლამენტში უმცირესობის და უმრავლესობის ინტელექტუალური დონე პრიმიტიულია. შევარდნაძიდან სააკაშვილის ჩათვლით, მათი მოქმედება გამოიხატება ერთი მარტივი ფორმულით — საქართველოს ნგრევა რუსეთის დავალებით, მაგრამ დასავლური ღირებულებების სახელით. დასავლური ღირებულებები საქართველოში იმპორტირებული არ არის, ეს უნდა ითქვას. ეს არის ჩვენი ღირებულებები, რაც, საბედნიეროდ, ემთხვევა დასავლურ ღირებულებებს და ამის დასაბუთება არსებობს. ამიტომ მითითება, რომელ ხალიჩაზე ვიჭიდაოთ, ეროვნულ მოძრაობას ნამდვილად შეუძლია, მაგრამ იქ ვერც სააკაშვილი და ვერც ივანიშვილი ვერ გამოვლენ.

**— იმ ფონზე, როცა „ოცნებას“ მუდმივად უწევს თავისმართლება, პრორუსული ძალა არ ვართო, თქვენნაირი წონიანი ეროვნული ფიგურის მიერ გაკეთებული განცხადება მძიმე დარტყმა რომ იქნება, ამაზე თუ გიფიქრიათ?**

— ეს განცხადებად არ მიიღოთ. მე ამ დასკვნას ვაკეთებ ფაქტებიდან გამომდინარე, ამის იქით არ მივდივარ. ივანიშვილი რომ მოდიოდა, ვთქვი, ამ კაცისგან, მინიმუმი, ორი რამის იმედი მაქვს, პირველი, სოფლის მეურნეობას რომ გააცოცხლებს და მეორე, განათლებას მიხედავს-მეთქი. ორივე პროგნოზი გამიმართლდა. კახეთში მიწა იხვნება, სხვაგანაც დაიხვნება, განათლებისათვის ბიუჯეტი 5 მილიონი იყო და 45 მილიონი გახდა.

**— დაბოლოს, ბატონო ნოდარ, თქვენ ვის მოიაზრებთ ნამდვილ ეროვნულ ძალად?**

— ვინც მართლა ეროვნულია, ეკრანზე არ გამოაჩენენ, მაგრამ კარგი თაობა მოდის და საზოგადოებაც არის ეროვნული ცნობიერების. არ გაგიმხელთ, ვინ ან რა მექანიზმით, მაგრამ ვფიქრობთ, რომ რეგულარულად უნდა ქვეყნდებოდეს ჭეშმარიტად ეროვნული პოზიციები ყველა პოლიტიკურ საკითხზე, რომ დასავლეთმა დაინახოს, საქართველოში მარტო ეს ორი სუბიექტი კი არ არის, არის მესამე, ქართული ნების გამომხატველი ძალაც. ამის გაკეთება კი მოკლე ხანში შესაძლებელია.

✓ პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგიამ


მამაკაცებისთვის!

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

ექიმი ქალბატონი მზია

☎ 514-246-446, 218-48-99




Cyan Magenta Yellow Black

# ცეკვებს შეწირული წყვილები

ქართულ ტელესივრცეში ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული და სანახაობრივი შოუს „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მესამე სეზონის დაწყება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მიზეზი მარტივია — ქართულ რეალობაში არც იმდენი „ვარსკვლავია“, რომლებსაც სურვილი და მონაცემები აქვთ, რომ სამთვიან საცეკვაო მარათონში ჩაებან. მათი დეფიციტი უკვე მეორე სეზონის დროსაც საგრძნობი იყო, მაგრამ ეს არ არის ის თემა, რომელზეც ამ სტატიაში ვისაუბრებთ. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ იმ ტენდენციაზე თუ უბრალოდ დამთხვევაზე, რაც „ცეკვების“ პარალელურად გამოიკვეთა.

ეკრანზე შესრულებულ ცეკვებს — ვნებიანს, ლამაზს, დახვეწილს და ზოგჯერ კომიკურსაც, „ვარსკვლავებისთვის“ მოაქვს პოპულარობა, ახალი შესაძლებლობები, ზოგისთვის — ბინა, მანქანა, სანაცვლოდ კი, როგორც ჩანს, პირად გრძნობებს ითხოვს. უცნაურია, მაგრამ ორი სეზონის განმავლობაში ბევრმა მონაწილემ დაკარგა საკუთარი ბედნიერება. ცეკვებმა ოთხი შეყვარებული წყვილი შეიწირა — რუსკა მაყაშვილი და გიორგი ყიფიანი, ნუკი კოშკელიშვილი და ოთო მარგოშვილი, ეკო ფანგანი და ბექა ჩხაიძე, გიორგი ვარდოსანიძე და თამთა შალამბერიძე. თითოეული მათგანი პოპულარულ შოუს სიყვარულის დაკარგვაში პირდაპირ არ ადანაშაულებს, მაგრამ ირიბად — კი.

სპორტული სამეჯლისო ცეკვების რიტმის ქვეშ ისინი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მკაცრმა რეჟიმმა თუ რაღაც სხვამ მათ პრობლემები მოუტანა პირად ცხოვრებაში. დამნაშავეა თუ არა ვნებიანი ტანგო წყვილების დაშორებაში, დასკვნა თქვენთვის მოგვინდია, მაგრამ რაღაც იდუმალი ძაფები ცეკვებსა და სიყვარულში იმედგაცრუებას შორის უთუოდ არსებობს.

## რუსკა მაყაშვილი: „ჩვენ შორის არ ყოფილა მესამე პირი, უბრალოდ ასე მოხდა“



■ რუსკა და გიორგი

მსახიობმა რუსკა მაყაშვილმა და გიორგი ყიფიანმა ერთმანეთი 2003 წელს გაიცნეს და იმისათვის, რომ ერთმანეთი აღმოეჩინათ, წლები დასჭირდათ. მეორედ ერთმანეთს 7 წლის შემდეგ შეხვდნენ და გრძნობებმა სწორედ მაშინ იფეთქა. ცნობილი ფეხბურთელის, დავით ყიფიანის უმცროსი ვაჟის და პოპულარული ახალგაზრდა მსახიობის სასიყვარულო კავშირი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. ისინი ყველგან ერთად ჩნდებოდნენ — საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, პრემიერებზე, ჟურნალების ყდებზე. მათ ერთად ითამაშეს ფილმში „გული პლუსი“. რუსკა ამ ფილმის პრემიერაზე ამბობდა: „ასაკში რომ შევალთ, ეს ფილმი ჩვენი სიყვარულის ფილმად დარჩება, საოჯახო ფილმი გვექნება. გიორგიც ამბობს, რომ ძალიან მაგარი იქნება, როცა მას ჩვენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ვნახავთ, იმედია, ყველაფერი ასე იქნება“.

რუსკა და გიორგი არასოდეს გაურბოდნენ საერთო მომავალზე საუბარს. ერთ-ერთი ვალენტინობის დღე რუსკამ ძალიან ორიგინალურად მიულოცა შეყვარებულს. სასიყვარულო ბარათი დაახვედრა, რომელშიც ეწერა: „გიორგი, ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, რომ მშვენიერი საბაბი მომეცა შენთვის წერილის მოსაწერად... 14 თებერვალია... სიყვარულის დღე და თან ჩვენი ფილმის პრემიერა. ჩავჯექი ტაქსში, ფანჯრიდან ვხედავ, როგორ დადიან ხელჩაკიდებული გოგონები და ბიჭები, შიგადაშიგ ბიჭები და ბიჭებიც. ამოიჩემეს ეს 14 თებერვალი და დადიან ტუჩებზე ერთნაირი სასაცილო, სულელური ღიმილებით და თითო ვარდით. ვარდები არ მიყვარს, მე რომ მქონდეს ჩემი ქალაქი პატარა სახლებითა და პატარა ბაღებით, დიდხანს ვიქანავებდი შენთან ერთად საქანელაზე. მერე სიცივისგან გაყინულები წამოვიდოდით ჩვენს პატარა სახლში, დავსხდებოდით რბილ დივანზე, ცხელი კაკაოთი და ტკბილი ბურბუშელებით ვუყურებდით შენი საყვარელი გუნდების თამაშს ჩვენს დიდ ტელევიზორში. რა თქმა უნდა, ბედნიერება მარტო ტელევიზორი და რბილი დივანი არ არის, მაგრამ ჩვენ ესეც გაგვიხარდებოდა და კიდევ ერთხელ გავიფიქრებდი, რომ როგორ სხვანაირად მიყვარხარ. იმას გეტყვი, რასაც შენ მეუბნები ხოლმე — მიყვარხარ ისე, როგორც არავის არავინ არასოდეს ჰყვარებია“.

ასეთი წერილის შემდეგ, რომელიც რუსკამ თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა, ბევრი მათ სიყვარულს ერთგვარ ეტალონადაც თვლიდა. ამ ხნის განმავლობაში არასოდეს გავრცელებულა ჭორები ვინმე „მესამეზე“. ერთად თითქმის 3 წელი გაატარეს. რუსკა „სარკისათვის“ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა:

„ჩვენს სიყვარულში არ არსებობს არანაირი სტრატეგია, ყველაზე მთავარი ის არის, რომ ერთმანეთი ძალიან გვიყვარს. თუ გარკვეული კონფლიქტები წარმოიშვება, ვცდილობთ, ის მაშინვე გავანეიტრალოთ, რომ უთანხმოებამ არაფერი გვავნოს. რა თქმა უნდა, ისედაც ნათელია, რომ ყველაფერი ქორწინებამდე მივა. მე ვარ მისი საცოლე და ის — ჩემი საქმრო, მაგრამ ამ სიტყვებით ლაპარაკი არ მიყვარს, არც იმაზე ვფიქრობ, „დროზე“ გავთხოვდე. მინდა, რომ ასეთი ურთიერთობა რაც შეიძლება მეტ ხანს გაგრძელდეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, „მარაზმში“ არ უნდა გადავიდეს. არ მომწონს, როდესაც შეყვარებულები 7 წელი წელავენ ურთიერთობას“.

ყველა მათი ქორწილის მოლოდინში იყო, თუმცა ერთხელაც აღმოჩნდა, რომ ისინი სხვადასხვა ნაპირზე იყვნენ — სიყვარული დასრულდა. რუსკა, რომელიც აქამდე ბევრს ლაპარაკობდა თავის გრძნობებზე, მერე ყველაზე ჩაკეტილი ადამიანი გახდა. ის ან არაფერს ამბობდა ამ დაშორებაზე, ან მოკლე კომენტარით შემოიფარგლებოდა: „დავსხედით, ვილაპარაკეთ და დაშორების გადაწყვეტილებამდე ერთობლივად მივედით. ახლა აბსოლუტურად ჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს, ვმეგობრობთ, აქ არყოფილა მესამე პირი, უბრალოდ ასე მოხდა და რას ვიზამთ“.

ეს ამბავი პროექტის „ცეკვავენ ვარსკვლავები“ პირველსა და მეორე სეზონებს შორის მოხდა. პირველ სეზონზე რუსკა წამყვანი იყო, მეორე სეზონზე კი — მონაწილე და ფინალში გამარჯვებული. როგორც ამ დროს ხდება ხოლმე, პირადში განცდილი მარცხის შემდეგ ქალები მთლიანად საქმეზე გადაერთვებიან და ეს ცეკვებზეც აისახა. გარდა ამისა, გიორგისთან დაშორების შემდეგ კარიერული მდგომარეობა გაიმყარა. ის დღეს ყველგან არის — თეატრშიც, კინოშიც და ტელევიზიაშიც, პლუს ოროთახიანი მშენებარე ბინა ბათუმში, რომელიც მან პრიზად მიიღო.

## გიორგი ვარდოსანიძე: „ერთმანეთისთვის ტკივილის მიყენებას მეგობრებად დარჩენა ჯობდა“



■ გიორგი და თამთა

ახალგაზრდა მსახიობ გიორგი ვარდოსანიძეს პოპულარობა სერიალმა „გოგონა გარეუბნიდან“ მოუტანა. ბევრს გული დასწყდა, რომ ახალ სიმპათიურ სახეს უკვე ჰყავდა რჩეული. გიორგიმ თავისი შეყვარებული „სარკესთან“ მალე გამოაჩინა — თამთა შალამბერიძე, მისი კოლეგა, ანუ მსახიობი. ერთმანეთი ფილმ „ოცნების ქალაქის“ გადაღებებზე გაიცნეს. ინტერვიუში გიორგი ამბობდა: „პირველი დანახვისთანავე მოვიხიბლე კი არა, „გავჭედე“. იქ უამრავი მოდელი, ლამაზი გოგო ტრიალებდა, მაგრამ, თამთა რომ დავინახე, გარშემო ყველა და ყველაფერი წაიშალა, გადავირიე...“

მათი სიყვარულის ისტორია 3 წელი გაგრძელდა. როგორც კი გიორგი პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მეორე ადგილზე გავიდა, ერთ კვირაში თქვა, რომ მისი, როგორც შეყვარებულის, სტატუსი შეიცვალა: „მყავდა რჩეული და დასრულდა სიყვარული. ჩვენი დაშორების მიზეზი არ ყოფილა კონფლიქტური, უბრალოდ სხვადასხვანაირად ვაზროვნებდით, გვერჩივნა, რომ დავშორებულიყავით და დავრჩენილიყავით კარგ მეგობრებად, ვიდრე ერთმანეთისთვის მეტი ტკივილი მიგვეყენებინა“.

ამ წყვილის დაშორებას ბევრი ჭორი მოჰყვა. ინტერნეტსივრცეში მუდმივად წერდნენ, რომ მათი დაშორების მიზეზი მესამე ადამიანი იყო, კერძოდ კი, გიორგის პარტნიორი ცეკვაში სალომე ჭაჭუა. როგორც ჩანს, მათი ვნებიანი ცეკვები ზოგმა იმაზე მეტად აღიქვა, ვიდრე ხელოვნება. რა თქმა უნდა, ეს ჭორები ორივე მხარემ უარყო. სალომე დღემდე თავისი შეყვარებულის, მოცეკვავე გიგი გაჩეჩილაძის გვერდითაა. გიორგი კი თვლის, რომ ამ პროექტმა გარკვეულწილად უარყოფითი გავლენა მართლაც იქონია მის პირად ცხოვრებაზე.



Cyan Magenta Yellow Black

— უბრალოდ დამთხვევაა ის, რომ ჩემი სიყვარული მაშინ დასრულდა, როცა ამ ცეკვებში გავიმარჯვე. ალბათ ამ პროექტის ერთადერთი დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ ძალიან დაკავებული ვიყავი — ცეკვები, თეატრი. თამთას კი იმდენ დროს ველარ ვუთმობდი, არადა მანამდე 24 საათი ერთად ვიყავით. ალბათ ამანაც ცუდი როლი ითამაშა, — ამბობდა „სარკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მსახიობი.

■

## ნუკი კოშკელიშვილი: „ოთოსთან საოცარი 2 წელი გავატარე“

მოდელისა და ტელესახის ნუკი კოშკელიშვილისთვის ცეკვები არცთუ იღბლიანი აღმოჩნდა. მართალია, მაყურებლებისგან დიდი სიმპათიები დაიმსახურა, მაგრამ პირველი სეზონის პროექტს შუიდან მაინც გამოეთიშა და მას შემდეგ ყველაფერი აირია, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე კარიერაში. სანამ სცენაზე მონდომებით ცეკვავდა, მანამდე მას შეყვარებული ლოჟიდან გულშემატკივრობდა, მის რეპეტიციებსაც ესწრებოდა. ნუკი ამბობდა, რომ ძალიან გაუმართლა, რადგან მის გვერდით ოთო იყო. ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ცეკვის დროს შეყვარებულისგან განსაკუთრებულ მხარდაჭერას გრძნობდა.



■ ოთო და ნუკი

— ცეკვების დროს ჩემი შეყვარებული ხელახლა აღმოვაჩინე. ის ისე მიდგას გვერდში, როგორც არც ერთს არავინ. ამის გამო ყველაზე მაღლა მაქვს თავი აწეული, არ იცით, რას აკეთებს ჩემ გამო! ფეხსაცმლის ძირებს მიხეხავს, რომ არ გამიცურდეს, სულ იმას მეკითხება, ხომ არ გშია, ხომ არ გწყურია, ძალიან გვივლის მეც და ჩემს პარტნიორ ოთოსაც („ცეკვებში“ მისი მეწყვილე ოთო ფოლადაშვილი. ავტ.), — ამბობდა „სარკესთან“ ბედნიერი ნუკი.

ოთო მისთვის ახდენილ ოცნებასავით იყო — თურმე ნუკი ბავშვობიდან გიჟდებოდა ქერა, ცისფერთვალება ბიჭებზე. ისინი ერთმანეთს ნუკის დედამ გააცნო, ოთოს დედა მისი მეგობარი გახლდათ. შევარებულები მომავალ ქორწილზე არასოდეს საუბრობდნენ, ნუკი ამბობდა დაგეგმილი არაფერი გვაქვს, ჯერ არ ვფიქრობთ ამაზე და ამით ვართ ბედნიერებიო. წყვილის დაშორების მიზეზი აქაც ბუნდოვანი და გაუგებარია.

— ძალიან რთულია იმის თქმა, თუ რა გახდა ჩვენი დაშორების მიზეზი. ზოგჯერ გგონია, რომ კომფორტია, როცა გიყვარს და უყვარხარ, ზოგჯერაც კომფორტი მარტო ყოფნაა. ცვალებადია ეს ყველაფერი, დღეს ვარდისფერი მოგწონს, ხვალ შეიძლება იისფერი მოგეწონოს, ასეა პირადი ცხოვრებაც. ზოგჯერ ყვავილები და რომანტიკა გიტაცებს, ზოგჯერ უბრალოდ გინდა, რომ კარგი მეგობრები იყოთ. დღეს ოთოსთან გატარებული დრო ფანტასტიკურად მახსენდება. მასთან საოცარი 2 წელი გავატარე. ჩვენ რომ ამ ეტაპზე დაშორების გადაწყვეტილება არ მიგველო, ყველაფერი ცუდად დასრულდებოდა. მეგობრობის სურვილი არც ერთს გვექნებოდა, — ამბობდა ნუკი „სარკეში“.

შეყვარებულის დაკარგვასთან ერთად ის ტელევიზიაში დილის პროგრამასაც დაემშვიდობა. ამ ეტაპზე მთლიანად ახალ პროექტებზეა გადართული და, როგორც ამბობს, ყველანაირად ეცდება, ეკრანს მეტი შემართებით დაუბრუნდეს.

■

## ეკო ფანგანი: „ჩვენი დაშორება იყო ინტერესთა კონფლიქტები“

ეკო ფანგანი და ბექა ჩხაიძე ქართულ შოუბიზნესში პოპულარული წყვილის სტატუსს კარგახანს ატარებდნენ. მათი რომანი საერთო საქმითაც იყო შეკავშირებული — ბექა ანსამბლ „ალილოს“ წევრი გახლავთ, ეკო — ამ ანსამბლის პროდიუსერი და პიარმენეჯერი. მათი სიყვარული სავსე იყო როგორც სიურპრიზებითა და რომანტიზმით, ასევე ჩხუბითა და გაბუტვებით. იყო შემთხვევა, როდესაც მათთან ერთობლივი ინტერვიუს ჩაწერა სწორედ ამ მიზეზით არ მოხერხდა — ერთმანეთთან უბრად იყვნენ.



■ ბექა და ეკო

ამბობენ, როცა ეკო პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ გამოჩნდა, ბექასთან მისი ურთიერთობა მაშინ დაიძაბაო. თუმცა სანამ ეკო საცეკვაო მოედანზე დასრიალებდა და ჟიურისგან საქებარ სიტყვებს იღებდა, ბექა თითქმის ყოველთვის მაყურებელთა შორის იჯდა და შეყვარებულს ემოციურად გულშემატკივრობდა.

ეკოსა და ბექას რომანი სიმღერითა და ცეკვა-თამაშით დაიწყო. გაცნობიდან მეორე დღეს ბექა მეგობრებთან ერთად ეკოს სახლს მიადგა ფიალებში ანთებული ცეცხლითა და გიტარით ხელში.

— ბექა მის მეგობარ როსტოსთან ერთად წვეულებაზე გავიცანი, მაგიდასთან გვერდიგვერდ აღმოვჩნდით. ბექა ხუმრობდა, საქორწილო სუფრაა, ჩვენი ქორწილიაო. ამ ხუმრობა-ხუმრობაში განვითარდა ჩვენი ურთიერთობა. 2 წელია ერთად ვართ და ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს, გეგმებზე წინასწარ არასოდეს ვლაპარაკობთ, — ეს სიტყვები ეკომ „სარკესთან“ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა.

ბექას წარსულში უკვე ჰყავდა ოჯახი. მისი პირველი ცოლი ცნობილი ბიზნესმენის, ვანო ჩხარტიშვილის ქალიშვილი იყო, ვისთანაც 8 წლის გოგონა ჰყავს. ეკო გათხოვილი არასოდეს ყოფილა, თუმცა ერთმა და იმავე ადამიანმა სამჯერ მოიტაცა და მისგან სამივეჯერ წამოვიდა.

ეკოსა და ბექას შორი დასრულებული სასიყვარულო ურთიერთობა მეგობრობით არ გაგრძელებულა ფორმალურადაც კი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე. კონფლიქტი ისეთი ღრმა და სერიოზული აღმოჩნდა, რომ წყვილმა ერთმანეთთან კონტაქტი საერთოდ გაწყვიტა.

— ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ჩვენი სიყვარული დამთავრდებოდა. დეტალებზე საუბარი არ მინდა, მაგრამ ჩვენი დაშორება იყო ინტერესთა კონფლიქტები და არა — სხვა რამ, თუნდაც მესამე პირი, — უთხრა ეკომ „სარკეს“ ამ დაშორების შემდეგ.

■

მართალია, ქართულ შოუბიზნესს ჰოლივუდამდე ბევრი უკლია, მაგრამ მაინც გავიხსენებთ ერთ ლეგენდას ოსკარის „წყევლის“ შესახებ: ცნობილია, რომ იმ ვარსკვლავი ქალის ცხოვრება, ვინც ოსკარს მიიღებს საუკეთესო მსახიობი ქალის ნომინაციაში, რადიკალურად იცვლება. აღიარებასთან ერთად, როგორც წესი, ოსკაროსანი ქალები ქმრებს და საყვარელ მამაკაცებს კარგავენ. ეს ისე, ძალიან შორეული პარალელისთვის.

✓ ავთო ჩიტიძე


**თუ თქვენ ჯანმრთელობაში ეჭვი გეპარებათ ან სასწრაფოდ გჭირდებათ საიმედო მკურნალის ხელი, შეგიძლიათ დაუყოვნებლივ მიმართოთ**



**თინათინ მაჩაიძეს**

**მუშაობს განუმეორებელი და შეუდარებელი კომპლექსური სამკურნალო მეთოდებით**

უპრობლემოდ კურნავს მასთან მისულ ჯანმრთელობაშერყეულ ადამიანებს. მკურნალობს ნევროზებსა და ნერვული სისტემის მოშლასთან დაკავშირებულ ყოველგვარ პრობლემას. შიშებს, დეპრესიას, აკვიატებულ აზრებს, ენერგიის ნაკლებობას, თავის ტკივილებს, უძილობას, ოსტეოქონდროზს, მარილებს, რადიკულიტს, ნერვისა და სახსრების ანთებას, კუჭ-ნაწლავისა და ნაღვლის ბუშტის ანთებებს, ენურეზს, ალერგიებს, ჰაიმორიტს, გინეკოლოგიურ პრობლემებს, სხვადასხვა ქრონიკულ დაავადებას და ასე შემდეგ.

**დამატებითი ინფორმაცია მიიღეთ ტელეფონით.**

**მის.: წერეთლის გამზირი. №71-ის მოპირდაპირედ, გზის მეორე მხარეს, „ბანკი რესპუბლიკის“ კორპუსი, მე-2 სად., 1-ლი სართ.**

**ტელ.: 599-58-69-47, 555-12-78-30, 593-38-26-13, 235-18-68 (ოფისი).**

**პაციენტების მიღება ხდება წინასწარი ჩაწერით.**

# მამა გივი: „სხვისი ცოდვებისგან მეც ჭკუას ვსწავლობ“



მამა გივის (გივიშვილი) მომავალი სასულიერო ცხოვრება მის ბავშვობაშივე გადაწყდა. ყველაფერი თავისთავად მოხდა. 5 წლის ასაკიდან ტაძარში დადიოდა. მამამისიც მოძღვარია — მამა იოანე (გივიშვილი). როცა ის წირვა-ლოცვებს ატარებდა, შვილიც მის გვერდით სტიქარით იდგა. 13 წლიდან კი სიონის საკათედრო ტაძრის სტიქაროსანი გახდა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის გვერდით 14 წელი გაატარა. მისი მღვდლად კურთხევა ოჯახისთვის უკვე გადაწყვეტილი ამბავი და ტრადიციაც გახლდათ. ამ პერიოდში მამა გივი ახალდაქორწინებული იყო და მეუღლემაც წინასწარ იცოდა მისი არჩევანის შესახებ.

10 თვეა, რაც მამა გივი თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ახალგახსნილი ღვთისმშობლის შობის ეკლესიის წინამძღვარია, მანამდე კი სხვა ტაძრებში მსახურებდა. დღემდე გამოვლილი გზის, მრევლთან ურთიერთობისა და ქრისტიანის ამქვეყნიური ვალის შესახებ მამა გივი „სარკის“ მკითხველებს უამბობს.

**— მამა გივი, რამდენი წელია, რაც ეკლესიის წიაღში ხართ?**

— 5 წლის ასაკიდან ეკლესიაში ვარ. მაშინ მამაჩემი (მამა იოანე) დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის სტიქაროსანი იყო, დღეს კი ისიც მოძღვარია. პირველად ტაძარში მან წამიყვანა და ამ საოცარ ცხოვრებას მას შემდეგ ვეზიარე. საერთოდ, ჩვენი წინაპრები სასულიერო პირები იყვნენ. ბებიაჩემის მამა, მიხეილ გურგენიძე, კასპის ერთაწმინდის ტაძრის მოძღვარი იყო, ბებიას ბიძა გიორგი გურგენიძე კი დეკანოზი გახლდათ და დიდუბის ეკლესიაშია დაკრძალული. მათი მამა, ანუ ბებიაჩემის პაპა, ნიკორწმინდელი მთავარეპისკოპოსი იყო. უფალმა ინება, რომ წინაპრების მსგავსად, მთელი ჩვენი ოჯახიც ტაძარში ვყოფილიყავით.

მამაჩემმა მცხეთის სემინარიაში რომ ჩააბარა, იმ პერიოდში მეც სულ თან დავყავდი. თავდაპირველად დუშეთის ეკლესიის მოძღვარი იყო და მეც ვახლდი. სტიქარი მეცვა და მედავითნე ვიყავი. შემდეგ თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში გადმოიყვანეს. 13 წლის ვიყავი, როდესაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის სტიქაროსანი გავხდი.

დღეს მთელი ოჯახი სასულიერო პირები ვართ: მეც, მამაჩემიც, ჩემი ძმაც და სიძეც (დის ქმარი). მამაჩემი, ჩემი ძმა და სიძე ალექსანდრე ნეველის სახელობის რუსულ ეკლესიაში მსახურობენ.

**— პატრიარქის გვერდით მსახურება როგორ გახსენდებათ, იმ წლებმა რა გასწავლათ?**

— სიონში კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის გვერდით 14 წელი გავატარე. ეს ჩემს ცხოვრებაში არაჩვეულებრივი პერიოდი იყო. დღეს მისი უწმინდესობის ყოფილი სტიქაროსნებიდან ბევრი მოძღვარია და, როცა ერთმანეთს ვხვდებით, ყოველთვის ძველ დროს ვიხსენებთ. ბევრ კარგთან ერთად, რა თქმა უნდა, რთული პერიოდიც გამოვიარეთ. მახსოვს უშუქობაში, სანთლის შუქზე მისი უწმინდესობის მიერ ჩატარებული წირვა-ლოცვები, შეშაზე გამომცხვარი სეფისკვერები. გაჭირვების წლები იყო, მაგრამ როგორც ვახერხებდით, წირვა-ლოცვებს ისე ვატარებდით.

**„მღვდლობა მძიმე ჯვარია, რომლისთვისაც მოწოდებული თუ არ ხარ, შენს თავზე ვერ იტვირთავ. როცა მღვდლად კურთხევა ხდება, სასულიერო პირები ასე ულოცავენ ახალნაკურთხს: „გილოცავ, მაგრამ მსუბუქად ატარე“.**

კათოლიკოს-პატრიარქისგან ჩვენ, სტიქაროსნებმა, ბევრი რამ ვისწავლეთ. ყოველ პარასკევს სიონის ეზოში მრევლი იკრიბებოდა, სადაც უწმინდესიც მოდიოდა და კითხვა-პასუხის დღე იმართებოდა. სტიქაროსნებთანაც მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა. საკურთხეველში შეგვიყვანდა, გვესაუბრებოდა. ჩვენც ხან საკურთხეველს ვალაგებდით, ხან ეზოს ვასუფთავებდით. საპატრიარქოშიც ხშირად დავყავდით. ხის სახელოსნო გახსნა და იქ ხეზე მუშაობას ვსწავლობდით.

წლების შემდეგ საპატრიარქოში მის უწმინდესობასთან ვმუშაობდი და სადაც წავიდოდა, ყველგან დავყვებოდი. მერე უკვე ცოლი შევირთე. 8 თვის შემდეგ, 2003 წლის 1 აგვისტოს, სიონში დიაკვნად მაკურთხეს. რამდენიმე თვეში კი, როცა სამების საკათედრო ტაძარი გაიხსნა, მეც იქ გადავედი. წელიწადზე მეტი იქ ისე ვიმსახურე. 2005 წლის 12 თებერვალს პატრიარქმა მღვდლად დამასხა ხელი. ახლა უკვე 10 თვეა, რაც ღვთისმშობლის შობის ტაძრის წინამძღვარი ვარ. ეს ეკლესია ზუსტად ერთი წლის წინ გაიხსნა.

**— დღეს თუ გაქვთ პატრიარქთან ურთიერთობა?**

— კი, როგორ არა. მის მოსანახულებლად მივდივარ ხოლმე. ის ჩემი და ჩემი მეგობრების სულიერი მამა-მასწავლებელია და დღემდე მის წიაღში ვართ. ძალიან არ დავწვრილმანდები და მასთან ურთიერთობის ყველა დეტალს ვერ მოვყვები. ამისთვის ფურცლებიც არ მეყოფა. ერთს ვიტყვი, რომ ის ჩემი მასწავლებელია, მისი ქადაგებით, ბრძნული მეტყველებით ბევრი რამ ვისწავლე და კიდევ ვსწავლობ.

**„ადამიანს რომ ვეუბნები, ტაძარში იაროს და ის არ დადის, ბოლოს ვურჩევ, სხვა მოძღვარი ნახოს. დღეს მოვიდეს, ხვალ — არა, ასე ცოდვების მონანიება და სულის განწმენდა შეუძლებელია“.**

**— ოჯახი როგორ შეხვდა თქვენს გადაწყვეტილებას, სასულიერო პირი გამხდარიყავით?**

— ეს მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. ჩემმა მეუღლემ წინასწარ იცოდა, რასაც ვაპირებდი და ამას ჩვეულებრივად შეხვდა. მღვდლობა ბავშვობიდანვე მინდოდა, თუმცა მქონდა პერიოდები, როცა ვფიქრობდი, ხომ არ ვცდები, ამისთვის სულიერად მზად ვარ თუ არა-მეთქი. სკოლის დამთავრებისთანავე სასულიერო სემინარიაში ჩავაბარე.

**— მღვდლობა ისეთი აღმოჩნდა, როგორც წარმოგედგინათ თუ უფრო რთული ან მარტივი?**

— პატარაობიდან ვიცოდი, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მღვდელმსახურება და რომ ეს ადვილი არ იქნებოდა. ვთვლი, რომ ჯერ მაინც ახალბედა ვარ და დღესაც ვსწავლობ. მაგალითად, მრევლისგან აღსარებას რომ ვიბარებ, სხვისი ცოდვებისგან მეც ჭკუას ვსწავლობ. შეიძლება მსგავსი რამ ოდესმე მეც ჩამიდენია და არ მიფიქრია, რომ ეს ცოდვა იყო. ახლა კი მრევლთან ურთიერთობით მეტ რამეს ვხვდები და ვიგებ.

მღვდლობა ძალიან რთული მსახურებაა. ამისთვის ადამიანი სულიერად თუ მზად არ არის, ვერ შეძლებს. შეიძლება სტიქაროსანი ან მედავითნე იყო და სასულიერო პირობა შემოგთავაზონ, მაგრამ თუ ამისთვის მზაობა არ არსებობს, მღვდელი ვერ გახდები. ყველაფერი უფლის განგებით ხდება და არამხოლოდ ჩვენი ნებასურვილით. მღვდლობა მძიმე ჯვარია, რომლისთვისაც მოწოდებული თუ არ ხარ, შენს თავზე ვერ იტვირთავ. როცა მღვდლად კურთხევა ხდება, სასულიერო პირები ასე ულოცავენ ახალნაკურთხს: „გილოცავ, მაგრამ მსუბუქად ატარე“.

**— მრევლთან თქვენს ურთიერთობას როგორ შეაფასებთ, რა სირთულეები გხვდებათ?**

— მრევლი სამების ეკლესიიდან გადმომყვა და აქაც შევიძინე. მათთან ურთიერთობა მიადვილდება, რადგან არ ვაბრკოლებ და არც ისინი მაბრკოლებენ.

ერთი უსიამოვნო შემთხვევა მაინც მქონდა: არ მაქვს იმის უფლება, ჩემთან მოსულ ადამიანს თავისი ცოდვების გამო ვუთხრა, რომ აღსარების, მიტევების ღირსი არ არის. უფალი გვასწავლის, რომ ყველას უნდა შევუნდოთ. როდესაც მოძღვარი ეუბნება, რომ ცოდვის გამო რაღაცისგან თავი უნდა შეიკავოს და ის ამას არ ასრულებს, ასეთ დროს დაბრკოლება ჩნდება. ერთხელ ერთი



Cyan Magenta Yellow Black

ადამიანი ორი კვირა არ ვაზიარე, რადგან მინდოდა, ამით ჭკუა ესწავლა. ის კი განაწყენებული მოვიდა და პირდაპირ მითხრა, თქვენ ვერ გაგიგეთო. სამწუხაროდ, ასეთი რაღაცეებიც ხდება.

— **მკაცრი მოძღვარი ხართ?**

— სანამ მღვდელი გავხდებოდი, სულ ვამბობდი, მკაცრი უნდა ვიყო-მეთქი, მაგრამ ძალიან მკაცრიც არ ვარ. ძირითადად მაშინ ვბრაზდები, როცა არ მიჯერებენ. ადამიანს რომ ვეუბნები, ტაძარში იაროს და ის არ დადის, ბოლოს ვურჩევ, სხვა მოძღვარი ნახოს. დღეს მოვიდეს, ხვალ — არა, ასე ცოდვების მონანიება და სულის განწმენდა შეუძლებელია. ჩემთან მოძღვრისა და მრევლის ასეთი ურთიერთობა არ გამოვა. მე თუ ადამიანს რამეს ვეუბნები, ამას მისი სულისთვის ვაკეთებ და უნდა გამიგოს.

**„პატრიარქისგან სტიქაროსნებმა ბევრი რამ ვისწავლეთ. ყოველ პარასკევს სიონის ეზოში მრევლი იკრიბებოდა, სადაც უწმინდესიც მოდიოდა და კითხვა-პასუხის დღე იმართებოდა. სტიქაროსნებს საკურთხეველში შეგვიყვანდა, გვესაუბრებოდა".**

— **ცხოვრების თანამგზავრი, მეუღლე, როგორ აარჩიეთ?**

— ერთმანეთი სიონის ეკლესიაში გავიცანით. როგორც კი დავინახე, ეგრევე გულში ჩამივარდა და ვთქვი, ეს გოგო ჩემი ცოლი უნდა გახდეს-მეთქი. მართლაც, 5 თვეში ცოლად მოვიყვანე. ერთ-ერთ ბანკში მუშაობს.

— **ცოლ-შვილი თქვენი ტაძრის მრევლია?**

— ჩემს მეუღლეს თავისი მოძღვარი ჰყავს და თავის ტაძარში ეზიარება. სამი ვაჟი მყავს: ანდრია, ნიკოლოზი და ალექსანდრე. ისინი ტაძარში დადიან, ვაზიარებ, მაგრამ სტიქაროსნები ჯერ არ არიან. მე კი მინდა, რომ სტიქაროსნები გახდნენ, მაგრამ უფროსი მხოლოდ 8 წლის არის და ამისთვის ცოტა პატარაა. ჯერ ვამზადებ და მერე, იმედია, ღვთის ნებით, სტიქაროსანი გახდება.

— **თქვენს ვაჟიშვილებთან სიმკაცრე რამდენად გჭირდებათ?**

— რა თქმა უნდა, მკაცრი ვარ. დღეს ისეთ დროსა და გარემოში ვცხოვრობთ, რომ სიმკაცრე საჭიროა, თანაც ბიჭების მიმართ, რომ სწორად აღიზარდონ. უფროსი სკოლის მოსწავლეა, უმცროსები საბავშვო ბაღში დადიან. ანდრიას მასწავლებელს თავისი ინტერნეტსაიტი აქვს, სადაც გაკვეთილების შესახებ ინფორმაციებს ათავსებს. ამის გამო კომპიუტერთან ჯდომა უწევს, სხვა შემთხვევაში კი კომპიუტერთან ყოფნას ვუშლი. პატარებიც მიიწევენ ამისკენ, რაც მე არ მომწონს. ხანდახან მცირე ხნით იმის უფლებას ვაძლევ, რომ კომპიუტერში მულტფილმს უყურონ ან ფეხბურთი ითამაშონ.

— **რას ეტყვით ჩვენს მკითხველს და სრულიად საქართველოს, მით უმეტეს, ამ მძიმე მარხვის პერიოდში?**

— მინდა, ყველას წარმატება და რწმენაში გაძლიერება ვუსურვო. სამწუხაროა, რომ ადამიანის გონება მხოლოდ მარხვაში იღვიძებს. მარხვა სინანულს, სიყვარულს, მოთმინებას აერთიანებს და ცდუნებების დამთრგუნველია. მარტო ამ დროს კი არა, ხსნილშიც ახლოს უნდა ვიყოთ უფალთან. არასწორია ისიც, რომ მარხვის დაწყებისთანავე ხალხს პირველი საზრუნავი ის უჩნდება, რა ჭამოს.

ამას წინათ ტაძარში ამ თემაზე ქადაგებაც მქონდა. მრევლს ვუთხარი და ახლა თქვენს მკითხველსაც ვეტყვი, რომ საჭმელზე კი არ იფიქრონ, არამედ სულის გადარჩენაზე. სამარხვო საჭმელებით სულს ვერ გადაირჩენ. ადამიანი, რომელიც სულიერად მზად არის მარხვისთვის, არ წავა და სამარხვო საკვებს არ იყიდის. რაც აქვს, იმას შეჭამს, თუნდაც მხოლოდ პურს და ამით მისი სული უფრო გაძლიერდება, რადგან ცდუნებას გაუძლებს. ხშირად ხდება, რომ მარხვის პერიოდში სუფრებს შლიან და თითქოს ყველაფერი წესისამებრ არის, საჭმელები სამარხვოა, მაგრამ ბოლოს ეს ყველაფერი ღრეობაში გადადის. იმას არ ვამბობ, რომ მარხვის დროს ტრაპეზის გაშლა არ შეიძლება, უბრალოდ მოკრძალება უნდა იყოს. მარხული ადამიანი მშვიდად უნდა იყოს და გამუდმებით თავის სულზე იფიქროს.

**„ხშირად ხდება, რომ მარხვის პერიოდში სუფრებს შლიან და თითქოს ყველაფერი წესისამებრ არის, საჭმელები სამარხვოა, მაგრამ ბოლოს ეს ყველაფერი ღრეობაში გადადის. იმას არ ვამბობ, რომ მარხვის დროს ტრაპეზის გაშლა არ შეიძლება, უბრალოდ მოკრძალება უნდა იყოს".**

ღმერთმა დალოცოს ჩვენი ქვეყანა, გაამთლიანოს და გააერთიანოს! ჩვენთან არს ღმერთი!

✓ თეონა კენჭიაშვილი

# „არაი", „ოქეი" და „მეტრომარტი" „უნიქარდის" პარტნიორები გახდნენ



**18** აპრილს „რედისონში" გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც სამი კომპანიის, „არაის", „ოქეის" და „მეტრომარტის" „უნიქარდთან" პარტნიორობას ეხებოდა. 18 აპრილიდან „უნიქარდის" მომხმარებლებს შეუძლიათ უნიქარდზე ქულების დაგროვება „არაის", „მეტრომარტის" და „ოქეის" მაღაზიათა ქსელში. პარტნიორობა სააღდგომო აქციით დაიწყო. ზემოთ აღნიშნული სამი კომპანიის 17 მაღაზიაში მომხმარებელს საშუალება აქვს, მიიღოს ფასდაკლება, საჩუქრები და გაორმაგებული ქულები უნიქარდზე.

ზემოთ აღნიშნული მაღაზიები ტექნიკის კუთხით ყველაზე მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობენ მომხმარებელს. „უნიქარდის" ახალი პარტნიორები მომხმარებელს აჩვენებენ, რომ მათ ქსელში არის მრავალფეროვანი არჩევანი და ახლა უკვე ქულების დაგროვებაც შეუძლიათ უნიქარდზე.

**ბესო აბულაძე,** ***„უნიქარდის" დირექტორი:*** „უნიქარდი" სამი წელია წარმატებით ფუნქციონირებს. ას ორმოცდაათი ათასი მომხმარებელი შევიძინეთ. გაიცა მილიონნახევრამდე პრიზი, რომელთა საერთო ღირებულებამ, ჯამში, ათი მილიონი ლარი შეადგინა. „უნიქარდი" ორიენტირებულია მომხმარებელზე, ცდილობს, მაქსიმალურად გაითვალისწინოს მათი აზრი და სთავაზობს საჩუქრების მრავალფეროვან არჩევანს. „უნიქარდის" ქულებით შესაძლებელია მობილურის ბალანსის შევსება, კომუნალური გადასახადების დაფარვა და უამრავი, დაახლოებით 2000 სახის საჩუქარია „უნიქარდის" კატალოგში. რამდენიმე თვის წინ დაინერგა სიახლე — უნიტურები, უკვე რამდენიმე ასეულმა ადამიანმა ისარგებლა ამით. სტამბოლის ტურები ყოველკვირეული გახდა.

ჩვენთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ელექტრონიკისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის სექტორი. ჩვენ და ცნობილი ბრენდები — „არაი თუმოროუ", ტექნიკის სახლი „ოქეი" და „მეტრომარტი" ვიწყებთ თანამშრომლობას. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს მომხმარებლებს შეეძლებათ ქულების დაგროვება მათ ქსელებში. ბრენდები მრავალფეროვანი არჩევანით და მომსახურების მაღალი ხარისხით გამოირჩევიან. უახლოეს მომავალში დაინერგება სიახლე, თუ მანამდე „უნიქარდის" მომხმარებლებს ჩვენს სერვისცენტრებში უწევდათ მოსვლა ან სახლში მიტანის სერვისის გამოყენება, მალე „უნიქარდის" კატალოგში განთავსებული ტექნიკის ადგილზე შეძენაც შეეძლებათ ჩვენს პარტნიორ მაღაზიებში.

**თიკო დიდავა,** ***„არაი თუმოროუს" მენეჯერი:*** „არაი" ლიდერია საყოფაცხოვრებო ტექნიკის სფეროში. ჩვენ „ელჯის" ოფიციალური წარმომადგენლები ვართ საქართველოში, ასევე სხვა დიდი კომპანიების. პრეცედენტი, რომ გაერთიანებულიყო წამყვანი ტექნიკის სახლები, ჯერ არ ყოფილა. მომხმარებლებს ბევრ საინტერესო აქციას შევთავაზებთ. გვექნება გაორმაგებული ქულები მომხმარებლებისთვის. კონკრეტულად ეს აქცია 5 მაისამდე გაგრძელდება. „არაი" მოხარულია „უნიქარდთან" თანამშრომლობით, რადგან აპრობირებული და გამოცდილი ბრენდია. მოხარულები ვართ, რომ ჩვენ გვერდით არიან ისეთი კომპანიები, როგორიცაა ტექნიკის სახლი „ოკეი" და ახალგახსნილი ტექნიკის ჰიპერმარკეტი „მეტრომარტი".

**ელენე ქარუმიძე,** ***„არაის" პიარმენეჯერი:*** ბრიფინგი მიეძღვნა „არაის", „უნიქარდის", „მეტრომარტის" და „ოქეის" ერთობლივ პროექტს. ეს აქცია „არაის" სააღდგომო აქციის პარალელურად იწყება და მოხარულები ვართ. მომხმარებელს ვაძლევთ საშუალებას, ჩვენთან უმაღლესი ხარისხის ტექნიკა შეიძინონ და მასთან ერთად „უნიქარდის" ბარათზე გაორმაგებული ქულები მიიღონ. ეს არის ერთობლივი პროექტი, რომელსაც მხოლოდ ჩვენ, თანამშრომელი კომპანიები, ვაწვდით მომხმარებელს.

„მეტრომარტი", „ოქეი" და „არაი" „უნიქარდთან" ერთად მომავალშიც საინტერესო სიახლეებს, აქციებს და საჩუქრებს ჰპირდებიან მომხმარებელს.



Cyan Magenta Yellow Black

## პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ლექსები კიდევ ერთხელ აჟღერდა

18 აპრილს რუსთაველის თეატრში პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის საღამო გაიმართა, სადაც მის ლექსებზე შექმნილი უკვდავი სიმღერები აჟღერდა — ბიძინა კვერნაძის, დავით თორაძის, გოგი ცაბაძის, რევაზ ლაღიძის, კონსტანტინე პევზნერის... მღეროდნენ დები ჭოხონელიძეები, ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე, ბუბა კიკაბიძე, ლიზა ბაგრატიონი, ანსამბლი „შვიდკაცა“, თემურ წიკლაური და ქართული სცენის სხვა ვარსკვლავები.


ეკა მამალაძე და ნანი ბრეგვაძე

— კმაყოფილი ვარ. ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც ჩავიფიქრეთ. მომღერლებმა ძალიან მოინდომეს. ძალიან მინდოდა პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის შემოქმედებითი საღამოს გაკეთება. ეს ნიშნავდა საუკეთესო კომპოზიტორების გაერთიანებას, საუკეთესო სიმღერების თავმოყრას. ეს კონცერტი იყო ქართული სიმღერის ზეიმი, — აღნიშნა კონცერტის დასრულების შემდეგ იდეის ავტორმა და ორგანიზატორმა, მომღერალმა ირმა სოხაძემ.


ირმა სოხაძე და ნუგზარ კვაშალი

— მშვენიერი საღამო გამოვიდა. ნანის შემოქმედება პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ტექსტებზეა აგებული. გამოდის, რომ მის ლექსებზე გავიზარდე, — გვითხრა მომღერალმა ეკა მამალაძემ.

## ქუთაისში „საუკეთესო თეატრალური ქმნილებები" დააჯილდოვეს

თეატრის საერთაშორისო დღე ქართველმა თეატრალებმა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში კონკურსით „2012 წლის საუკეთესო თეატრალური ქმნილება“ აღნიშნეს.


ქეთევან სვანიძე

ხუთკაციანმა ჟიურიმ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები დაასახელა. საუკეთესო რეცენზიისათვის თეატრმცოდნე მერი გურგენიძეს დიპლომი გადასცეს. საუკეთესო თეორიული ნაშრომისათვის ნოდარ გურაბანიძე დაჯილდოვდა. საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებად ვახტანგ კახიძის კომპოზიცია დასახელდა. დიპლომები გაიცა საუკეთესო სცენოგრაფიული ნაშრომისათვის. ამ ნომინაციაში ანა კალატოზიშვილმა და მაია სხირტლაძემ გაიმარჯვეს. რაც შეეხება საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი ქალის ნომინაციას, ეს პრიზი რუსთაველის თეატრის მსახიობს, ქეთევან სვანიძეს ერგო. რუსთაველის თეატრის მსახიობი დავით უფლისაშვილი კი მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისთვის დაჯილდოვდა.

## ვერიკო ტურაშვილი და თემო საჯაია ვოლგოგრადში სამღერად წავიდნენ

„ერთობით მიღწეული დიადი გამარჯვება — კავკასიელი ხალხი სტალინგრადისთვის ბრძოლაში“ — ასე ეწოდება 24-25 აპრილს რუსეთში, ქალაქ ვოლგოგრადში, გამართულ ღონისძიებას, რომელშიც ქართველი მომღერლები და მეორე მსოფლიო ომის ქართველი ვეტერანები მიიწვიეს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ პროექტის ორგანიზატორი რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის აპარატია. კრემლში გამართული კონცერტისთვის ჯერ სახელმწიფო ანსამბლი „ერისიონი“ შერისხეს და კრემლისიონი ეძახეს, ახლა კი უარყოფითი მესიჯები ვერიკო ტურაშვილისა და თემო საჯაიასკენ არის მიმართული, რომლებიც ვოლგოგრადში მიიწვიეს. ვერიკო ტურაშვილმა „სარკისგან“ შეიტყო, რომ კონცერტის ორგანიზებას პუტინის სახელს უკავშირებენ და, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა, სასწრაფოდ დაუკავშირდა პიროვნებას, ვინც კონცერტზე მიიწვია და ინფორმაცია დააზუსტა. გაირკვა, რომ ღონისძიების ორგანიზატორი საერთაშორისო სტუდენტური გაერთიანებაა.

### ვერიკო ტურაშვილი:


ვერიკო ტურაშვილი

— ჩემი მეგობარი, თბილისის გრიბოედოვის თეატრის დირექტორი უკეთებს ორგანიზებას, რომ ამ კონცერტს ქართველი მომღერლებიც შეუერთდნენ. ჩემმა მეგობარმა, რომელიც საქართველოსთვის ბევრ რაღაცას აკეთებს და აქ არის დაბადებულ-გაზრდილი, მითხრა, რომ ეს კონცერტი ომის ვეტერანებისთვის იქნებოდა. ასევე მითხრა, რომ საქართველოდანაც ჩავიდოდნენ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები. იქ ქართველი სტუდენტებიც მოდიან. ეს კონცერტი ვეტერანებისთვის ტარდება და არა — პუტინისთვის. მგონი, არც პუტინს ვუგორებთ კოჭს და არც — სხვას.

მინდა, სწორად გაიგოთ. რუსეთში უამრავი მეგობარი, ნათესავი, საყვარელი ადამიანი მყავს. ვიღაც კონკრეტულ პირს თუ ჩვენს ქვეყანასთან რაიმე შეცდომა აქვს დაშვებული, იმას არ ნიშნავს, რომ ყველას ხაზი უნდა გადავუსვათ.

❖

იმავე პოზიციას იზიარებს მომღერალი თემო საჯაია, რომელიც თვლის, რომ ამ კონცერტით პატივი მიეგება იმ ქართველ ჯარისკაცებსაც, რომლებიც საქართველოში თითქმის ყველა ოჯახს ჰყავს დაკარგული მეორე მსოფლიო ომში. მომღერლების მისამართით ატეხილი აჟიოტაჟი მისთვის გაუგებარია.


თემო საჯაია

— საქართველოდან გრიბოედოვის თეატრის მიწვევით მივდივარ. კონცერტი მეორე მსოფლიო ომთან, სტალინგრადის ბრძოლასთან დაკავშირებით ტარდება, სადაც ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. ეს პროექტი რაიმე პოლიტიკური სარჩულით რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, დავფიქრდებოდი, რადგან პოლიტიკაში არასდროს ჩავრეულვარ და არც ვაპირებ. საუბარია მეორე მსოფლიო ომზე. თითქმის ყველა ოჯახიდან ერთი ადამიანი მაინც არის ამ ომში დაკარგული. მოგეხსენებათ, იქ რამდენი ათასი ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა. აქ საუბარი არ არის პოლიტიკურ თამაშებზე, კრემლში ჩასვლაზე ან არჩასვლაზე. ეს კრემლში ვიზიტი არ არის.

მომხრე ვარ, რომ საქართველოს და რუსეთს შორის ურთიერთობას თავისი სახელი დაერქვას. კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა ურთიერთობების შესახებ გადაწყვეტილებები მთავრობამ და სახელმწიფო ლიდერებმა უნდა მიიღონ.

ვოლგოგრადში რუსულ სიმღერასაც შევასრულებ და ქართულსაც, მგონი, იმ პროექტში მონაწილეობა, სადაც ქართულ სიმღერასაც იმღერებ, პრობლემა არ უნდა იყოს, — გვითხრა თემო საჯაიამ.



Cyan Magenta Yellow Black

# თქვენი ხარჯების მარტივად მართვისთვის

ორი განცალკევებული ანგარიში პირადი და ბიზნეს საქმიანობისთვის | შიდა გადარიცხვები უფასოდ | საუკეთესო პირობები




## უნიკალური პროდუქტი თქვენი ხარჯების მარტივად მართვისთვის

თუ თქვენ მეწარმე ფიზიკური პირი ბრძანდებით და გესაჭიროებათ პირადი და საქმიანი ხარჯების გამიჯვნა, გთავაზობთ ინოვაციურ პროდუქტს – ანგარიშთა პაკეტს, რომელიც მოიცავს ორ მულტისავალუტო საბანკო ანგარიშს პირადი და ბიზნესსაქმიანობისათვის და აერთიანებს ყოველდღიურ საბანკო პროდუქტებს.

პაკეტი დაგეხმარებათ პირადი და ბიზნესბიუჯეტის დაგეგმარებაში. ასევე შეძლებთ ისარგებლოთ საბანკო გადარიცხვების საუკეთესო ტარიფით ბაზარზე.

- "აბაკუსი": მეწარმე ფიზიკური პირის ხარჯების მარტივად მართვისთვის;
- ორი ტიპის პაკეტი.

ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

290 90 90 | * 90 90 | BR.GE



Cyan Magenta Yellow Black

# ზაზა მიმინოშვილი: „ჩემი ბედი შვილებმა გადაწყვიტეს“

ჯგუფ „შინ“-ის შემქმნელი, მუსიკოსი ზაზა მიმინოშვილი, უახლოეს მომავალში, 20 წლიანი განშორების შემდეგ, საქართველოში სამუდამოდ დაბრუნდება. მას ქვეყანა არც არასოდეს დაუტოვებია, სულით და გულით ყოველთვის აქ იყო. ახლა კი სურს, ის ცოდნა და გამოცდილება, რაც დაუგროვდა, ქართველ ახალგაზრდებს გაუზიაროს. თავის დროზე მასაც ბევრი მისცა ისეთ ადამიანებთან მუშაობამ, როგორებიც კომპოზიტორი გია ყანჩელი და რეჟისორი რობერტ სტურუა არიან. მათი წყალობით ჩამოყალიბდა მუსიკოსად.

ზაზა მიმინოშვილი ორი შვილის, გოგონების მამაა. თავის თეონას და თათიას უმადლის იმას, რომ თავის დროზე ისინი მშობლებს უცხოეთში არ გაჰყვნენ და ამით მამა კიდევ უფრო მეტად მიაჯაჭვეს სამშობლოს.

ჯგუფ „შინ“-ს თავისი მსმენელისთვის სიახლე აქვს — ახალ პროექტს იწყებს. ამ და სხვა ბევრ საინტერესო თემაზე ზაზა მიმინოშვილი გვიამბობს.



**„კონცერტის შემდეგ დავინახე, რომ ჩემკენ მაესტრო გია ყანჩელი წამოვიდა. ამის შემხედვარე უფრო დავპატარავდი. რომ მოვიდა, მკითხა, ყმაწვილო, რას უკრავდიო...“**

**ზაზა მიმინოშვილი:**

— საქართველოში სპეციალურად ჩამოვედი პროექტისთვის „არაჩვეულებრივი გამოფენა“. „შინ“-მა გადავწყვიტეთ, დიდ მუსიკოსებზე გაგვეკეთებინა სერია და გია ყანჩელით დაგვეწყო. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ ვაკეთებთ ფილმს, რომლის კომპოზიტორიც გია იქნება და მასში მსახიობების, სიუჟეტის ნაცვლად ისევ მუსიკა იქნება — დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი, დო და დანარჩენი ყველაფერი ამ ნოტებს შორის მოექცევა. ამით ჩვენს დიდ გმირებს მოვეფერებით. ჩვენი სერიის გია ყანჩელით დაწყება ბუნებრივია, რადგან „შინ“-ის მთელი ისტორია, რომელსაც წლების წინ „ადიო“ ერქვა, გია ყანჩელის ინიციატივით დაიწყო.

— **და ეს იყო 1993 წელი.**

— ცოტა უფრო ადრე. მაშინ ძალიან ახალგაზრდა, სრულიად გამოუცდელი მუსიკოსი ვიყავი, რომელიც არკვევდა, რა უნდოდა ცხოვრებაში. იმ დროს უფრო მათემატიკოსი გახლდით, ვიდრე მუსიკოსი. სხვათა შორის, ორკესტრში სრულიად შემთხვევით მოვხვდი. ჩემს ადგილზე ნამდვილი ვარსკვლავი, ბატონი თემურ ყვითელაშვილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გასტროლების გამო არ ეცალა და მე, სრულიად უცნობი, აღმოვჩნდი ამ თანავარსკვლავედში.

— **როგორი განცდა გქონდათ, ხომ არ შეგეშინდათ კიდეც?**

— ჩემთვის ეს საოცარი მომენტი იყო, გვერდით თამაზ ყურაშვილი და სხვა ბევრი ლეგენდა მყავდა. სრულიად შეუმჩნევლად, ჩემთვის ვიჯექი. მაყურებელი უფრო ვიყავი, ვიდრე შემსრულებელი. ერთ ადგილას პატარა სოლო მქონდა. კონცერტის შემდეგ დავინახე, რომ ჩემკენ მაესტრო გია ყანჩელი წამოვიდა. ამის შემხედვარე უფრო დავპატარავდი. რომ მოვიდა, მკითხა, ყმაწვილო, რას უკრავდიო. გამიკვირდა, რომ ჩემი ეს პატარა სოლო გამოსვლა უყურადღებოდ არ დარჩა. ამ პატარა დეტალმა მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა. ასეთ რამეს ჰოლივუდის ფილმებში თუ ნახავთ. აბა, დაუკარიო, მითხრა გიამ. ვიფიქრე, ეტყობა, რაღაც დავაშავე-მეთქი და შეშინებულმა რაღაც დავუკარი. დიდი მადლობაო, მითხრა და წავიდა. მაშინ ვერ მივხვდი, ჩემს თავს რა მოხდა.

წელიწადნახევრის შემდეგ იმ ამბავს გაგრძელება მოჰყვა. ბატონი გიას შვილმა, სანდრომ, მითხრა, მამა გიბარებსო. საერთოდ, გია ყანჩელი ამჩნევს მუსიკოსს და მას ოდესმე სრულიად მოულოდნელად შანსს აძლევს. მეც სწორედ ასე მომექცა. მითხრა, მე მივემგზავრები და რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუასთან ერთად სპექტაკლ „სამგროშიან ოპერას“ თუ გააკეთებო. ვკითხე, რატომ ფიქრობთ, რომ მე ამის გაკეთება შემიძლია-მეთქი. გიამ ზუსტად ასე მითხრა: „რა, არ უნდა ვიფიქრო?“. „რასაკვირველია, კი“, — ვუპასუხე და ჩემს ცხოვრებაში დაიწყო საოცარი, ზღაპრული პერიოდი. ამ ორი მეტრის წნეხის ქვეშ მუსიკოსად ჩამოვყალიბდი. ისინი ძალიან მკაცრი და მომთხოვნი მამები არიან. სიზარმაცეს, რაღაცის არასწორად გაკეთებას არ გაპატიებენ. ამ ორი ადამიანის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა ჩემთვის საკმაოდ დიდი სკოლა იყო.

— **მერე კი ამ დიდი სკოლის და საერთოდ საქართველოს მიტოვება მოგიწიათ. დღეს როგორ ფიქრობთ, ეს ნაბიჯი გარდაუვალი იყო?**

— საშინელი პერიოდი იყო. ჯიბეში გვედო პურის ფული, კიდევ კარგი, რომ წყალი ყოველთვის იშოვებოდა და... ოჯახის რჩენა შეუძლებელი გახდა და ამიტომ გადავწყვიტეთ აქედან წასვლა. ბატონი რობერტი ერთ-ერთი სპექტაკლის რეპეტიციას ატარებდა, როდესაც მასთან შევედით. სპექტაკლში ასეთი ეპიზოდი იყო: მერცხლები თბილ ქვეყნებში გაფრენას აპირებდნენ. მათ პატარა მოწაფემ ჰკითხა, თუ სად მიდიოდნენ და როცა გაიგო, რომ თბილი ქვეყნებისკენ მიფრინავდნენ, მერცხლებს შეეკითხა: „უკან დაბრუნდებით?“. მერცხლებმა უპასუხეს, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდნენ, მაგ-



ცოლ-შვილთან ერთად

**„მე და ჩემი ცოლი საინტერესო წყვილი ვართ — ჰაერი და მიწა. როდესაც კონტროლს ვკარგავ, ნინო მაკავებს, ჩემი ანტიპოდია“.**

რამ მათ ბიჭმა უპასუხა: „თქვენ არ დაბრუნდებით“. რობერტი მოგვიტრიალდა და გვითხრა, ეს თქვენზეა, თქვენ უკან აღარ დაბრუნდებითო...

მაგრამ ჩვენ „შინ“ გვქვია და აი, ვბრუნდებით კიდეც. ჩვენი უკან დაბრუნება წასვლის დღიდან იყო გადაწყვეტილი.

— **უცხოეთში რა გზა გაიარეთ, ვიდრე მთელი ევროპა გაგიცნობდათ?**

— ძალიან რთული იყო იმ პირობებში დამკვიდრება, როდესაც ჩვენს ქვეყანას არავინ იცნობდა. ესპანეთში მსოფლიო მუსიკის ფესტივალზე ვარსკვლავებთან ერთად გამოვდიოდით. სცენაზე ვთქვი: „ხალხნო, შეხედეთ, ცა ცოტა ღრუბლიანია, მაგრამ ზემოთ შვიდი ვარსკვლავი ერთად რომ არის, იმათ შუაში 65-ე გალაქტიკაა, იქ კი ერთი უმშვენიერესი პლანეტაა, რომელსაც საქართველო ჰქვია. ჩვენ იქიდან ვართ, თქვენთან ჩამოვედით, დიდი ხანია გაკვირდებით და ძალიან მოგვწონს დედამიწა“. უცებ ტაში ატყდა და მივხვდი, რომ მათ მიგვიღეს.

საპასუხისმგებლოა, როდესაც უცხო ქვეყანაში, უცხო ხალხთან საქართველოს წარმოადგენ. ამ დროს ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ჩემ უკან მამაჩემი (ცნობილი ლიტერატორი, მწერალი რომან მიმინოშვილი. ავტ.), ჯანსუღ კახიძე და სხვა ქართველი ბუმბერაზები დგანან.

— **მსოფლიო ხელოვნების თანავარსკვლავედში საქართველოს ვარსკვლავს, თქვენი აზრით, რა ფუნქცია აკისრია?**

— ჩვენი ქვეყანა გზაჯვარედინზე დგას, მას ავალია აღმოსავლურ-დასავლური პოლიფონიის შეკვრა. ქართული საქმე გზაჯვარედინია, რომელიც ამ ორ სამყაროს აერთიანებს. გია ყანჩელი ამისი ნათელი მაგალითია, მისი მუსიკა ძალიან ქართულია და ამავე დროს ძალიან ზოგადიც.

— **გერმანიაში გატარებულ წლებზე გვიამბეთ. იქაურ ყოველდღიურობას როგორ მოერგეთ ან ის როგორ მოგერგოთ?**

— არ არსებობს შემთხვევითობა და არც იქ მოვხვედრილვარ შემთხვევით. ბავშვობიდან მქონდა ჩემი გერმანია. ჩემი გერმანული ისტორია გერმანულ საბავშვო ბაღში სიარულით დაიწყო. მაშინ ინგლისური ენა იმდენად მოდური არ იყო, როგორც გერმანული. იმ ქვეყანას, რომელიც მე თბილისში „მქონდა“, ძალიან დიდხანს ვეძებდი იქ, მაგრამ ის ნამდვილი, ძველი ნაციის კულტურა ვერ ვიპოვე. ეს სახელმწიფო ძალიან თანამედროვე გახდა და ის ნამდვილი გერმანია, რომელმაც ბახი დაბადა, ძნელად საპოვნელია. ამ ყველაფერს გერმანელებს ღიად ვეუბნები და ამას ტკივილით ვამბობ.

**„ჩვენ ფავორიტებად ყოფნა არ გვინდა. ღმერთმა დაგვიფაროს, სახელმწიფოს დიდი ჰონორარი გამოვტყუო!“.**

როგორ შევეჩვიე იქ ყოფნას? არც არანაირად. შეჩვევას მხოლოდ მაშინ მოვახერხებდი, თუ საკუთარ თავს წავშლიდი.

— **რას ატყობთ ახლანდელ საქართველოს ახალ პოლიტიკურ რეალობაში, რა ტენდენციები და პერსპექტივებია?**

— ახლა უკვე არ ვერიდები, რას ვილაპარაკებ ტელეფონზე... ჩვენ ერთნი ვართ და არ მინდა, ისინი დამარცხებულებად მოვიხსენიო. პატიება და შენდობა უნდა ვისწავლოთ. მე პოლიტიკას არასოდეს შევხებივარ, თავად შემეხო. ბიძინა ივანიშვილს თავისუფლად შეეძლო, აქედან წასულიყო, მაგრამ მან ყველაფრით გარისკა. იმედი მაქვს, რომ ბატონი ბიძინა სწორედ ის არის, ვინც მგონია. მასთან მხოლოდ ერთხელ მოვხვდი შეხვედრაზე და მოვასწარი, შევკითხა, შენ ის ხარ თუ არა, ვისაც ველოდით-მეთქი.

— **რა გიპასუხათ?**

— არაფერი, ყველას ჩაგვეცინა. მან 20 წელი საქართველო თავისი ზურგით ატარა. ძალიან მინდა, ყველას გვერდში ამოუდგეს და, თუ სწორად ავაშენებთ საქართველოს, ძალიან მალე ფანტასტიკური ქვეყანა გვექნება. მინდა, ყველა ვიყოთ თავისუფალი და ხალხი ჩვენიანებად და ჩვენს მტრებად არ დავყოთ. შეიძლება ბევრ რაღაცაზე ვფიქრობ, რომ არასწორად კეთდება, მაგრამ ეს ჩვენი, ყველას ბრალია. არ შეიძლება მხოლოდ ერთმა და ორმა ადამიანმა შეცვალოს ყველაფერი, თუ ამაში ჩვენც არ მივიღებთ მონაწილეობას.

მე ჩუმად ყოფნას აღარ ვაპირებ, იმედს ვიტოვებ, რომ ეს ის მთავრობაა, რომელიც ქვეყნისთვის იზრუნებს. ჩემი პრინციპია — ითანამშრომლე სახელმწიფოსთან და იშრომე ქვეყნისთვის! ღმერთმა დაგვიფაროს და, თუ ეს მთავრობა ის არ არის, რომელიც ქართველ



Cyan Magenta Yellow Black

ხალხს სჭირდება, მაშინ ისევ გავერთიანდებით და ვიტყვით, რომ სხვანაირად უნდა გაკეთდეს. რევოლუციონერი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ დუმილიც საშინელებაა. ოდესმე უნდა თქვა „არა!“. თავის დროზე ჩემი პოზიცია ძალიან ცალსახადაც ვაჩვენე. მე რაც მევალებოდა, ვთქვი და ყველა ასე უნდა მოიქცეს. მე არც ერთი პარტიის მხარეს ვარ. ჩემთვის არსებობს ღმერთი, სამშობლო და გული. გული ყველაზე ჭკვიანია.

**— როგორ ფიქრობთ, ხომ არ გემუქრებათ საშიშროება, ახლა თქვენ, ჯგუფი „შინ“ და სხვები გახდეთ სამთავრობო ფავორიტები?**

— თუ ხელოვანი არ იქნება თავისუფალი და სახელმწიფოზე გახდება დამოკიდებული, დაკარგავს იმას, რაც ყველაზე მეტად სჭირდება — ხალხის სიყვარულს. ჩვენი ჯგუფი ყველა მთავრობის დროს გამოდიოდა, საქართველოში ვმუშაობდით, მაგრამ რომელიმე მთავრობის ფავორიტები არ ვყოფილვართ. არა მგონია, ამ მთავრობის რჩეულები ვიყოთ და ამის გამო აღმოვჩნდეთ ქართულ სცენაზე. ჩვენ ფავორიტებად ყოფნა არ გვინდა. ღმერთმა დამიფაროს, სახელმწიფოს დიდი ჰონორარი გამოვტყუო!

**— ღმერთი, სამშობლო, მუსიკა... ოჯახისთვის ამ ყველაფერში რა დრო და ადგილი გაქვთ დათმობილი?**

— ოჯახი ყველაზე მნიშვნელოვანია, მას ვერაფერი შეედრება. მხოლოდ ამის შემდეგ არის საქმე. ვცდილობ, ყოველი თავისუფალი წუთი ცოლ-შვილთან გავატარო. როდესაც ამ ყველაფერს მივხვდი, ჩემი მუსიკა სწორედ მაშინ გახდა უკეთესი.

ჩემი მეუღლე ნინო ხარაძე-მიმინოშვილია. ორი ქალიშვილი გვყავს, თეონა უფროსია, თათია — უმცროსი. თათია დაოჯახდა. ჩემი სიძე ქართველია, ღირსეული პიროვნება. მოუთმენლად ველოდები შვილიშვილებს. მგონია, რომ ფანტასტიკური ბაბუა ვიქნები, რომელიც შვილიშვილებს გადარევს.

**— ასეთივე ფანტასტიკური მამა ხართ?**

— ბაბუა მართლა ფანტასტიკური უნდა ვიყო, მამობაზე კი რა გითხრათ. ჩემი შვილები უკეთესად გეტყვიან, როგორი მშობელი ვარ. მე საოცარი მამის შვილი ვარ, ამიტომ ჩემთვის მამობა ძალიან მნიშვნელოვანი ცნებაა და არამხოლოდ სტატუსი. მინდა, ჩემი შვილებისთვის ისეთივე მამა ვიყო, როგორიც ჩვენთვის მამაჩემი იყო. ჩვენი მამების თაობას საოცარი სამყარო ჰქონდა შექმნილი. იმ საშინელ დროს, საბჭოთა კავშირში, მოახერხეს ღირსების შენარჩუნება და ეს გმირობის ტოლფასი იყო. მოძღვარი არავის გვყავდა, ერთადერთი გადამრჩენელი ოჯახი იყო და სწორედ ამ ოჯახებმა შეძლეს შეენარჩუნებინათ ის ყველაფერი, რაც დღეს გვაქვს.

**— ცოლ-შვილი გერმანიაში თან გყავდათ ამ ხნის მანძილზე?**

— მეუღლე რამდენიმე წელია, რაც ჩემთან ერთადაა გერმანიაში, შვილებმა კი იქ წამოსვლაზე უარი მითხრეს. შევთავაზეთ, იქ ესწავლათ, დროებით ჩამოსულიყნენ, მაგრამ თქვეს, გვირჩევნია, აქ ვიყოთო. თავიანთი გადაწყვეტილებით ჩემი ბედიც გადაწყვიტეს, საქართველოში დამაკავეს. ჩემი ყველა და ყველაფერი აქაა — და, მისი ოჯახი, დედა, მამაჩემის საფლავი... ამდენად, მე მხოლოდ დროებით ვარ წასული, ემიგრანტიც კი არ ვარ.

როცა წავედი, თეონა 14 წლის იყო, თათია — 9-ის... ახლა უკვე იმ ასაკში არიან, როდესაც უნდა ვკითხო, მათი წლოვანება გავთქვა თუ არა. ჩემთვის ორივე იმ ასაკშია დარჩენილი, რამდენი წლისაც აქ დავტოვე. როცა ნინოს ტელეფონზე ველაპარაკებოდი, ჩემს პაწკოებს სულ ვკითხულობდი. ერთხელ ისრაელში მკითხეს, თქვენი პაწკოები რამხელები არიანო. ვუთხარი, რომ ერთი 25 წლის იყო, მეორე — 29-ის. ცოლი ქმარს მიუტრიალდა და უთხრა, ხედავ, რამხელა სიყვარული აქვთ ოჯახში, ამხელა ქალბატონებს პაწკოებს ეძახისო. ჩემი შვილები მშვენიერი ქალბატონები არიან. ბედნიერი ვარ, რომ იქ წამოსვლის ცდუნებას არ აჰყვნენ, თორემ ამით შეიძლებოდა ჩემთვის საქმე გაერთულებინათ.

**— თქვენი გზა რომელიმე არჩია?**

— არა. თათია ბიზნესის და მენეჯმენტის მიმართულებით ამომიდგა მხარში და მეხმარება. ოჯახი ჩემი პირველი აუდიტორიაა. ისინი პირველები მაფასებენ და მაკრიტიკებენ. თუ ჩემი სიმღერა მათ გულს სწვდება, ვხვდები, რომ მიზანს მივაღწიე.

**„ჩემთვის არსებობს ღმერთი, სამშობლო და გული. გული ყველაზე ჭკვიანია“.**

მე ორი ვაჟიშვილიც მყავს — ჩემი დის, მაიას შვილებიც ჩემი შვილები არიან. მაიასაც ორი ქალიშვილი ჰყავს — ჩემი შვილები. ჩვენი შვილები და-ძმები არიან. მაია უკვე ბებიაა, ასე რომ, მეც ბაბუა ვარ. საოცარი შვილიშვილები ჰყავს, იმ პატარების ყურება საოცარი შეგრძნებაა.

**— საქართველო-გერმანიას შორის ცხოვრებამ თქვენი მეუღლე თავის პროფესიას ხომ არ ჩამოაშორა?**

— ჩემ გვერდით ყოფნა იმხელა ტვირთია, რომ სხვაგან მუშაობა მისთვის შეუძლებელი იქნებოდა. მისი საქმე ჩემთან ერთად ბრძოლაა. ყველა გადაწყვეტილება ერთად მივიღეთ. დავრწმუნდი, რომ გვერდით ყველაზე ახლობელი ადამიანი უნდა ამოიყენო. ჩვენ ძალიან საინტერესო წყვილი ვართ — ჰაერი და მიწა. როდესაც კონტროლს ვკარგავ, ის მაკავებს, ჩემი ანტიპოდია. ნინოს აღარ რჩება დრო, რომ დამატებით სამსახურზე იოცნებოს.

✓ ქეთი დინოშვილი








Cyan Magenta Yellow Black



## „კლასელებმა გულჩვილობის გამო დამცინეს“

13 წლის ბიჭი ვარ, გამძლეობით და სიმამაცით არ გამოვირჩევი, ყველაფერი გულთან ახლოს მიმაქვს. მეგობრები ხშირად მეუბნებიან, რომ მაშინაც კი გულჩვილი ვარ, როცა ეს საჭირო არაა. ცოტა ხნის წინ ერთი რამ შემემთხვა, რაზეც უნდა მოგიყვეთ.

სკოლაში დოკუმენტური ფილმის ჩვენება გვქონდა, რომელიც ერთ-ერთ ტრაგიკულ თემას ეძღვნებოდა. მართლაც კარგად იყო გადაღებული. თავიდანვე დამაინტერესა და გულისყურით ვადევნებდი თვალს. ჩემს კლასელებს კი წარბიც არ შერხევიათ. ბევრი უაზროდ ხუმრობდა და იცინოდა.

ერთ-ერთი დაძაბული სცენის ნახვისას მე ტირილი ამივარდა. კლასელებმა შემამჩნიეს და სიცილი ატეხეს. დამცინეს, მითხრეს, პირველკლასელივით ფშლუკუნებო. მათ-ზეც გავბრაზდი და საკუთარ თავზეც, რომ ემოციები ვერ შევიკავე. მასწავლებელს ვთხოვე, გავეთავისუფლებინე და სახლში მაშინვე წამოვედი... საშინელებაა, როცა დაგცინიან.

**თქვენი მკითხველი**

## «დაქალები იმიტომ არ მყავს, რომ გოგონებს არ ვენდობი»

16 წლის გოგო ვარ. ჩემს ბიძაშვილს ბევრი მეგობარი ჰყავს, მე კი — არა. ხშირად დამცინავად მეუბნება, ესე იგი შენ გაქვს ნაკლი და შენთან მეგობრობა არავის უნდაო. თვითონ უამრავი დაქალი ჰყავს. ყოველდღე მართავენ შეკრებებს, ერთობიან. ზურგს უკან კი ერთმანეთს დასცინიან და ვერ ვხვდები, ეს რა მეგობრობაა.

ამას წინათ ბიძაშვილს ვესტუმრე. მისი ორი დაქალიც მოვიდა. საერთო მეგობარზე, რომელიც იმ წუთში იქ არ იყო, ისეთი ჭორაობა გააჩაღეს, გავოცდი. ამბობდნენ, იმ ბიჭის შესაფერისი არ არის, რას ჰგავს, აი, ნახავ, თუ ერთმანეთს არ დაშორდებიანო. ჩემი ბიძაშვილი ამბობდა, ის ბიჭი იყენებს, მასთან კარგად გაერთობა და მიატოვებსო. დანარჩენებიც თავს უქნევდნენ. სამივეს უკვირდა, ასეთ ბიჭს ასეთი გოგო როგორ მოეწონაო. აშკარად ეტყობოდათ, რომ დაქალის შურდათ.

ცოტა ხნის შემდეგ ის გოგოც მოვიდა. ვერ წარმოიდგენთ, სამივე როგორ შეეგება! მისცვივდნენ, აბა, მოგვიყევი, პაემანმა როგორ ჩაიარაო. აბსოლუტურად სხვანაირად აჭიკჭიკდნენ, უთხრეს, შესაფერისი წყვილი ხართო. ამხნევებდნენ, ნახავ, ბოლომდე ერთად იქნებითო. ის მეგობარიც ყველაფერს უყვებოდა, ვითომ დაქალებს ყველა წვრილმანი გაუმხილა. იმ მომენტში ძალიან მომინდა, პირი გამეღო და სიმართლე მეთქვა. ძალიან მინდოდა, იმ გოგოს გაეგო, მასზე რას ჭორაობდნენ, მაგრამ ვერ შევძელი. ალბათ არც უნდა მეთქვა, რადგან ჩემი საქმე არ არის. ჯობია, თვითონ მიხვდეს, ვისთან აქვს საქმე.

მიხარია, რომ ჩემ გვერდით ასეთი ადამიანები არ არიან. მე ყველა კლასელთან კარგად ვარ, ბიჭებთანაც და გოგონებთანაც, მაგრამ დაქალები არ მყავს, რადგან გოგონებს არ ვენდობი. არ ვარ დარწმუნებული, რომ ბოლომდე ჩემი ერთგულები იქნებიან. ჩემი ბიძაშვილების სადაქალო რომ მახსენდება, მეგობრობაზე გული მიცრუვდება.

**„სარკის“ მკითხველი**

## „ძველ შეყვარებულს არ უნდა დავბრუნებოდი"

დავიბენი, ვიცი, რომ საშინლად ვიქცევი. ერთი წლის წინ შეყვარებულს დავშორდი. მან გული ძალიან მატკინა. მართალია, გამიჭირდა, მაგრამ თავისი საქციელით სხვა გზა არ დამიტოვა. რამდენიმე თვეში ერთი ბიჭი გავიცანი, რომელსაც შევუყვარდი. ძალიან მალე სიყვარული ამიხსნა, არ დამიმალავს, რომ შეყვარებულთან ახალი დაშორებული ვიყავი. ურთიერთობა გავაგრძელეთ. მასთან თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი. ისეთი იუმორი ჰქონდა, რომ ყოველი დღე ჩემთვის სიცილით იწყებოდა და სრულდებოდა.

ერთ დღეს კი ძველი შეყვარებული გამოჩნდა. მოვიდა და პატიება მთხოვა. მითხრა, რომ ვერაფრით დამივიწყა და მისი ოცნების გოგო ვიყავი. თვალებიდან იმხელა ცრემლებს ყრიდა, რომ დავუჯერე. იმ ბიჭს დავშორდი და ძველ შეყვარებულს დავუბრუნდი. ზუსტად ორი კვირა ვიყავი ბედნიერი. ვფიქრობდი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე, მაგრამ მან ზუსტად იგივე შეცდომები დაუშვა ჩემთან, რასაც ადრე აკეთებდა. შერიგებიდან ერთი თვის შემდეგ ისე ვიჩხუბეთ, რომ ხმას ახლაც არ ვცემ. საშინლად მოიქცა, ამას ნამდვილად არ ვიმსახურებდი.

ვნანობ, რომ იმ კარგ ადამიანს ვაწყენინე. ამას ნამდვილად არ იმსახურებდა. თქვენი ჟურნალის საშუალე-ბით მინდა, მას პა-ტიება ვთხოვო. შე-რიგებას არ ვთხოვ, უბრალოდ მინდა, საქვეყნოდ მოვუხა-დო ბოდიში და ვუთ-ხრა, რომ ჩემს საქ-ციელს ძალიან ვნა-ნობ!

**თქვენი მკითხველი**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მაგთიდან და ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**

## „სკოლაში გოგონებს ჰგონიათ, რომ გინება ძალიან მოდურია“

მეცხრე კლასელი გოგო ვარ და სკოლის შეცვლა მინდა, რადგან ჩემი სკოლელი გოგონების ყურება არ შემიძლია. ადრე ჩემს კლასელებთან თუ სკოლელებთან ჩვეულებ-რივი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ ახლა მათი საქციელი ძალიან მიშლის ნერვებს.

წელს მეთერთმეტეკლასელებმა ჩვენს სკო-ლაში გინება მოდური გახადეს, უფრო სწორად, მათ ჰგო-ნიათ, რომ „სვეც-კურად“ იქცევიან, სინამდვილეში კი ამაზრზენები არი-ან. ბიჭებივით იგი-ნებიან. წარმოიდ-გინეთ, რასაც ქუ-ჩაში, „ბირჟაზე“ მდგომი ბიჭებისგან გაიგონებთ, ასჯერ მეტ სიბილწეს ის გოგოები ამბობენ. ამის მოსმენა წარ-მოუდგენელია!



ყველაზე ცუდი ის არის, რომ მათ ჩემი კლასელი გოგონებიც აჰყვნენ. ჰგონიათ, რომ ძალიან მაგრები არიან. ზოგჯერ ბიჭებს ისეთ რაღაცეებს ეტყვიან, რომ ისინი წით-ლდებიან და ვერაფერს პასუხობენ.

ახლახან ერთი ჩვენი კლასელი ბიჭი ვითომ მასხრად აიგდეს. ეუბნებოდნენ, შენ ქალისთვის ნაკოცნი არ გექნებაო. ის ბიჭი გაწითლდა და კლასიდან გავიდა. მე გოგო-ებს მივვარდი და ვუთხარი, მეორედ ასეთი ხუმრობა აღარ იკადროთ, ძალიან ცუდად მოიქეცით-მეთქი. მეც დამცინეს, მითხრეს, თუ ასე შეგებრალა, მიდი და შენ აკოცეო. ამაზე სერიოზული ჩხუბი მომივიდა, დამრი-გებელი რომ არ შემოსულიყო, შეიძლება ისინი მეცემა კიდეც.

სკოლის ეზოში შესვლა არ მინდა. გოგო-ნები გამწკრივებულები დგანან და არჩევენ, ვის როგორ აცვია, ვის როგორი ფეხები აქვს და ა.შ. დირექტორს ვუთხარი, რომ ეს პრობლემა უნდა მოაგვაროს, მაგრამ სულ არ აინტერესებს. ისეთ რაღაცეებზე ატეხს ხოლმე განგაშს, რაც სალაპარაკოც კი არ არის, ასეთ პრობლემაზე კი თვალს ხუჭავს. ზოგჯერ მგონია, რომ იმ გოგოების მასაც ეშინია, რადგან იცის, მასხრად აიგდებენ. ლაპარაკობენ კიდეც, საყვარელი ჰყავსო და შეიძლება იმის ეშინია, რომ ეს ხმამაღლა არ წამოაძახონ.

ცოტა ხანს კიდევ მოვითმენ და მომავალი წლიდან, არ არსებობს, ჩემს სკოლაში დავბრუნდე! უკვე ვარჩევ ადგილს, სადაც სწავლას გავაგრძელებ. დიდი იმედი მაქვს, იქაც ასეთი გოგოები არ დამხვდებიან და მათთან ნორმალურ ურთიერთობას შევ-ძლებ. მე კი გავასწრებ და თავს ვუშველი, მაგრამ ეს პრობლემა ვინმემ უნდა მოაგვა-როს. როცა მანდატურები სიმკაცრეს იჩენ-დნენ, მოსწავლეები ამდენს ვერ ბედავდნენ. ახლა კი ძალიან აიშვეს. მე არ ვამბობ, რომ ისინი სკოლიდან უნდა გარიცხონ ან ჯოხე-ბით სცემონ, მაგრამ რაღაც ფორმა უნდა მოიძებნოს, რომ ასე აღარ მოიქცნენ.

„სარკეს“ დიდი მადლობა, რომ საშუალე-ბა მომეცით, ამ პრობლემაზე დამეწერა.

**თქვენი ერთგული მკითხველი**



Cyan Magenta Yellow Black

## „მამა ყველანაირ ბედნიერებას მართმევს“

მამა ძალიან ცუდად მექცევა. არ ვიცი, რატომ არ მენდობა. 17 წლის ვარ და არასოდეს არაფერი დამიშავებია. კარგად ვსწავლობ, პაემნებზე არასოდეს მირბენია, ყოველთვის იმას ვაკეთებ, რასაც მშობლები მეუბნებიან. მამა კი თავისას არ იშლის და ცდილობს, ყოველი წუთი გამიკონტროლოს. ვერ ხვდება, რომ ყველანაირ ბედნიერებას მიხშობს. კომპიუტერთან რომ ვზივარ, მაშინაც შემოდის და ეკრანს აშტერდება, აინტერესებს, რომელ საიტზე ვარ შესული, რას ვაკეთებ... ასე აღარ შემიძლია!

ჩვენს სკოლაში სამეჯლისო ცეკვების წრე ჩამოყალიბდა. რამდენიმე ჯგუფი შედგა, პედაგოგი მოდის და გვამეცადინებს. ბევრი გოგო ჩავეწერეთ, რადგან ეს ცეკვები ყველას ძალიან მოგვწონს. ჩვენ კი არა, სკოლის ერთი მასწავლებელიც კი მოვიდა. დაბალ კლასებში ერთი ახალგაზრდა ქალი ასწავლის. მოვიდა და თქვა, რა ვქნა, შეიძლება არანორმალურად ჩამთვალოთ, მაგრამ ამ ცეკვების სწავლა ძალიან მინდაო. მოკლედ, იქ სიარული სახალისოა.

მამასთან, რა თქმა უნდა, არ ვთქვი. დედას ვთხოვე, ჩემი საიდუმლო შეენახა და გადასახდელი ფული ისე მოეცა, მამას არ გაეგო. მამამ მაინც გაიგო, რომ ცეკვაზე დავდიოდი. ერთ დღეს სკოლაში მომაკითხა და იქ უთხრეს, რომ ცეკვაზე ვიყავი. რეპეტიციაზე უცებ მამაჩემის არეული სახე დავინახე და ლამის იქვე ჩავიკეცე. მითხრა, ჩაიცვი, ახლავე სახლში მივდივართო.

მისი ბრძანება მაშინვე შევასრულე. ვერ წარმოიდგინეთ, მანქანაში რა დღეში ჩამაგდო. იმ სიტყვებს ვერ დავწერ, რასაც ის მიძახდა. ავუხსენი, რომ ეს ხელოვნება იყო და ძალიან მომწონდა, მაგრამ ვერაფერი შევაგნებინე. გაიძახოდა, შენ ის გსიამოვნებს, ბიჭები რომ ხელებს ტანზე გისვამენო. გავგიჟდი! ასეთი რამ გულში არც გამივლია.

იმ დღის შემდეგ ცეკვაზე არ დავდივარ. ჩემს სკოლელებს შორიდან ვუყურებ, როგორ ცეკვავენ და ძალიან მშურს. მამის ახირებების გამო რატომ უნდა დავიჩაგრო? რატომ უნდა ვთქვა უარი სიამოვნებაზე?

**თქვენი მკითხველი**

## „შეყვარებული ცდილობს, სექსუალურ ურთიერთობაზე დამითანხმოს“

სამი წელია, ერთი ბიჭი მიყვარს. ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვართ. ჩვენი მშობლებიც იცნობენ ერთმანეთს, ოჯახებში დავდივართ. მოკლედ, ურთიერთობის პრობლემა არ გვაქვს. მასთან თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი, სანამ სხვა მოთხოვნებს არ წამომიყენებდა.



ერთი თვის წინ მანქანით გამომიარა და სასეირნოდ წავედით. მერე ერთ ადგილას გაჩერდა და მოფერება დამიწყო. მითხრა, რომ ჩემთან სხვანაირი ურთიერთობა უნდოდა. მოკლედ, პირდაპირ მითხრა, რომ მისი საყვარელი უნდა გავმხდარიყავი. ეს კი იმით ახსნა, რომ ჩემი ცოლად მოყვანა სურდა. მანამდე კი ერთად უნდა ვყოფილიყავით, რომ ერთმანეთისთვის ბოლომდე კარგად გაგვეგო. მე წინააღმდეგობა გავუწიე და მანქანიდან გადმოვედი. იმ დღეს საშინელ ხასიათზე ვიყავი. ასეთ ურთიერთობაზე არასოდეს მიფიქრია. ის კი დღემდე მიმტკიცებს, რომ ამაში გასაკვირი არაფერია და ეს ჩვენს ურთიერთობას უფრო გაამყარებს.

გადავწყვიტე, დავივიწყო. მხოლოდ და მხოლოდ 17 წლის ვარ და მგონია, რომ სექსუალური ცხოვრების დაწყება ჩემთვის ნაადრევია. არც გათხოვებას ვაპირებ. ხელიც რომ მთხოვოს, უარს ვეტყვი, რადგან სხვა გეგმები მაქვს. ჯერ უმაღლესში უნდა ჩავაბარო და პროფესია ავირჩიო. ქმარსა და შვილებზე კი მერე ვიფიქრებ. არ გეგონოთ, რომ ის არ მიყვარს, პირიქით, არც კი ვიცი, მის დავიწყებას როგორ შევძლებ, მაგრამ თუ ისევ იმავე პირობას წამომიყენებს, იძულებული გავხდები, მასთან ურთიერთობა გავწყვიტო. ამხელა ბიჭი (ჩემზე ოთხი წლით უფროსია) უნდა ხვდებოდეს, რომ ასეთი რამ არც უნდა მითხრას. მიკვირს, ამდენი შეგნება რომ არ აღმოაჩნდა.

**„სარკის“ ერთგული მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ


# ნანა ქიბროწაშვილი

*ცნობილი მკურნალი-პარაფსიქოლოგი, შ.პ.ს. „იადიგარ დაუდის“ დირექტორი. დაამთავრა ვეტერინარული ინსტიტუტი, გაიარა დახელოვნების ციკლი პროფესიაში „ხალხური მკურნალი“. ნოვოსიბირსკში სტუდენობის პერიოდში მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას 35 წელია იყენებს საქართველოში.*

- ფოტოსურათით და წყლის დალევით მოგიხსნით შავი ძალების ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებულ აზრებს და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, დეპრესიას, უიმედობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, შებოჭილობას, ალკოჰოლზე და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, კოშმარულ სიზმრებს, შფოთიან ძილს.
- ფუტკრის პროდუქტებით მკურნალობს: პროსტატიტს, სქესობრივ სისუსტეს, კონტაქტის შიშს, პენისის ანთებას, სპერმის ნაადრევ და უნებლიე გამოყოფას, კუჭ-ნაწლავის წყლულებს და ეროზიებს, შებერილობას, ნაღვლის ბუშტს, ღვიძლს, პირიდან სუნს, დისბაქტერიოზს, ჰაიმორიტს, წვრილ ჭიას, ბრონქიტს, ბრონქოპნევმონიას, პირის ღრუს ანთებებს, წითელ ქარს, ფეხების სიცივეს — ოფლიანობას, ქავილს, სუნს, ქუსლის დეზს (მარილების ძვლოვანი წანაზარდი), ენურეზს (შარდის შეუკავებლობა ძილის პერიოდში), პიელონეფრიტს.

სამკურნალოდ გიწვევთ პესიმისტებს და იმედგაცრუებულებსაც, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას. წამლები მზადდება ინდივიდუალურად, წინასწარი შეთანხმებით. კონსულტაცია უფასოა.

მის.: წერეთლის გამზ. №57,
მე-2 სად., მე-2 სართ., ოფისი №7.
მიღება: 12-დან 15 სთ-მდე,
გარდა შაბათ-კვირისა.
ტელ.: 599-49-84-23. ნანა





Cyan Magenta Yellow Black

# მარი უძილაური: „ჩემს ქმარს ჯიმ კერის ვადარებ“

## მიშა ანდღულაძემ ცოლს კაცების მოხაგერიებელი ილეთი ასწავლა



მიშა და მარი

„კომედი შოუს“ მსახიობ მიშა ანდღულაძისა და მისი ცოლის, მარიამ უძილაურის ცხოვრებაში ამ ეტაპზე ყველაფერი თავის ადგილზეა დალაგებული. ქმარი მუშაობს, ცოლი ოჯახს უვლის, 3 წლის მოსეს ერთად ზრდიან და სხვა პასუხისმგებლობებსაც თანაბრად ინაწილებენ. მიშას შვილი ღამეებს არცთუ იშვიათად ათენებინებს, მაგრამ მამა მოთმინებით იტანს და სიცელქისთვის არ უბრაზდება, ხანდახან ამაყობს კიდეც მისი შემოქმედებითი უნარით და უხარია, რომ ბიჭი მას ძალიან ჰგავს.

**— მარი, შვიდწლიანი ოჯახური ცხოვრების მანძილზე მიშას ხასიათში თქვენთვის უცნობი რა თვისებები აღმოაჩინეთ?**

**მარი**: როგორიც გავიცანი, ისეთივე დარჩა...

**მიშა**: ბოლო სამი წელია ხალათით აღარ ვუნახივარ და მიხვდა, რომ მე მართლა მამაკაცი ვარ, ყველაფერი „ის“ კი სამსახურია.

**მარი**: მხიარული ადამიანია და მასთან ბევრ თემაზე შეიძლება საუბარი...

**მიშა**: ოღონდ, როცა გამოძინებული ვარ. მინიმუმი, 10 საათი მაინც უნდა მეძინოს. პერიფერიიდან წამოსულ გენიოსებს მეტი სჭირდებათ. აინშტაინის ძილი მესაჭიროება. ერთი თვეა, რაც მოსე საბავშვო ბაღში მივიყვანეთ და მარის სახეზე ნელ-ნელა დაეტყო გამოძინება, თვალები ამოევსო და უფრო გალამაზდა.

**— მარი, გამოუძინებელი მიშა როგორია?**

**მარი**: უბრალოდ ჩუმად არის. თუ გაბრაზებულია, არც აფექტურია და არც ჭურჭელს ამტვრევს. „დასწყევლოს ეშმაკმა! ფუი ეშმაკს! ოხ, ეს აიდი ბარათები!“ — ეს შეიძლება თქვას, მაგრამ ლანძღვა-გინებას არ მოჰყვება. მიშას მუდმივად გამოძინების პრობლემა აქვს, რადგან მოსე დილით ადრე იღვიძებს.

**— თქვენი ქმარი შვილის აღზრდაში აქტიურად მონაწილეობს?**

**მარი**: კი, მიშა კარგი მამაა და ეს მახარებს. საქართველოში ასეთი მამების დეფიციტია. მიშას შემიძლია ისე ვანდო მოსე, როგორც საკუთარ თავს. დაბანს, საჭმელსაც გაუკეთებს, გაასეირნებს, წიგნსაც წაუკითხავს და დააძინებს კიდეც.

**მიშა**: მარი რომ მოვა, მეორე ბავშვსაც დავახვედრებ გაკეთებულს... თავიდან ისიც არ ვიცოდი, შვილთან როგორ უნდა მეთამაშა. მაიმუნობა არ მიჭირს, მაგრამ ბავშვთან ბავშვურად როგორ უნდა მეთამაშა, ამას ვერ ვხვდებოდი. უმჯობესია, მშობლებმა შვილი მარტოებმა გაზარდონ, ეს ოჯახური იდილიისთვის ყველაზე კარგია.

**— მოსეს ხშირად ტუქსავთ?**

**მიშა**: მოსე ზუსტად ისეთია, როგორიც მე ვიყავი და როგორიც მინდოდა, ყოფილიყო. ახლა ვხვდები, რა მძიმე და ამავდროულად რა კარგი ბავშვი ვყოფილვარ. მოსე ჩემზე ორმაგად მოძრავი და მოუსვენარია, რაც ძალიან მახარებს.

**მიშა: „მოსე ზუსტად ისეთია, როგორიც მე ვიყავი და როგორიც მინდოდა, ყოფილიყო. ახლა ვხვდები, რა მძიმე და ამავდროულად რა კარგი ბავშვი ვყოფილვარ".**

ბავშვობაში მე ჭაში „მასტიკა“ ჩავასხი, მოსე უფრო შემოქმედებითად მოიქცა და თავისი პიჟამა უნიტაზში ჩარეცხა. ასე რომ, მჯობნის. ასეთი ბავშვები მშობლებს ძალიან ღლიან, მაგრამ უმოქმედო ბავშვის ატანა უფრო რთული იქნება. მოსესაც თუ ჩემსავით გიტარაზე დაკვრა ეყვარება, ძალიან გამიხარდება. მას დედის სილამაზე აქვს, სტრატეგიულობა და მიზანსწრაფულობა კი მამისა გამოჰყვა. უბრალოდ ფერი ვერ დავსვი.



ოჯახი

**— შვილისთვის იშვიათი სახელი დაგირქმევიათ. სახელი მოსე რატომ შეარჩიეთ?**

**მარი**: მინდოდა, შვილისთვის იშვიათი სახელი დამერქმია და თან ისეთი, რომ უცნაურად არ გაჟღერებულიყო. სიმართლე გითხრათ, იცით, ეს იდეა საიდან მომივიდა? კრის მარტინი ჩემი საყვარელი მომღერალია და მოსე მის შვილს ჰქვია. მიშა ცოტა ორჭოფობდა, ფიქრობდა, ეს სახელი კულტურული კონტექსტიდან ამოვარდნილი არ იყოსო. ვინც გაიგო, ზოგს ძალიან უცნაური რეაქცია ჰქონდა, ზოგსაც მოეწონა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მოსე ბიბლიური სახელია. მგონი, ეს სახელი მხოლოდ ბაბუაჩემს მოეწონა. ის მოძღვარი გახლავთ.

**— მოძღვარი ბაბუა თქვენი მეუღლის საქმიანობას როგორ აფასებს?**

**მარი**: მიუხედავად იმისა, რომ ბაბუა 87 წლისაა, სხვადასხვა საკითხისადმი ჯანსაღი დამოკიდებულება აქვს. შეიძლება მისთვის ბევრი რამ მისაღები არ იყოს, მაგრამ პატივს სცემს იმ ხალხს, ვისთვისაც ის საკითხი მნიშვნელოვანია.

**მიშა**: მამა ლეონტი ლიბერალური და ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანია. ის არ ფიქრობს, რომ თუ გოგოს ეკრანზე ან ქუჩაში ჭიპი უჩანს, ეს მართლმადიდებლობის შეურაცხყოფაა. არატრადიციული ორიენტაციის ადამიანს ან მსუბუქი ყოფაქცევის ქალს თუ განვასახიერებ, არ ფიქრობს, რომ ეს მათი პროპაგანდაა. არსებობენ მოძღვრები, რომლებსაც ჩემთვის ასეთი რალაცეები დაუბრალებიათ — მომიტევეთ, რასაც გეუბნებით, მაგრამ მომივიდა ინფორმაცია, რომ თქვენ მამათმავლობას ავრცელებთო.

ჯანსაღი აზროვნება ძალიან ბევრ საკითხში გვაკლია. შეიძლება ვინმემ მითხრას, მეტალი სატანურია და კლასიკური მუსიკა ღმერთის მუსიკააო. ამას მე გაუნათლებლობას ვეძახი. ამის წინააღმდეგ პროტესტი რომ გამოთქვა, შეიძლება ეროვნული ფასეულობების დამგმობიც კი გიწოდონ.

**— ოჯახში როგორი ტრადიციები გაქვთ, მშობლებს ხშირად ნახულობთ?**

**მიშა**: მამაჩემი უფრო ხშირად მოდის. ძალიან მეგობრული მამა მყავს და მასთან ერთად სუფრასთან ჩაჯდომა მიყვარს. მარის მამამთილზე მზე ამოსდის.

**მარი: „მიშა კარგი მამაა და ეს მახარებს. საქართველოში ასეთი მამების დეფიციტია".**

**მარი**: მასთან ძალიან კარგი დამოკიდებულება მაქვს, ვმეგობრობთ, სხვადასხვა თემებზე ხშირად ვსაუბრობთ.

**— მიშა, თქვენ როგორ მოგწონთ სიდედრი?**

**მიშა**: არაჩვეულებრივი ქალია. როგორც მარის გაუმართლა ჩემში და მე — მასში, ასევე გამიმართლა სიდედრ-სიმამრში. შეიძლება სიდედრს დედას არ ვეძახი, მაგრამ ჩემდამი დამოკიდებულებით დედას უტოლდება.

**მარი**: დედამთილთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ დედას ნამდვილად არ ვეძახი.

**მიშა**: ამ თემაზე ინტენსიური დიალოგები



Cyan Magenta Yellow Black

მიდის და მარის დედაჩემისთვის დედას მალე დავაძახებინებ.

**— მიშა, მარი როგორი მზარეულია?**

**მიშა**: რასაც აკეთებს, ძალიან გემრიელი გამოსდის. დიდ მზარეულობას კი არც მე ვითხოვ მისგან. მარიმ სადილი რომც არ მოამზადოს, არ არის პრობლემა, მაგრამ მაინც ვახსენებ ხოლმე, დამახვედროს. არ მინდა, ეს ქართული ტრადიცია დაირღვეს. ერთადერთი პრობლემა მაწუხებს — ღიპი ვერ დავიდე.

**მარი**: მიშამ ღიპი რომ არ დაიდოს, ამაში ხელს მე ვუწყობ.

**— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

**მარი**: შაბათ-კვირას ვცდილობთ, მიშა აინშტაინის რეჟიმში ჩაჯდეს და გამოიძინოს. ამ დღეებს მოსეს გართობას ვუთმობთ, ქალაქგარეთ გაგვყავს ან მთაწმინდის პარკში ვასეირნებთ. მიშას რთული გრაფიკისა და ბავშვის გამოც მე და მიშა ერთად გასვლას ხშირად ვერ ვახერხებთ.

**მიშა: „მარის ვეუბნები, „კომედი შოუს" სულ უყურის. მაინც იცოდეს, რითი ჭამს პურს".**

**მიშა**: ხანდახან, როცა ბავშვს ვერ ვტოვებთ, ღამის კლუბში მარი მიდის დაქალებთან ერთად ან მე მივდივარ. არ ვარ აზიატი ქმარი. შემიძლია ცოლი ღამის კლუბში მარტოც გავუშვა. უბრალოდ ვაფრთხილებ ხოლმე, თუ ვინმე შენკენ წამოვიდა, წიხლი კუჭის თავში ჩაარტყი-მეთქი.

**მარი**: მიშა ისეთი ქმარია, ქალი უკეთესს ვერც ინატრებდა. პირველ რიგში, ის ჩემი მეგობარია. ერთმანეთთან ძალიან ჯანსაღი ურთიერთობა გვაქვს, პრობლემას არაფერში მიქმნის.

**მიშა**: ერთი პრობლემა გვაქვს, რამდენიმე თვე გადის და მერე გვახსენდება, რომ ამ ხნის განმავლობაში საერთოდ არ გვიჩხუბია. ეს გაგვახსენდება თუ არა, შეიძლება იმ დღესვე ძალიან უბრალო რაღაცაზე მოგვივიდეს კამათი.

**მარი**: იცით, ბოლოს რაზე ვიკამათეთ? მე მინდოდა, რომ ძილის წინ ჭურჭელი დამერეცხა და მიშა მეუბნებოდა, დილით გარეცხეო.

**— მიშა, მარი ბუტია ცოლია?**

**მიშა**: მე უფრო ბუტია ვარ.

**მარი**: გულში წყენის დიდხანს ჩადება არ შემიძლია, მალე ვივიწყებ. ჩვენი შეცდომების აღიარება არც ერთს გვიჭირს, მიშას ჩემ შემოსარიგებლად სამკაულების ჩუქება ნამდვილად არ სჭირდება.

**მიშა**: მთავარი სწორედ ესაა — აღიარებისა და თვითკრიტიკის უნარი ორივეს გვაქვს. ადამიანში და, მით უმეტეს, ქალში ამას ძალიან ვაფასებ. მარისთვის სიურპრიზების კეთება კი ძალიან მიყვარს, მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც სითბოსა და სიყვარულს ვჩუქნი.

**— მარი, მიშას როლები მოგწონთ სკეტჩებში?**

**მარი**: მიშა სკეტჩებში ძალიან სასაცილოა და როცა ვუყურებ, კარგ განწყობაზე ვდგები.

**— ყველაზე მეტად რომელ როლში მოგწონთ?**

**მარი**: ძალიან მომწონდა ციხეში მჯდომი სამართლიანობის მოყვარული რაული. მიშასა და ნიკა გრიგოლიას სკეტჩზე, სადაც ნიკა დავით აქუბარდიას ასახიერებდა და მიშა — გუბაზ სანიკიძეს, ძალიან მეცინებოდა. ერთად ხუმრობა კარგად გამოსდიოდათ. მიშა და თათია მეძავების როლშიც ძალიან სასაცილოები არიან.

**მიშა**: მარის ვეუბნები, „კომედი შოუს" სულ უყუროს. მაინც იცოდეს, რითი ჭამს პურს, რომ ყოველთვის ახსოვდეს, მის ქმარს რამხელა შრომა და ჯაფა უწევს. უყურე, იცინე, იმხიარულე და სიბრძნე დაინახე-მეთქი, ვეუბნები და მიჯერებს კიდეც.

**— მარი, ქალის როლშიც მოგწონთ ქმარი?**

**მიშა**: მთავარია, უკადრებელი არ ვიკადრო, თორემ...

**მარი**: ამ ყველაფერს ძალიან ჩვეულებრივად ვუყურებ. სხვათა შორის, მიშას ჯიმ კერის ვადარებ. ამ მსახიობს ქალის არაერთი როლი აქვს შესრულებული. ძველ საბერძნეთშიც კაცები ასრულებდნენ ქალის როლს.

**მიშა**: მეტი კომპლიმენტი რა გინდათ მეუღლისგან? ჯიმ კერის მადარებს!

**— მიშა, თქვენი როლებისთვის საკუთარი ცოლისგან რაიმე თვისება მოგიპარავთ?**

**მიშა**: ღმერთმა დამიფაროს, ამისთვის ცოლი დამჭირდეს! ჩემი პერსონაჟები შეიძლება ეკრანზე სასაცილოები არიან, მაგრამ ისინი ცხოვრებაში ძალიან მძიმე ასატანები იქნებიან. მაგალითად, ისეთი ქალი, როგორიც ნანული იყო თავისი ქცევებით, თუნდაც ისეთი პროვოკატორი კაცი, რომელიც ნებისმიერი მთავრობის უკმაყოფილოა და მუდმივად ვილაცასთან კონფლიქტშია...

**— ოჯახურ ცხოვრებაში რას გეგმავთ, მომავლისთვის რას ფიქრობთ?**

**მიშა**: მეორე ბავშვს თუ გულისხმობთ, სამი წელი მაინც უნდა გამოვიძინოთ და მერე ალბათ გამოჩნდება რამე.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

# ნინო ჩხეიძე: „ჩემს შვილში სიმღერის ნიჭს ვერ ვხედავ"



მომღერალ ნინო ჩხეიძეს შვილთან, 9 წლის მარიკო კორახაშვილთან, ისეთი ურთიერთობა აქვს, როგორიც მშობლებს ჰქრნდათ მასთან ბავშვობაში — მეგობრული, სიმკაცრის გარეშე. მასთან ისე საუბრობს, როგორც თანატოლთან. შვილისგან რჩევებსაც იღებს.

ერთადერთი შვილის გაზრდა მომღერალს ბებიებისთვის აქვს გადაბარებული, ბავშვი მათთან ცხოვრობს. როგორც ნინო ამბობს, მათ ერთი დიდი კოალიცია აქვთ შექმნილი და ჯერჯერობით დაშლას არც აპირებენ, ბავშვს ბებიებთან ურჩევნია.

**— ნინო, საკუთარ თავს დედების როგორ კატეგორიას მიაკუთვნებთ?**

— მკაცრიც ვარ და დამთმობიც. მარიკოს ჩემი რიდი აქვს. იმას არ გააკეთებს, რაც არ მომეწონება. მშობლებს ჩემ მიმართაც იგივე დამოკიდებულება ჰქონდათ, არაფერს მიშლიდნენ და მეც არაფერს ვაკეთებდი ისეთს, რაც მათ არ ესიამოვნებოდათ. მარიკოს ყველანაირად გავუგებ, იმას ავუსრულებ, რაც შემიძლია. თუ ეზარება, რაღაც დღეს გააკეთოს, დავუთმობ, მაგრამ ხვალ იგივენაირად თუ მოიქცევა, არ გავუგებ. მასთან ასეთი ურთიერთობა მაქვს.

**— როცა მარიკო გაჯიუტებულია და არ გიჯერებთ, რა მეთოდს მიმართავთ?**

— ისეთი შემთხვევა არ მქონია, რომ ჩემთვის არ დაეჯერებინა. ბავშვობაში მეც ასეთი ვიყავი — დამყოლი. მეც არ მიყვარდა ისეთი რაღაცის გაკეთება, რაც სხვას არ ესიამოვნებოდა. მარიკოც სულ თვალებში მიყურებს, კარგი ბუნების ბავშვია.

**— მის განათლებაში რას აქცევთ მთავარ ყურადღებას?**

— მარიკო თავიდან ფრანგულ სკოლაში შევიყვანე. ძალიან მომწონდა და ვთვლიდი, რომ ყველაზე კარგი სკოლაა, მაგრამ მარიკო ვერ მოერგო. ბავშვი სტრესში იყო და მარტო ჩემი ხათრით დადიოდა. მისი მეგობრები პირველ სკოლაში სწავლობდნენ, ამიტომ იქ გადავიყვანე. ახლა სკოლაში სიარული მოსწონს.

ინგლისურზე დადის. თავის დროზე ვიზრუნე, რუსი ძიძა ავიყვანე, რომ რუსული ენა სცოდნოდა და ახლა ძალიან კარგად იცის, ქართულზე უკეთესადაც. სულ მეუბნება, ნინო, გინდა, რუსული გასწავლოო. ზაფხულობით ცურვაზე ვატარებ. ადრე ცეკვაზე დამყავდა, ახლა კი მინდა, ტანვარჯიშზე შევიყვანო.

**— როგორი მოსწავლეა?**

— კარგად სწავლობს. შარშანაც სულ ათიანები გამოჰყვა. მოლაპარაკებულები ვართ, წელსაც კარგი ნიშნები უნდა ჰყავდეს, რომ მე ვიამაყო.

**— მარიკოს სკოლის ამბებზე, თანატოლებთან ურთიერთობაზე ინფორმაციას სრულად ფლობთ, აქტიურად ხართ მის ცხოვრებაში ჩართული?**

— სკოლის ამბებში საერთოდ არ ვერევი, მარტო ზეიმებზე მივდივარ. დედაჩემი დაჰყვება სკოლაში. არ მიყვარს, როცა მშობელი ბავშვის სკოლის ამბებით ცხოვრობს. ბავშვს თავისუფლება უნდა მისცე. არასდროს ჩავერევი მარიკოს თანატოლების კონფლიქტში. რა პრობლემაც უნდა იყოს, ბავშვმა სკოლაში თვითონ უნდა მოაგვაროს, თუ რამე სასწაული არ ხდება.

**— რას ატყობთ თქვენს შვილს, სიმღერის ნიჭი გამოჰყვა?**

— სიმღერაზე არ დამყავს, მიუხედავად იმისა, რომ ამის სურვილი აქვს. ამ მხრივ მარიკოში განსაკუთრებულ ნიჭს ვერ ვხედავ, ამიტომ მირჩევნია, დრო სხვა რამეში გამოიყენოს. თუ სიმღერის ნიჭი შემდეგში აღმოაჩნდება, დაეხვეწება, გვიანი არ იქნება. ჯობია, ის ნიჭი განავითაროს, რაც აქვს.

**— განსაკუთრებით რისკენ ავლენს მიდრეკილებას?**

— მარიკო ძალიან კარგად ხატავდა. ეს ბოლო წელია →32



Cyan Magenta Yellow Black

ხატვაზე აღარ დადის. მე ძალიან უნიჭო ვარ ხატვაში, მაგრამ მარიკოზე ორსულად რომ ვიყავი, არაფერი მინდოდა, გარდა ფურცლების გაფერადებისა. მთელი დღეები ვაფერადებდი.

— **თქვენს სიმღერებს, გამოსვლებს მარიკო ყოველთვის უყურებს?**

— სულ მიყურებს და მერე მირეკავს, რომ თავისი აზრი მითხრას, თუ როგორ მოეწონა ჩემი კაბა და ა.შ. ინტერნეტში ჩემს „ფეისბუქს“ ადევნებს თვალყურს. თავად ამ საიტზე რამდენიმე გვერდი აქვს გახსნილი.

არა მგონია, სახლში ჩემი სიმღერები ჰქონდეს ჩართული. ალბათ დოზირებულად მისმენს. მგონი, ჩემი ყველა სიმღერა მოსწონს. ბავშვობაში დედა მეც ყველაზე ლამაზი და საუკეთესო მეგონა.



ნინო: „სკოლის ამბებში საერთოდ არ ვერევი, მაინც ზეიმებზე მივდივარ. არ მიყვარს, როცა მშობელი ბავშვის სკოლის ამბებით ცხოვრობს".

— **მცირე ასაკში „ფეისბუქის“ გამოყენების უფლებას აძლევთ?**

— მარიკოს არც კომპიუტერთან ყოფნას ვუშლი. ახლა ისეთი დროა, რომ თანამედროვე ტექნიკას უნდა ფლობდეს. მას ჩემზე კარგად ესმის ეს საკითხი.არ მიყვარს, როცა ბავშვს ზღუდავენ. სჯობს, თვითონ მობეზრდეს რაღაც. რასაც გიშლიან, ის უფრო გინდა. დასჯის მეთოდებს არასოდეს ვიყენებ. ეს არც დამჭირვებია. მთავარია, შვილს მშობლის მიმართ პატივისცემა ჰქონდეს.

— **ღამით რომელ საათზე უნდა დაიძინოს მარიკომ?**

— როცა დაეძინება. დაახლოებით 12 საათზე თვითონ მიდის დასაძინებლად.

— **დედის კოსმეტიკას, სამკაულებს, ტანსაცმელს ალბათ უკვე „იზომებს“.**

— მას თავისი საბავშვო კოსმეტიკა აქვს. ცოტა ხნის წინ ყურებიც გაიხვრიტა. ისეთი ასაკი აქვს, რომ უკვე გაპრანჭვა უნდა, მაგრამ მავნე ბავშვი არ არის და ჩემს კოსმეტიკას არ ერჩის. მინახავს 2 წლის გოგონები, რომლებიც უკვე მაღალ ქუსლებზე სიარულს ითხოვენ. მარიკო ასეთი ტიპაჟი არაა. უფრო დამჯდარი და დაფიქრებულია. ხანდახან მგონია, რომ ჩემზე დიდია. იმდენად სხვანაირად აზროვნებს, რომ ჩვეულებრივად შეგიძლია რჩევა ჰკითხო. რომ დამირეკავს, საქმეზე დამელაპარაკება. მე თუ მაინც გავაგრძელებ მასთან საუბარს, მშვიდად მპასუხობს, კარგი, დე, აღარ მცალიაო. რაღაცნაირი მოზომილი და დიპლომატი ბავშვია.

— **ამ თვისებით ვის ჰგავს, მამას თუ დედას?**

— მე არც ხასიათით მგავს, არც გარეგნობით და არც არაფრით. მამას ჰგავს. ერთმანეთს უსიტყვოდ უგებენ.

— **როგორც ვიცი, მარიკო თქვენს მშობლებთან ცხოვრობს და იქ იზრდება. თქვენთან გადმოსვლას არ ითხოვს?**

— დიახ, ბებიებთან იზრდება — დედაჩემთან და ჩემს ბებოსთან, დედაჩემის დედასთან. ისინი თავისიანები არიან, მათ თავიანთი კოალიცია აქვთ. მითქვამს, რომ ჩემთან წამოსულიყო საცხოვრებლად, მაგრამ თავს არიდებს. ამბობს, ხვალ ან ზეგ წამოვალო. ყველა ბებო ალბათ დამთმობია და გამონაკლისი არც ჩემები არიან. ჩემთან რომ იზრდებოდეს, მის მიმართ ალბათ უფრო მკაცრი და მომთხოვნი ვიქნებოდი, თუმცა ვერ ვიტყვი, ეს რამდენად კარგი იქნებოდა. ძალიან რბილი ხასიათი მაქვს, მაგრამ როცა ადამიანი მიყვარს, მის მიმართ ასმაგად მომთხოვნი ვარ. ბუნებით მაქსიმალისტი ვარ და იმ ადამიანისგანაც მაქსიმუმს ვითხოვ, ვინც მიყვარს. მარიკოსაც მაქსიმუმს მოვთხოვდი, ამიტომ ალბათ კარგია, ბებოსთან რომ ცხოვრობს.

— **ეს მის ხასიათზე როგორ მოქმედებს, როგორ თვისებებს უყალიბებს?**

— მიხარია, მარიკო რომ დედაჩემთან იზრდება, რადგან სხვანაირად დამთმობია. მახსოვს, ჩემს თანატოლებს თავიანთი მშობლების ეშინოდათ. მე კი დედის მიმართ შიში არასდროს მქონდა, მეგობრები ვიყავით. საყიდლებზე ერთად დავდიოდით, რაც მინდოდა, იმას მისრულებდა. ერთად ვაგროვებდით ფულს იმ ნივთის შესაძენად, რაც მინდოდა...

— **მარიკოს თქვენც ყველაფერს უსრულებთ?**

— უფრო სწორი იქნება, ვთქვა, რომ არ ვატუტუცებ. ადამიანმა რეალობის და ცხოვრების აღქმის უნარი არ უნდა დაკარგოს. შეიძლება დღეს რაღაც არ ვუყიდო და ვუთხრა, რომ ამის საშუალება არ არის, ხვალ კი სურვილი შევუსრულო. ბავშვს ყველაფერი არ უნდა ჰქონდეს და არ უნდა იფიქროს, რომ მისთვის ყველაფერი ხელმისაწვდომია. ცხოვრებაში ყველაფერი არ არის ხელმისაწვდომი და ამას თავიდანვე თუ არ მიხვდება, დეპრესიაში ჩავარდება. ჩემი შვილი გათამამებული არ გაიზრდება.

ახლა ვაპირებ, მარიკოსთან ერთად პარიზში წავიდე. აქამდე საზღვარგარეთ არ ყოფილა. უკვე დიდი გოგოა, დაიმახსოვრებს ყველაფერს. თან კარგად სწავლობს.

— **მოსწონს დედისერთას სტატუსი?**

— უნდა, რომ ძმა ჰყავდეს, მაგრამ ამასაც გაგებით ეკიდება, იცის, რომ ჯერ არ მცალია.

— **როცა შვილის მომავალზე ფიქრობთ, რა პროფესიაში ხედავთ ან საერთოდ როგორი წარმოგიდგენიათ მისი ცხოვრება?**

— ეს დაგეგმილი არ მაქვს. არც იმაზე ვფიქრობ, როგორ ბიჭს უნდა გაჰყვეს ცოლად. მის ცხოვრებაში ალბათ არასდროს ჩავერევი, რადგან ვთვლი, რომ ყველამ ისე უნდა იცხოვროს, როგორც თავად თვლის საჭიროდ. შეცდომებისგან თავი რომ დაიცვას, რა თქმა უნდა, რჩევებს მივცემ, გამოცდილებას გავუზიარებ, ჩემს აზრს ვეტყვი, მაგრამ არაფერში ჩავერევი. მარიკო პროფესიას თვითონ აირჩევს. მე ზოგად განათლებას მივცემ, უცხო ენებს ვასწავლი, რაშიც ძლიერია, იმაში ხელს შევუწყობ და ა.შ.

— **გსურთ, მარიკოც გახდეს პოპულარული თუ არ გემეტებათ იმისთვის, მუდმივად ხალხის ყურადღების ქვეშ იყოს?**

— მარიკო კარგად ხედავს, ცხოვრების რა სტილი მაქვს. თუ ეს ყველაფერი თვითონ ენდომება, იყოს პოპულარული. მე ვეტყვი, ამას კარგი რა მოჰყვება და ცუდი რა იქნება, არჩევანი კი თავად გააკეთოს.

— **პოპულარობის ცუდი მხარე რა არის?**

— ცუდი — არა, უფრო რთულია ის, რომ ყველა შენი ცხოვრებით ინტერესდება. რთულია, რომ ყოველდღე, კარგ ხასიათზე ხარ თუ ცუდზე, მაინც უნდა იღიმებოდე, სულ ფორმაში უნდა იყო. შენი ცხოვრება რაღაც მომენტში უკან გაქვს გაწეული. თუნდაც უფლება არ გაქვს, რომ გინდოდეს, მთელი დღე სახლში იყო ან სადმე წახვიდე ერთი თვით. იმიტომ კი არა, რომ ვინმე გიჭერს, უბრალოდ იმდენად გიყვარს ეს პროფესია თუ სიტუაცია, რომ ყველანაირად მასში ხარ ჩართული.




ნინო: „მინახავს 2 წლის გოგონები, რომლებიც უკვე მაღალ ქუსლებზე სიარულს ითხოვენ. მარიკო ასეთი ტიპაჟი არაა. უფრო დამჯდარი და დაფიქრებულია. ხანდახან მგონია, რომ ჩემზე დიდია. იმდენად სხვანაირად აზროვნებს, რომ ჩვეულებრივად შეგიძლია რჩევა ჰკითხო".

— **რა არის ის მთავარი ღირებულება, რომელსაც შვილს უნერგავთ?**

— მინდა, რომ კარგი ადამიანი იყოს, ინდივიდუალური და განათლებული. ვთვლი, რომ ეს ყველაფერი ოჯახიდან მოდის. სიყვარული რომ ეცოდინება და ადამიანი იქნება, წარმატებას აუცილებლად მიაღწევს.

■

— **მარიკო, დედიკოს არასდროს აბრაზებ?**

— ნინო მკაცრი დედა არ არის, არასდროს მეჩხუბება. მეც კარგი შვილი ვარ. ცელქი არასდროს ვყოფილვარ.

— **დედის სიმღერები მოგწონს?**

— დედას სიმღერები ძალიან მომწონს. რჩევებსაც ვაძლევ, ვეუბნები, როგორი კლიპი უნდა გადაიღოს. კლიპზე „მიყვარხარ ცამდე“ მე ვუთხარი, რომ ცოტა ძველებურ სტილში გადაეღო და გაითვალისწინა.

— **როცა გაიზრდება, რა გამოხვალ?**

— ჯერ არც მე მომიფიქრებია, რა უნდა გამოვიდე. ძალიან მიყვარს მათემატიკა, მაგრამ მათემატიკოსობა არ მინდა.

✓ **მანანა ნოდია**

# თემო მჟავიას დაუჯერებელი გადარჩენა

## „ჩვენი ძვირადღირებული ოპერაციები ბერამ თავის თავზე აიღო"

ჟოუმენი თემო მჟავია 8 თვის წინ სიკვდილს გადაურჩა. მისი მოტოციკლეტი ტაქსის შეასკდა და შეჯახება ისეთი სიძლიერის იყო, თემო ჯერ ჰაერში ავარდა, შემდეგ მანქანის სახურავს დაენარცხა და იქიდან ასფალტზე დავარდა. მისი რკინის ჩაფხუტი ნამსხვრევებად იქცა, მოტოციკლეტი შუაზე გატყდა...

რეაბილიტაციის პერიოდი დღემდე გრძელდება. 6 თვე იწვა, შემდეგ ინვალიდის ეტლში გადასვეს, მერე კი ყავარჯნების დახმარებით მოძრაობდა. ხელსა და ფეხში რკინები აქვს ჩადგმული.

ფაქტობრივად მეორედ დაბადებულმა თემომ ამ ავარიის შემდეგ თავისი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. სხვა ფასეულობები გახდა მისთვის მნიშვნელოვანი. ამ შემთხვევამ ბევრ რამეზე დააფიქრა და საბოლოოდ ოჯახის შექმნაც კი გადააწყვეტინა. ამ ყველაფერზე თემო მჟავია „სარკეში" საუბრობს:

— სამსახურიდან გამოსული რაღაც საქმეზე ჩემი საყვარელი მოტოციკლეტით მივდიოდი. თავზე ჩაფხუტი მეფარა. ჭავჭავაძეზე, უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან, ვიღაც ისე ხმამაღლა მეძახდა, მოტოციკლეტი გავაჩერე. აღმოჩნდა, რომ დათო გოგიშვილი („კომედი შოუდან" ცნობილი მეტსახელით „ციყვი". ავტ.) მეძახდა. ბანკში მივდივარ და, გამოგყვებიო, მითხრა. „მზიურთან" შუქნიშანი რომ არის, იქ წითელზე გავჩერდი. მწვანე აინთო თუ არა, მოტოციკლეტიც დავძარი. 3 წამში 100 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებდა. ამ დროს, საპირისპირო მხრიდან მანქანა წამოვიდა და იქ შემოუხვია, სადაც შემოხვევა არ შეიძლებოდა. როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ეს მანქანა ტაქსი იყო და მოძრაობის წესი დაარღვია, ღერძულა ხაზი გადმოკვეთა. ისე სწრაფად შემოუხვია, ვერაფრის გაკეთება მოვასწარი, ერთი წამიც კი არ მქონდა ფიქრისა ან მანევრირებისთვის. მოკლედ, მანქანამ წინ ჩამიარა და მე გვერდიდან შევასკდი.

ჰაერში ძალიან დიდი ხანი ვიფრინე. ამდენი არასდროს მიფრენია. ეს პროცესი დიდხანს გაიწელა. შეჯახების დროს ჰაერში ზემოთ ავვარდი. შემდეგ იმ მანქანას, რომელსაც შევეჯახე, სახურავზე დავეცი, თავი ისე დავარტყი, რომ ჩაფხუტი გატყდა და მომძვრა. მანქანის სახურავიდან ასფალტზე დავვარდი და ახლა იქ დავარტყი თავი. თუმცა მანქანიდან ასფალტამდე მცირე მანძილი იყო და თავს სერიოზული დაზიანება არ მიუღია. წარბი გამისკდა და მთელი სახე სისხლში მქონდა მოსვრილი. რამდენიმე წამი ტკივილი საერთოდ არ მიგრძვნია, მაგრამ მერე ყველაზე საშინელი ტკივილი დაიწყო, რაც კი ოდესმე ცხოვრებაში განმიცდია. ყველაზე მეტად, ხელი და ფეხი მტკიოდა. მინდოდა, ხელზე დამეხედა, მაგრამ ვერ ვიპოვე. როცა მანქანიდან ჩამოვვარდი, მოტეხილ ხელზე დავეცი და ხელი შიგნით მქონდა, მხოლოდ ძვალი ჩანდა. ამ დროს საერთოდ გავგიჟდი, მეგონა რომ ხელი მომძვრა. მეორე ხელზე დავიხედე, სისხლიანი იყო. ჯინსის შარვალი მეცვა და ფეხზე რომ დავიხედე, იქიდან ძვლის თავი ჩანდა. გავიფიქრე კიდეც, ალბათ ადამიანები ასე კვდებიან-მეთქი და ვიფიქრე, ცოტა ხანში მეც მოვკვდები-მეთქი.

— **დათოს რა დაემართა?**

— უცებ გამახსენდა, რომ უკან „ციყვი" მეჯდა. ყვირილი დავიწყე, სად ხარ-მეთქი, გადავრჩი, კარგად ვარო, ხმა გავიგონე. ხელი ჰქონდა მოტეხილი, ვერ დგებოდა, ასულიერებდნენ. შეჯახებისას ისიც აფრინდა, მაგრამ ადგილზევე დაეცა. დაცემისას ხელი დაახვედრა და მარცხენა ხელზე თითქმის ყველა ძვალი ჩაემტვრა. მე ძირს ვედგე, საშინელი ტკივილი მქონდა, ვნატრობდი, გონება მაინც დამეკარგა, რომ ეს ყველაფერი დამთავრებულიყო.

— **ვინ დაგეხმარათ, რა მოიმოქმედეს?**

— ისეთი მძიმე სანახავი ვიყავი, ახლოს არავინ მოდიოდა. ძვლები მიჩანდა, სახე სისხლიანი მქონდა, ფეხსაცმლები ცალკე ეყარა, მოტო შუაზე იყო გადატეხილი... საშინელი სურათი იყო.

ტაქსის მძღოლი მოვიდა, ჩემს ხელში აყვანას ცდილობდა, პატრულისთვის თავი რომ აერიდებინა, რადგან ეს ავარია ყველა ვარიანტში მისი ბრალი იყო. ვიცი, რომ ასეთი შემთხვევისას ადამიანის განძრევა არ შეიძლება, ვუყვირე, რომ არ მომკარებოდა. ერთ ბიჭს ვთხოვე, მოსულიყო, ჯიბეში ტელეფონი ენახა და ჩემებისთვის დაერეკა. ამასობაში ხალხმა სასწრაფოში დარეკა. იმ დროს ჭავჭავაძეზე „ლიბერთი ბანკი" იწვოდა და სასწრაფო დახმარების მანქანები იმ მიმართულებით მიდიოდნენ. ვიღაც ბიჭები გადაუდგნენ, ერთმა არ გააჩერა, მეორემ გააჩერა. იმ დროს უკვე ტკივილს ველარ ვუძლებდი და ასფალტს თავს ვურტყამდი, რომ იქნებ გავთიშულიყავი.

> **„ტკივილს ველარ ვუძლებდი და ასფალტს თავს ვურტყამდი, რომ იქნებ გავთიშულიყავი".**

სასწრაფომ კისრის დამცავი გამიკეთა, ტკივილგამაყუჩებლები გამიკეთეს. ერთი ექიმი ჩემთან მოვიდა, მეორე — დათოსთან. ეს ექიმი ახალგაზრდა ბიჭი იყო, სხვათა შორის, ვეძებ, ძალიან დამეხმარა, მაგრამ ვერ ვიპოვე. ამ ინტერვიუს თუ წაიკითხავს და გამომეხმაურება, კარგი იქნება, მადლობა მინდა გადავუხადო.

საავადმყოფოში მუცლის ღრუს რენტგენი გადამიღეს, მაგრამ უცებ აღმოჩნდა, რომ ვიგუდებოდი, ვერ ვსუნთქავდი. თურმე ფილტვი გამიჩერდა. დიდი შლანგი მოიტანეს, კისერთან ჩამიხვრიტეს და იქიდან ფილტვში ჩაიტანეს. ეს იმაზე მტკივნეული იყო, რაც ავარიისას მეტკინა...

— **ოპერაცია გაგიკეთეს?**

— ხელზე და ფეხზე გამიკეთდა ოპერაცია. საოპერაციოში ღამის 12 საათზე შემიყვანეს და დილის 7 საათზე გამომიყვანეს. ხელზე და ფეხზე ძვალი დაფშვნილი იყო, დარჩენილი ძვლები ერთმანეთს მიადეს, ძვალს რკინა დაადეს და ჩაახრახნეს. ეს რკინები ერთი წელი აუცილებლად უნდა მქონდეს, შემდეგაც შემიძლია დავიტოვო, მაგრამ რად მინდა?

— **ტაქსის მძღოლი, რომელიც დაგეჯახათ, საავადმყოფოში წამოგყვათ?**

— სხვათა შორის, ტაქსის მძღოლს უბრალოდ გაუმართლა, რომ ბერა ივანიშვილი ჩემი მეგობარია, რადგან ოპერაციები, რომლებიც



> **„მინდოდა, ხელზე დამეხედა, მაგრამ ვერ ვიპოვე. როცა მანქანიდან ჩამოვვარდი, მოტეხილ ხელზე დავეცი და ხელი შიგნით მქონდა, მხოლოდ ძვალი ჩანდა... ჯინსის შარვალი მეცვა და ფეხზე რომ დავიხედე, იქიდან ძვლის თავი ჩანდა. გავიფიქრე კიდეც, ალბათ ადამიანები ასე კვდებიან-მეთქი".**

ჩვენ ჩაგვიტარდა, ძალიან ძვირი დაჯდა, რაც თავის თავზე ბერამ აიღო. მძღოლი მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა, ისიც იმიტომ, რომ გაეგო, მოვკვდი თუ გადავრჩი, თავის თავზე ზრუნავდა. იმის შემდეგ არც გამოჩენილა. იმასაც ღმერთი მიხედავს, როგორც მე.

აქვე, ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ექიმს, ჯემალ სახვაძეს, რომელმაც ოპერაცია იდეალურად გამიკეთა.

— **საავადმყოფოში დიდი ხანი იწექით?**

— დაახლოებით ერთი კვირა. რეანიმაციაში ყოფნის პერიოდი ყველაზე ცუდად მახსენდება. ვცდილობდი, რომ ერთი წერტილისთვის მეყურებინა და რეანიმაციაში მომაკვდავი ადამიანები არ დამენახა. სახლში 6 თვე ვიწექი. ნევროზი დამემართა. შემდეგ ეტლით სიარული, სეირნობა დავიწყე. ყავარჯნით დიდი ხანი დავდიოდი. ქუჩაში ერთმა ადამიანმა თავისი დაზიანებები მანახა — მე-8 სართულიდან გადმოვარდნილა. ყველაფერი რკინის ჰქონდა, მუხლიც კი. 5 თუ 6 თვე ყავარჯნით დავდიოდი, რომ არ გადამეგდო, ჩემით ვერასდროს გავივლიდიო, მითხრა. სრულიად უცნობმა ადამიანმა დიდი ფსიქოლოგიური დახმარება გამიწია. როგორც იმ დღეს ღმერთმა გადამარჩინა, ისე ღმერთმა გამომიგზავნა ის კაციც. იმდენი მესაუბრა, ყავარჯენი იქვე ნაგვის ურნაში ჩავაგდე და ჩემი ფეხით წამოვედი.

— **ბევრჯერ თქვით, უფალმა გადამარჩინაო. ამ შემთხვევამდე რწმენისადმი როგორი დამოკიდებულება გქონდათ?**

— ბევრი მეუბნება, ალბათ უფალმა სერიოზულ საფრთხეს გადაგარჩინაო. მე კი, ვთვლი, რომ უფალმა დრო მომცა, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში რაღაცებზე რომ მეფიქრა, იმიტომ რომ სხვა საქმეებით ძალიან გართული ვიყავი. ღმერთმა მითხრა — ცოტა დაფიქრდი, როგორ ცხოვრობ, დრო ხომ არ მოვიდა, რომ შენს ცხოვრებაში რამე შეცვალო?

— **დაფიქრდით და შეცვალეთ?**

— ძალიან ბევრი რაღაც. ახლა მე იმ ადამიანთან ერთად ვცხოვრობ, რომელთანაც მანამდე არ ვცხოვრობდი, ანუ ცოლი მოვიყვანე. ჩემი მეუღლე ნასტია დივოა, მოსკოვიდანაა, თუმცა თბილისში გავიცანი. მანამდე ამ საკითხზე სერიოზულად არ ვფიქრობდი, მაგრამ ამ შემთხვევის შემდეგ მივხვდი, რომ სიყვარული ამ ცხოვრებაში ბევრ რაღაცაზე მნიშვნელოვანია. გადავწყვიტე, რომ მარტო აღარ ვყოფილიყავი, რადგან არავინ იცის, როდის მოვკვდებით. ჩემში ფასეულობების სრული გადაფასება მოხდა. რაღაც 5 პროცენტი დამრჩა იმისა, რაც აქამდე მქონდა.

— **მოკლედ, ამქვეყანას მეორედ მოევლინეთ.**

— ნამდვილად! ჩემს მეგობრებს იდეა აქვთ, სადაც ავარია მომივიდა, იქ პატარა მემორიალური დაფა გააკეთონ წარწერით: „აქ დაიბადა თემო მჟავია".

— **დაბოლოს, დაჯდებით კიდევ მოტოზე?**

— მოტოზე ასე ადვილად ვერ იტყვი უარს. ერთ დროს დავჯდები ალბათ. სხვათა შორის, ერთხელ გავისეირნე, მინდოდა შემემოწმებინა, შიში მქონდა თუ არა. ძალიან ფრთხილი გავხდი.

✓ **ეკა ლემონჯავა**



# რამაზ საყვარელიძე „ახალგაზრდა“ მანქანას ეძებს

## „გახახუნების სიყვარულით ერთ ქალს მანქანაზე გავეხახუნე...“

ცნობილი ფსიქოლოგისა და პოლიტოლოგის, რამაზ საყვარელიძის „მერსედესი“ 14 წლისაა და მექანიკური მართვა აქვს. უდროო დროს რომ არ ჩააკვდეს ხელში, პატრონი მის გამოცვლაზე უკვე სერიოზულად ფიქრობს. ეს მისთვის მეორე მანქანაა. მანამდე მამის, ცნობილი მსახიობის, ტარიელ საყვარელიძის „ჟიგულს“ მართავდა, რომელსაც მისი მეგობრები ნოდარ დუმბაძის ცნობილი „პერსონაჟის“ სახელს — ფაქიზოს ეძახდნენ. ფაქიზო პატრონს მანამდე ემსახურა ერთგულად, სადამდეც შეძლო, ერთ დღეს კი სამუდამოდ გაჩერდა. ალბათ უკვე მიხვდით, რომ ბატონი რამაზი მანქანებს ადვილად ვერ ელევა, მათ მიმართ ერთგულების გრძნობა აქვს. თავადაც ამბობს, „შეჩვევისტი“ ვარო.

**— ბატონო რამაზ, შეგიძლიათ თქვენი პირველი ავტომობილი და საჭესთან პირველი შეხება გაიხსენოთ?**

— ადრე ავტომობილი არ მჭირდებოდა. ვაკეში ვცხოვრობდი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ ვსწავლობდი და შემდეგ ვასწავლიდი. მანქანას მას შემდეგ დავუახლოვდი, რაც მამა ამ საქმისთვის უკვე შეუძლოდ იყო და მისი მდგომარეობა მანქანით მომსახურებას ითხოვდა. ეს ყოველივე იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ჩემი სამოძრაო არეალიც გაიზარდა, პარლამენტში დეპუტატი ვიყავი. სანამ ტყუილად გაჩერებულ მანქანას ეშმაკები დაეპატრონებოდნენ, მამაჩემის „ჟიგულზე“ დავჯექი. 1993-1994 წლები იქნებოდა.

**— გვიან მოგიწადინებიათ მანქანის მართვა. რა სირთულეები გადალახეთ?**

— ძალიან იოლად ავითვისე და პირველი ავარიაც იოლად გავაკეთე. როცა უკვე ჩავთვალე, ეს „ცხენი“ ჩემს ჭკუაზე დადის-მეთქი, გაზის სატერფულს ფეხი მივადგი და... ბედად, ჩემი მანქანის მსხვერპლი გაჩერებული ავტომობილი აღმოჩნდა და არა —

**„როცა ხედავ, მანქანა ისე მოძრაობს, არანაირ ლოგიკას არ ემორჩილება, ესე იგი საჭესთან ყველაზე მომხიბვლელი, არალოგიკური ადამიანი ზის — ქალი“.**

ცოცხალი არსება. რა თქმა უნდა, ორივე მანქანის შეკეთება მომიწია, მაგრამ ჩემი „ჟიგული“ დიდხანს დადიოდა შეუღებავი. ის მანქანა თითქმის ჩვენი ოჯახის წევრი იყო, ჩემი ერთი მეგობარი მას ფაქიზოს ეძახდა.

**— დიდხანს გაგიძლოთ „ფაქიზომ“?**

— ჩემმა „ჟიგულმა“ ბოლოს უკვე მითხრა, აღარ მოვუხვევო. მაინც მოვუხვიე და მერე საჭემ თქვა, აღარ გავსწორდებიო და დარჩა იმ მდგომარეობაში. აქედან უკვე მივხვდი, რომ იმ მანქანაზე დაჯდომა აღარ შეიძლებოდა და ზუსტად 4 წლის წინ „მერსედესზე“ გადმოვჯექი, ოღონდ ისე, რომ „ჟიგული“ არ გამიყიდია, რადგან იქიდან მაინც არაფერი დამრჩებოდა. როგორც იტყვიან, ბორბლიდან ბორბალზე გადავჯექი.

**— „ჟიგულის“ მერე „მერსედესი“ კარგი გადასვლაა. ეს ბრენდი მიზანმიმართულად აირჩიეთ თუ თავისთავად გამოვიდა ასე?**

— ეს ბრენდი, პირველ რიგში, გამძლეობით გამოირჩევა. თან მექანიკა ვარჩიე, რადგან იმის დრო არ მქონდა, ახალი ჩვევები ამეთვისებინა. ავტომატიკას მაინც თავისი სპეციფიკა აქვს. ავტომატური მართვის მანქანაზე რამდენჯერმე დავჯექი კიდეც, მაგრამ

**„ვისაც ჩემი პოზიცია არ მოსწონს, აუცილებლად უარესად მაჯაირებს“.**

არ მომეწონა — ავტომობილი თავის ჭკუაზე მიდის, ჩემს განცდებში ვერ შემოდის და ნაკლებად მელაპარაკება. ამ მანქანის შეძენის ძირითადი მოტივი კი ის იყო, რომ ადამიანს, ვისგანაც ეს შევიძინე, ავტომობილები თვითონ ჩამოჰყავდა გერმანიიდან. მითხრა, ამით ჩამოვედი და ამხელა გზას ისე გაუძლო, პრობლემა საერთოდ არ ჰქონიაო. „მერსედესი“ ისეთი მანქანაა, ყველა მძღოლს გაუძლებს, მე კი ნამდვილად გასაძლები მძღოლი ვარ. „ჟიგულზე“ ხშირად მეუბნებოდნენ, ბედი შენი, რომ ამ მანქანას ენა არ აქვსო.

**— ცუდად ეპყრობით ავტომობილებს?**

— რასაც მე მანქანას ვუკეთებ, არ ჰქვია, რომ ვუფრთხილდები. მეტი დროც რომ მქონდეს, მაინც იგივენაირად მოვექცეოდი. მირჩევნია, თავისუფალი დრო რამე უფრო საინტერესოსა და მნიშვნელოვან საქმეს დავუთმო. ავტომობილი ძალიან გემრიელი რამაა, მაგრამ მაქვს განცდა, რომ ის მე უნდა მომემსახუროს და არა მე — მას.

**— როგორი მძღოლი ხართ?**

— მშვიდი მძღოლი ვარ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მაღალი სიჩქარით სიარულიც მჩვევია. თბილისურ მოძრაობაში ყურადღება არ უნდა მოადუნო. მთელი ქალაქი ცარიელი რომ იყოს, შეიძლება უცებ საიდანღაც მანქანა ან ფეხით მოსიარულე გამოძვრეს და ისეთი რაღაც გააკეთოს, შენც საფრთხეში ჩაგაგდოს და საკუთარი თავიც.

**— აღმოჩენილხართ მსგავს საფრთხეში?**

— იმ პირველი შემთხვევის შემდეგ მსგავსი რამ აღარ მომსვლია. „ჟიგულს“ მიჩვეული „მერსედესითაც“ ვცდილობდი, კორპუსთან იგივენაირად შევსულ-გამოვსულიყავი და კედლებს ვეხახუნებოდი. ეს „სიამოვნება“ დღემდე გრძელდება.

**— ქალ მძღოლებზე რა აზრის ხართ?**

— აი, სწორედ ამიტომაც უნდა იყოს ადამიანი ყურადღებით, რომ ქალი არ გამოტოვოს! როცა საჭესთან ქალია, თითქმის ყოველთვის ვხვდები, ძალიან იშვიათად თუ შევმცდარვარ. მძღოლი თითქოს მერყეობს, მარცხნივ გაუხვიოს თუ მარჯვნივ ან შუა გზაში დგას. როცა მამაკაცი მძღოლი მოძრაობის წესებს არღვევს, რაღაც ლოგიკას მაინც ემორჩილება, ქალი კი... როცა ხედავ, მანქანა ისე მოძრაობს, არანაირ ლოგიკას არ ემორჩილება, ესე იგი საჭესთან ყველაზე მომხიბვლელი, არალოგიკური ადამიანი ზის — ქალი.

**— როგორც ფსიქოლოგს, გკითხავთ: ქალები საჭესთან რატომ არიან დაბნეულები?**

— ქალებს ნებისმიერ საკითხში უჭირთ გადაწყვეტილების მიღება. ის უფრო მერყეობს გათხოვებაზე თუ კაცი — დაქორწინებაზე? უფრო მეტად ქალი, ხომ? საჭესთან საკუთარ თავში დარწმუნებული, გაბედული არაერთი ქალი მინახავს და მათი უმრავლესობა ახალგაზრდაა, თუმცა გაბედულებაც და თავდაჯერებაც ზოგჯერ ცუდ მძღოლობაში გადასდით.

**— პირადად თქვენთვის ქალს ავარიული სიტუაცია შეუქმნია?**

— მას — არა, მაგრამ ქალი ჩემ გამო კი აღმოჩენილა ავარიულ სიტუაციაში. გახახუნების სიყვარულით ერთ ქალს მანქანაზე გავეხახუნე. უმნიშვნელოდ დავუზიანე, მაგ-

**„ავტომატური მართვის მანქანაზე რამდენჯერმე დავჯექი კიდეც, მაგრამ არ მომეწონა — ავტომობილი თავის ჭკუაზე მიდის, ჩემს განცდებში ვერ შემოდის და ნაკლებად მელაპარაკება“.**

რამ, რა თქმა უნდა, მეორე დღეს შევხვდი და შეკეთებაზე შევთანხმდით. ჩემი სტუდენტის მეგობარი აღმოჩნდა.

**— პროფილაქტიკის სტუმარი ალბათ ხშირად ხართ.**

— ფაქიზოს უფრო ხშირად დავატარებდი პროფილაქტიკაში. მანქანის შიგნით რა ხდებოდა, ძალაუნებურად ვიცოდი. რა დონეზეც „მერსედესი“ განსხვავდება „ჟიგულისგან“, ამავე დონით ველარ ვერკვევი მანქანის ნაწილებში.

**— თქვენი ცოლი მართავს მანქანას?**

— ერთ დროს ჰქონდა ამის სურვილი. ერთხანს „ჟიგული“ ატარა კიდეც, მაგრამ სხვა მანქანა რომ გამოჩნდა ჰორიზონტზე, შეშფოთდა და, შენ მატარეო, მითხრა. უკეთესი არჩევანი გააკეთა — მისი მძღოლი გავხდი.

**— თქვენი ქალიშვილიც ზის საჭესთან?**

— კი, სოფო კარგი მძღოლია. დიპლომატიურ სამსახურშია და ამჟამად ვენაში გახლავთ. უცხოეთში მანქანის გარეშე არსებობა შეუძლებელია. მას ავტომობილი სამსახურმა მისცა. ასე რომ, მანქანამდე საქმის გამო მივიდა და არა — დროსტარებისთვის. წელს მე და ჩემი ცოლი ჩავედით მასთან. მანქანით ავსტრიიდან იტალიაში გადაგვიყვანა, გზას 6 საათი უნდა. საჭესთან მე ვერ დავჯდებოდი, რადგან მისი ავტომობილი ავტომატური მართვის არის. სოფო ბრწყინვალე მძღოლია. გაბედული არაა, მაგრამ თავის თავში დარწმუნებული კი არის და წესების დაცვითაც მოძრაობს.

**— პატრულთან შეხება ხშირად გაქვთ?**

— არც ისე. რამდენჯერმე უსამართლო-



Cyan Magenta Yellow Black

დაც დამაჯარიმეს. ერთ დღეს ჩემი მეუღლე და მისი ახლობლები წავიყვანე მცხეთაში. იქიდან რომ წამოვედით, ღამე იყო. გზის ერთ-ერთ მონაკვეთში ვიღაცის მანქანის ფარებმა ისე მომანათა, მოძრაობა ველარ განვაგრძე და გავჩერდი. ამასობაში ხმაც გავიგე, მანქანა გააჩერეთო. პატრული გადმოვიდა და საბუთები მომთხოვა. მეც იგივე გავუმეორე, თქვენი საბუთები წარმომიდგინეთ-მეთქი. ჯერ ერთი, ისედაც გეკუთვნით, თქვენი საბუთები მაჩვენოთ და მეორეც, მოძრაობის წესს არღვევთ, ავარიული სიტუაცია შექმენით და რა მოტივით მაჩერებთ-მეთქი. თვალებში რომ მანათებდა, ხომ შეიძლებოდა, გზა გამეგრძელებინა და ავარია მომსვლოდა? ბოდიში მომიხადეს და გაბრუნდნენ. ჩასაფრებულები იყვნენ, რესტორნიდან გამოსულ ნასვამ მძღოლს ელოდნენ.

**— ძირითადად რის გამო გაჯარიმებენ?**

— ძირითადად უადგილო ადგილას გაჩერების გამო. მცნობენ, მაგრამ პირიქითაც მომხდარა. ღვედის გადაჭერის კანონი რომ შემოვიდა, იმ პერიოდში ძაღლი ძალიან ავად გამიხდა. ძაღლები და ბავშვები ცუდად გახდომას ხომ უდროო დროს ახერხებენ, ხოდა, არც ჩემი ცუგა იყო გამონაკლისი. შუაღამისას მის ექიმს დავურეკე და მითხრა, მომიყვანეო. ძაღლი ჩემ გვერდით დავსვი და გავაქანე ექიმთან. მასზე შფოთვასა და ნერვიულობაში ღვედის გადაჭერა დამავიწყდა და პატრულმაც გამაჩერა. ბატონო რამაზ, გამარჯობაო, მომესალმა და მანქანაში შემოიხედა. ღვედი რატომ არ გიკეთიათო, მითხრა. სიტუაცია ავუხსენი, ძაღლიც დაინახეს მანქანაში, მაგრამ მაინც დამაჯარიმეს. ასეც ხდება, რადგან მე პოლიტიკაზე ხშირად ვლაპარაკობ და ვისაც ჩემი პოზიცია არ მოსწონს, აუცილებლად უარესად მაჯარიმებს.

**— ინტერვიუს დაწყებამდე აღნიშნეთ, ამ მანქანის გაყიდვა მინდაო. გადაწყვეტილი გაქვთ, რის შეძენას აპირებთ?**

— ისევ „მერსედესის“ ყიდვა მინდა, ოღონდ უფრო „ახალგაზრდის“ და, რაც მთავარია, ისიც მექანიკა უნდა იყოს. პრევენციულ ზომებს მივმართავ, ჩემი „მერსედესი“ უდროო დროს რომ არ შემომაბერდეს ხელში, ამიტომაც ვყიდი. მის მიმართ სხვა პრეტენზია არ გამაჩნია. „მერსედესი“ ჩემთვის ყველაზე სასურველი მანქანაა. „ჟიგულის“ დანახვა კი აღარ მინდა, არადა მასთანაც ისეთ ინტიმურ ურთიერთობაში ვიყავი, რომ სხვა მანქანაზე გადაჯდომას არ ვფიქრობდი. ეტყობა, „შეჩვევისტი“ ვარ.

✓ სოფიო ბოჭორიძე



# დათო ევგენიძე მძინარე ცოლს ხატავს

## ნინო: „ქმარი მეუბნება, რომ ჩემს თვალებს მაკიაჟი არ სჭირდება“



მუსიკოს დათო ევგენიძის ცოლს, ნინო ჟვანიას, ხელოვანი ქმრის მხრიდან ჩაცმულობისა და გარეგნობის საკითხებში სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული, თუმცა მკვეთრი ექსპერიმენტებისა და მყვირალა სტილის მიმართ თავად არ იჩენს არანაირ ინტერესს. მაგრამ ერთ მკვეთრ შტრიხზე, ქმრის ხათრით, მაინც მოუწია უარის თქმა. ნინოს სისადავე და ბუნებრიობა უყვარს, ასეთი მოსწონს დათოსაც, რომელმაც, როცა ინტერვიუს ვწერდით, თავისი შეხედულებების გამოთქმის სურვილი გამოხატა და, რა თქმა უნდა, სიამოვნებით მოვუსმინეთ.

**— ნინო, თქვენი გარეგნული იმიჯი როგორ იქმნება, თქვენი გემოვნებით, თავისთავად თუ ვინმეს, თუნდაც ქმრის, აზრის გათვალისწინებით?**

— საერთოდ, გარეგნობაზე ჩემი გემოვნებით ვზრუნავ, მაგრამ, რა თქმა უნდა, დათოს აზრს აუცილებლად ვეკითხები, მით უმეტეს, თუ სადმე მივდივართ.

**დათო: „ქალი როცა იცვამს, იქვე იგულისხმება, რომ მას მამაკაცის ყურადღების მიქცევა სურს. თუ ეს საკუთარ ცოლში გაღიზიანებს, მაშინ არ იცი, რას ნიშნავს ქალი, არ იცი ქალის ბუნება“.**

სამოსს ჩემი გემოვნებით ვყიდულობ. სტილისტთან ყოფნისასაც, თუ ვარცხნილობა არ მომეწონა, დავიშლი და, როგორც თავად მინდა, ისე შევიცვლი.

ჩემი ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, უფრო ყოველდღიური და სადა იმიჯი მაქვს. ვარცხნილობაც იმის მიხედვით მაქვს შერჩეული, რომ ყველაფერს მოუხდეს. თმა ყველანაირად მქონია — მოკლე, გრძელი, შუბლზე ჩამოყრილი და ა.შ. მაგრამ გრძელი და გადაწეული, თმა, სადა ვარცხნილობა ყველაზე მეტად მომწონს.

**— თმას განსაკუთრებით უვლით?**

— კი. სულ ვცდილობ, რომ ხარისხიანი ნიღბები, ბალზამი და შამპუნი გამოვიყენო მის მოსავლელად.

**— ისეთი თავისუფალი ხელოვანის მეუღლეს, როგორიც დათო ევგენიძეა, რამდენად აქვს თავისუფლება საკუთარი გარეგნობის ექსპერიმენტირებაში? ვთქვათ, უცებ რომ გადაწყვიტოთ რაიმეს მკვეთრად შეცვლა, ქმარს უნდა შეუთანხმოთ?**

**ნინო:** რა თქმა უნდა, დათოს უნდა ვკითხო, მაგრამ ზოგადად გარეგნობაში ექსპერიმენტების ჩატარება არ მიყვარს. დათოს მეუღლეობა ნიშნავს, რომ სრული თავისუფლება გაქვს, ჩარჩოში ნამდვილად არ ვექცევი.

**დათო:** როგორ რესპექტაბელურადაც უნდა მეცვას, ბენდენა და საყურე მაინც მიკეთია. ასე რომ, ნინო საღამოს კაბაში იქნება თუ თავისუფალ სამოსში, ჩემს ჩაცმულობასთან ყოველთვის თანხვედრაშია.

**— ქალბატონო ნინო, არსებობს თქვენს გარდერობში ან კოსმეტიკაში რამე, რაც ქმრისთვის მიუღებელია?**

**ნინო:** დათო ამ მხრივ საკმაოდ თავისუფალია. ერთადერთი, რაც არ მოსწონს, ეს არის ფრჩხილის შავი ლაქი. მე კი მომწონს, რადგან მგონია, რომ ქალს უხდება ეს ფერი ფრჩხილზე. რა თქმა უნდა, ანგარიშს ვუწევ დათოს აზრს.

**დათო:** ჩემი აზრით, ქალს შავი ფრჩხილები არ უხდება. დანარჩენზე — კაბაზე თუ ამოღებულ მაისურზე, პრობლემა არ მაქვს. ქალი როცა იცვამს, იქვე იგულისხმება, რომ მას მამაკაცის ყურადღების მიქცევა სურს. თუ ეს საკუთარ ცოლში გაღიზიანებს, მაშინ არ იცი, რას ნიშნავს ქალი, არ იცი ქალის ბუნება.

**ნინო: „მიყვარდა მოკლე კაბა, მაგრამ ბოლო დროს აღარ ვიცვამ. დეკოლტე კი არასოდეს მომწონდა“.**

გამომწვევი სამოსი სხვაა და ვულგარული — სხვა. ვულგარულობა ეთიკას სცდება. რუსებს ზუსტი სიტყვა აქვთ „პახაბნი“. ამგვარი ჩაცმულობა, რა თქმა უნდა, მიუღებელია.

**ნინო:** ადრე რაც მიხდებოდა, შეიძლება დღეს აღარ მომწონდეს საკუთარ თავზე. მიყვარდა მოკლე კაბა, მაგრამ ბოლო დროს აღარ ვიცვამ. დეკოლტე კი არასოდეს მომწონდა.

**— არიან მამაკაცები, რომელთაც ქალი მაკიაჟის გარეშე მოსწონთ. თქვენს ოჯახში როგორ არის მიღებული — თვალებშეღებილი ქალი უფრო ლამაზად ითვლება თუ აბსოლუტურად „ნატურალური“?**

**ნინო:** მე არ ვიყენებ მაკიაჟს. არც ვიცი მისი გაკეთება. დათო მეუბნება, რომ ჩემს თვალებს მაკიაჟი არ სჭირდება.

**დათო:** არსებობს თვალები, რომლებიც იმდენად გამომსახველია, რომ მათზე ზედმეტი ხაზგასმა უბრალოდ ხელისშემშლელია. მაგრამ ამაზე კონფლიქტი არ გვაქვს. თუ უნდა, ნინო მაკიაჟს იკეთებს. მე შეიძლება ჩემი აზრი ვუთხრა.

**დათო: „ამაშიც ვგავართ ერთმანეთს — სახლის ჩუსტებს ვერ ვიტანთ“.**

მახსოვს, სტუდენტობისას გოგო გავიცანი. დილით რომ შევხვდე, სულ სხვანაირი იყო, ანუ მაკიაჟით იმდენად იყო შეცვლილი, რომ დილით ვერ ვიცანი. როცა ადამიანი უმაკიაჟოდ მოგწონს, ეს ძალიან კარგია. ძალიან მნიშვნელოვანია, ძილის დროს ადამიანი როგორია. ნინოს როცა სძინავს, ძალიან ლამაზია. დამიხატავს კიდეც.

→36

„ლიგა“ სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19ა. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge



Cyan Magenta Yellow Black

— **ნინო, სახლში რა ფორმაში გიყვართ ყოფნა?**

**ნინო**: სახლში რაც შეიძლება თავისუფლად ვარ, მაგრამ ხალათი და ჩუსტები ნამდვილად არ მიყვარს. თან ჩვენთან ხშირად მოდიან სტუმრები და ზედმეტად თავისუფლად ყოფნასაც ვერ მოვახერხებ. როცა ბავშვის სკოლაში წაყვანა მიწევს, სახლში რა ფორმითაც

**ნინო: „ძალიან მიყვარს ლურჯი. თითქოს ჩემი ფერია. ძირითადად ლურჯ, შავ, ყავისფერ, მოსტაფილოსფერო ფერებს ვიყენებ. შავი ფერი ნამდვილად არ მამძიმებს".**

ვარ, პირდაპირ შემიძლია გავიდე.

**დათო**: ამაშიც ვგავართ ერთმანეთს, სახლის ჩუსტებს ვერ ვიტანთ.

— **თქვენი განწყობა ფერებით გამოიხატება?**

**ნინო**: ძალიან მიყვარს ლურჯი. თითქოს ჩემი ფერია. ძირითადად ლურჯ, შავ, ყავისფერ, მოსტაფილოსფერო ფერებს ვიყენებ. შავი ფერი ნამდვილად არ მამძიმებს.

— **რა ფორმაში გრძნობთ თავს არაკომფორტულად?**

**ნინო**: მაშინ, როცა არასასურველი ვარცხნილობა მაქვს. ვერ ვეგუები ძალიან მაღალ ქუსლებს, საშუალო სიმაღლის მიყვარს.



ნინო და დათო

**დათო: „ჩემი აზრით, ქალს შავი ფერები არ უხდება".**

— **დათოს ქალიშვილი, ლიკა ქავჟარაძე, მაკიაჟისა და სტილის საკითხებში კარგად ერკვევა. მისგან რჩევები დაგჭირვებიათ?**

**ნინო**: ალბათ მივიღებდი ლიკასგან რჩევებს, იმდენად იცის თავის მოვლის კულტურა, მაგრამ ამ თემაზე არ გვისაუბრია. მომწონს, ლიკას როგორც აცვია და როგორც იყენებს იმ თუნდაც ძალიან მაღალ ქუსლებს. მისთვის ბევრჯერ მითხოვია, თვალების შეღებვა მასწავლე-მეთქი, რადგან ძალიან ლამაზად იცის მაკიაჟის გაკეთება. სამწუხაროდ, ვერ ვისწავლე.

— **გიყვართ სარკის წინ დგომა?**

**ნინო**: მიყვარს სარკე, მაგრამ მის წინ დიდ დროს არ ვატარებ.

**დათო**: სინამდვილეში, იმის გამო, რომ სარკის წინ დიდ დროს ატარებს, ხშირად ვაგვიანებთ იქ, სადაც მივდივართ.

**ნინო**: ეს ჩაცმის გამო ხდება.

**დათო**: სიტყვაზე, ორ დღეში სადღაც მივდივართ. ხომ შეიძლება წინასწარ იცოდეს, რას ჩაიცვამს? მაინც არასოდეს აქვს მოფიქრებული, რა უნდა ჩაიცვას და 5-ჯერ ან 6-ჯერ იცვლის წასვლის წინ.

**ნინო**: ამ შემთხვევაში დროის შეგრძნება მეკარგება. 6-ზე რომ უნდა ვიყოთ სადღაც, 6-ის ნახევარზე ვიწყებ მზადებას. რამდენჯერმე მაკიაჟი მანქანაში გამიკეთებია ან იქ, სადაც მივსულვართ.

დიდ ყურადღებას არ ვაქცევ ჩემს თავს. ბოლო დროს დავიწყე წუწუნი, რომ ასაკი მემატება და რაღაც უნდა გავიკეთო... თან ვიცი, რომ მაინც არ გავიკეთებ ბოტოქსს.

— **რატომ?**

**ნინო**: მეშინია. არ მინახავს ქალი, რომელმაც ბოტოქსი გაიკეთა და თავისი ბუნებრივი სახე შეინარჩუნა. მეზოთერაპიას უფრო ვენდობი და ალბათ მალე მივმართავ კიდეც.

— **როგორ უვლით კანს?**

**ნინო**: მიყვარს სახის საცხები. ვცდილობ, ძვირადღირებული საშუალებები შევიძინო. ამ კრემებს დილით და ძილის წინ ვიყენებ. დიდ ყურადღებას ვუთმობ თვალის გარშემო კანს. თავიდან ჩემით ვარჩევდი კრემებს, მერე მეგობარმა მირჩია ერთი ბრენდი, რომელიც ძალიან მომეწონა.

— **დედისგან, ბებიისგან, უფროსი თაობის ქალებისგან თავის მოვლის საკითხებში რაიმე ცოდნა თუ გადმოგეცათ?**

**ნინო**: ბებია მასწავლიდა, რომ პომადა, თვალის ფანქარი და პუდრის ღრუბელი არასოდეს მეთხოვებინა სხვისთვის. ამ რჩევას ვითვალისწინებ.

— **რა ფორმაში მყოფი ნინო ჟვანიაა თქვენთვის წარმოუდგენელი?**

**ნინო**: ხვეული თმით. ბავშვობაში თმა ქიმიურად დავიხვიე და მალე მივხვდი, რომ საშინელი შეცდომა დავუშვი. ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე უშნო პერიოდი.

— **როგორ ინარჩუნებთ სხეულის ფიგურას?**

**ნინო**: დიეტა არასოდეს დამიცავს. ისე კი, მინდა, ცურვაზე შევიდე ან აკვააერობიკით დავკავდე.

— **ორსულობის შემდეგ ფორმაში ადვილად დგებოდით?**

**ნინო**: ორივე შვილზე ორსულობისას 11 კილო მოვიმატე და მალევე დავუბრუნდი ადრინდელ წონას. ეს ალბათ გენეტიკურია. ორსულობის დროს სულ ვცდილობდი იმ კრემების გამოყენებას, რომლებიც ცელულიტის და სტრიების გაჩენას უშლის ხელს.

— **რა არის საჭირო სილამაზისათვის?**

**ნინო**: განწყობა. რა ფორმაშიც უნდა იყო, თუ დადებითი განწყობა არ გაქვს, ვერც საკუთარ თავს აღიქვამ ლამაზად და ვერც გარშემომყოფები აღგიქვამენ ასე.

— **ბოლოს ჩვენს ტრადიციულ კითხვას დაგისვამთ — სარკიდან როგორი ქალი გიყურებთ?**

**ნინო**: იმდენად მაქვს საკუთარი თავისთვის შთაგონებული, სარკის წინ დადებითი განწყობით დავდგე, რომ იქიდან ყოველთვის მომღიმარი ადამიანი მიყურებს.

✓ **მანანა ნოდია**

# თამარ მაყაშვილი: „განსხვავება არ არის, 17 წლისას შეგიყვარდება თუ — 38 წლისას“

მას სოფიკო ჭიაურელის აღმოჩენას უწოდებდნენ. თავის დროზე მიხეილ თუმანიშვილს გული დასწყდა, რომ ეს გოგონა მისი სტუდენტი ვერ გახდებოდა. რობერტ სტურუამ კი გვიან ინანა, რომ მისი მონაცემები შეუმჩნეველი დარჩა... ეს ყველაფერი ახლა მსახიობ თამარ მაყაშვილის წარსულშია დარჩენილი. ცხოვრებაში შანსი ბევრჯერ გაუშვა ხელიდან, შეცდომებიც ჰქონდა, ბევრი როლი დარჩა შეუსრულებელი, მაგრამ არაფერს ნანობს. თვლის, რომ ეს მისი ბედისწერა, მისი გასავლელი გზა იყო. ქალიშვილების, ნინუცა და რუსკა მაყაშვილების მიმართაც ასეთი მიდგომა აქვს. მათ ცხოვრებაში არ ერევა. პრობლემებთან, ტკივილებთან დამოუკიდებლად გამკლავებას მიაჩვია.

— **ქალბატონო თამარ, საუბარი ყველაზე უდარდელი ხანიდან დავიწყოთ. როგორი ხასიათის ბავშვი იყავით?**

— არანორმალურის შთაბეჭდილებას ვტოვებდი. მე და ჩემი მეგობრები ბავშვობაში ექსტრავაგანტულ რაღაცეებს ვაკეთებდით. ხან თავზე ყუთჩამოცმული დავდიოდი, ხან დიდი ზომის პიჯაკები მეცვა და ხანაც — ცალ-ცალი ფეხსაცმელი. დახეული ჯინსებით მაშინ დავდიოდი, სანამ მოდაში შემოვიდოდა. ერთხელ ამის გამო სტომატოლოგთანაც კი არ შემიშვეს. მწვანე ველვეტის დახეული შარვალი მეცვა, იფიქრეს, ვიღაც „ბომჟიაო“... ცოტა ხნის წინ წითელი პარიკით დავდიოდი. ოჯახის ყველა წევრი დამცინოდა, შენ სულ გააფრინეო, მაგრამ მე მომწონდა. იმაზე არ ვფიქრობ, რომ ორიგინალური და ექსტრავაგანტული გამოვჩნდე, უბრალოდ ეს ჩემი ხასიათია.

— **ამ თვისებით შვილებიც გგვანან?**

— ჩვენს სახლში ასეთი საქციელი ნორმაა და არავის გვიკვირს. ის უფრო გამიკვირდება, რუსკა და ნინუცა პლატფორმებით რომ ვნახო. რუსო სკოლაში დედაჩემის კაბებით დადიოდა.

— **სხვების აზრი ნაკლებად გაინტერესებთ?**

— საქმეში ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევ სხვების აზრს და ვითვალისწინებ კიდეც. იმასაც გააჩნია, ის, ვინც რჩევას მეუბნება, ჩემთვის რას წარმოადგენს. ვიღაც უცხოს აზრით ნამდვილად არ ვინტერესდები.

— **პირველად 17 წლის ასაკში გათხოვდით, მაგრამ თქვენი ოჯახი 5 წელში დაინგრა. შეიძლება ასე მალე სიყვარული გაქრეს?**

— ძალიან კარგადაც შეიძლება. სიყვარული მარადიული შინაგანადაა, მარადიულად შეიძლება სამშობლო გიყვარდეს, მაგრამ პიროვნული სიყვარული მოდის და მიდის. ჩემი გრძნობა მიდის, მოდის,

**„ხალხი დარწმუნებულია, რომ ჩემი შვილები რუსთაველის თეატრში მე მივიყვანე. ეგ რომ შემძლებოდა, ჯერ ჩემს როლში, მე მივიდოდი და მერე მაგათ მივიყვანდი".**

ნელდება ან ღვივდება. მეგობართანაც კი ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც რაღაც ნიუანსს იჭერ და ის მიგახვედრებს, რომ უცებ განელდა მისდამი დამოკიდებულება.

— **თქვენ რა „დაიჭირეთ“ ისეთი, რომ ოჯახის დანგრევა გადაწყვიტეთ?**

— მივხვდი, რომ არ იყო ერთი აზროვნება, იდეოლოგია. რაღაც ყოველთვის იწყება და ყოველთვის მთავრდება. ეს ყველაფერი უმტკივნეულოდ უნდა მოხდეს. დეპრესიაში არ უნდა ჩავარდე, რომ მერე საკუთარ თავს არ უთხრა, რა მჭირსო. ყველას ის გვემართება, რასაც ვიმსახურებთ.

— **ანუ თქვენც მიგიძღვით წვლილი ამ ურთიერთობის დასრულებაში?**

— ალბათ მიმიძღვის კიდეც. არ მესმის, ის, რომ



Cyan Magenta Yellow Black

რაღაცის გამო რაღაც შევინარჩუნო. ამას ვერასოდეს გავიგებ. მეგობრების რაღაც ნაწილი მოშორებული მყავს და დღეს გამარჯობის დონეზე ვურთიერთობთ. ტყუილი და ფარსი არ მიყვარს. მე ვარ ის, რაც ვარ, ზურგს უკან არაფერს ვიტოვებ. თუ ვთვლი, რომ დამნაშავე ხარ, აუცილებლად გეტყვი და თუ ვხვდები, რომ მე დავუშვი შეცდომა, ბოდიშს მოგიხდი. ყოველთვის ჩემი ენა მღუპავს, რადგან ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ. ყოველთვის სახეზე მაწერია, რას ვფიქრობ.

ცოტა ხნის წინ სპექტაკლზე ვიყავი, საგრიმიოროში ვერ შევედი და ვერ მივულოცე, რადგან სახეზე შემეტყობოდა, რომ არ მომეწონა.

**— ალბათ ძლიერი ქალი ხართ, თორემ ორი შვილის მარტო გაზრდა გაგიჭირდებოდათ.**

— ძლიერი ალბათ არ ვარ. უკან უზარმაზარი ოჯახი მედგა. ძმა მთელი ცხოვრება ჩემ გვერდით იყო. მეგობრების არმია მყავს, ამიტომ არ მიგრძვნია, რომ ორი შვილით მარტო ვიყავი. რა უნდა მექნა, წამოვწოლილიყავი და მეძახა, ეს რა დამემართა-მეთქი? ცხოვრებაში რაც უნდა მოხდეს, დეპრესიაში არ უნდა ჩავარდე. რაღაც უნდა იღონო, რომ ცუდი წარსულს ჩააბარო.

ხანდახან, ჩემი ხერხემლის ტკივილის გამო, დილით ადგომა და ცხოვრება არ მინდა, მაგრამ რა ვქნა, ვიწვე და ვიძახო, მტკივა-მეთქი? დიდი პასუხისმგებლობა მაყენებს ფეხზე. ბავშვები მყავს, რომლებსაც ჩემი ყურადღება სჭირდებათ. ვალდებულება მაქვს და ამიტომ საკუთარ თავს მოდუნების უფლებას ვერ ვაძლევ.

**— იმ ფაქტს, რომ თქვენმა შვილებმა, რუსკამ და ნინუცამ, მამის გვარზე უარი თქვეს, როგორ შეხვდით?**

— ნორმალურად. მითხრეს, გვინდაო და მათთვის წინააღმდეგობა აღარ გაგვიწევია. ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, ისინი რა გვარზე იქნებიან.

**— დედის გვარზე გადასვლა მამაზე უარის თქმას არ ნიშნავდა?**

— ვთქვათ, მე რომ ჩხამაძე ვყოფილიყავი, ალბათ არ მოისურვებდნენ ჩემს გვარზე გადმოსვლას. ჩემ ირგვლივ ბევრი ვიცი, ვისაც არანაირი კონფლიქტი არ ჰქონიათ, მაგრამ ბავშვები დედის გვარზე არიან, რადგან ის გვარი უფრო ჟღერადია. რუსკას და ნინუცას შემთხვევაში კი იყო წინაპირობა, რის გამოც მათ ეს გადაწყვეტილება მიიღეს. ეს მათი თავისუფალი არჩევანი იყო და მე გვერდით დავუდექი.

**„ნინუცას ერთ-ერთ ტელეკომპანიაში უსამართლოდ მოექცნენ. მე საჭიროდ ჩავთვალე, დამერეკა და მეკითხა, რა მოხდა".**

**— დღემდე აქვთ მამასთან ურთიერთობა?**

— სატელეფონო ურთიერთობა აქვთ. არ ვერევი მათ ურთიერთობაში და არც ვკითხულობ. არ მაინტერესებს. იყო დრო, როდესაც ჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა, ჩვენც მივდიოდით, თავადაც მოდიოდა, მაგრამ მერე მათმა მამამ აღარ მოისურვა. მამაჩემს რამდენიმე ცოლი ჰყავდა და შვილები ერთმანეთთან მივდივართ, ვნახულობთ, ისინი არიან ჩემი ყველაფერი. ამათ კი არ მოინდომეს ასეთი ურთიერთობა და ძალას ვერ დავატან.

**— მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ადვილად იღებთ?**

— კი, ძალიან სწრაფად, ეს ჩემი ხასიათია, ჯერ ვაკეთებ და მერე ვფიქრობ. ყოველთვის ტყუილის მსხვერპლი ვხდები და, ამის მიუხედავად, ჭკუას ვერასოდეს ვსწავლობ. არ დავაკონკრეტებ, როდის როგორ მეტკინა, მაგრამ ხშირად მიწევს იმაზე ფიქრი, რატომ გამწირეს, მე ხომ იმავეს არ გავაკეთებდი.

**— რა განსხვავებაა 17 წლის ასაკში გათხოვებასა და 38 წლის ასაკში გათხოვებას შორის? ალბათ სხვადასხვა შეგრძნებაა, როდესაც 18 წლის ხდები დედა და როდესაც მოწიფულ ასაკში აჩენ შვილს.**



— განსხვავება არ არის, 17 წლისას შეგიყვარდება თუ — 38 წლისას. გრძნობას, ვნებას ასაკი არ აქვს. შეიძლება ამ გრძნობისადმი დამოკიდებულება შეიცვალოს წლებთან ერთად, მაგრამ არ მესმის, როგორ შეიძლება პატარა ასაკში სიყვარული სხვანაირი იყოს და მერე იცვლებოდეს. რაც შეეხება შვილებს, არ მესმის, როდესაც ამბობენ, ასაკში გაჩენილი შვილები უფრო საყვარლები არიანო.

**„ხანდახან, ჩემი ხერხემლის ტკივილის გამო, დილით ადგომა და ცხოვრება არ მინდა, მაგრამ რა ვქნა, ვიწვე და ვიძახო, მტკივა-მეთქი? დიდი პასუხისმგებლობა მაყენებს ფეხზე".**

**— დედობრივ პასუხისმგებლობაზე ასაკი არ მოქმედებს?**

— არა, განსხვავება ისაა, რომ მაშინ მყავდა ხალხი, ვინც ბავშვების მოვლაში მეხმარებოდა, ხოლო როცა ელიზბარი დაიბადა, მაშინ მისთვის მე უნდა მიმეხედა. თავის დროზე ისევე აკიდებული დავდიოდი რუსკათი და ნინუცათი, როგორც ახლა ელიზბარით და ნინუცას შვილით. მაშინ არც საჭმელს ვაკეთებდი და არც წინდებს ვრეცხავდი, ახლა ესეც ჩემს ფუნქციებში შედის. აღარ არის დედაჩემი, რომელიც ამ ყველაფერს აკეთებდა.

**— შვილების ცხოვრებაში რა დონეზე ერევით, მონაწილეობთ?**

— როდესაც პროფესიულ რჩევებს ვაძლევ, ყოველთვის ითვალისწინებენ. რაც შეეხება მათ პირად ცხოვრებას, ძირითადად არ მისმენენ და თავისსას „აწვებიან". საერთოდ ასეა, როცა საქმე პირად ცხოვრებას ეხება, არავის უსმენ, სანამ ცხვირს არ წაიმტვრევ.

**— რუსკა რომ შეყვარებულს, გიორგი ყიფიანს დაშორდა, თქვა, მტკიოდა, მაგრამ ამას ვერავინ ამჩნევდაო. თქვენც ვერ ამჩნევდით თუ არ აგრძნობინებდით, რომ ამჩნევდით?**

— ძალიან კარგად ვამჩნევდი და ყველა ყველაფერს ხვდებოდა, მაგრამ ზედმეტი ვაივაგლახი ჩემგან საჭირო არ იყო. რუსკასავით ჩვენც ბევრი რამ გამოვიარეთ, მის ტკივილს თავისი პერიოდი ჰქონდა და გაიარა. იმ პერიოდში მისთვის ზედმეტად არაფერი მითქვამს.

**„რუსკასავით ჩვენც ბევრი რამ გამოვიარეთ. მის ტკივილს თავისი პერიოდი ჰქონდა და გაიარა".**

**— ყოველთვის იცით, შვილები სად არიან, რას აკეთებენ?**

— თავის დროზეთავზე რომ ვედექი და ვამოწმებდი, ისე აღარ არის, მაგრამ სულ ვიცი, სად არიან.

**— გოგონები თქვენს გზას გაჰყვნენ და მსახიობები გახდნენ. ამ სამყაროში დამკვიდრებისათვის თქვენგან დახმარება, ხელის წაკვრა, თუნდაც ნაცნობობით, დასჭირდათ?**

— თავის დროზე რომ ვიღაც შემეწუხებინა, ალბათ ყველაფერი უკეთესად იქნებოდა. ხალხი დარწმუნებულია, რომ ჩემი შვილები რუსთაველის თეატრში მე მივიყვანე. ეგ რომ შემძლებოდა, პირველ რიგში, მე მივიდოდი და მერე მაგათ მივიყვანდი. თავიდან რუსო რეკლამაში რომ გამოჩნდა, მეკითხებოდნენ, ეს როგორ მოახერხეო. ასეთ რაღაცეებზე ძალიან მეცინება. ნინუცაც და რუსკაც ისე მივიდნენ რუსთაველის თეატრში, რომ ჩემთან ვერაფრით დააკავშირეს. მერე გაიგეს, რომ ჩემი შვილები იყვნენ.

მათ ცხოვრებაში არ ვერევი, უბრალოდ ვინტერესდები, თუ ვინმე უსამართლოდ ექცევათ. ნინუცას ერთ-ერთ ტელეკომპანიაში უსამართლოდ მოექცნენ. მე საჭიროდ ჩავთვალე, დამერეკა და მეკითხა, რა მოხდა.

**— მიხეილ თუმანიშვილს გული დასწყდა, რომ მისი სტუდენტი არ გახდით, ხელიდან გაუშვით შანსი, ყოფილიყავით რუსთაველის თეატრში. ამ ყველაფერზე ახლა რა შეგიძლიათ გვითხრათ?**

— ჩემს მეგობარს გავყევი, რომელიც თეატრალურში აბარებდა. მაშინ მეცხრე კლასში ვსწავლობდი. უცებ ბატონი მიშა ჩემკენ მოტრიალდა, რამე წამიკითხეთო. ლექსი წავუკითხე. ბატონი მიშა წამოფრინდა, მე ავტომატურად გავიქეცი. ვიფიქრე, ახლა რაღაც უნდა ჩამარტყას-მეთქი. ის წამომეწია და თქვა, აი, ასეთი მსახიობები მჭირდებაო. როცა გაიგო, მეცხრე კლასში ვიყავი და ჯერ არ ვაბარებდი, გაოცდა, გული დასწყდა, რომ მის ჯგუფში არ ვხვდებოდი. მერე მასთან რატომ არ მივედი, არ ვიცი. არ შემიძლია ადამიანის ზედმეტად შეწუხება.

სოფიკო ჭიაურელი კი სულ ამბობდა, მე აღმოვაჩინე მსახიობი, რომელიც აუცილებლად სცენაზე უნდა იდგესო. ყველა სპექტაკლის წინ ჩემთან სახლში მოდიოდა. როცა მაყურებლის წინ საუბრობდა, თავს ვალდებულად თვლიდა, ჩემზეც ელაპარაკა... რობიკო სტურუასთან რომ მივედი, მკითხა, ჩანაწერი თუ გაქვთო. ვუთხარი, იმ მსახიობებს არ განვეკუთვნები, საკუთარ თავს რომ იღებენ და კასეტებს თაროებზე ალაგებენ-მეთქი. იქ დამთავრდა ჩვენი ურთიერთობა. რომ შემეწუხებინა, შეიძლებოდა რაღაც გამოსულიყო. წლების შემდეგ ჩემი გოგოები მასთან რომ მოხვდნენ, სუფრა გავშალეთ და მთელი თეატრი დავპატიჟეთ. ვცეკვავდი, რაღაცეებს ვმაიმუნობდი, ბატონი რობიკო აღფრთოვანდა და თქვა, მე ეს გრძელი კიდურები ვერ დავინახეო. თითქოს მომიბოდიშა, მითხრა, სამაგიეროდ შენი ორი შვილი მყავს თეატრშიო.

რომ გითხრათ, ძალიან ვნანობ, ახლა რომელიმე თეატრში რომ არ ვარ-მეთქი, ასე არაა. ეს ჩემი ბედისწერაა.

✓ ქეთი დინოშვილი



Cyan Magenta Yellow Black

# რითი ჰგვანან ერთმანეთს შორენა ბეგაშვილი და კახა ჯოხაძის ცოლი

მსახიობები, შორენა ბეგაშვილი და კახა ჯოხაძე, დაწყვილდნენ და მათ წყვილს „ქეთი და კოტე“ ჰქვია. ამ ორკაციანი მინი-სერიალით შორენას სურს, დაამსხვრიოს სექსბომბის იმიჯი, რომლითაც მას აქამდე მაყურებელი იცნობდა და სხვა ამპლუაში გამოჩნდეს. ახლა მისი პერსონაჟი ქეთი ახალგაზრდა დიასახლისია, რომელიც სადილ-ვახშმის კეთებითა და ქმრის მოვლითაა დაკავებული. თუმცა ძნელი სათქმელია, რამდენად მიაღწია მსახიობმა მიზანს, რადგან ამ როლშიც ისეთივე მაცდურია, როგორიც სხვა როლებში.

რაც შეეხება კახას სასაცილო გმირ კოტეს, მისი პრობლემა ბევრი ქართველი მამაკაცისთვის არის ნაცნობი — ცოლს თავისი შემოსავლით ვერ აკმაყოფილებს.

შორენას და კახას ნაცნობობა თეატრალური უნივერსიტეტიდან დაიწყო, სპექტაკლმა „გველისმჭამელმა“ ერთმანეთს დააახლოვა, ამ სერიალმა კი კარგ მეგობრებად აქცია. გადასაღებ მოედანზე უსიტყვოდ ესმით, ერთიმეორისგან რა სურთ.



■ კახა და შორენა

**შორენა: „ქართველი კაცები ჩემ გვერდით ყოფნას ვერ ბედავენ“.**

**— რას ფიქრობთ იუმორისტულ სერიალზე, რომელშიც მხოლოდ თქვენ ორნი თამაშობთ, კმაყოფილი ხართ ამ საქმით?**

**კახა**: ეს პროექტი იტალიური სერიალის ანალოგია, თუმცა მას ყველაზე დიდი გამოხმაურება რუსეთში მოჰყვა. დამირეკეს და კოტეს როლი შემომთავაზეს. ჩავთვალე, რომ დრო იყო, სხვა ეტაპზე გადავსულიყავი და სიამოვნებით დავთანხმდი, არ შეიძლება მუდამ ერთ ჯგუფთან ასოცირდებოდე. აქ რომ მოვედი, შორენა დამხვდა.

**შორენა**: როლებზე კასტინგის გარეშე აგვირჩიეს. საერთოდ, ადამიანებთან კონტაქტი არასოდეს მიჭირს, მით უმეტეს, კახა ისეთი პიროვნება და მსახიობია, რომ მასთან მუშაობა არავის შეუქმნის პრობლემას. ეს ქათინაური შენ, კახა!

რაც შეეხება გადაღების პროცესს, მერწმუნეთ, ძალიან საინტერესო და სახალისოა. იმედია, იმ სცენებს, რაც კადრმიღმა რჩება, მაყურებელი ოდესმე მაინც ნახავს. გადასაღებ მოედანზე ზოგჯერ 200 დუბლს ვაფუჭებთ. როცა გადაღება გვაქვს, იმ დღეს ვიცი, რომ კარგ დროს გავატარებ.

**— თქვენს მსგავს წყვილს რეალურ ცხოვრებაში შეხვედრიხართ?**

**შორენა**: ცოლი ქმარს ეხვეწებოდეს, ჩექმა მიყიდეო, ეს, მგონი, ციდან ჩამოვარდნილი ამბავი არ არის. ცოლი იმაზე წუწუნებდეს, რომ მის ქმარს ცოტა ხელფასი აქვს, მგონი, არც ეს არის ახალი ამბავი.

**— კახა, თქვენს ოჯახშიც არის მსგავსი სცენები?**

**კახა**: ერთადერთი მსგავსება შეიძლება ის იყოს, რომ არც ჩემს მეუღლეს ჰყოფნის ჩემი ჰონორარი. ისე კი, ჩემი ნამდვილი და სერიალის მეუღლეები ერთმანეთს არ ჰგვანან. ჩემი ცოლი, ნინო, წუწუნა არ არის. ფაქტობრივად მას ათასში ერთხელ ვნახულობ, სულ გადარბენაზე ვარ.

**— მეუღლე არ ეჭვიანობს, ასეთი ლამაზი პარტნიორი რომ გყავთ?**

**კახა**: არა, რას ამბობთ! ჯერ კიდევ ვაკის „თეატრალური სარდაფიდან“ მოყოლებული, შორენა და ნინო ძალიან კარგად იცნობენ ერთმანეთს.

**— კახი, ალბათ გახსოვთ, იმ პერიოდში შორენამ ქართული „ფლეიბოისთვის“ რომ გადაიღო თამამი ფოტოები. მისი ეს ნაბიჯი როგორ აღიქვით?**

**კახა**: მისი ხასიათიდან გამომდინარე, გამიკვირდა, რომ ამ პროექტში მიიღო მონაწილეობა. სიმართლე გითხრათ, მხოლოდ ერთი სურათი ვნახე, ისიც შემთხვევით. ის ჟურნალი არ დამითვალიერებია, თუმცა ახლა რომ ჩამივარდეს ხელში, სიამოვნებით ვნახავდი.

**შორენა**: მოგიტან და დაათვალიერე. ვინც მიცნობს, მართლა ვერავინ იფიქრა, ამ პროექტში თუ მივიღებდი მონაწილეობას. მაგრამ როცა ამ სფეროში გინდა თავის დამკვიდრება, რატომაც არა? ამაში რა არის ცუდი?

**— კახა, თქვენი ალბათ ბევრი მამაკაცს შურს, რომ შორენა ბეგაშვილს უწევთ პარტნიორობას.**

**კახა**: კი და შურდეთ! ამასაც გამართლება უნდა, ძმებო!

**— კახა, შორენა მაშინაც ასეთი მომხიბვლელი იყო, როცა თეატრალურში სწავლობდით?**

**კახა**: შორენას წლებია ვიცნობ, ის მართლაც ლამაზი და მომხიბვლელია. თეატრალურში ასეთი ახლო ურთიერთობა არ გვქონდა, მაგრამ მის მიმართ ყოველთვის დადებითად ვიყავი განწყობილი. მაშინ მისი ირგვლივ ამხელა აჟიოტაჟი არ იყო ატეხილი, არადა ყოველთვის გამოირჩეოდა გარეგნობით და დიდი ენერგიით. უბრალოდ მის ირგვლივ ახლა უფრო ალაპარაკდა ხალხი.

**შორენა**: მინდა, ამ სერიალით სექსსიმბოლო შორენას მითი დაინგრეს და ამიტომაც არ ვდგავარ მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე, არც მოკლე კაბა მაცვია. მინდა, მაყურებელმა სხვა კუთხით დამინახოს. სერიალში ლამაზად ჩაცმული, მოვლილი ქალი ვარ, რომელიც სამზარეულოში ფუსფუსებს. ჩემმა გმირმა არ იცის საჭმლის გაკეთება, მაგრამ მერე, რა, ისწავლის. რეალურმა შორენამ კი იცის სამზარეულოში ფუსფუსი და ეს ყოველივე არცთუ ცუდად გამოსდის.

**კახა**: ტიპური ქართული ოჯახია. ცოლი ლამაზი, ქარაფშუტა ქალია, ქმარი — ტიპური ქართველი მამაკაცი, რომელიც ქეიფობს, სვამს და ფული არასოდეს აქვს.

**— შორენა, რეალურ ცხოვრებაში კოტესნაირი კაცი თქვენს ქმრად წარმოგიდგენიათ?**

**შორენა**: იმდენს ვმუშაობ, დამიჯერეთ, იმ ლიპიან უფულოსაც გავაბედნიერებდი და ერთად კარგად ვიცხოვრებდით. ისე კი, ჩემი თვითმიზანი ლიპიანი, უფულო კაცის ცოლობა არ არის. აქვე ვიტყვი, რომ ლიპზე გართულება არ მაქვს.

**კახა**: ხალხნო, ეს ყველაფერი არის წარმავალი!

**შორენა**: კახა, არ გეწყინოს, ლიპზე რომ ვლაპარაკობთ. არ ინერვიულო, გაგახდუნებ და ისეთ ფორმაში მოგიყვან, ვერავინ გიცნობს. ერთი სიტყვით, როცა შეგიყვარდება, მგონია, რომ ვიზუალურ მხარეს — ლიპს და ა.შ. ყურადღებას აღარ მიაქცევ.

**— კახა, ნაცნობი ბიჭები არ გთხოვენ, შორენა გამაცანიო?**

**კახა**: კი, რამდენიც გინდა, იმდენი მეუბნება, მაგრამ მათ ერთ ადგილას ვაგზავნი.

**შორენა**: კახა, ყველას მიეცი ჩემი ნომერი. იმ ადამიანის თვალში ჯიგარი გამოხვალ, მე კი, ხომ იცი, მაინც არ ვპასუხობ უცხო ნომრებს.

**— შორენა, ქართველ მამაკაცებში რა მოგწონთ ან პირიქით, რა გაღიზიანებთ?**

**შორენა**: ქართველი კაცები ჩემ გვერდით ყოფნას ვერ ბედავენ. მათ აკომპლექსებთ ჩემი თამამი როლები, იმიჯი და მათი მესმის. მაგრამ ვისაც შევუყვარდები, ეს ყველაფერი მისთვის ალბათ სისულელე იქნება. ქართველი მამაკაცები ჩემს რეალურ ცხოვრებას ჩემს პროფესიასთან აიგივებენ. სცენაზე, სერიალში, ეკრანზე ვთამაშობ, რეალურ ცხოვრებაში კი ისეთი ვარ, როგორიც ვარ. როცა პირადად გამიცნობენ, მერე შეიქმნან წარმოდგენები.

**— როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს, რეალურ ცხოვრებაში როგორი ხართ?**

**შორენა**: ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, არანაირი ისტერიკები, პრეტენზიები და ხუშტურები არ მაწუხებს. არც ვარსკვლავური სენით ვარ შეპყრობილი. როცა კაცს ასეთი შევუყვარდები, ოჯახის შექმნაზე მერე ვიფიქრებ.

**— ასეთმა მომხიბვლელმა ქალმა აქამდე რატომ არ შექმენით ოჯახი?**

**შორენა**: გათხოვება პრობლემა არ არის. უბრალოდ აქამდე სიყვარული არ მწვევია. უსიყვარულოდ გავთხოვილიყავი და მერე ოჯახი დამენგრია? იმ ადამიანს ველოდები, ვის გვერდითაც სიცოცხლის ბოლომდე ვიცხოვრებ.

**— ასეთი ჯერ არ ჩანს?**

**შორენა**: მოდი, ამაზე არ დავკონკრეტდები, ერთს კი გეტყვით — შეყვარებული ვარ.

**— და როგორია შეყვარებული შორენა?**

**შორენა**: არ აქვს მნიშვნელობა, შეყვარებული ვარ თუ არა, სახე არასოდეს ჩამომტირის. ყოველთვის გაწონასწორებული ვარ, რაც მაქვს, იმითიც ბედნიერი ვარ.

**— ეკრანულ წყვილზე ხშირად ვრცელდება ჭორები. თქვენც ხომ არ გახდით ამის მსხვერპლი?**

**შორენა**: იმდენი ჭკუა კი ჰყოფნით, რომ ჩემზე და კახაზე არ იჭორაონ. ყველა ჩემს პარტნიორზე მომიგონეს რაღაც, მაგრამ კახაზე — არა.

**კახა: „ერთმა კოლეგამ მითხრა, გავიგე, ცოლს ღალატობო და ამის გამო მორალიც წამიკითხა“.**

**კახა**: ჩვენზე — არაფერი, მაგრამ ამ ბოლო დროს ბევრი სისულელე მოვისმინე საკუთარ თავზე, რამაც გამაოცა. ერთმა კოლეგამ მითხრა, გავიგე, ცოლს ღალატობო და ამის გამო მორალიც წამიკითხა. ამ ყველაფერზე როგორ შეიძლება არ გამეცინოს? მეორე საოცრება ის იყო, რომ მე და გოგა ბარბაქაძე ვითომ ნარკოტიკების მოხმარებისთვის დაგვიჭირეს და ფულიც ჩაგვაყრევინეს. რა კომენტარი უნდა გავაკეთო ამ სისულელეებზე?!

**შორენა**: ამ ბოლოს მთელი ქალაქი მირეკავდა და მამოწმებდა, ცოცხალი ვიყავი თუ არა. ჭორი გაავრცელეს, რომ მოვკვდი. ეს უკვე სიბოროტეა!

**— ერთმანეთში, როგორც პარტნიორებსა და მეგობრებში, ყველაზე მეტად რა თვისება მოგწონთ?**

**შორენა**: მომწონს, რომ კახა უპრეტენზიო ადამიანია. პრობლემას არასოდეს მიქმნის, ყველაფერში მიგებს, მასთან თანამშრომლობა მიადვილდება. მერწმუნეთ, ეს დიდი ფუფუნებაა.

**კახა**: ღმერთს მადლობა, რომ შორენას ხუშტურები არ აქვს. ჩაწერა ძალიან თბილად და ხალისიანად მიმდინარეობს.

✓ ლანა კიკნაძე



Cyan Magenta Yellow Black

# პავაროტის პირადი შეფმზარეული სასწაულებს „ბარილას“ პასტისგან ამზადებს

## ნომერი პირველი პასტის პროდუქტი ქართველი გურმანებისათვის

ცნობილი იტალიური ბრენდი „ბარილა“ ნომერ პირველ პასტასთან ასოცირდება. „ბარილას“ მაღალხარისხიანი პროდუქცია საქართველოში 2008 წლიდან არის წარმოდგენილი. ქართველ კულინარებს იტალიური გემოსა და ხარისხის შეგრძნებისათვის საშუალება აქვთ, ამ ბრენდის 15 სახეობის პასტისა და 8 სახეობის პასტის სოუსის დაგემოვნება. კომპანიის პრინციპია, რომ „ბარილას“ პასტაში იყოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები, უმაღლესი ხარისხი და ხელმისაწვდომი ფართო ფენებისათვის. „ბარილას“ პროდუქცია მსოფლიოს წამყვანმა კულინარებმა დიდი ხანია აღიარეს. ცნობილმა იტალიურმა ბრენდმა „ბარილამ“ თავისი პროდუქციის უკეთ გასაცნობად თბილისში მსოფლიოს წამყვანი შეფმზარეული ფაბიო ფოლტრანი მოიწვია. ფაბიომ საქართველოში არსებული იტალიური რესტორნების შეფმზარეულებს მასტერკლასი ჩაუტარა, ხოლო საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კულინარიულ აკადემიაში გემრიელი პასტის მომზადების საიდუმლოება ჟურნალისტებსაც გაანდო და პრაქტიკულად ასწავლა. მზარეული, რომელიც იტალიურ კერძებს ოპერის ვარსკვლავს ლუჩიანო პავაროტისა და იტალიის ყოფილ პრემიერმინისტრს სილვიო ბერლუსკონის უმზადებდა, ძალიან გულღია და თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი აღმოჩნდა. მან ნამდვილი იტალიური




პასტის საიდუმლოც გაგვანდო. „იმისათვის, რომ იტალიურ პასტას ჰქონდეს ის გემო და ის თვისებები, რაც თქვენ იტალიას მოგაგონებთ, აუცილებელია შეარჩიოთ მაკარონი „ბარილა“. მიხარია, რომ საქართველოში წარმოდგენილია ამ ბრენდის ძალიან მრავალფეროვანი პასტა და პასტის სოუსი, ამიტომ ქართველ დიასახლისებს საკუთარ სახლში იტალიური ატმოსფეროს შესაქმნელად დიდი ძალისხმევა აღარ სჭირდებათ“, — აცხადებს ფაბიო.

მათ, ვინც ჯადოქარი მზარეულის მასტერკლასებზე ვერ მოხვდა, საშუალება აქვთ, იტალიურ რესტორან „პომიდორისიმოს“ ეწვიონ. ამ რესტორანში მთელი წლის განმავლობაში თვეში ერთხელ „ბარილას“ კვირეული მოეწყობა, სადაც ნებისმიერ მსურველს საშუალება მიეცემა, დააგემოვნოს ფაბიო ფოლტრანის რეცეპტებით მომზადებული პასტა.

**ფაბიო ფოლტრანი:** ოთხი წელია კომპანია „ბარილასთან“ ვთანამშრომლობ. ვცდილობთ, რომ იტალიური გემო ყველა ქვეყანაში შევიტანოთ, კარგი პასტის საიდუმლო ხომ თავად პროდუქტშია. ვიცი, რომ ქართველები გურმანები არიან, ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია, საჭმელი ყოველთვის მომზადებული იყოს ხარისხიანი პროდუქციით. „ბარილა“ ამ კრიტერიუმებს ნამდვილად აკმაყოფილებს, ის ხომ მთელ მსოფლიოში ნომერი პირველია. გაგანდობთ რამდენიმე საიდუმლოს: მაკარონის მოხარშვისას უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე რჩევა: მაკარონი არ უნდა იყოს ძალიან მოხარშული, ჩვენ, იტალიელები, მას ხარშვას ცოტა ვაკლებთ იმისათვის, რომ თავისი ღირებულებები შეინარჩუნოს. პასტის შესახებ ბევრი არასწორი წარმოდგენაა, მაგალითად, ის, რომ პასტა მაღალკალორიულია. მე, მაგალითად, წონაში 40 კილო დავიკელი, თან ისე, რომ პასტაზე უარი არ მითქვამს, მთავარია, ვიცოდეთ, რა დროს უნდა მივირთვათ. პროტეინები ადამიანმა დღის პირველ ნახევარში უნდა მიიღოს.

# Express Online — სრულიად ახალი ინტერნეტბანკი სრულიად ახალი შესაძლებლობებით




„საქართველოს ბანკი“, რომელიც საქართველოში წამყვანი ბანკის პოზიციას, როგორც ბაზრის წილით, ასევე ნოვატორული იდეებითა და კლიენტზე მორგებული სერვისით ინარჩუნებს, თავის კონცეფციას არ ღალატობს. მომხმარებელს მუდმივად სთავაზობს კომფორტულ და განსაკუთრებულ სწრაფ სერვისებს. „საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა საზოგადოებას სრულიად ახალი ინტერნეტბანკი Express Online წარუდგინა.

Express Online — ყველაფერი ერთ გვერდზე — თქვენ აღარ მოგიწევთ სხვადასხვა გვერდებზე გადასვლა იმისათვის, რომ შეძლოთ გადარიცხვის თუ გადახდის შესრულება. ყველა ფუნქცია მთლიანად ერთ გვერდზეა მოთავსებული. ერთი გვერდიდან შეძლებთ: მობილურის, დენის, გაზის, წყლის, დასუფთავების, ინტერნეტის, საკაბელოს და სახლის ტელეფონის ბალანსის შევსება.

Express Online საშუალებას გაძლევთ, თავად შექმნათ თქვენი ინტერნეტბანკის გვერდი, ანუ პრივილეგიების მიხედვით დაალაგოთ ის ფუნქციები, რომლებსაც ყველაზე მეტად იყენებთ.

Express Online 2-ჯერ უფრო სწრაფად მოგემსახურებათ. სისწრაფეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ გადახდის ღილაკზე ერთი დაჭერით შესაძლებელია რამდენიმე გადასახადის გადახდა და გადარიცხვის შესრულება, ასევე მობილური ბალანსის შევსება პროვაიდერის მითითების გარეშე.



Express Online კიდევ უფრო დაცულია — იგი გამოირჩევა დაცვის ყველაზე უსაფრთხო სისტემით, მათ შორის 128 ბიტიანი დაცვის სერთიფიკატით. ინტერნეტბანკში შესვლა კი მარტივია. ამისთვის შესაძლებელია იგივე მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენება, რომლითაც iba-nk.ge-ზე და მობილბანკში შესვლისას იყენებთ. თუ თქვენ არ სარგებლობთ „საქართველოს ბანკის“ ინტერნეტბანკით, საკმარისია ეწვიოთ ბანკის ნებისმიერ სერვის-ცენტრს, სადაც გადმოგცემენ მომხმარებლის სახელს და პაროლს.

Express Online-ით ასევე შესაძლებელია „საქართველოს ბანკის“ ახალი შეთავაზებით სარგებლობა — მობილურის, დენის, გაზის, წყლის, დასუფთავების, ინტერნეტის, საკაბელოს და სახლის ტელეფონის ბალანსის შევსება Express ქულებით. Express ქულებს დააგროვებთ „საქართველოს ბანკის“ Express Card-ით განხორციელებულ ყველა ოპერაციაზე, სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში. Express Online-ით შესაძლებელია როგორც დაგროვილი Express ქულების რაოდენობის გადამოწმება, ისე მათი კომუნალური მომსახურების საფასურში და მობილურის ბალანსში გადაცვლა. მობილურის ბალანსის შევსება ასევე უფასოა „საქართველოს ბანკის“ „Express Pay“-ის თვითმომსახურების ტერმინალებში.

ახალი ინტერნეტბანკის პირველი მომხმარებელი „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი ირაკლი გილაური იყო, რომელმაც მასმედიის თვალწინ ყველა ოპერაცია უმცირეს დროში განახორციელა.

**ირაკლი გილაური:** ჩვენი მიზანი მარტივია, მომხმარებელს მეტი კომფორტი და სისწრაფე შევთავაზოთ. ამას ემსახურება სრულიად ახალი ინტერნეტბანკი, ჩვენი ექსპრეს ფეის თვითმომსახურების ტერმინალები და, რა თქმა უნდა, ექსპრეს ქარდი“.

**„საქართველოს ბანკის“ სრულიად ახალი ინტერნეტბანკის მისამართია — WWW.EONLINE.GE**

მოდა

# ჯასტ კავალი – ზაფხულის ფერების თამაში



ჯასტ კავალიმ 2013 წლის ზაფხულისათვის თანამედროვე, დატვირთული და მხიარული კოლექცია შექმნა. წარმოდგენილი კოსტიუმები ისეთია, რომელთაც ნებისმიერი ქალი სიამოვნებით ჩაიცვამს ზაფხულში. დიზაინერმა ფერების თამაშზე გააკეთა აქცენტი — თეთრი, ვარდისფერი, ფირუზისფერი, ეთნიკური პრინტები, მრავალფეროვანი დენიმი...

სიახლე იყო სტილშიც — აქცენტი პრაქტიკულობაზე გაკეთდა. ცალკე ყურადღება დაეთმო აქსესუარებს, განსაკუთრებით — ჩანთებს. ჯასტ კავალის კოლექცია ნებისმიერ დროს ზაფხულის განწყობას მოგიტანთ.










სამედიცინო დანიშნულების საქონელი

## თქვენი თვალების ერთგული მეგობარი
# კათიონორმი
### ნანოტექნოლოგიით დამზადებული კათიონური ემულსია



❀ თუ თქვენ ატარებთ კონტაქტურ ლინზებს კათიონორმი დაიცავს თვალებს მიკროტრავმებისაგან და აღადგენს უკვე დაზიანებულ უჯრედებს. მისი ჩაწვეთება შეიძლება ყველა ტიპის კონტაქტურ ლინზებზე, თვალიდან მათი ამოღების გარეშე. არ იწვევს მხედველობის დაბინდვას;

❀ თუ სიცივეზე ან ქარზე გეწყებათ ცრემლდენა კათიონორმი მნიშვნელოვნად შეგიმცირებთ ამ სახის დისკომფორტს;

❀ თუ სისტემატიურად მუშაობთ დახურულ სივრცეში (მაგ. ოფისებში), ხშირად გიწევთ ყოფნა კონდიცირებულ გარემოში (მაგ.თვითმფრინავის სალონში), თუ თქვენი თვალები მგრძნობიარეა სიგარეტის ბოლის, სინათლის ან მტვერის მიმართ ანდა შეხება გაქვთ არასახარბიელო გარემო პირობებთან (ქლორიანი წყალი, დაბინძურებული ან ჯვამლიანი ჰაერი, ულტრაიისფერი გამოსხივება) კათიონორმის მიერ წარმოქმნილი დამცავი ფენა დაიცავს თვალებს გამოშრობისა და გაღიზიანებისგან;




❀ თუ გაწუხებთ თვალების დაღლილობა, გაქვთ დისკომფორტი, სიმშრალე, წვა ან გაქვთ "ქვიშის" შეგრძნება თვალებში კათიონორმი აღადგენს თვალის ნორმალურ, ფიზიოლოგიურ გარემოს და სწრაფად მოხსნის ამ სიმპტომებს;

❀ თუ ხანგრძლივად მუშაობთ კომპიუტერის ან სატელევიზიო მონიტორთან დამცავი, დამატენიანებელი, და რეგენერაციული მოქმედების გამო კათიონორმი ამ შემთხვევებშიც მაღალეფექტურია.

კათიონორმი როგორც სამედიცინო დანიშნულების საქონელი მოწოდებულია იაპონურ-ფინური ფარმაცევტული კორპორაცია "სანტენ"-ის მიერ. მისი ჩაწვეთება შეიძლება განუსაზღვრელი დროით. დოზირება: 1-2 წვეთი დღეში 4 ჯერ.

## მეტ დეიმონი დაქორწინდა

„ერთხელ კარგია, მეორედ — უკეთესი“, — ამბობს ჰოლივუდის ვარსკვლავი მეტ დეიმონი. მსახიობმა საკუთარ ცოლზე, ლუჩანა ბაროზოზე ხელმეორედ იქორწინა. საქორწინო ცერემონიალი მკაცრად გასაიდუმლოებული იყო და ჟურნალისტები არ დაუშვიათ.

42 წლის მეტ დეიმონმა და 36 წლის ლუჩანა ბარო-



ზომ გრძნობების განახლება გადაწყვიტეს და ხელმეორედ დაქორწინდნენ. ცერემონიალი კარიბის ზღვის კუნძულ სენტ ლუსიაზე ჩატარდა, რომელსაც 50 სტუმარი ესწრებოდა. მათ შორის იყო ჰოლივუდური წყვილი — ბენ აფლეკი და მისი ცოლი ჯენიფერ გარნერი. ნეფე-პატარძალი თეთრ სამოსში იყვნენ ჩაცმული. მსოფლიო ბულვარულმა პრესამ ამ ცერემონიალის კადრების მოპოვება ვერ შეძლო. ცერემონიალის შემდეგ სტუმრებმა პლაჟზე გადაინაცვლეს.

„ეს არ იყო ჰოლივუდური ქორწილი. მეტს სურდა, წვეულება მხიარული და პრესისგან დაცული ყოფილიყო. უნდოდა, რომ ლუჩანა ბედნიერი ყოფილიყო“, — განაცხადა ერთ-ერთმა სტუმარმა.

ინტერვიუში კი მეტმა განაცხადა:

— ჩემი ცოლი სიურპრიზებს იმსახურებს, თუნდაც თაიგულს ან სხვა რამეს, მაგრამ ხშირად ვერ ვანებივრებ, ამიტომ მუდმივად სინდისის ქენჯნა მაწუხებს.

## ბიონსე და ჯეი ზი — შოუბიზნესის ყველაზე მდიდარი წყვილი



მსოფლიო მუსიკალურ ინდუსტრიაში რეკორდი დაფიქსირდა — მომღერალი ბიონსე და მისი ქმარი ჯეი ზი ერთადერთი წყვილია, რომლის ერთობლივმა შემოსავალმა მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

რეპერი ჯეი ზი 2006 წელს საუკეთესო პოპშემსრულებლად დასახელდა. თავისი მუსიკალური კარიერის განმავლობაში 50 მილიონი ალბომი გაყიდა. გარდა ამისა, მას დიდი შემოსავალი აქვს საკუთარი ტანსაცმლის ხაზიდან, ხმისჩამწერი სტუდიიდან, პრომოუტერული კომპანიიდან და სხვა ბიზნესწყაროებიდან.

ბიონსემ კი 75 მლნ ალბომი გაყიდა და ერთ-ერთი მაღალშემოსავლიანი სახეა სარეკლამო ბიზნესშიც. ცოტა ხნის წინ მომღერალმა ახალი საკონცერტო ტურნე წამოიწყო. ექსპერტების ვარაუდით, ეს ტურნე მათ ოჯახს დამატებით 116 მლნ დოლარს მოუტანს.

წყვილს ქონება საშუალებას აძლევს, ერთმანეთს სოლიდური საჩუქრები გაუკეთონ. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ბიონსემ ქმარს 40 მლნ დოლარად ღირებული ექსკლუზიური თვითმფრინავი „ჩელენჯერ 850“ აჩუქა, რომლის ბორტზე რამდენიმე კომფორტული სავარძელი, სრულფასოვანი სამზარეულო,










■ ჯასტინ ტიმბერლეიკი ცოლთან ერთად

# ჯასტინ ტიმბერლეიკის ცოლი რიანაზე ეჭვიანობს

ამერიკელმა მომღერალმა ჯასტინ ტიმბერლეიკმა განაცხადა, რომ მუსიკალურ კარიერას სერიოზულად უნდა მიხედოს და ბაზარზე ძველი პოზიციები დაიბრუნოს. ამისათვის პირველი ნაბიჯებიც გადადგა და სოციალურ ქსელში დაწერა, რომ რიანასთან თანამშრომლობა დაიწყო. „ჩვენ ძალიან მაგარ მუსიკალურ პროექტს გავაკეთებთ. ელოდეთ ჩვენგან ბომბს!“ — ამბობს ჯასტინი.

ქმრის ეს იდეა ნაკლებად მოსწონს მის მსახიობ ცოლს, ჯესიკა ბილს. თურმე ჯასტინს ეჭვიანობის სცენებსაც უწყობს. წყვილის მეგობარი ამბობს:

— ჯესიკა არ ენდობა ჯასტინს, კარგად იცნობს და ხვდება, რომ, თუ მის თავში რამე ტრიალებს, მიზანს აუცილებლად მიაღწევს. ჯესიკამ ჩვენც გაგვიმხილა, რომ ჯასტინი რიანას საეჭვოდ დაუახლოვდა. ჯესიკას ნერვული შეტევები ეწყება, როდესაც ჯასტინი მას გამუდმებით რიანაზე ელაპარაკება. ბოლოს ჯესიკამ სთხოვა კიდეც, პროექტზე მუშაობა შეეწყვიტა, მაგრამ ჯასტინი უარზეა. ეჭვიანობის გამო ჯესიკა ქმრისგან რამდენიმე დღითაც კი წავიდა და ფეშენებელურ სასტუმროში ცხოვრობდა. იმედია, წყვილი ამ კრიზისს გადალახავს.



■ რიანა




# სტეფანე მღებრიშვილი: „პარიზი ხუთ დღეში მბეზრდება“



მომღერალ სტეფანე მღებრიშვილისთვის „სულიერი ნავსაყუდელი“ ქალაქი ამსტერდამია, სადაც ისე, როგორც არსად, სიმშვიდეს და თავისუფლებას გრძნობს. თბილისში ქუჩებში სიარულით სიამოვნებას ვერ იღებს, რადგან საკუთარი ცნობადობა უშლის ხელს. საზღვარგარეთ კი, სადაც არავინ იცნობს, სულიერად ისვენებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ სამოგზაუროდ მარტო მიდის.

ქვეყანა, სადაც მსოფლიო სიბრძნე და სტრესებისგან განკურნება ეგულება, ინდოეთია. იქ გამგზავრება ძალიან უნდა და იმედი აქვს, რომ ოდესმე აუცილებლად შეძლებს.

**— სტეფანე, ხშირად დადიხართ საზღვარგარეთ?**

— საზღვარგარეთ ხან საქმესთან დაკავშირებით მივდივარ, ხან — უბრალოდ, სამოგზაუროდ. ჩემთვის, როგორც ხელოვანისა და უცნაური ადამიანისთვის, მოგზაურობა მნიშვნელოვანია, ამიტომ საქართველოდან გაძვრომას წელიწადში სამჯერ მაინც ვახერხებ. წელიწადში 10-ჯერაც წავსულვარ საზღვარგარეთ.

**— 2013 წელი როგორ დაიწყო ამ თვალსაზრისით?**

— საქმიანი ვიზიტით სამჯერ გახლდით ისრაელში, მერე ამსტერდამსა და საფრანგეთში.

**„ინდოეთი არის ქვეყანა, სადაც არ აინტერესებთ, რა გაცვია და რომელი სოციალური ფენიდან ხარ. ამსტერდამიც ამიტომ მიყვარს, შეგიძლია „ბომჟივით" იარო და არავინ შემოგხედოს, რასაც პარიზში ვერ გააკეთებ".**

**— ისრაელში პირველად როდის მოხვდით?**

— ისრაელში წელს პირველად ვიყავი. 33 წლის ასაკში იესოს საფლავზე მოვხვდი და ალბათ ყველაზე დიდი შეგრძნება ეს იყო. ძალიან ვნანობ, ამდენ ხანს წმინდა მიწა ნანახი რომ არ მქონდა. ზოგი შეიძლება ათეისტია და ამ ყველაფრის არ სჯერა. მოხდა ისე, რომ იერუსალიმამდე ცხოვრებამ მიმიყვანა. როგორი ურწმუნოც უნდა იყო, იქ რომ მიდიხარ და ამ ყოველივეს ეხები, ხვდები, რომ სასწაული მართლაც არსებობს. იქ მოხვედრა ალბათ ყველა მორწმუნისათვის უდიდესი მადლია. ბედნიერი ვარ, რომ იერუსალიმი ვნახე!

**— როცა მოგზაურობა საქმესთანაა დაკავშირებული, დასვენებისა და სიამოვნებისთვის დრო და ადგილი გრჩებათ?**

— როცა საქმიანი ვიზიტით მივემგზავრები, ძალიან რთული გრაფიკი მაქვს, რადგან ყოველდღე დილის 9 საათზე გაღვიძება არცთუ იოლი საქმეა. ასეთ დროს საქმისგან მოწყვეტა მიჭირს, მაგრამ თუ შაბათ-კვირა ემთხვევა, ბარებში დავდივარ, ვსვამ ან ვერთობი. გავდივართ მომსახურების ზონიდან და კლუბებსა და რესტორნებში დავეხეტებით.

**— რომელიმე მოგზაურობა განსაკუთრებულად გახსენდებათ?**

— რომელიმე მათგანს ვერ გამოვყოფ, ჩემთვის ყველა შთამბეჭდავია, რადგან კარგ მოგზაურობას თვითონ ვიწყობ.

**— ამისთვის რა გჭირდებათ?**

— ხშირ შემთხვევაში ჩემთვის ყველაზე კარგი დასვენება მაშინაა, როდესაც მარტო მივემგზავრები. წინა წლებში ერთდროულად ბევრ საქმეს ვაკეთებდი და იმდენად ვიღლებოდი, თავისუფალი წუთები მენატრებოდა. ამ დროს ყოველთვის ვცდილობდი, 10 დღით სადმე წავსულიყავი. ასეთი დასვენება წელიწადში მხოლოდ ერთხელ თუ გამომივა. როცა ეს სიამოვნება მაქვს, შემიძლია სასტუმროდან 3 დღე არ გამოვიდე. ასეთი შემთხვევა ყოფილა კიდეც.

**— ყველაზე კარგად სად ისვენებთ?**

— ჩემი საყვარელი ქალაქი ამსტერდამია და მისი ხშირი სტუმარი გახლავართ. იქ ყველაზე კარგად ვისვენებ, რადგან სიცხე საშინლად არ მიყვარს, ამსტერდამში კი ყოველთვის სიგრილეა. ფანჯრიდან რომ ვიყურები და თავისუფლებას ვხედავ, ვისვენებ. იმისათვის, რომ სრული სიმშვიდე ვიგრძნო, ტელეფონსაც კი ვთიშავ. ამ დროს ჩემს ცხოვრებაში ვერავინ ერევა და ის 10 დღე იმდენად ნაყოფიერად ვისვენებ, 5 თვე მაინც მყოფნის.

**— რატომ გიყვართ ასე ძალიან ამსტერდამი, რა გიზიდავთ ამ ქალაქში?**

— ამსტერდამი თავისუფლების სიმბოლოა. რასაც იქ ვხედავ, ყველაფერი მიყვარს. ამსტერდამს ისეთი ხიბლი, აურა, ენერგეტიკა და ლიბერალური მიდგომა აქვს, რომ ტურისტად ჩასული ადამიანი თავს უცხოდ არ იგრძნობს. ადამიანების სითბო იქ ყველაზე მეტად მომწონს. ერთობ სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს და ტურიზმი ამიტომაც არის დიდად განვითარებული. იქ ბევრი ქართველი და არაქართველი მეგობარიც შევიძინე. მიყვარს ამსტერდამი, თუმცა არც პარიზში ვგრძნობ თავს ცუდად, ოღონდ მცირე ხნით.

**— პარიზი როგორ შეგრძნებებს აღგიძრავთ?**

— პარიზზე ისეთს ვერაფერს გეტყვით, რაც არ თქმულა. იქაურობა ძალიან ლამაზი და მშვიდია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ისეთივე სტუმართმოყვარეა, როგორიც ევროპის სხვა დანარჩენი ქალაქები. მყავს მეგობრები, რომლებსაც პარიზზე აბოდებთ და იქ მარტო ბოდიალი ხიბლავთ. მე არ ვარ ასე, იქაურობა 5 დღეში მბეზრდება. იქ საქმეზეც ჩავსულვარ მარტო, უბრალოდ სამოგზაუროდაც წავსულვარ და დასვენება მიცდია, მაგრამ არ გამომსვლია. პარიზი შეუცნობელი ქალაქია და უფლება არ მაქვს, ცუდად მოვიხსენიო. ყველანაირად დადებითად ვაფასებ, მაგრამ ჩემთვის იქ დასვენება წარმოუდგენელია. შეიძლება ვიღაცისთვის თბილისი იყოს მოსაწყენი, მაგრამ მე პატრიოტი ვარ.

**— ანუ საზღვარგარეთ წასვლას სამშობლოში დასვენება გირჩევნიათ?**

— მქონია საშუალება, სხვა ქვეყანაში გავმგზავრებულიყავი, მაგრამ ბათუმში წავსულვარ. იქაურობა სასწაულად მიყვარს! ბათუმში უამინდობა და წვიმებიც მიყვარს და იქაურობაზე ზამთარშიც კი ვგიჟდები! ზღვა ყველაზე მეტად მამშვიდებს.

**— უცხო ქვეყანაში იქაური ღირსშესანიშნაობები თუ გაინტერესებთ?**

— ღირსშესანიშნაობების დათვალიერება ძალიან მიყვარს, მაგრამ მე უფრო თანამედროვე ხელოვნების მოყვარული ვარ. ლუვრში და ისეთ ადგილებშიც ვარ ნამყოფი, სადაც კლასიკა და მსოფლიო საგანძური ინახება, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური მუსიკა მიყვარს, ეს ყოველივე დიდ შეგრძნებებს ვერ მიტოვებს. შეიძლება იმ ასაკში არ ვარ, რომ ეს მომწონდეს ან უბრალოდ ვერ ვერკვევი და მსოფლიო საგანძურს სათანადოდ ვერ აღვიქვამ. სადაც უნდა ჩავიდე, პირველ რიგში, მოდერნ არტი მაინტერესებს, სადაც ყველაფრის მიქსია. ეს კი ყველაზე ხშირად რატომღაც ესპანეთში მინახავს, მიუხედავად იმისა, რომ პარიზი ხელოვნების დედაქალაქია და ნაპოლეონი მთელი ცხოვრება იმისათვის იბრძოდა, რომ ყველაფერი იქ მოეგროვებინა. პარიზს ამიტომაც აქვს დიდი ამბიციები. ხელოვნება იმდენად მიყვარს, რომ სიღნაღში თუ რამე გამოფენა იმართება, აუცილებლად ჩავდივარ.

**— უცხო ქალაქების ქუჩებში ხეტიალით სიამოვნებას იღებთ?**

— ბოდიალი ყველაზე მეტად მიყვარს. 10-15 კილომეტრს ფეხით დავდივარ და ეს ჩემთვის ყველაზე დიდი განტვირთვაა, რასაც თბილისში ვერ ვახერხებ, რადგან აქ თავს მარტო არ ვგრძნობ. ჩემს დას და მეგობრებს შეუძლიათ ამით ისიამოვნონ, რადგან მათ ვერავინ ცნობს. მე კი ამის საშუალება არ მაქვს — როცა მიყურებენ, ენერგია მერთმევა. საზღვარგარეთ შემიძლია პარკში სკამზე ჩამოვჯდე ან, თუ კარგი ამინდია, ფეხზე გავიხადო, დავწვე და მწვანე ბალახზე ვეგდო მთელი დღე. არსებობს ქალაქები, რომელთა დათვალიერებაც აღარ მინდა და უბრალოდ მინდა, დავისვენო.

→44

■ ამსტერდამში





Cyan Magenta Yellow Black

**— არსებობს ქვეყანა, სადაც იყავით, მაგრამ დათვალიერება ვერ მოასწარით?**

— კი და ეს ამერიკაა. იქ კახა ცისკარიძესთან ერთად ვარ ნამყოფი. ამერიკაში ჩასვლისთანავე ყველა შოკს იღებს, მაგრამ მე არ მქონდა იმდენი დრო, რომ ამ ქვეყანას თავისი გრანდიოზულობით მოვეხიბლე, ცოტა ხნით ვიყავით ჩასული. მინდა, ამერიკაში დიდი ხნით წავიდე და მეც მოვიხიბლო. ნებისმიერ ქალაქს აქვს ის ხიბლი, რაც დიდ სიამოვნებას განიჭებს, რა თქმა უნდა, თუ თვითონ ქალაქი მიგიღებს კარგად. ზოგი ჩასულა რომელიღაც ქალაქში, სადაც საფულე ან პასპორტი დაუკარგავს და იქ გატარებული პერიოდი ჯოჯოხეთად ახსენდება.

**„უცნაური რაღაცეებიც კი გამისინჯავს, მათ შორის — კუ, გველი, ბაყაყი, ლოკოკინები და ნიანგი".**

**— თქვენც ხომ არ გაქვთ ასეთი ცუდი მოგონებები?**

— არსებობს ასეთი ქალაქი და იმედია, ის ამბავი მალე ტკბილ მოგონებად გადამექცევა. ლონდონში მე, მაია (მაია დარსმელიძე, სტეფანეს მეუღლე. ავტ.), კახა ცისკარიძე და მისი მეუღლე ვიყავით. მე და მაია ბერლინში მივფრინავდით, ისინი კი იქ რჩებოდნენ. მოხდა ისე, რომ ბანკომატმა ბარათი ჩაგვიყლაპა და დავრჩით უფულოდ. ბანკომატიდან ფულის გამოტანა კახამაც სცადა და ის ბარათიც ჩაგვიყლაპა. აღმოჩნდა, რომ ბანკომატს ჰქონდა პრობლემა. სულ ოთხნი ვიყავით და მხოლოდ 15 ფუნტი გვქონდა, რითიც აეროპორტშიც უნდა წავსულიყავით და საჭმელიც გვეჭამა. რა თქმა უნდა, ვერაფერი ვჭამეთ და ავტობუსით ვიმგზავრეთ. მშივრები ხურდებს ვითვლიდით და ისე მივაღწიეთ აეროპორტამდე.

**— საერთოდ უცხოეთში როგორ იკვებებით — როცა, რასაკვირველია, ბანკომატის „მსხვერპლი" არ ხდებით, გურმანი ხართ?**

— გურმანს ყველაფერი უნდა უყვარდეს, მე კი ამის ამბიცია არ მაქვს. უზბეკურიდან დაწყებული და იაპონურით დამთავრებული, თითქმის ყველა ნაციონალური სამზარეულოს კერძი მაქვს გასინჯული. ყველანაირი და ყველა კუთხის საჭმელი მიყვარს. უცნაური რაღაცეებიც კი გამისინჯავს, მათ შორის — კუ, გველი, ბაყაყი, ლოკოკინები და ნიანგი. გამორჩეულად არც ერთი ქვეყნის სამზარეულო არ მიყვარს, რადგან მიმაჩნია, რომ ნებისმიერი ქვეყნის სამზარეულოში მოიძებნება უგემრიელესი საჭმელი. მოგეხსენებათ,




**„33 წლის ასაკში იესოს საფლავზე მოვხვდი და ალბათ ყველაზე დიდი შეგრძნება ეს იყო. ძალიან ვნანობ, ამდენ ხანს წმინდა მიწა ნანახი რომ არ მქონდა".**

ახლა მოდაში ფუჟენ სამზარეულოებია, სადაც გენიალური კულინარების მიერ გამოგონილი არაერთი სამზარეულოს მიქსია.

**— მაია დარსმელიძე როგორი თანამგზავრია?**

— ერთად ძალიან ბევრ ქვეყანაში ვართ ნამყოფი. მაია არაჩვეულებრივი თანამგზავრია და ამა თუ იმ ქალაქთან ტკბილი მოგონებებიც გვაკავშირებს.

**— ყველაზე მეტად ვისთან ერთად გიყვართ მოგზაურობა?**

— ასეთი კონკრეტული ადამიანი არ არსებობს. თითზე ჩამოსათვლელი მეგობრები მყავს, რომლებიც ჩემთვის კომფორტული თანამგზავრები არიან. მათთან ერთად ევროპის სხვადასხვა ქალაქში ვარ ნამყოფი, მაგრამ ყველაზე მეტად კვარიათში დასვენება გვიყვარს. იქ ერთი სახლი გვაქვს ამოჩემებული. მათთან ერთად მზეზე კოტრიალი დიდი სიამოვნებაა!

**— უცხოეთში საყიდლებზეც დადიხართ?**

— ტანსაცმელს ძირითადად საზღვარგარეთ ვყიდულობ ჩემთვის ხელმისაწვდომ მაღაზიებში, სადაც ტანსაცმელი 15, 20, 25 ევრო ღირს. საყიდლებზე სიარულს მირჩევნია, კლუბში ან ბარში წავიდე და დავისვენო, რადგან იმდენი საშუალება არ მაქვს, რომ ორივეთი ვისიამოვნო. სიმართლე გითხრათ, საყიდლებზე სიარული არც მიყვარს. მით უმეტეს, ამ საქმის კეთება უკვე საქართველოშიც გადასარევად შეიძლება. ადრე მეგობრებისთვის საჩუქრებად პატარა სუვენირები ჩამომქონდა. მერე მივხვდი, რომ სუვენირები, რომლებიც ყველას აქვს, არ მომწონდა და აღარ ვყიდულობ.

**— სამოგზაურო სამზადისი დიდ დროს გართმევთ?**

— ჯარისკაცივით ვარ გამოწრთობილი, ერთ საათში შემიძლია ბარგის ჩალაგება და თანაც ისე, რომ არაფერი დამრჩეს.

**— თვითმფრინავით მგზავრობას ალბათ უკვე მიჩვეული ხართ.**

— 3 თვის ვყოფილვარ, როცა თვითმფრინავში ჩამსვეს და მას შემდეგ მშობლებთან ერთად სულ დავფრინავდი. ერთხელ დახურულ სივრცეში ჩავიკეტე. მას მერე, 2008-2009 წლებში, ფრენის ძალიან მეშინოდა, რის გამოც გამუდმებით საძილე აბებს ვიღებდი. ბოლო ერთი წელია, ფრენის შიშს დიდად ველარ ვგრძნობ.

**— ოცნების ქვეყანა თუ გაქვთ?**

— მადლობა ღმერთს, ძალიან ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ ინდოეთში წასვლა ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა. გარკვეული პრობლემების გამო იქ წელსაც ვერ წავედი, მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, აუცილებლად გავემგზავრები, ბოლოს და ბოლოს განვადებით წავალ. ვინც კი მეგობარი მყავს, რომელსაც ტვინი კარგად უმუშავებს, ყველა ამბობს, რომ ინდოეთისნაირი ქვეყანა არ არსებობს. მე მათ ვენდობი და მჯერა, რომ ასეა. ადამიანს თუ უნდა, რომ განიტვირთოს, სტრესისაგან განიკურნოს, სიბრძნე მოიპოვოს, ამის ერთადერთი საშუალება ინდოეთია. იქ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩადიან იმისათვის, რომ სულიერი სიმშვიდე მოიპოვონ. ინდოეთი არის ქვეყანა, სადაც არ აინტერესებთ, რა გაცვია და რომელი სოციალური ფენიდან ხარ. ამსტერდამიც ამიტომ მიყვარს, შეგიძლია „ბომჟივით" იარო და არავინ შემოგხედოს, რასაც პარიზში ვერ გააკეთებ.

✓ სოფიო ბოჭორიძე




# ბუქარესტი — ქალაქი, სადაც ქართველმა წმინდანმა კვალი დატოვა

ბუქარესტი რუმინეთის დედაქალაქი და მისი ინდუსტრიულ-კომერციული ცენტრია. ქალაქი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე დიმბოვიცას ნაპირზეა გაშენებული. ამ მდინარეზე შესაძლებელია ბორნით მგზავრობა, რომლის მარშრუტიც გახლავთ საქართველო-უკრაინა-მოლდოვა-რუმინეთი.

ისტორიული ცნობების მიხედვით, ბუქარესტი პირველად 1459 წელსაა ნახსენები, დედაქალაქი კი 1862 წელს გახდა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქმა არნახული წინსვლა განიცადა. გამწვანებულ პროსპექტებზე ერთმანეთის მიყოლებით აშენდა ფრანგი არქიტექტორების მიერ დაპროექტებული ლამაზი და დიდი ნაგებობები. ელეგანტური არქიტექტურის გამო ამ ქალაქს ხშირად აღმოსავლეთის პარიზს ან მცირე პარიზს ეძახიან. ბუქარესტში ტურისტების ყოველწლიური რაოდენობა 2 მილიონს აღემატება.



Cyan Magenta Yellow Black

## კლიმატი

ბუქარესტისათვის კონტინენტური კლიმატია დამახასიათებელი. ჰაერის საშუალო ტემპერატურა ზაფხულში 30, ზამთარში კი 2 გრადუსი ცელსიუსია. გაზაფხული ძალიან მოკლეა, რადგან აპრილიდან უკვე საკმაოდ ცხელა. ზაფხულში ტემპერატურა 40 გრადუსამდე ადის. ზამთარში ხშირია ყინვა, ამ დროს ჰაერის ტემპერატურა -12 გრადუსამდეც კი ეცემა.

ბუქარესტში მოგზაურობისათვის საუკეთესო პერიოდი აპრილიდან ივნისის ბოლომდე ან სექტემბრიდან ნოემბრის დასაწყისამდეა.

## რელიგია

ქვეყნის სახელმწიფო რელიგია მართლმადიდებლური ქრისტიანობა გახლავთ, თუმცა ქვეყანაში რელიგიის თავისუფლებაა. მოსახლეობის 78% მართლმადიდებელი ქრისტიანია, 15% — კათოლიკე, ხოლო დარჩენილი რაოდენობა მსოფლიოში გავრცელებული სხვადასხვა რელიგიისა თუ რელიგიური სექტის მიმდევარია.

## ენა

ქვეყნის ოფიციალური ენა რუმინულია, რომელიც ყველაზე ახლოსაა ლათინურთან, სიტყვების დაახლოებით 20% კი სლავური ენებისგანაა ნასესხები.

ახალგაზდები და მოზარდები ინგლისურს თავისუფლად ფლობენ, ეს მათთვის მეორადი ენაა. შედარებით ძველი თაობა, 1970 წლამდე დაბადებულები, მშვენივრად საუბრობენ ფრანგულად, ესპანურად და იტალიურად. ბუქარესტში აგრეთვე გავრცელებულია უნგრული და გერმანული ენები.

## ფული

რუმინული ლეი ქვეყნის ეროვნული ვალუტაა. მე-7 საუკუნეში თანამედროვე რუმინული სამთავროების ტერიტორიებზე ვალუტის სახით ჰოლანდიური დაალდერები იყო მიმოქცევაში, რომელთაც ლომის გამოსახულება ჰქონდათ. ამის გამო რუმინელები მათ ლეის ეძახდნენ (ქართულად ითარგმნება, როგორც ლომი). წლების განმავლობაში ეს სახელწოდება ზოგადად ფულს აღნიშნავდა, მოგვიანებით კი ეროვნული ვალუტის ოფიციალურ სახელწოდებად იქცა.

მართალია, რუმინელებს ჰქონდათ მცდელობა, საკუთარი ფულის სახელწოდებად რომანი ან რომანატი შეერჩიათ, მაგრამ 1867 წლიდან რუმინული ფული იწოდება, როგორც ლეი. მსგავსი წარმომავლობის სახელები აქვთ მეზობელი ქვეყნების ფულის ერთეულებსაც — ბულგარული ლევი და ალბანური ლეკი.

1 ლეი 0,30826 ამერიკული დოლარის ტოლფასია. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ტურისტებისთვის ყველაზე იაფი ქალაქების რეიტინგში ბუდაპეშტთან ერთად ბუქარესტიც შეიყვანეს.

## გადაადგილება

თუ ბუქარესტში ჩასვლას თვითმფრინავით ამჯობინებთ, ჰენრი კოანდას საერთაშორისო აეროპორტიდან ქალაქის ცენტრში მოხვედრა შეგიძლიათ ტაქსით, ავტობუსით და ახლა უკვე მატარებლითაც. აეროპორტი ქალაქის ცენტრიდან 18 კილომეტრითაა დაშორებული, რის გამოც იქიდან ქალაქში მოხვედრა ავტობუსით 7-10 ლეი დაგიჯდებათ, ტაქსით კი — 15-30 ლეი. მატარებლის ბილეთი 15 ლეი ღირს და მას აეროპორტის შენობაში შეიძენთ. ევროპის ნებისმიერი ქვეყნიდან ბუქარესტში მატარებლით ან ავტობუსითაც შეძლებთ ჩასვლას.

თავად ქალაქში ტრანსპორტი საკმაოდ მოწესრიგებულად მოძრაობს. ავტობუსით, ტროლეიბუსით, მეტროთი და მატარებლით მგზავრობის ფასები საშუალოდ 3-დან 12 ლეიმდე მერყეობს. სისწრაფის თვალსაზრისით, მეტრო ყველას სჯობია, მას 4 ხაზი აქვს.

## სამზარეულო

რუმინული სამზარეულო საკმაოდ გემრიელი და მრავალფეროვანია, რაც, ადგილობრივების აზრით, წარსულში უცხოელი დამპყრობლების გავლენის შედეგია. რუმინელებისათვის ღორის ხორცი შეუცვლელია, მხოლოდ მის შემდეგ შემოგთავაზებენ საქონლის და ქათმის ხორცს. მდინარე დიმბოვიცაში დაჭერილი თევზით კი აბსოლუტურად ყველგან გაგიმასპინძლდებიან.

რუმინელები წვნიანი კერძების მოყვარული ხალხია. აუცილებლად უნდა დააგემოვნოთ ჩორბა — სპეციალურ ქოთანში ბოსტნეულისა და ქათმის ხორცისაგან მომზადებული წვნიანი.

ტურისტების საყვარელ და შედარებით ნაცნობ საკვებს სარმალე წარმოადგენს. ეს გახლავთ ქაბაბის მსგავსი კერძი, მას მხოლოდ ღორის ხორცით და ადგილობრივი სანელებლებით ამზადებენ.

რუმინული კერძები ალკოჰოლის გარეშე სრულყოფილი არაა. ადგილობრივებისათვის პირველ ადგილზეა ქლიავის არაყი ტუიკა. მას ჭამამდე მიირთმევენ. მსოფლიოში ცნობილია რუმინული ღვინო და ლუდიც. სასმელებიდან



კრეცულესკუს სასახლე

ჩაი ლიდერობს. რაც შეეხება კვებას, ბუქარესტის რესტორნებში სადილი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე იაფია. მაგალითად, მაღალი კლასის რესტორანში სადილი დაახლოებით 150 ევრო დაგიჯდებათ, საშუალო კლასის რესტორანში კი შეგიძლიათ 30 ევროდაც ივახშმოთ.

## ღირსშესანიშნაობები

ბუქარესტში სანახავი უამრავი რამაა, ყველაზე დიდი ყურადღება კი მე-18 საუკუნის მართლმადიდებლური ეკლესიების კომპლექსს უნდა მიაქციოთ. მათგან გამოირჩევა ანთიმოზის მონასტერი, რომელიც ქართველ წმინდანს, ანთიმოზ ივერიელს აუგია. მონასტერი მიტროპოლიტ ანთიმოზ ივერიელის ქუჩაზე მდებარეობს. აგრეთვე უნდა მოინახულოთ ტიმიშოარას საკათედრო ტაძარი, რომელიც ყველაზე მაღალი მართლმადიდებლური ეკლესიაა რუმინეთში და მერვე ადგილზეა მსოფლიოს ყველაზე მაღალ მართლმადიდებლურ ტაძრებს შორის.

მსოფლიო დონის ღირსშესანიშნაობებს შორისაა კრეცულესკუს სასახლე, მოგოშაიას რეზიდენცია, კისელიოვას ტრიუმფული თაღი, ჩაუშესკუს სასახლე, ასევე კულტურისა და ისტორიის მუზეუმები. ქალაქის მუზეუმებს შორის ერთ-ერთია ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც თვალწინ გადაგეშლებათ რუმინეთის სოფლის ყოფა-ცხოვრება. იქვე, მყუდრო პარკში, რომელიც ტბას გადაჰყურებს, გლეხების სახლები და სხვა ნაგებობებია, რომლითაც წარმოდგენილია რუმინეთის სხვადასხვა კუთხე. თითოეული სახლი ფაქტობრივად მუზეუმია, სადაც ნახავთ სამუშაო იარაღებს, ხელსაწყოებს თუ ავეჯს, რომლებსაც ადგილობრივები ძველად იყენებდნენ.

ბუქარესტის არქიტექტურულ ნაგებობებს შორის ყველაზე გრანდიოზულია პარლამენტის სასახლე, რომელსაც კომუნისტების დროს „ხალხის სასახლეს“ უწოდებდნენ. მისი დაპროექტება 1980 წელს დაიწყო. ამ ნაგებობის ფართობი 360.000 კვადრატული მეტრია, მას 12 სართული და 1100 ოთახი აქვს და ასობით დიდებული ჭაღი ამშვენებდა, სიდიდით კი სამჯერ აღემატება ვერსალის სასახლეს საფრანგეთში. ძველი ქალაქის ტერიტორიის დიდი ნაწილი მთლიანად გაწმინდეს, მის ადგილას კი პარლამენტის შენობა ააგეს და მშვენიერი ბულვარი გააშენეს. შეიძლება ითქვას, რომ ახლა პარლამენტის შენობა თანამედროვე ბუქარესტის სახეა.

ტურისტებს გულგრილს არ დატოვებს ქალაქის ის ულამაზესი უბნები, სადაც ძველი არქიტექტურული ნაგებობებია შემორჩენილი. რუმინეთის კულტურული ძეგლების დათვალიერების ფასები საშუალოდ 10-დან 55 ლეიმდე მერყეობს. აღსანიშნავია, რომ ქალაქის თანამედროვე და ისტორიული ნაწილი არ არის ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული. ერთმანეთის გვერდიგვერდ დგას სხვადასხვა ეპოქაში აშენებული ნაგებობები.

თუ ამ ყველაფრის მონახულების შემდეგ დრო დაგრჩებათ, გირჩევთ, ბუქარესტიდან 20 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ სნაგოვს ეწვიოთ, სადაც შეგიძლიათ დაათვალიეროთ ულამაზესი ტბები და, რაც მთავარია, საშუალება გექნებათ, მოინახულოთ ვლად III-ის საფლავი, რომელიც უფრო მეტად გრაფი დრაკულას სახელითაა ცნობილი. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ ქალაქ სნაგოვში ნავის დაქირავება მოგიწევთ, რაც 1 საათით 20 ლეი ღირს.

## უსაფრთხოების წესები

მიუხედავად იმისა, რომ ბუქარესტი მთელი ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე დაცული დედაქალაქთაგანია და კრიმინალი ძალიან დიდ იშვიათობას წარმოადგენს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სიფრთხილის გამოჩენა არ გმართებთ. ბუქარესტში მრავლადაა სხვა წვრილ-წვრილი პრობლემა — საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჯიბის ქურდები მრავლად არიან, ღამის საათებში გარეთ მარტო სიარული ძალიან საშიშია. თუ გზა აგებნათ, რიგით გამვლელს არ ენდოთ, გირჩევთ, პოლიციას მიმართოთ. სამართალდამცავები სიამოვნებით დაგეხმარებიან. დედაქალაქში უმთავრეს პრობლემად მაწანწალა ძაღლები რჩებიან, რომელთა გვერდით გავლას არ გირჩევთ.

გაითვალისწინეთ, რომ ადგილობრივი მძღოლები საგზაო ნიშნებს არ უყურებენ, ამიტომ ფეხით სიარულის დროს დიდი სიფრთხილე გმართებთ. აი, თუ მანქანას დაიქირავებთ, მაშინ მოძრაობის წესების დაუცველობის შემთხვევაში უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის დიდი ჯარიმებია დაწესებული.

რუმინელებს საშინლად სძულთ უზრდელები და მათ ფიზიკურადაც უსწორდებიან. ყველაზე საკვირველი კი ის გახლავთ, რომ ამის გამო არ ისჯებიან.

ბუქარესტში მაღაზიები დილის 9-დან 19 საათამდე მუშაობს, შესვენება კი 13-დან 14 საათამდეა. რაც შეეხება ბანკებს, სამუშაო საათები დილის 9-დან 18-მდეა. კვირადღესაც მუშაობენ, ოღონდ 14 საათამდე.

## უბის წიგნაკი

**ქვეყანა — რუმინეთი;**
**დედაქალაქი — ბუქარესტი;**
**ფართობი — 228 კვ.კმ;**
**მოსახლეობა — 1.931.838;**
**ვალუტა — რუმინული ლეი;**
**ენა — რუმინული.**

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# „ჩემთან შეზრდილმა დობილმა საყვარელი მამაკაცი დამაკარგვინა“



ორი ქალის ცხოვრება ბავშვობიდან გადაეჯაჭვა ერთმანეთს. დაობლებული გოგონა მეგობრის მშობლებმა შეიფარეს სახლში. გულიკო და მზია დებივით იზრდებოდნენ, ერთმანეთის სიხარულს და ტკივილს იზიარებდნენ... მაგრამ თანდაყოლილმა ბუნებამ თავისი გაიტანა და ღალატმა მეგობრობა შებღალა. ნაღალატევმა კი, დიდი სულიერი ტრავმის მიუხედავად, პატიება შეძლო. გადარჩა თუ არა მათი მეგობრობა? ჩვენი რესპონდენტი თავად გვიამბობს.

**მზია:**

— მე და გულიკო ერთად გავიზარდეთ სოფელში. მეზობლები და თანატოლები ვიყავით, ერთმანეთს კარგად ვეწყობოდით. გულიკოს მამა რუსეთში წავიდა სამუშაოდ. რამდენიმე თვის შემდეგ ცოლშვილთან კავშირი გაწყვიტა. მახსოვს, გულიკოს დედა ქმრის გამო როგორ ნერვიულობდა, აღარ ეგონა, ცოცხალი თუ იყო. ეკლესიაში დადიოდა და როგორც უგზოუკვლოდ დაკარგულს, ისე იხსენიებდა. სამი წლის შემდეგ ის კაცი ერთმა ნათესავმა შემთხვევით ნახა მოსკოვში, რუს ქალთან და პატარა ბავშვთან ერთად იყო, ნათესავს თავის ცოლ-შვილად გააცნო... ეს ამბავი გულიკოს დედამ ძალიან მძიმედ განიცადა, რამდენიმე თვეში კი გულის შეტევით გარდაიცვალა. საბრალო, არაჩვეულებრივი ქალი იყო.

**— თქვენი მეგობარი მარტო დარჩა?**

— კი, სულ მარტო დარჩა. დედის მხრიდან ახლო ნათესავები არ ჰყავდა, მამის ნათესავებმა მოაკითხეს და მისი წაყვანა მოინდომეს. გულიკო ისტერიკაში ჩავარდა, დედის სიკვდილში მამას ადანაშაულებდა და მისი ნათესავების დანახვა არ უნდოდა. მახსოვს, მის წასაყვანად რომ მოვიდნენ, ერთმანეთს ისე ჩავეკარით, ვერაფრით დაგვაშორეს. ჩემს მშობლებს შევებრალეთ და გულიკო ჩვენთან დატოვეს. მას შემდეგ განუყრელად ვცხოვრობდით.

**— ეს ტრაგედია როგორ აისახა მის ხასიათზე?**

— სუსტი ნერვების, დაუცველი, მელანქოლიისკენ მიდრეკილი გოგო იყო. ოჯახის ტრაგედიამ მძიმე კვალი დაუტოვა. მეც სუსტი და ნაზი ვიყავი, მაგრამ ისე მიყვარდა, მის გვერდით შემართული და ძლიერი ვხდებოდი. თავადაც ძალიან მომეკედლა, ჩემ გარეშე ვერ ძლებდა. ყველას წინაშე ვიცავდი, პრობლემებს ვუგვარებდი.

ერთხელ უჩემოდ მოუწია სკოლაში წასვლა, რადგან ავად ვიყავი. ატირებული მოვიდა შინ. გული კინაღამ ამომივარდა, სანამ შევიტყობდი, რა მოხდა. ერთი სოფლის ყოჩი გვყავდა, მირიანი, მთელი სოფლის ბიჭები ხელში ეჭირა. უბატონოდ ხმას ვერავინ სცემდა. თურმე გულიკოს გოგობიჭების თანდასწრებით დასცინა, იხვის ჭუკი დაუძახა. ეს რომ გავიგე, საშინლად გავბრაზდი. ლოგინიდან წამოვხტი და მირიანის მოსაძებნად გავექანე. ბიჭებთან ერთად იდგა. არც ვაციე, არც ვაცხელე და წიხლი ჩავცხე მუცელში! ამას კი ნამდვილად არ ელოდა, ჩაიკეცა. ბიჭებს თვალები გადმოუცვივდათ, მირიანის მოსალოდნელი რეაქციის შიშით გაფითრდნენ. მას კი არაფერი უთქვამს ჩემთვის. მას შემდეგ გულიკოსთვის აღარ დაუცინია, მე კი განსაკუთრებული კრძალვით მექცეოდა.

**— როცა წამოიზარდეთ, თქვენ და გულიკო რა გზას ეწიეთ?**

— სკოლის დამთავრების შემდეგ ერთ ინსტიტუტში ჩავაბარეთ სხვადასხვა ფაკულტეტზე. ჩემმა მშობლებმა თბილისში ბინა გვიქირავეს და ერთად ვცხოვრობდით. გულიკოს სწავლაში ვეხმარებოდი, წიგნებს ვუკონსპექტებდი, მას კი დიასახლიობა ეხერხებოდა, გემრიელ სადილებს ამზადებდა. საერთო მეგობრები გვყავდა. ერთმანეთს ვავსებდით, ერთმანეთს რაღაცით დავემსგავსეთ კიდეც. ვინც ახლოს არ გვიცნობდა, ყველას დები ვეგონეთ.

**— თაყვანისმცემლები თუ ტრიალებდნენ თქვენ გარშემო?**

— გულიკო მეტად მგრძნობიარე იყო, მე უფრო ცივი და უკარება ვიყავი. მას რომანტიკული ბუნება ჰქონდა, თუ ბიჭი დაელაპარაკებოდა ან სიმპათიას გამოხატავდა, ეგონა, რომ მასზე გიჟდებოდა. ვცდილობდი, მისთვის ფრთები მომეკვეცა და მიწაზე დაშვებაში დავხმარებოდი. თუმცა რაც უნდა ეცადო, ადამიანის ბუნებას მაინც ვერ შეცვლი, ამიტომ განსაცდელსაც ვერ ავცდით.

**„ეჭყობა, სინდისმა შეაწუხა და ჩემთან ყველაფერი აღიარა, ღმერთმა ამ აკადმყოფობით იმიტომ დამსაჯა, რომ უსამართლოდ მოგექეცი...“.**

იმ უბანში, სადაც მდგმურად ვიყავით, ერთი ბიჭი ცხოვრობდა, ნუგზარი, თვალშისაცემად სიმპათიური და გოგოების მოყვარული. ყველა ქალს, გამვლელს და გამომვლელს, მზერას აყოლებდა. მე და გულიკოსაც ასევე გვიყურებდა. არ ვიცი, ჩემმა მეგობარმა რა დაიჭირა მის მზერაში, მაგრამ დაიჩემა, ჩემ მიმართ გულგრილი არ არისო. ვეუბნებოდი, მეც ისევე მიყურებს, როგორც შენ და ეს მხოლოდ მისი ცუდი ჩვევაა-მეთქი, მაგრამ არ მიჯერებდა, უფრო მეტიც, სწყინდა. თავისი ამ დამოკიდებულებით ის მიიღო, რომ ნუგზარმა მართლა მიაქცია ყურადღება და...

**— შეყვარებულები გახდნენ?**

— ვეუბნებოდი, მაგ ბიჭს არ შეხვდე, კარგს არაფერს მოგიტანს-მეთქი. თითქოს ყურს მიგდებდა, მაგრამ მაინც არ დამიჯერა. ერთ დღესაც გამომიცხადა, რაღაცაში უნდა გამოგიტყდე, მხოლოდ არ გამიბრაზდეო. თურმე ნუგზარს პაემანზე შეხვდა. ვარწმუნებდი, შენ მისთვის ერთი სოფლელი გოგო ხარ, სერიოზულად არც შემოგხედავს, საშუალებას ნუ მისცემ, შენით გაერთოს-მეთქი, მაგრამ...

**— როგორც ჩანს, ნუგზარმა გულიკოს სიყვარული და ნდობა ბოროტად გამოიყენა.**

— კი, გულიკო დაორსულდა და მაშინ დაიწყო მთელი მისი ტრაგედია. შეყვარებულმა მასზე გული აიცრუა, ისიც კი აკადრა, დარწმუნებული არ ვარ, რომ ბავშვი ჩემია, თუ არ გინდა, შენი შვილი უმამოდ გაიზარდოს, აბორტი გაიკეთეო. გულიკო ისტერიკაში ჩავარდა, ჩემგან მოითხოვდა მხარდაჭერას, როგორც ბავშვობაში იყო მიჩვეული. თვითონ მოიქცა წინდაუხედავად, არ დამიჯერა და რაღა უნდა მექნა? სულ ვაფრთხილებდი, ნუგზარი საკბილოს ეძებს და საკუთარ თავს ლანგრით ნუ მიართმევ-მეთქი, მაგრამ ჩემი რჩევა არაფრად ჩააგდო, მაინც თავისი გაიტანა. მას რომ პაემანზე ხვდებოდა, მიმალავდა, მატყუებდა და ახლა, როცა თავი ხაფანგში ამოყო, იმ ბიჭთან უნდა მივვარდნილიყავი და ჩამეწიხლა?! თუ ვინმეს ეკუთვნოდა ჩემგან როზგი, ეს თავად გულიკო იყო, მაგრამ გაუბედურებულ ორსულ ქალს წიხლს ხომ არ დავაჭერდი?

**— როგორც ჩანს, გულიკო მაინც თქვენზე იყო დამოკიდებული, გამოსავალი რაში იპოვეთ, რა მოიმოქმედეთ?**

— ჩვენი დიასახლისი შინაბერა ქალი იყო, სულ თავის უმწიკვლო სახელზე, რეპუტაციასა და ღირსებაზე ლაპარაკობდა. გულიკოს ფეხმძიმობის შესახებ რომ გაეგო, კინწისკვრით გაგვყრიდა, ამიტომ ბინა სასწრაფოდ შევიცვალეთ და სხვა უბანში გადავედით. მთელი ცხრა თვე გულიკოს ნუგეშისცემაში ვიყავი, სულ იმას ჩავაგონებდი, მართალია, სიყვარულში შეცდი, მაგრამ სამაგიეროდ დედა გახდები, ამისთვის ღმერთს მადლობა უთხარი-მეთქი.

**— თქვენმა მშობლებმა და ახლობლებმა სიმართლე გაიგეს?**

— ვთქვი, რომ ვითომ გათხოვდა და ქმარს მალევე გაშორდა, რადგან უვარგისი კაცი გამოდგა, გამოუსწორებელი მექალთანე, ლოთი და შფოთისთავი. ცხადია, გულიკოს ყველასთან ნამუსს ვწმენდდი.

**— ბავშვის გაჩენის შემდეგ სტუდენტი გოგონები ჩვილს მარტო უვლიდით?**

— გულიკომ ერთი წელი აკადემიური აიღო, მაგრამ ბავშვის მოვლა მაინც გაგვიჭირდა, ამიტომ ჩემმა მშობლებმა უპატრონეს, ისინი თავისთან, სოფელში წაიყვანეს. დასვენების დღეებში მეც ჩავდიოდი, გულიკოს ბავშვი საკუთარივით მიყვარდა, მეცოდებოდა, მამისგან რომ იყო უარყოფილი.



Cyan Magenta Yellow Black

ერთი წლის შემდეგ გულიკო თბილისში ჩამოვიდა და სწავლას დაუბრუნდა. ბავშვს დედაჩემი ზრდიდა.

— **თქვენს პირად ცხოვრებაში რა ხდებოდა, სიახლე არ შემოვიდა?**

— უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე. სამსახურიდან სახლამდე დაახლოებით სამი გაჩერება იყო, მაგრამ შინ ყოველთვის ფეხით მივდიოდი, სიარული ძალიან მიყვარდა. ერთ საღამოსაც შევნიშნე, რომ უკან ვიღაც მომყვებოდა. შავი სათვალე ეკეთა. ცოტა არ იყოს, შევშინდი, მაგრამ ჩემი შიში უსაფუძვლო გამოდგა. იმ ახალგაზრდა კაცმა როგორც კი დაინახა, რომ შევკრთი, გვერდზე გაუხვია. ასე რამდენჯერმე განმეორდა. ერთ დღესაც მომიახლოვდა და გამეცნო, სოსო მქვიაო. მასაც ფეხით ჰყვარებია სიარული და სამსახურიდან იმავე გზით ბრუნდებოდა შინ. გზაში სხვადასხვა თემებზე ვსაუბრობდით და ბევრი საერთო აღმოვაჩინეთ. თბილისელი იყო, უცოლო. მიყვებოდა თავის ოჯახზე, მშობლებზე, უმცროს დებზე. თანდათან დავმეგობრდით. ვგრძნობდი, რომ ძალიან მომწონდა, მიზიდავდა.

ერთ კვირადღეს კაფეში დამპატიჟა და სიყვარული ამიხსნა. ძალიან ბედნიერი ვიყავი. მერე თავის სახლში წამიყვანა და ოჯახის წევრები გამაცნო. არაჩვეულებრივი დედა ჰყავდა, ძალიან თბილად შემხვდა. როგორც ჩანს, ჩემ შესახებ უკვე იცოდა. შინ რომ დავბრუნდი, სიხარულისგან დავფრინავდი. გულიკოს ყველაფერი მოვუყევი, სოსოს ისე ვუხასიათებდი, ცაში ამყავდა.

— **დობილს თქვენი ბედნიერება გაუხარდა?**

— იეჭვიანა, თითქოს ვიღაც ჩემს თავს ართმევდა. სოსოს მიმართ სკეპტიკურად განეწყო, ვინ იცის, შენთან დაკავშირებით რა მიზნები აქვს, ჩემი მაგალითი არ დაგავიწყდესო. გადავწყვიტე, მისთვის გამეცნო და სოსო შინ მოვიწვიე. გულიკო მისით აღფრთოვანდა, მთხოვდა, მასთან დაკავშირებით ყველაფერი მომეყოლა. მეც ყველა წვრილმანს ვუამბობდი. მეგონა, ჩემი ბედნიერებით ხარობდა, სინამდვილეში კი თურმე თავად დაადგა თვალი. ამას ჩემს წარმოსახვაშიც კი ვერასოდეს დავუშვებდი!

— **გულიკომ თქვენი და სოსოს სიყვარულზე რამე გავლენა მოახდინა?**

— რაღაც დროის შემდეგ სოსო ჩემ მიმართ გაცივდა, თავს მარიდებდა. ძალიან განვიცდიდი, ვერ ვხვდებოდი, მასთან ურთიერთობაში რა შემეშალა.

— **მისთვის მიზეზი არ გიკითხავთ?**

— ურთიერთობების გარკვევა ან საქმის გარჩევა არ მჩვევია. თუ მაგრძნობინებენ, რომ ზედმეტი ვარ, უბრალოდ განზე ვდგები. ამ შემთხვევაშიც ასე მოვიქეცი, მაგრამ საოცრად დავითრგუნე.

— **როდის გაიგეთ, რომ თქვენი ურთიერთობის გაფუჭებაში გულიკოს მიუძღოდა წვლილი?**

— წლების შემდეგ შევიტყვე. გულიკოს რაღაც ვირუსული დაავადება შეხვდა და ძალიან მძიმედ იყო. საავადმყოფოში დავაწვინე, თავს ვევლებოდი, ფაქტობრივად გადავარჩინე. ეტყობა, სინდისმა შეაწუხა და ჩემთან ყველაფერი აღიარა. მითხრა, ღმერთმა ამ ავადმყოფობით იმიტომ დამსაჯა, რომ უსამართლოდ მოგექეციო.

— **მაინც როგორ მოახერხა, შეყვარებულისთვის დაეშორებინეთ, რა გააკეთა ისეთი?**

— ამის თქმაც კი მერიდება. ერთი სიტყვით, სოსო აცდუნა და მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა. როგორც ჩანს, სოსომ ველარ მისცა თავს უფლება, ჩემთან ურთიერთობა გაეგრძელებინა ან იქნებ ჩემზეც დაეკარგა წარმოდგენა, მეც მსუბუქი ყოფაქცევის ქალად აღმიქვა. ამიტომ ორივეზე უარი თქვა.

— **მეგობარს აპატიეთ ასეთი საშინელი ღალატი?**

— თავიდანვე რომ გამეგო, ცხელ გულზე, არ ვიცი, რას მოვიმოქმედებდი. ისეთ დროს შევიტყვე, როცა სოსო უკვე დავიწყებული მყავდა, ხოლო ღმერთს გულიკოს გადარჩენას შევთხოვდი, ამიტომ მეგობრის მონანიება მივიღე და, თქვენ წარმოიდგინეთ, შევუნდე კიდეც.

— **ახლა მასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ყოველთვის დებივით ვიყავით და ამიტომ ხელაღებით ვერ მივატოვე, ურთიერთობა ვერ გავწყვიტე, მაგრამ მის მიმართ ნდობა დავკარგე და ალბათ სამუდამოდ.

✓ ნანა კობახიძე

## მოწყენილობა ზედმეტი წონის დაკლებას ეხმარება

მოწყენილობა ჭარბი წონის დაკლებასა და ფიზიკურად გაძლიერებას ხელს უწყობს. აშშ-ის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მოწყენილი ადამიანები ყოველდღიურად ერთსა და იმავე საჭმელს ჭამენ და 100 კკალორიით ნაკლებს იღებენ, ვიდრე მხიარული გურმანები.

თუ ერთსა და იმავე სიმღერას მრავალჯერ უსმენთ, მოიწყენთ. საკვებთან მიმართებაშიც ასე ხდება. თუ მუდამ ერთსა და იმავეს ჭამთ, ორგანიზმი მის ნაკლებად გულმოდგინედ ათვისებას იწყებს. ამგვარად, ზედმეტის ჭამა არ მოგინდებათ. გარდა ამისა, ადამიანები, რომლებიც თავს მოწყენილად გრძნობენ სამუშაოსა თუ სახლში, უფრო ხშირად მოძრაობენ და ამით ზედმეტ კილოგრამებს წვავენ. მოწყენილობისგან ადამიანები ოთახიდან ოთახში დადიან ან უბრალოდ მაგიდაზე აკაკუნებენ. სულ ერთია, ესეც კალორიებს წვავს.

მაგრამ არსებობს ერთი ნიუანსი. მოწყენილი ადამიანები ხშირად სამუშაოს შემდეგ სვამენ, რაც სულელურ ჩვევაში გადადის. ამიტომ ალკოჰოლისგან თავი შორს დაიჭირეთ.

## ფენ შუი გირჩევთ



1. თქვენს ოჯახში ყოველთვის სიმშვიდე და ჰარმონია რომ იყოს, ზარი შეიძინეთ. შემოსასვლელ კარზე ისე დაკიდეთ, რომ ყოველთვის, როდესაც გაიღება, „ქარის მუსიკა“ ისმოდეს. ფენ შუის მიხედვით, ამგვარად სახლში დადებით ენერგიას მიიზიდავთ.

2. მატერიალური კეთილდღეობა გსურთ? მაშინ მისაღებში თქვენი საყვარელი დივანი აუცილებლად კვადრატული ფორმის სამი მეწამული ბალიშით მორთეთ. თქვენს ცხოვრებაში დადებითი ცვლილებები მალე დაიწყება.

3. ხანგრძლივად სიცოცხლე გსურთ? შეიძინეთ ბამბუკი — დღეგრძელობის მთავარი სიმბოლო ფენ შუის მიხედვით და ბინის აღმოსავლეთ ნაწილში დადეთ.

ჩინელებში წერო დღეგრძელობის კიდევ ერთი სიმბოლოა. წეროს სურათი (შეგიძლიათ ჟურნალიდან ამოჭრათ) კედელზე დაკიდეთ.

## ჭაღარას ვებრძვით



როგორც ცნობილია, ჭაღარა სწრაფად ჩნდება რკინის, სელენის, თუთიის, ასევე A და E ვიტამინის ნაკლებობისას. ამიტომ რაციონში ჩართეთ ზღვის პროდუქტები, პარკოსნები, ბოსტნეული და ხილი, ხოლო კვირაში ერთხელ თმისთვის სპეციალური ნიღაბი გაიკეთეთ.

2 ჩაის კოვზ გამხმარ პიტნის ფოთლებს 1/2 ჭიქა მდუღარე დაასხით, 30 წუთი დადგით, შემდეგ 2 ჩაის კოვზი ქორფა რეჰანის ფოთლების წვენი დაუმატეთ. მიღებული ნარევი თავის კანში შეიზილეთ. ჯერ პოლიეთილენი, ზემოდან კი პირსახოცი დაიფარეთ და 1 საათი გაიჩერეთ. შემდეგ გამდინარე წყლით ჩამოიბანეთ.

ყოველდღიურად მიიღეთ 1 ჩაის კოვზი კოჭას თაფლი (ჭაღარის საწინააღმდეგო ნაცადი ხალხური საშუალებაა). მომზადების წესი: 0,5 კგ თაფლს 4 სუფრის კოვზი გახეხილი კოჭას ფესვები დაუმატეთ და ქილას თავი დაახურეთ. 3 დღის შემდეგ კოჭას თაფლი მზადაა.

## რაზე არ ღირს ეკონომიის გაკეთება

ეკონომია კარგია, მაგრამ ყოველთვის საჭირო არ არის. ექსპერტები გვირჩევენ, არ ვიძუნწოთ ისეთ ნივთებზე, რომელთა გამოყენებას ხანგრძლივად ვაპირებთ. „ძვირადღირებულთა“ სიაში შედის: ფეხსაცმელი, საოფისე კოსტიუმი, ზედა სამოსი, აქსესუარები (ჩანთა, საათი). გარდა ამისა, რეკომენდებული არ არის ეკონომია საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე და იმ შემთხვევებში, როდესაც ბინაში რემონტს ან სანტექნიკის შეცვლას გეგმავთ.



Cyan Magenta Yellow Black

# რა ქმნის დამატყვევებელ მზერას?



ადამიანის შინაგან მდგომარეობას, პირველ რიგში, თვალები გასცემს. მბრწყინავი თვალები გარშემომყოფებს იზიდავს. მისი მფლობელი ქალურია, თავთან ჰარმონიაშია და გარშემომყოფებს პოზიტიურად მუხტავს. აი, რატომ არის მნიშვნელოვანი თვალების სილამაზესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

გთავაზობთ ყველაზე აქტუალურ რჩევებს ამ თემის ირგვლივ.

1. დამატყვევებელი მზერა. თვალების ირგვლივ კანი განსაკუთრებით მგრძნობიარე, თხელი და ადვილად წელვადია. ცხიმის ჯირკვლები, რომლებიც კანს გამოშრობისგან დაიცავს, მასში პრაქტიკულად არ არის. აქ სახის ჩვეულებრივი კრემები და ნიღბები არ გამოდგება. თვალების ირგვლივ კანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს თავისი „რაციონი“. გამოიყენეთ სპეციალური გელი, წაისვით მხოლოდ ქვედა ქუთუთოს მიდამოზე მსუბუქი დარტყმითი მოძრაობებით. ეს პროცედურა დილით ჩაიტარეთ. ღამით კი გელის გამოყენება რეკომენდებული არ არის — შეიძლება შეშუპება გამოიწვიოს.

2. ძილის წინ მაკიაჟი ყოველთვის მოიცილეთ. გამოიყენეთ ნატურალური ინგრედიენტების (აბუსალათინის, ბირკავას, ქოქოსის ზეთის) შემცველი საშუალებები. თუ დემაკიაჟს არ გაიკეთებთ, მაშინ, პირველ რიგში, თქვენი წამწამები დაიტანჯება. არადა თქვენს მზერას სწორედ ის აძლევს განსაკუთრებულ გამომეტყველებას.

3. თვალები ლამაზი რომ იყოს, კარგად უნდა გამოიძინოთ. ფორსმაჟორულ შემთხვევებში დაგეხმარებათ გვირილის ჩაის კომპრესები. ჩაი ყინულის ფორმებში გაყინეთ და ყოველთვის მზად გქონდეთ. გახსოვდეთ, ყინულის ქვეშ აუცილებლად ქაღალდის ხელსახოცი დაიფარეთ, ნაზი კანი რომ არ დაზიანდეს.

4. თვალებს აუცილებლად ესაჭიროება სრულყოფილი კვება. თვალის ბრწყინვალების შენარჩუნებას ეხმარება რეტინოლით (ვიტამინი A) მდიდარი პროდუქტები: სტაფილო, პომიდორი, წითელი ბულგარული წიწაკა, ქაცვი, გარგარი, ატამი, ოხრახუში.

5. კომპიუტერთან ხანგრძლივად მუშაობის, ჰაერის დაბინძურებისა და სიმშრალისგან, თამბაქოს ბოლისგან თვალები იტანჯება. დაღლილი, დასიებული და წითელი თვალები პროფესიონალურ მაკიაჟსაც კი გააფუჭებს. რეგულარულად გააკეთეთ ორი მარტივი რამ: ვარჯიში და სალბის ნახარშის კომპრესი.

სავარძელში ჩაჯექით, მოდუნდით და ერთი წუთის განმავლობაში, წრიული მოძრაობით თვალები ატრიალეთ მარჯვნიდან მარცხნივ. თვალები გაახილეთ. 1 წუთი ჯერ ზევით, შემდეგ ქვევით იცქირეთ.

ძილის წინ სალბის ნახარში მოამზადეთ. 1 ჩაის კოვზ გამხმარ ბალახს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, 20 წუთი დადგით, გაწურეთ. ნახარში ორად გაყავით. ნახევარი მაცივარში შეინახეთ. ორივე თვალზე ჯერ თბილი ნახარშის (10 წუთი) კომპრესი დაიდეთ, შემდეგ — ცივი კომპრესი. კომპრესი დღეგამოშვებით გაიკეთეთ.

# ყველაზე მოდური მაკიაჟი



ყოველ ქალში ცხოვრობს მხატვარი. სწორედ ამიტომ მათ ჩანთაში ასე ბევრია პომადების, ჩრდილებისა და ფერუმარილის ტუბები. სპეციალისტთა რჩევები დაგეხმარებათ, როგორ გამოიყურებოდეთ ეფექტურად.

ალისფერი ტუჩები. წითელი პომადა ალბათ მოდიდან არასდროს გადავა. სხვადასხვა დროს ხან მეტად, ხან ნაკლებად პოპულარული იყო. სადღეისოდ წითელი პომადა ყველგან შეგიძლიათ გამოიყენოთ. ხასხასა ალისფერი საღამოს წვეულებებისთვისაა. მუქი წითელი პომადა საქმიანი მოლაპარაკებებისა და სამუშაო შეხვედრების დროს გამოდგება. მთავარია, ის თქვენს სამოსსა და ხასიათს ერწყმოდეს.

ხშირი წამწამები. თუ აქსესუარებში ქალის საუკეთესო მეგობარი ბრილიანტებია, მაკიაჟში ეს არის ხშირი და გრძელი წამწამები. ასეთი ეფექტის მისაღწევად აუცილებელია ტუშის წასმამდე და მისი ყოველი ფენის დადებისას წამწამების კარგად დაპუდრვა. ფენა არანაკლებ სამისა უნდა იყოს. შეიღებეთ არამხოლოდ ზედა, ასევე ქვედა წამწამები.

ფართო წარბები. არავითარი წვრილი ძაფი! მხოლოდ წარბების ბუნებრივი სისქე, რომელიც სახის ნაკვთების პროპორციულია. ყურადღება მიაქციეთ, რომ წარბები არ იყოს ძლიერ მოკლე. უნდა მთავრდებოდეს თვალის გარე კუთხეში და იწყებოდეს ცხვირის ფუძესთან ახლოს.

მოციმციმე ჩრდილი. მზერა უფრო მეტყველი რომ იყოს, გამოიყენეთ მუქი ჩრდილი, რომელშიც ბევრია სადაფისებრი ნაწილაკი და უმცირესი ბზინები. ხოლო ვერცხლისფერი, იასამნისფერი, ოქოსფერი და ცისფერი შეგიძლიათ თამამად გამოიყენოთ საღამოს სახის შესაქმნელად.

ფერუმარილი. ვარდისფერი მეტად ბუნებრივად გამოიყურება. წესად გაიხადეთ: ჯერ ღაწვებზე წაისვით და თანდათან საფეთქლებისკენ იმოძრავეთ.

ახალი სახე. თამამი ექსპერიმენტების მოყვარულებს შეუძლიათ მოსინჯონ ერთფერი ტრენდი — ტუჩები, ღაწვები და თვალები ერთ ფერში უნდა იყოს შესრულებული. დღის მაკიაჟისთვის გამოიყენეთ პასტელური გამა, ხოლო საღამოსთვის არჩევანი უფრო ნაჯერ ფერებზე შეაჩერეთ.

# ჩვენი ბებიების სილამაზის საიდუმლოებები

ბევრ თანამედროვე კოსმეტიკურ საშუალებას საფუძვლად უდევს თაობების მიერ შემოწმებული რეცეპტები.

## სახისთვის

ჯანსაღი ვარდისფერი. 3 სუფრის კოვზი ნაღების კარაქი და 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი ჩანგლით ათქვიფეთ. კრემის კონსისტენციის ნიღაბი სახესა და ყელზე დაიდეთ. 15 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

თვალის ქვეშ მუქი წრეებისა და შეშუპების საწინააღმდეგო. ჩაის პაკეტის კომპრესი ერთადერთი ლეგენდარული საშუალება არ არის ქუთუთოების მოსავლელად. სალბის კომპრესი არანაკლებ ეფექტურია. სალბის ნაყენში მარლა დაასველეთ, გაწურეთ და ქუთუთოზე დაიდეთ.

## ხელებისთვის

სიმშრალე და აქერცვლა. დაფქული ყავა შესანიშნავი გამწმენდია. 1/4 ჭიქა ყავა, 3/4 ჭიქა შაქარი, 1 ჭიქა ნუშის ზეთი და 2 წვეთი ვანილის ესენცია აურიეთ. მიიღებთ მეტად არომატულ გამწმენდს, რომელიც ხელს აქერცლილ კანს მსუბუქად აცლის. ზეთი კანს დიდი ხნით არბილებს. ვინაიდან გამწმენდი სრულიად ნატურალურია, მაცივარში შეინახეთ.

## თმისთვის

თმა დამყოლი რომ იყოს, გამოიყენეთ ასეთი გადასავლები: როზმარინს ან ოროვანდს ადუღებული მინერალური წყალი დაასხით.

თმას ბრწყინვალება რომ დაუბრუნდეს, 1 სუფრის კოვზი ზღვის კომბოსტო 1 ჭიქა წყალში წამოადუღეთ და 1 ლიტრი ჩვეულებრივი ან მინერალური წყლით გააზავეთ.

თმის ცვენის საწინააღმდეგო. კოჭას ძლიერი მატონიზირებელი მოქმედება აქვს. სუსტ, მტვრევად თმას ამაგრებს, მის ცხიმიანობას არეგულირებს. მარტივი, მაგრამ მოქმედი რეცეპტი: კოჭას წვენი თავის კანში შეიზილეთ და პოლიეთილენის ქუდი 30 წუთი დაიხურეთ.

## სხეულისთვის

ცელულიტის საწინააღმდეგო. თაფლის მინერალური შემადგენლობა ახლოა სისხლის პლაზმასთან. ამიტომ მისგან ვიტამინები კანის მიერ სრულად შეითვისება. კანი გლუვი რომ ყოფილიყო, ჩვენი ბებიები თაფლს ისვამდნენ და შემდეგ აბანოში მიდიოდნენ. თაფლი სხეულზე წაისვით, პოლიეთილენის ფენა შემოიკარით და 40 წუთი გაიჩერეთ. ეფექტის გასაძლიერებლად საბანი დაიფარეთ. სითბო ფორებს აფართოებს, რისი წყალობით სასარგებლო ნივთიერებები თაფლიდან კანში ღრმად აღწევს. შემდეგ ცხელი შხაპი მიიღეთ.

## მსუბუქი სიარული

თუ მთელი დღე მაღალ ქუსლებზე დგახართ, ფეხები საღამოსთვის მძიმდება. თავს 15 წუთიანი განცხრომა მოუწყვეთ. თასში ცხელი წყალი ჩაასხით, ორკბილას ნაყენი (2 სუფრის კოვზ ბალახს 2 ჭიქა მდუღარე დაასხით) დაუმატეთ და ფეხები 20 წუთი ჩაყავით. ფეხებისთვის აბაზანა სასარგებლოა ყოველდღიურად ძილის წინ. მრავალფეროვნებისთვის, ორკბილა შეანაცვლეთ სხვა ბალახით ან ეთერზეთით, მაგალითად, როზმარინის, ჩაის ხის, ლიმონის. მხოლოდ 3 წვეთი დაუმატეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძე



Cyan Magenta Yellow Black

# გაზაფხულის რაციონი პატარებისათვის



გაზაფხული წელიწადის ის დროა, როდესაც ბავშვის ორგანიზმს განსაკუთრებული მხარდაჭერა და დახმარება სჭირდება. პირველ რიგში, აუცილებელია რაციონის სწორად და სრულფასოვნად დაგეგმვა. ის უნდა შეიცავდეს პატარასთვის აუცილებელ ყველა მინერალსა და ვიტამინს, რომლებიც მისი ზრდა-განვითარებისთვისაა საჭირო.

პატარების (და არამარტო მათი) ორგანიზმი ხანგრძლივი ზამთრის შემდგომ დასუსტებულია და მოძლიერებას საჭიროებს. ეს აუცილებელია, რადგან წინ გაზაფხული გველის, რომლის დროსაც ხშირია ავადმყოფობები. რისი ცოდნაა საჭირო, რომ თავიდან ავიცილოთ შვილების ჯანმრთელობის პრობლემები?

## ვიტამინები და მინერალები — სასწრაფო დახმარება ორგანიზმისათვის!

გაზაფხულის ასთენიის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზი ჰიპოვიტამინოზია. მისი აღმოფხვრა ვიტამინებით მდიდარი საკვებით შეიძლება. ხილი, ბოსტნეული, თევზი, კვერცხი, ხორცი — ეს პროდუქტები პატარებისთვის აუცილებელია.

ხელოვნური, გენმოდიფიცირებული, საღებავებითა და სახამებლით გაჯერებული პროდუქტები რომ სახიფათოა, ეს საყოველთაოდაა ცნობილი, ამიტომ მშობელი მაქსიმალურად უნდა ეცადოს, მსგავსი საკვები შვილის რაციონში არ იყოს. არარეკომენდებული საკვები პროდუქტების ნუსხაში ასევე შედის სოსისი, ჩიფსი, დაკონსერვებული და შებოლილი საკვები და სხვა.

საინტერესოა, საიდან შეიძლება მიიღოს ბავშვმა მისი ორგანიზმისთვის ასე მნიშვნელოვანი მინერალები და ვიტამინები ყველაზე იოლად?

სათბურში მოყვანილი კიტრი და პომიდორი ნამდვილად არ არის ბავშვისათვის სასარგებლო. მათში არ მოიპოვება ვიტამინები, რომლებიც მისი ორგანიზმისათვისაა საჭირო. ბევრად უფრო სასარგებლოა მწვანე სალათის ფურცლები, მწვანილეული, მწვანე ხახვი. რაც შეეხება ცე ვიტამინს, რომლის დეფიციტსაც, როგორც აღმოჩნდა, პატარები ყველაზე მეტად გაზაფხულზე განიცდიან, ის ბევრია ასკილსა და მოცხარში.

## კარტოფილი და ისპანახი უხასიათობის წინააღმდეგ

ცნობილია, რომ შოკოლადი ეფექტური საშუალებაა დარდის გასაქარვებლად და ეს მასში არსებული ენდორფინების დამსახურებაა, მაგრამ ბავშვებისთვის, მით უფრო სკოლამდელი ასაკის პატარებისთვის, არ არის რეკომენდებული ბევრი შოკოლადის მიცემა. მსგავსი ეფექტის მიღება შეიძლება ისეთი საკვებისაგან, რომლებიც რთულ ნახშირწყლებს შეიცავენ (კარტოფილი, ბადრიჯანი, ბულგარული წიწაკა, ისპანახი).

## ბურღულეული ნერვების დასამშვიდებლად

გაზაფხულის გადატანა 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სულაც არ არის იოლი იმ თვალსაზრისით, რომ მათი ორგანიზმი განსაკუთრებით სწრაფად იზრდება და ვითარდება. ამ პერიოდში პატარები ძალიან ემოციურებიც არიან, მალე ბრაზდებიან, ხშირად იბუტებიან და ა.შ. გარდა იმისა, რომ ეს თავად ბავშვისათვის საკმაოდ რთული გადასატანია, შესაძლოა მისი დაბალი თვითშეფასების განვითარების მიზეზიც გახდეს, რისი დაშვებაც არავითარ შემთხვევაში შეიძლება. მუდმივად აკონტროლეთ, როგორია ბავშვის თვითშეფასების კოეფიციენტი და მის თეფშზე საჭირო პროდუქტები უხვად იყოს.

გაზაფხულზე ბავშვები უხასიათობასთან ერთად ხშირად უჩივიან სისუსტეს, ყელის არეში ტკივილებს. ეს უსიამოვნებები ხშირად ბე ჯგუფის ვიტამინებისა და კალციუმის დეფიციტზე მიანიშნებს. განსაკუთრებული ყურადღება ბე1 ვიტამინის მიწოდებას უნდა დაეთმოს, რომელიც ნერვული სისტემისთვის აუცილებელია და მისი დეფიციტი პატარას გუნება-განწყობაზე აისახება. ამ სიტუაციის გამოსწორებაში ბურღულეული დაგეხმარებათ. ხშირად აჭამეთ შვილს რძეზე მომზადებული ბურღულეულის ფაფები.

ბავშვის ნერვული სისტემის გაძლიერებისთვის საჭიროა ისეთი ღირებული მიკროელემენტი, როგორიცაა თუთია. მას ჭარბი რაოდენობით შეიცავს ზღვის პროდუქტები, ღვიძლი, პომიდორი, ბადრიჯანი.

## ხაჭო და ბანანი ძვლებისა და კბილებისთვის

კალციუმი ის მინერალია, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პატარების ძვალ-სახსროვანი სისტემისთვის, კბილებისათვის. თუ ბავშვს კარიესული კბილები აქვს, მისი რაციონი გაჯერებული უნდა იყოს რძემჟავა პროდუქტებით (ხაჭო, ყველი, კარაქი, მაწონი). თუ თქვენს შვილს მაწონი და ხაჭო არ უყვარს, სცადეთ, ეს პროდუქტები ბანანთან ან ვაშლთან ერთად მისცეთ. როგორც წესი, ამ სახით ხაჭოსა და მაწონს პატარები სიამოვნებით მიირთმევენ.

## რა უნდა ვიცოდეთ, რომ არ დავუშვათ ჰიპოვიტამინოზი?

1. გაზაფხულის პერიოდში ბავშვს მხოლოდ იმ დღეს მომზადებული კერძი აჭამეთ. მოგეხსენებათ, საჭმლის ხანგრძლივად შენახვა მასში ვიტამინების დაკარგვას იწვევს.

2. ეცადეთ, გაზაფხულზე პატარების რაციონში დიდი რაოდენობით არ იყოს ტკბილეული. მაგალითად, კანფეტები ჩაანაცვლეთ მარმელადით, ჩირეულით, ჰალვით.

3. ზამთარში პატარების ორგანიზმი დე ვიტამინის ნაკლებობას განიცდის. როგორც კი გაზაფხულის მზე გამოანათებს და დათბება, ბავშვი სუფთა ჰაერზე ხანგრძლივად ასეირნეთ. დე ვიტამინი მნიშვნელოვანია ბავშვის ძვლოვანი სისტემისა და სახსრების განვითარებისათვის.

# ორგანიზმს სითხე არ მოაკლოთ



მოგეხსენებათ, ადამიანის ორგანიზმის თითქმის 70% წყლისგან შედგება. ის ორგანიზმში მიმდინარე ყველა პროცესისათვის აუცილებელია. ამიტომაა მნიშვნელოვანი წყლის ბალანსის მუდმივად კონტროლი და სათანადო რაოდენობით უზრუნველყოფა.

## რატომ უნდა დავლიოთ წყალი

წყალი ორგანიზმს აუცილებელ ტემპერატურას უნარჩუნებს და უზრუნველყოფს კანის ელასტიკურობას, მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლის პროცესში, ხელს უშლის ორგანიზმში ზედმეტი ცხიმების ჩალაგებას.

კარგი ჯანმრთელობა რომ შევინარჩუნოთ, აუცილებელია საკმარისი რაოდენობით სითხის დალევა. არაერთი ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ დღეს პრაქტიკულად ყოველი მესამე ადამიანი განიცდის წყლის სხვადასხვა ხარისხის ქრონიკულ დეფიციტს.

ბევრი თვლის, რომ დეჰიდრატაცია ადამიანს მხოლოდ ძლიერ სიცხეში არასაკმარისი სითხის მიღების გამო ემუქრება. ეს არასწორი მოსაზრებაა. პრობლემა ისაა, რომ ორგანიზმი წყლის დეფიციტზე სწრაფად არ რეაგირებს, ამიტომ საჭიროა კარგად გვახსოვდეს, რომ, როცა ძლიერ წყურვილს ვგრძნობთ, ე.ი. ორგანიზმი უკვე დეჰიდრატაციას განიცდის, რისი უტყუარი ნიშანიც პირის სიმშრალეა. მუდმივად დაღლილობის შეგრძნება, სისუსტე, მუცლის ქრონიკული შებერილობა, ეს ყველაფერი სავსებით შეიძლება წყლის დეფიციტით იყოს გამოწვეული.

ორგანიზმის არამარტო სათანადო რაოდენობით სითხით უზრუნველყოფაა საჭირო, არამედ ელექტროლიტებით შევსებაც აუცილებელია.

## შევინარჩუნოთ ბალანსი!

ორგანიზმში წყლის ბალანსი რომ შევინარჩუნოთ, სასურველია დღეში 1,5-დან 2 ლიტრამდე სითხის დალევა, თუმცა გასათვალისწინებელია სხეულის წონაც. რაც უფრო მსუქანია ადამიანი, მით მეტი სითხე სჭირდება.

## რა დავლიოთ?

პირველ რიგში, სუფთა წყალს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა, შემდეგ ნატურალურ წვენებს და სხვა არაალკოჰოლურ სასმელს. სასურველია სითხის დალევა ჭამამდე 20-30 წუთით ადრე და არა ჭამის შემდეგ.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black

# როგორ ირიგებს ვანო ჯავახიშვილი გაბუტულ მეუღლეს

შოუმენი ვანო ჯავახიშვილი მუდმივად ზრუნავს იმაზე, რომ მისი და მისი ცოლის, თაკო მურუსიძის ურთიერთობა ერთფეროვნებისგან დაცული და საინტერესო იყოს. თავის ოჯახურ იდილიას უფრთხილდება, რადგან თვლის, რომ ზუსტად ისეთი მეორე ნახევარი შეხვდა, როგორიც სჭირდებოდა, თუმცა მათ ოჯახშიც არის თემები, რომლებზეც წყვილი კამათობს და ხანდახან ცოლი ებუტება. ვანოს კი მის შემოსარიგებლად ერთი მეთოდი აქვს შემუშავებული, რომელსაც ქვემოთ გაგვიმხელს.

**— ვანო, რადგან კაცობრიობის მშვენიერ ნახევარზე უნდა ვისაუბროთ, პირველ რიგში, თქვენი ცხოვრების თანამგზავრზე გკითხავთ. რითი მოგხიბლათ თავის დროზე, როცა თქვენი ურთიერთობა იწყებოდა?**

— წყვილს შორის ურთიერთგაგება ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია. თაკოს დამოკიდებულება ნებისმიერი საკითხისადმი კი ჩემთვის ძალიან მისაღებია. ქალში უპირატესობას განათლებას ვანიჭებ. როცა ადამიანს ეს არ გააჩნია, მასთან საერთო ენის გამონახვაც შეუძლებელია. თაკოს ის ყველაფერი აქვს, რასაც ქალში ყველაზე დიდ ყურადღებას ვაქცევ.

**— უჭკუო ქალებზე თქვენს სკეტჩებში საკმაოდ ხშირად ხუმრობთ.**

— კი, საკმაოდ. სახუმარო თემად გვაქვს აგდებული, როცა ქალი ლამაზია და თავში არაფერი უყრია. როგორ შეიძლება, კაცს ინტერესი გაუჩნდეს იმ ქალის მიმართ, რომელმაც ელემენტარულად ის არ იცის, რუკაზე აფრიკის კონტინენტი სად არის? ამ დროს პრიმიტიულ თემებზე გიწევს საუბარი და რაღაც პერიოდის მერე ურთიერთობა აუცილებლად უინტერესო გახდება. ქალში ბევრმა რამემ შეიძლება გაგაღიზიანოს.

**— მაგალითად, ქალის რა თვისება, საქციელი არ მოგწონთ?**

— ჟარგონული ლაპარაკი. გამაღიზიანებელია, ქალი რომ კაცის ტერმინოლოგიით მეტყველებს, რადგან არის სიტყვები, რომელთა წარმოთქმა, ვფიქრობ, რომ მას არ უხდება. ქალს ბევრი მავნე ჩვევა აქვს, მაგალითად, სოლარიუმში სამ დღეში ოთხჯერ სიარული და კიდევ უაზროდ სალონში ჯდომა. როცა სალონში თმის შესაჭრელად შევდივარ, იქ ხშირად მხვდება ქალების „ბირჟა“. საქმე არაფერი აქვთ, მაგრამ იქ უნდა ისხდნენ და იჭორაონ.

**„ქალს ბევრი მავნე ჩვევა აქვს, მაგალითად, სოლარიუმში სამ დღეში ოთხჯერ სიარული და კიდევ სალონში უაზროდ ჯდომა“.**

კარგ ჩვევად არც სიგარეტის მოწევა მიმაჩნია. ბოლო პერიოდში ტელეეთერების საშუალებით ქალების სიგარეტისადმი დამოკიდებულების პროპაგანდა მიმდინარეობს, რაც არ მომწონს. ქართველი ქალი მაინც დედასთან ასოცირდება, რომელმაც შვილი უნდა გააჩინოს.

**— ის ფასეულობები, რითიც ახლა ცხოვრობთ, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ოჯახისგან, დედისგან მოდის. როგორ გზრდიდათ დედა, მკაცრად თუ ლმობიერად?**

— უფრო მკაცრად მზრდიდა, ვიდრე ლმობიერად და, ჩემი აზრით, სწორადაც იქცეოდა. გამუდმებით სწავლისკენ მიბიძგებდა, რადგან ეს ის დრო იყო, როცა ეზოში



## „ჩემი ცოლისგან კარგი სცენარისტი დადგება“

კრიმინალური თემები ბობოქრობდა. მაშინ ასეთი ტიპის აღზრდა ყველაზე სწორი იყო. 12 წლის ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა, უმამოდ გავიზარდე. ის პერიოდი ძალიან გვიჭირდა, მაგრამ დედა შვილებისთვის ბოლომდე იბრძოდა.

**— თქვენი ცოლი ტიპური ქართველი დედაა?**

— ბავშვის მიმართ ძალიან თბილია. ნიკოლოზი დედაზე გიჟდება. მე რაც უნდა მივუტანო, მისთვის დედა მაინც სულ სხვაა, მაგრამ თაკოც საკმაოდ მკაცრია შვილის მიმართ. ნიკა ცოტა უცნაურ რაღაცეებს ითხოვს, სახლს ყირაზე აყენებს, მაგრამ თაკოს ისე ჰყავს მიჩვეული, თავის მიყრილ-მოყრილს ისევ თვითონ ალაგებს და მერე მიდის დასაძინებლად.

**— ყველა ოჯახში არსებობს რაღაც საკამათო თემა, თუნდაც უმნიშვნელო. თქვენ და თაკო რაზე ვერ თანხმდებით ხოლმე?**

— ბოლო პერიოდი პოლიტიკური თემები იყო საკამათო, მაგრამ ჩვენს ოჯახში ეს არ არსებობდა. ყოველდღიურად ძირითადი საკამათო საკითხი ალბათ ის არის, რომ სახლში ადრე მივიდე. ჩემი სამსახური ხშირად ამის საშუალებას არ მაძლევს, ამიტომ ამაზე ლაპარაკს უკვე იმდენად მივეჩვიე, რომ არ ვიკამათოთ, რაღაც მაკლია.

**— როგორ ირიგებთ განაწყენებულ ცოლს?**

— სახლში თუ ღამის 4 საათზე ნასვამი დავბრუნდი, მისი შემორიგება ძალიან ძნელია. იშვიათად, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როცა დილის 6 საათზეც მისულვარ. თაკოს ჩემ გარეშე ბავშვის დაძინება ძალიან უჭირს, რადგან, როცა ნიკოლოზს აძინებს, ბავშვი ითხოვს, მეც სახლში ვიყო. ამიტომ თაკო ხშირად ნიკათი მანიპულირებს, სახლში დროზე მოდი, ბავშვი ვერ იძინებსო.

მეუღლის შემორიგების ძალიან ბევრი საშუალება არსებობს და ერთ-ერთი მათგანი ინტერნეტმაღაზიაა. როცა მებუტება, ვეუბნები, რაც გინდა, გამოიწერე-მეთქი. ამ დროს პაუზაა და შემდეგ ჩვენი ცხოვრება ჩვეულებრივად გრძელდება.

**— თქვენი ცოლი ალბათ „ვანოს შოუს“ აქტიური მაყურებელია.**

— კი, ჩემს ხუმრობებზე ძალიან ეცინება. რაც თავადაც სასაცილოდ მიმაჩნია და დავინახავ, თაკოც იცინის, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემს იუმორზე სწორად რეაგირებს. ჩემს გადაცემაში არსებობს ხუმრობები, რაზეც შეიძლება მასის დიდმა ნაწილმა გაიცინოს, თაკომ კი — არა. იცის, რომ ეს ხუმრობა მასაზეა გათვლილი. ამ სფეროში უკვე საკმაოდ გამოცდილია, თან საკმაოდ დიდი კრიტიკოსიცაა.

**— იუმორის გრძნობით არ ჩამოგჩრებათ?**

— ხარი ხართან დააბიო... ეს გამოთქმა ხომ გაგიგიათ?! ჩემგან ბევრი რამ ისწავლა. კარგ ხუმრობას თვითონაც რომ მოარტყამს ხოლმე, მერე უკვე ვხვდები, ცოტა ხანს რომ ვამუშაო, შეიძლება მისგან კარგი სცენარისტიც კი დადგეს.

**— საერთოდ როგორ ფიქრობთ, მშვენიერი სქესისთვის იუმორის გრძნობა აუცილებელი თვისებაა?**

— არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ კარგად ხუმრობენ, არადა უკვე მომაბეზრებლები არიან, მაგრამ ეს ცალკე თემაა. როცა ქალს იუმორი ესმის, ძალიან კარგია, რადგან ვთვლი, რომ ჩემნაირია. ჩემს ცოლს სანამ გავიცნობდი, თავიდანვე ჩემი გულშემატკივარი იყო, ჩემს ხუმრობებს მაშინვე კარგად ხვდებოდა. გავიცანი თუ არა, ხუმრობებშიც ამყვა.

**— რა შენიშვნებს იღებთ ცოლისგან?**

— მამაკაცი ვარ და შეიძლება პერანგი შარვალში კარგად არ მქონდეს ჩატანებული. ამაზე შეუძლია მთელი საღამო ილაპარაკოს.

**„შეიძლება პერანგი შარვალში კარგად არ მქონდეს ჩატანებული, თაკოს ამაზე შეუძლია მთელი საღამო ილაპარაკოს“.**

**— თვითონ თუ აქცევთ ყურადღებას, ქალი როგორ იცვამს, როგორი მაკიაჟი უკეთია და ა.შ.?**

— მაკიაჟი და ჩაცმულობა ქალისთვის აბსოლუტურად განუყოფელია, რადგან გეკეთოს კარგი მაკიაჟი და გეცვას ცუდად, ეს იმას ნიშნავს, რომ მაკიაჟის გაკეთებაში ვიღაც დაგეხმარა და ჩაცმულობაში გემოვნება არ გაქვს. არსებობენ ბუნებრივად ლამაზი გოგონები, რომლებსაც მაკიაჟი არ სჭირდებათ, მაგრამ, ჩემი აზრით, მსუბუქი მაკიაჟი მაინც აუცილებელია. ქალის გარეგნობაში ეს მნიშვნელოვანი კომპონენტია. რაც შეეხება ჩაცმულობას, მთავარი ფერთა შეხამებაა. აუცილებელი არაა, ძვირადღირებული სამოსი ეცვას, ნაკლებ ფასადაც გადასარევად ჩაიცვამს, თუ, რა თქმა უნდა, გემოვნება აქვს. ამისთვის ინტერნეტმაღაზიებიც არსებობს, სადაც კარგი ბრენდის ტანსაცმელს ხელმისაწვდომ ფასად შეიძენ. ჩემს მეუღლეს



Cyan Magenta Yellow Black

ძალიან კარგი გემოვნება აქვს და საინტერესო ბრენდების სამოსსაც იცვამს. მისი დამსახურებით, უკვე კარგად ვიცი, რომელმა დიზაინერმა რა გამოუშვა.

**— თქვენს ჩაცმულობასაც აკონტროლებს?**

— ტანსაცმელს ძალიან ცუდად ვექცევი, ფეხსაცმელი წამებში შემიძლია გავაუბედურო და ამაზე დიდი ჩხუბი გვაქვს ხოლმე.

**— კულინარიული ნიჭი ამშვენებს თუ არა ქალს?**

— როცა შვილი გყავს, სამზარეულოშიც უნდა ფუსფუსებდე. ყველას არ აქვს დამხმარე ადამიანის აყვანის საშუალება, მათ შორის ჩვენც და მე და ჩემი შვილი თაკოზე ვართ დამოკიდებული. რასაც

**„თაკო ბავშვს ზრდის, ხშირ შემთხვევაში სახლშია და არ მინდა, მისი ცხოვრება ერთფეროვანი, მოსაწყენი იყოს. ვცდილობ, ცხოვრება გავუმრავალფეროვნო, რომ ერთ სამყაროში არ ჩაიკეტოს. ამ დროს სიურპრიზები აუცილებელია, რათა იგრძნოს, რომ მე მასზე ვზრუნავ და ვფიქრობ".**

აკეთებს, ყველაფერი გემრიელი გამოსდის. თუ სახლში საჭმელი არ დამხვდა, არც ამის გამო ვქმნი პრობლემას, თვითონ მოვიმზადებ რამეს. ცოლთან საჭმლის გამო იჩხუბო, ეს უკვე ძალით მოგონილი მიზეზია.

**— ცოლ-ქმრის ურთიერთობაში მთავარი რა არის, რაზეც მყარი ოჯახის დაშენება შეიძლება?**

— მთავარი სიყვარულია, თუმცა არსებობენ წყვილები, რომლებსაც ერთმანეთი უყვართ, მაგრამ სხვადასხვა პლანეტაზე ცხოვრობენ. ესეც ურთიერთგაგების საკითხია, ერთმანეთს კარგად უნდა იცნობდეთ და, რაც მთავარია, ნდობა გაგაჩნდეს. როცა ურთიერთობაში სიყვარულის შემდეგ ნდობას მიაღწევ, მთავარი ეტაპი უკვე გადალახული გაქვს. ბევრმა ოჯახმა დროს ვერ გაუძლო. როცა წყვილის თანაცხოვრება დროს უძლებს, მათი ურთიერთობა სამუდამოა.

**— მაგრამ სამუდამო ურთიერთობასაც სჭირდება განახლება, ახალი ფერები. ასე არაა?**

— კი და მეუღლეს სიურპრიზებს ხშირად ვუკეთებ, რადგან ურთიერთობისთვის ეს საჭიროა. თაკო ბავშვს ზრდის და ხშირ შემთხვევაში სახლშია. არ მინდა, მისი ცხოვრება ერთფეროვანი და მოსაწყენი იყოს, ამიტომ ვცდილობ, ცხოვრება გავუმრავალფეროვნო, რომ ერთ სამყაროში არ ჩაიკეტოს. ამ დროს სიურპრიზები აუცილებელია, რათა იგრძნოს, რომ მე მასზე ვზრუნავ და ვფიქრობ.

**— ხშირად ოჯახს ეჭვიც საფრთხეს უქმნის.**

— მე საერთოდ არ ვარ ეჭვიანი და არც ჩემი ცოლია ასეთი. უბრალოდ თაკო ჩემ მიმართ ინტერესიანია, სულ აინტერესებს, სად ვარ და რას ვაკეთებ. მას თავიდანვე ასეთს შევეგუე და არ მესიამოვნება, თუ არ მკითხავს, სად ვარ და რას ვაკეთებ. ჩავთვლი, რომ რაღაც ხდება.

✓ სოფიო ბოჭორიძე



ანდრეი არშავინი

## არშავინმა აურია

ლონდონის „არსენალის“ ნახევარმცველ ანდრეი არშავინს უთანხმოება მოუვიდა ლონდონის ერთ-ერთი ღამის კლუბის მცველთან, რაზეც ის ჩანაწერი მეტყველებს, რომელიც „იუთუბ“-ზეა განთავსებული. კონფლიქტი მაშინ მოხდა, როდესაც ფეხბურთელი „არსენალი“-„ნორვიჩის“ მატჩის შემდეგ ღამის კლუბში შეღწევას ცდილობდა.

კლუბის მცველი ფეხბურთელის შესვლას შეეწინააღმდეგა, რადგან უკანასკნელი, როგორც ვიდეოჩანაწერიდან ჩანს, ნასვამი იყო. ინციდენტის დროს რუსმა ფეხბურთელმა მცველის მისამართით უცენზურო სიტყვები არ დაიშურა როგორც რუსულ, ისე ინგლისურ ენაზე.

ბოლოს არშავინი მოედანზე „არსენალის“ შემადგენლობაში ფეხბურთის მოყვარულებმა მიმდინარე წლის იანვარში იხილეს. ამ სეზონში მან თავისი კლუბის შემადგენლობაში სულ 10 მატჩში მიიღო მონაწილეობა და მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხა.

დაახლოებით ორი კვირის წინ ლონდონის „არსენალის“ მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ 2013 წლის ზაფხულში, კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ, არშავინი კლუბს დატოვებს. ამავე დროს ფრანგმა მწვრთნელმა ისიც აღნიშნა, რომ ის კმაყოფილია საქმისადმი რუსი ფეხბურთელის მიდგომით და მას სხვა მოთამაშეებისთვის სამაგალითოდ მიიჩნევს.

## მწვრთნელმა მოთამაშეს საკრედიტო ბარათი მოჰპარა



იოსიპ გაშპარი

ხორვატიის პირველი დივიზიონის კლუბ „პრეჩკოდან“ ერთ-ერთი მოთამაშისთვის საკრედიტო ბარათის მოპარვის გამო გუნდის მთავარი მწვრთნელი იოსიპ გაშპარი გაათავისუფლეს.

კლუბ „სპარტა ელექტრასთან“ მატჩის დროს გაშპარი თავისი გუნდის გასახდელში შევიდა და ერთ-ერთი ფეხბურთელის საფულე მოიპარა.

მოგვიანებით ზაგრების მაღაზიაში მან 447 ფუნტი სტერლინგის ღირებულების 36 ლიტრი გერმანული ლიქიორი „იაგერმეისტერი“ შეიძინა. დამნაშავე მწვრთნელი ვიდეოკამერის ჩანაწერის საშუალებით ამოიცნეს.

გაშპარს საფეხბურთო კარიერის განმავლობაში 420 მატჩი აქვს ჩატარებული ხორვატიის ერთ-ერთი ტიტულოვანი კლუბის, ზაგრების „დინამოს“ შემადგენლობაში.

## ფეხბურთელი ჰომოფობიისთვის დასაჯეს

აშშ-ის კლუბ „სან-ხოსე ერთკუეიქსის“ ფორვარდი ალან გორდონი თავისი გუნდის უახლოეს 3 მატჩს გამოტოვებს ჰომოფობიური გამონათქვამების გამო. ფეხბურთელის დისკვალიფიკაციაზე ასეთი გადაწყვეტილება ამერიკის საფეხბურთო ლიგის დისციპლინარულმა კომიტეტმა გამოიტანა.



ალან გორდონი

გორდონის ჰომოფობიური გამონათქვამი მიმართული იყო მისი გუნდის მეტოქის, „პორტლენდ ტიმბერსის“ კაპიტნის უილი ჯონსონის წინააღმდეგ. ამ გუნდების მატჩი 0:1 დასრულდა.

დისკვალიფიკაციასთან ერთად ფეხბურთელს ასევე მოუწევს ფულადი ჯარიმის გადახდაც, თუმცა მისი ოდენობა არ სახელდება. ასევე ის იძულებული გახდა, სახალხოდ მოეხადა ბოდიში ჯონსონისთვის თავისი კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით.

აგრეთვე გორდონს დაეკისრა, აუცილებლად დაესწროს ტრენინგებს, რომლებიც ადამიანებს შორის მგრძნობიარობასა და განსხვავებულობის თემას ეძღვნება.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black



# როგორ დავძლიოთ შური ჩვენში და ჩვენ მიმართ

ცუდ განცდებზე ძალასა და დროს ნუ დაკარგავთ. მთელი ენერგია მიმართეთ იმაზე, ცხოვრება უკეთესი როგორ გახადოთ.

უსიამოვნო, გულზე შემოწოლილი მძიმე გრძნობა ყველასთვის ნაცნობია. თუ სხვების წარმატების განსჯა ჩვევად გექცათ, ეს საბაბია ცხოვრების მიმართ თქვენს დამოკიდებულებაზე დაფიქრდეთ.

შური ნიშნავს თავი სხვა ადამიანს შეადაროთ და საკუთარ უსუსურობაში დარწმუნდეთ, ვინაიდან თავს წაგებულის პოზიციაში თავად აყენებთ. მწვავედ რეაგირებთ მათზე, ვინც თქვენზე უკეთესია, უფრო ჭკვიანია, უფრო ლამაზი ან წარმატებულია.

შესაძლებელია თუ არა შურის გრძნობისგან გათავისუფლება, მისი ჩხვლეტების შემსუბუქება ან საერთოდ თქვენ სასიკეთოდ გარდაქმნა? დიახ, სრულიად შესაძლებელია! ამისთვის საჭიროა ნებისყოფის გამოჩენა და თავზე მუშაობა.

### საკუთარ ორიენტირებს ნუ დაკარგავთ

იმ იღბლიანის ადგილზე თავს ხშირად წარმოიდგენთ, ვისი წარმატების გშურთ და შენატრით? სხვისი შურით შეპყრობილი საკუთარ ოცნებებსა და სურვილებს ივიწყებთ. იმის მაგივრად, რომ უბრალოდ ცხოვრებით გაიხაროთ, თავდაჯერებას კარგავთ და საკუთარი გზიდან უხვევთ. წარმატებული რომ გახდეთ, იფიქრეთ მთავარზე — სახელდობრ, რა გსურთ, რა გაგხდით ბედნიერს. ზოგისთვის ცხოვრებაში მთავარია კარიერა, პროფესიაში წარმატება, ვიღაცისთვის — ოჯახი, შესაძლებლობა იყოს ცოლი ან დედა. თვითრეალიზაციის გზა ეძებეთ.

### რა გშურთ?

როგორც წესი, სხვის კეთილდღეობას, რომელიც მოსვენებას გიკარგავთ, არცთუ ძალიან მიმზიდველი უკანა მხარე აქვს. მეგობრის მოხდენილი ფიგურა გშურთ? გაიხსენეთ, რომ 6 საათის შემდეგ არაფერს ჭამს და ყოველ დილით პარკში დარბის. თქვენ ეს გინდათ? განიცდით, კოლეგას უფრო მაღალი ხელფასი რომ აქვს? მაგრამ ის დასვენების დღეების გარეშე მუშაობს და პრაქტიკულად მთელი დღე-ღამე კავშირზე იმყოფება. თქვენ ამას შეძლებდით?

თავს გამოუტყდით: მზად ხართ ამ წარმატების ფარული მხარის მთელი სიმძიმე აიტანოთ? თუ პასუხია „დიახ", მაშინ თქვენი შური შეიძლება ძლიერ მოტივირებული ფაქტორი გახდეს, ხოლო თუ პასუხია „არა", მაშინ უბრალოდ სხვისი წარმატებით გაიხარეთ, გულწრფელი მხარდაჭერა გაუწიეთ და თქვენი ცხოვრებით მიიღეთ სიამოვნება

### სიხარულისთვის საბაბი ეძებეთ

თქვენც გაქვთ რაღაც საამაყო: შეიძლება გამხდარი არ ხართ, მაგრამ ქმარი ფქვენს სავსე ფორმებზე გიჟდება. ავტომობილის შესაძენად ფულს ვერაფრით აგროვებთ? სამაგიეროდ ფეხით ბევრს დადიხართ და ამიტომაც თქვენი გული საუკეთესოდ მუშაობს. თან რამდენ ფულს ზოგავთ ბენზინსა და დაზღვევაზე?

### თუ თქვენი შურთ

შენიშნეთ, რომ თქვენი წარმატების ამბავს გარშემომყოფებიდან ვიღაც მტკივნეულად აღიქვამს? შესაძლებელია, შურის ობიექტი თავად გახდით. ამის უტყუარი ნიშნებია:

1. „ჩემს ადგილას რომ იყო", „შენთვის საუბარი ადვილია" — ასეთი სიტყვების დახმარებით ცდილობენ, თქვენში დანაშაულის გრძნობა აღძრან, ხოლო შემდეგ თქვენი წარმატებით მანიპულირება მოახდინონ. საუკეთესო მეგობარს უარს ვერ ეტყვით, როდესაც ცუდად არის, თქვენი კი — გადასარევად.

2. მუდმივი კრიტიკა და წვრილმანებზე ახირება, გულისტკენის სურვილი. ახალი კაბა ჩაიცვით, კოლეგა შემთხვევით ამბობს: „ეს ფერი მოდაში სამი სეზონის წინ იყო". თითქოს რაიმე საწყენი პირდაპირ არ თქმულა, მაგრამ გაკენწვლამ გუნება გაგიფუჭათ.

3. პატარა დანაშაულისთვის დიდად ისჯებით. ცხოვრებაში პირველად დაიგვიანეთ სამსახურში და მკაცრი საყვედური მიიღეთ.

როგორ გაუმკლავდეთ ყოველივე ამას?

საიდუმლო მარტივია: პროვოკაციაზე ნუ წამოეგებით. შურიანი ელის, რომ ჩხუბს წამოიწყებთ და გუნება გაგიფუჭდებათ. ნუ მიანიჭებთ ამ ბედნიერებას!

### არ იტრაბახოთ!

ნუ ეცდებით, შურიანებს ხშირად აჩვენოთ, რომ ყველაფერი კარგად გაქვთ. ამით სურვილს აღძრავთ, თქვენი უფრო მეტად შეშურდეთ. ეს სულაც არ ნიშნავს, მიღწევები დამალოთ. უბრალოდ საჭირო არ არის მათ შესახებ ხმამაღლა განაცხადოთ. ზოგჯერ ადამიანს, რომელიც წარმატებაზე ყვირის, ამის თავად არ სჯერა და უბრალოდ ცდილობს, სხვის თვალში თავის ფასი გაზარდოს.

თუ ახლო მეგობარს თქვენი შურს, გულახდილად დაელაპარაკეთ. შეიძლება უბრალოდ მხარდაჭერა და რჩევა ესაჭიროება. დაეხმარეთ გაერკვიოს, სინამდვილეში ცხოვრებაში რისი მიღწევა სურს.

## დრო – მტერი თუ მეგობარი?

ვიღაც მუდამ იგვიანებს, თქვენ კი საჭირო ადგილზე ძალიან ადრე მიდიხართ, შიშობთ, რომ ვერ მოასწრებთ. შედეგად, ბევრ დროს, ძალასა და ნერვებს ამაოდ ხარჯავთ.

ქრონოფობიას (დროის შიში) საზოგადოება აქტიურად უჭერს მხარს. ვინაიდან თქვენნაირი ადამიანები ძალიან კარგი მოსწავლეები, ხელქვეითები არიან, მათი მართვა ადვილია.

მსგავსი ურთიერთობა ხშირად ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში ყალიბდება. 5-6 წლამდე ბავშვს საერთოდ არ ესმის დროის არსი, ხოლო მოზრდილები, რომლებსაც ეს აღიზიანებთ, მის აჩქარებას იწყებენ: „თუ ყველაფერს ასე ნელა გააკეთებ, ცხოვრებაში ვერაფერს მოასწრებ", „წარმატებას ვერ მიაღწევ, თუ დროის ფასს არ ისწავლი". შედეგად ბავშვის ცნობიერებაში დროის, როგორც ცბიერი მტრის, ხატი ჩნდება. უკვე მოზრდილობის ასაკში კი ადამიანი უაზრო რბოლის მონაწილე ხდება.

როგორ გადალახოთ დროის შიში და თქვენი დროს გაკონტროლება ისწავლოთ?

1. პირველ რიგში, ეცადეთ, დროსთან ჰარმონიული ურთიერთობა ააგოთ. თქვენს ცნობიერებაში მტრის ხატი მოკავშირის ხატით შეცვალეთ. დროის სვლით დატკბით. გამოიყენეთ ის შესაძლებლობები, რასაც თქვენი ცხოვრების ყოველი წუთი იძლევა.

2. შიშთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა მას პირისპირ შეხვდეთ. თავი აიძულეთ სახლიდან მოგვიანებით გახვიდეთ. წუთებში გამოთვალეთ, გზაზე კონკრეტულად რამდენი დრო დაგჭირდებათ და თქვენი გეგმა დაიცავით. მალე დარწმუნდებით, რომ საშინელი არაფერი ხდება. ყველაფერს ასწრებთ და ცუდ დღეში არავის აყენებთ, არ ატყუებთ.

3. კვირაში ერთხელ (უმჯობესია დასვენების დღეს) სახლში საათი და მობილური ტელეფონი დატოვეთ. იცხოვრეთ ისე, თითქოს დრო არ არსებობს. ეს დაგეხმარებათ ცხოვრება შინაგან საათთან, საკუთარ ბიორიტმებთან ჰარმონიაში ააწყოთ.

## როგორ ავიმაღლოთ თვითშეფასება

შეცდომის დაშვების უფლება ყველას აქვს. მარცხისგან დაზღვეული არავინაა, ხოლო თავიდან აცილება მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება — თუ არაფერს გააკეთებთ. თუ რაიმე არ გამოგივათ, ნუ განიცდით, დასკვნები გააკეთეთ და წინ იმოძრავეთ.

განსხვავებულ სფეროებში ცოდნა გაიღრმავეთ და გაიფართოვეთ. ასევე აითვისეთ მოქმედების ახალი სახეობები. ყოველმხრივ განვითარებული ადამიანი გარშემომყოფებისთვის საინტერესოა.

ყოველი თქვენი წარმატება, თუნდაც უმნიშვნელო, აღნიშნეთ. აღმოაჩენთ, რომ ცხოვრება სავსეა გამარჯვებებით. სწორედ ეს არ გვყოფნის ხშირად, რათა თავის რწმენა გვქონდეს.

გარეგნობას ყურადღება დაუთმეთ. ვარცხნილობა შეიცვალეთ, გარდერობი განაახლეთ.

არც სპორტი დაივიწყოთ. ის არამხოლოდ ფიგურას აუმჯობესებს, ასევე რწმენას შეგმატებთ, რომ სხვა ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ. ეს შეგრძნება შეიძლება გახდეს თქვენი თანამგზავრი არამხოლოდ სპორტში, ასევე მის ფარგლებგარეთაც.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# ჯანსაღი გარემო თავად შეიქმენით

### უსაფრთხო სახლი

1. ეკოლოგიური სტანდარტების მიხედვით. საცხოვრებელი შენობის შიგა გაწყობისთვის გამოიყენეთ ისეთი მასალა, როგორიცაა ხე, ბამბუკი, ჯუთი. იატაკისთვის იდეალურია კორპის მუხა. მუხის იატაკი



მტვერს არ იკრავს და კარგი ბგერაგაუმტარი თვისება აქვს.

2. საბავშვო ოთახი. აქ ყველა წვრილმანი კარგად მოფიქრებული უნდა იყოს. პატარას ოთახისთვის შეარჩიეთ ნატურალური ქსოვილის ფარდაგი. სინთეტიკურმა ბოჭკოებმა შეიძლება ალერგია გამოიწვიოს.

3. ინტერიერის განახლებისთვის საკმარისია მხოლოდ კედლების გადაღებვა. ამ მიზნისთვის გამოდგება წყლიანი ემულსიის საღებავი — მავნე ნივთიერებებს არ შეიცავს.

4. სისუფთავე ჯანმრთელობის საწინდარია. მიუხედავად წუნდაუდებელი შესახედაობისა, დივანის ბალიშებში შეიძლება მტვერი დაგროვდეს და მტვრის ტკიპები დაბინავდეს. ამიტომ უმჯობესია, წელიწადში ერთხელ ქიმწმენდაში ჩააბაროთ და სუფთა ჰაერზე გასანიავებლად რეგულარულად გაიტანოთ.

5. პლასტიკატს მოერიდეთ. თუ გადაწყვიტეთ, ბინაში პლასტიკატის პანელი გამოიყენოთ, უნდა იცოდეთ, რომ ამის გაკეთება შეიძლება იმ შენობაში, სადაც მაღალი ტემპერატურა და სითბოს წყაროები — ბატარეა, ელექტროქურა არ არის. გაცხელებისას პლასტიკატიდან გამოიყოფა დიოქსინი — ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერება, რომელიც ორგანიზმში გროვდება.

6. აბაზანისა და შხაპისთვის განკუთვნილ კოსმეტიკის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს მხოლოდ ნატურალური ინგრედიენტები. სხვათა შორის, ასეთ საშუალებებს ვარგისიანობის განსაზღვრული ვადა აქვს.

### ეკოლოგია ყოფა-ცხოვრებაში

1. ქიმიური სარეცხი საშუალებები უფრო უსაფრთხოთი შეცვალეთ. თეფშები და ფინჯნები კარგად ირეცხება მდგოვითა და სოდით, ხოლო იატაკი თბილი წყლითა და სარეცხი საპნით. ძმრისა და წყლის ნარევი (3:1) გამოიყენეთ ხალიჩიდან ლაქების ამოსაყვანად და ტუალეტში დეზინფექციისთვის.

2. პლასტიკატის გარეშე. ეცადეთ, პოლიეთილენის პაკეტების მაგივრად ქსოვილის ან ქაღალდის ჩანთები გამოიყენოთ, ხოლო წვენი და წყალი მინის ბოთლებში შეინახეთ.

3. წამლები. წამლები კოლოფის (საფუთავის) გარეშე სანაგვეში არ ჩაუშვათ, მით უფრო, უნიტაზში არ ჩაყაროთ. ჩამდინარე წყლებში ან მიწაში მოხვედრისას, ზოგიერთმა პრეპარატმა (მაგალითად, ანტიბიოტიკებმა ან ჰორმონულმა პრეპარატებმა) შეიძლება სერიოზული საფრთხე წარმოშვან. აბები სქელ ქაღალდში გაახვიეთ ან მინის ქილაში ჩადეთ, თავი დაახურეთ და ნაგვის ყუთში ჩააგდეთ.

# ცისარტყელა თეფშზე – რაზე მეტყველებს ბოსტნეულის ფერი?

დიეტოლოგები ახალ მიდგომებს ეძებენ ჩვენი კვების რაციონში. ჯანმრთელობისთვის ერთ-ერთი სასარგებლო ვარიანტი — ეს არის პროდუქტების ფერებად დაყოფა.



### ბუნების საღებავები

ყოველდღიურად ერთგვაროვან კვების პროდუქტებს მოვიხმართ. ვიღაც მეტ რძის პროდუქტებს იძენს, ზოგიერთი უპირატესობას ხორცის კერძებს ანიჭებს, სხვები — ბოსტნეულს. ორიენტაციას საკუთარი გემოს შეგრძნებებსა და საფულეში თანხის რაოდენობაზე ვიღებთ, მაგრამ ჯანმრთელობაზე ნაკლებად ვზრუნავთ. სამწუხაროდ, ჩვენს მაგიდაზე ცოტაა ფიტონუტრიენტები — ნივთიერებები, რომლებიც გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან ჩვენს ორგანიზმს იცავს. ფიტონუტრიენტებს სხვადასხვა ფერი აქვთ. ამდენად ამა თუ იმ ხილისა თუ ბოსტნეულის შეფერილობის მიხედვით შეგვიძლია მათში სასარგებლო ნივთიერებების კონცენტრაციაზე ვიმსჯელოთ.

### თეთრი

თეთრი ფერის პროდუქტები ალიცინსა და კვერცეტინს შეიცავს. ალიცინი სისხლში შაქრის დონის გაკონტროლებას ეხმარება და გულის მუშაობას ააქტიურებს. არტერიულ წნევას, მომატებულ ქოლესტერინს დაბლა სწევს, სისხლში სასარგებლო ლიპიდების (ცხიმების) გაზრდას ეხმარება. ისინი მნიშვნელოვანია სისხლძარღვების მუშაობისა დაC ვიტამინის ასათვისებლად. ამ ნივთიერებებზე ორგანიზმის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ყოველდღიურად 1 ბანანი, 10 ცალი არაქისი ან 1 დიდი მსხალი ჭამეთ.

### წითელი

ლიკოპენი და ელაგოვის მჟავა ფიტონუტრიენტებია, რომლებსაც ხილისა და ბოსტნეულისგან ვიღებთ. ამ ნივთიერებების წყალობით, გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობა დაცულია. წითელი ნაყოფის ყოველდღიური ნორმაა: ნახევარი გრეიპფრუტი, 1 დიდი წითელი ვაშლი ან 2 ქლიავი.

### ყვითელი

ყვითელი პროდუქტი მდიდარია ალფა და ბეტა-კაროტინით, ასევე ბეტა-კრიპტოქსანტინით. ისინი მოქმედებენ, როგორც ანტიმჟანგავები, რომლებიც თავისუფალი რადიკალების მავნებლობას ანეიტრალებენ, ე.ი. დაბერებას ებრძვიან. ყვითელი ბოსტნეული და ხილი შეიცავს ჰეპერიდინს, რომელიცC ვიტამინთან ერთად მოქმედებს. მათი წყალობით, ჩვენი კაპილარები ჯანმრთელობას ინარჩუნებენ, იმუნური სისტემა ტონუსში იმყოფება, ხოლო კანზე ჭრილობები სწრაფად შუშდება. დღეში საკმარისია 1 ყვითელი ვაშლი, 4 გარგარი ან 2 მანდარინი.

### ლურჯი

ლურჯი ან იისფერი პროდუქტები შეიცავენ ანტოციანებს. ისინი სასარგებლოა სისხლძარღვთა სისტემისთვის, ხოლო ნივთიერება რესვერატროლი, რომელიც დიდი რაოდენობითაა წითელ ყურძენსა და ბროწეულში, დაბერების პროცესს ანელებს და კიბოს უჯრედებს ებრძვის. ლურჯი ნაყოფის ყოველდღიური ნორმაა: ლეღვის 2 ნაყოფი, 200 გრამი შავი მოცხარი, 1 მტევანი წითელი ყურძენი ან ბოკალი წითელი მშრალი ღვინო.

### მწვანე

ფიტონუტრიენტების შემცველობით ჩემპიონია მწვანე ხილი და ბოსტნეული. მათ შემადგენლობაში არსებული იზოტიოციანიტი უჯრედების ნორმალურ ზრდას უზრუნველყოფს, იზოფლავონოიდები ძვლების ჯანმრთელობას იცავენ, ხოლო ეპიჰალოკატეხინები სისხლში ქოლესტერინის ნორმალურ დონეზე არიან პასუხისმგებელი. დღეში თითო ფინჯანი ქორფა მწვანე ბოსტნეული ჭამეთ, რათა ორგანიზმში მკვებავი ნივთიერებების ნორმა შეივსოს.

## გვირილა თქვენი თვალებისთვის

თვალზე ჯიბლიბოს გაჩენისას გამოიყენეთ გვირილა. მის შემადგენლობაში არსებული ნივთიერებათა კომპლექსი გაღიზიანებას აქრობს და დეზინფექციას აკეთებს.

ფინჯანში 2 სუფრის კოვზი გვირილის ყვავილები ჩაუშვით, 1 სუფრის კოვზი მდუღარე დაასხით, 10 წუთი დადგით. მიღებული ფაფა მარლის ხელსახოცზე გადმოიღეთ და ჯიბლიბოზე ცხელი დაიდეთ.

ასეთი პროცედურა ტკივილის შეგრძნებას აქრობს, სწრაფად გამოჯანმრთელებასა და ჯიბლიბოს გაქრობას ეხმარება.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

## დაკარგულმა ცალთვალა კატამ სახლს მიაგნო

ბრიტანეთის ქალაქ ნოტინგჰემის ქუჩაში დაკარგულმა ცალთვალა კატამ 10 დღიანი ძებნის შემდეგ სახლს თავად მიაკვლია. მოწითალო ფერის კატა გალიიდან მაშინ გაიქცა, როდესაც პატრონს, ჯეინ მიდლტონს, ვეტერინარულ კლინიკაში მიჰყავდა. 55 წლის ქალი უცაბედად გაუჩინარებულ საყვარელ ცხოველს მთელი დღე ეძებდა, ზუსტად 10 დღის შემდეგ კი კატა სახლში დაბრუნდა.



ვეტერინარ ჯონ ტუოჰის თქმით, იშვიათად ხდება, ასეთი დიდი მანძილიდან კატა სახლში თავად ბრუნდებოდეს. ცხოველმა საკმაოდ გადატვირთული ტრასები გადაკვეთა და სრულიად უვნებელი მიადგა თავის პატრონს.

## 90 წლის ქალმა დაბადების დღე ჰაერში აღნიშნა



ალაბამაში მცხოვრებმა მერიონ სტანგლერმა თავისი ოთხმოცდამეათე დაბადების დღე თვითმფრინავიდან გადმოხტომით აღნიშნა. პარაშუტით ფრენა მოხუცს 80 წლის იუბილეზე ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მაშინ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ეს ტრიუკი გადადო.

10 წლის შემდეგ მერიონმა ოცნება აიხდინა, მაგრამ შვილებმა მარტო გადმოხტობის უფლება არ მისცეს და მიწაზე დედასთან ერთად წარმატებით დაეშვნენ.

## ცეცხლისმფრქვეველი გოგონა

11 წლის ვიეტნამელი გოგონა, რომლის სახელსა და გვარს მშობლები შეგნებულად არ ასახელებენ, თავისდაუნებურად ცეცხლს აჩენს ყველგან, სადაც ელექტროობა გადის. ამის გამო მან სახლი უკვე გადაწვა. გოგონას მამა აცხადებს, რომ ხანძრის გაჩენისას მის შვილს ხელი არაფრისთვის უხლია. მშობლებს დღემდე შემონახული აქვთ ნივთები, რომლებიც გოგონას გაუცნობიერებლად დაეწვა.

ბავშვი ახლა უკვე კონტროლზეა აყვანილი. ის მხოლოდ იმ ადგილას იმყოფება, სადაც ელექტროობასთან კავშირი არ ექნება. ასევე მას აქვს საგანგაშო ღილაკი, რომლის გამოყენებაც ხანძრის გაჩენის შემთხვევაში შეუძლია. მშობლებმა დამწვარი ნივთების ფოტოები ჟურნალისტებს გადასცეს.

## 222 მეტრიანი მარგალიტის ყელსაბამი

იაპონიაში, ქალაქ ოსაკაში, იუველირებმა სამთვიანი დაუღალავი შრომის შედეგად 222 მეტრი სიგრძის მარგალიტის ყელსაბამი შექმნეს, რომელიც მსოფლიოში ყველაზე გრძელი მარგალიტის ყელსაბამის ტიტულით რეკორდების წიგნში მალე ოფიციალურად შევა.




ყელსაბამი, რომლის შესაქმნელად 28.000 მარგალიტია გამოყენებული, 20 კილოგრამს იწონის. მიუხედავად დიდი მოთხოვნისა, მისი გაყიდვა არ იგეგმება. აღსანიშნავია, რომ წინა რეკორდი ასევე იაპონელ იუველირებს ეკუთვნოდათ. მათ მიერ შექმნილი მარგალიტის ყელსაბამის სიგრძე 187 მეტრი იყო.

## 4 დღე მილსადენში





ძაღლმა, სახელად ლულუმ, გაუქმებულ მილსადენში მაშინ ამოყო თავი, როდესაც პატრონს, გეილ ფრაიზერს, სასეირნოდ ჰყავდა წაყვანილი. 8 ფუტ სიღრმეზე ჩავარდნილი ლულუ მილსადენში გაიჭედა და უკან ამოსვლა ველარ შეძლო. როდესაც გეილი შესაბამის სამსახურს დაუკავშირდა, დახმარებაზე უარი უთხრეს. მათი განმარტებით, თუ ძაღლი ყეფდა, მაშინ ის გზას თავად გაიკვლევდა.

სამწუხაროდ, ლულუმ მომდევნო 4 დღე მილსადენში გაატარა. ამ დროის განმავლობაში ის განუწყვეტლივ ყეფდა. გეილი მილში წყალს წვეთობით უსხამდა, რისი წყალობითაც ლულუ გადარჩა. ეს ყველაფერი მანამ გაგრძელდა, სანამ პატრონმა არ დაიქირავა ადამიანი, რომელმაც მიწა გათხარა და ლულუ მილსადენიდან ამოიყვანა.



Cyan Magenta Yellow Black

## «ცოცხალი» კოშკი

ესპანეთის ქალაქ ტარაგონაში ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ტარდება ფესტივალი, რომლის დროსაც ადამიანები



ცდილობენ, „ცოცხალი“ კოშკები ააშენონ. ცოცხალი იმიტომ, რომ საშენ მასალას მხოლოდ ადამიანები წარმოადგენენ. ტარაგონამ ტრადიციას არც ამ წელს უღალატა. ფესტივალი 2 დღე გაგრძელდა.

მონაწილეები გუნდებად იყოფიან და ცდილობენ, საუკეთესო კოშკი ააგონ. გუნდების ნამუშევარს ჟიური აფასებს და გამარჯვებულს ასახელებს.

## თინეიჯერმა შუბლით 142 კვერცხი გატეხა

ჯორჯიის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტმა სკოტ დეიმორმა ერთი წუთის განმავლობაში შუბლით 142 კვერცხის გატეხა შეძლო. სკოტს რამდენიმე მცდელობის უფლება ჰქონდა.



იგი ამ რეკორდის მოხსნას ადრეც შეეცადა, მაგრამ მარცხი განიცადა. მაშინ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ დედის რესტორანში გულმოდგინე ვარჯიში დაიწყო და... ახლა რეკორდიც დაამყარა.

შეგახსენებთ, რომ წინა რეკორდი 130 კვერცხი იყო.

## ქალს კედელზე გარდაცვლილი ქმარი გამოესახა

ბრიტანელი ანდრეა სემუელის სახლის კედელზე გარდაცვლილი მეუღლის გამოსახულება გამოიკვეთა. როგორც ქალი აცხადებს, ეს პროცესი ჯერ კიდევ 4 წლის წინ დაიწყო და გამოსახულება სულ უფრო მკვეთრი ხდებოდა. ყველაზე საკვირველი ის არის, რომ მის სახლში ნივთები თავისით გადაადგილდება. ძილში კი ასევე აწ უკვე მკვდარი ძაღლის, ჰუბის წკმუტუნი ესმის.

შეშინებულმა ანდრეამ კათოლიკურ ეკლესიას მიმართა. ეკლესიის წინამძღვარი მის სახლში მივიდა და ლოცვები წაიკითხა. ის ადასტურებს ანდრეას ნათქვამს და იმასაც ამატებს, რომ კედელზე ქალის არამარტო ქმრის, არამედ ძაღლის გამოსახულებაც დაინახა.

## გიდისა და პითონის ორთაბრძოლა



26 წლის ტომი ოუენმა, რომელიც ფლორიდის შტატში მდებარე ევერგლეიდსის ნაციონალურ პარკში ტურისტებს გიდობას უწევდა, მოულოდნელად წყალში უზარმაზარი პითონი დაინახა და არც კი დაფიქრებულა, ხელში ისე აიტაცა. როგორც მან მოგვიანებით აღიარა, რომ სცოდნოდა, რა ზომის ქვეწარმავალთან ექნებოდა საქმე, ხელსაც არ ახლებდა.

ტომმა 10 ფუტი სიგრძის გველი ერთ ხელზე დაიხვია, მეორე ხელით კი მისი დამორჩილება სცადა. საბოლოოდ გველი დაიღალა და მოეშვა. ამის შემდეგ ტომს მისი მოკვლა გაუადვილდა. ტურისტებმა ამ ორთაბრძოლის ამსახველი კადრები ფოტო და ვიდეოკამერებზე აღბეჭდეს და გაბედული გიდიც მალე მოექცა მედიის ყურადღების ცენტრში.

## ყველაზე ცივი მარათონი



ჩრდილოეთ პოლუსზე მსოფლიოში ყველაზე ცივი მარათონი გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობას მსოფლიოს 20 სხვადასხვა ქვეყნიდან 46 ექსტრემალი იღებდა. მათი განცხადებით, მიუხედავად -28 გრადუსი ყინვისა, მარათონისთვის იდეალური ამინდი იყო.

მონაწილეების უმრავლესობას მარათონის დასასრულებლად 10 საათზე მეტი დასჭირდა, ფინიშის ხაზი კი პირველმა ირლანდიელმა ექსტრემალმა, ჰარი ზორთონმა გადაკვეთა. მას მანძილის დასაფარად ზუსტად 3 საათი, 49 წუთი და 29 წამი დასჭირდა.

## კრაზანების შვიდმეტრიანი ბუდე

კანარის კუნძულებზე მდებარე ქალაქ სან სებასტიანში, მიტოვებულ სახლში, კრაზანის გიგანტური ბუდე აღმოაჩინეს. მოსახლეობამ პოლიცია მას შემდეგ გამოიძახა, როცა მიმდებარე ტერიტორიაზე გავლა შეუძლებელი გახდა. პოლიციის თანამშრომლებმა სახლის მფლობელის მოძებნა ვერ მოახერხეს, ამიტომ იძულებულები გახდნენ, კარი შეემტვრიათ. ისინი აგრესიული კრაზანებით სავსე 7 მეტრიანი ბუდის დანახვაზე შოკში ჩაცვივდნენ.

ბუდის უჩვეულო სიდიდის გამო ექსპერტები თვლიან, რომ ის ადგილობრივი კრაზანების ნახელავი არ არის და, სავარაუდოდ, აფრიკიდან მიგრირებული მწერების მიერაა ნაშენები. მათ მოსაშორებლად და ხალხში პანიკის ჩასაცხრომად პოლიციამ სახლის დაწვა გადაწყვიტა.



Cyan Magenta Yellow Black

# ობიექტური ხართ საკუთარი თავისა და სხვების მიმართ?



**1. თქვენი აზრით, როცა აბსოლუტურად ყველაფერში მიღებული წესებით ხელმძღვანელობენ და კარგი მანერები აქვთ, ეს რისი ნიშანია?**

ა) ზრდილობის — 5

ბ) მკაცრი აღზრდის — 3

გ) არაგულწრფელობის და ასეთი ქმედებით ნამდვილი ხასიათის შენიღბვას ცდილობენ — 0

**2. თქვენი აზრით, ცოლქმარი, რომლებიც არასოდეს არაფერზე კამათობენ...**

ა) ბედნიერები არიან — 5

ბ) ერთმანეთის მიმართ გულგრილები არიან — 3

გ) ერთმანეთს არ ენდობიან და გარშემომყოფებისგან თავიანთ ნამდვილ ურთიერთობას მალავენ — 0

**3. ადამიანი, რომელსაც პირველად ხედავთ მომენტალურად ანეკდოტების მოყოლას და ხუმრობას იწყებს, თქვენი აზრით, როგორია ის?**

ა) ხუმარა — 3

ბ) თავდაჯერება აკლია და ჩემს გვერდით თავს უხერხულად გრძნობს — 5

გ) სურს, მასზე კარგი წარმოდგენა შემექმნას — 0

**4. ადამიანთან საუბრობთ თემაზე, რომელიც ორივეს გაინტერესებთ, მაგრამ თანამოსაუბრე ძლიერად ჟესტიკულირებს, როგორ ფიქრობთ, რაზე მეტყველებს ეს?**

ა) მის ნიშაგან მღელვარებაზე — 5

ბ) ის ძალიან გადაღლილია — 3

გ) ჩემი აზრით, თანამოსაუბრე არაგულწრფელია — 0

**5. გსურთ, ადამიანი უკეთ გაიცნოთ, ამისათვის ყველაზე კარგია...**

ა) წვეულებაზე მივიწვიო — 0

ბ) საქმეში დავაკვირდე — 3

გ) დავაკვირდე, როგორ იქცევა კონფლიქტურ სიტუაციებში — 5

**6. რესტორანში თქვენი კომპანიონი საჭიროზე მეტ ხელის ქირას ტოვებს, როგორ ფიქრობთ, რატომ იქცევა ასე?**

ა) გარშემომყოფებზე შთაბეჭდილების მოხდენა სურს — 0

ბ) ოფიციანტის კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობს — 5

გ) ხელგაშლილი ადამიანია — 3

**7. თქვენი აზრით, ადამიანი, რომელიც არასოდეს იწყებს საუბარს პირველი, სინამდვილეში როგორი ადამიანია?**

ა) საკუთარ თავში ჩაკეტილი — 3

ბ) მორცხვი — 5

გ) ადვილად ნაწყენდება და ეშინია, რომ რაღაც ისეთს ეტყვიან, რაც გაანაწყენებს — 0

**8. ზოგიერთ ადამიანზე შთაბეჭდილება გარეგნობითაც შეიძლება შეგექმნათ, როგორ ფიქრობთ, რაზე მეტყველებს დაბალი შუბლი?**

ა) ქარაფშუტობაზე — 0

ბ) სიჯიუტეზე — 3

გ) კონკრეტული პასუხის გაცემა მიჭირს — 5

**9. რას ფიქრობთ ადამიანზე, რომელიც ლაპარაკის დროს თანამოსაუბრეს თვალებში არ უყურებს?**

ა) არასრულფასოვნების კომპლექსი აქვს — 5

ბ) სათანადოდ გულწრფელი არ არის — 3

გ) ძალიან დაბნეულია — 0

**10. არსებობენ ადამიანები, რომოებიც, როცა რაღაც უსიამოვნო მოხდება ამბობენ, რომ ამას გრძნობდნენ, ეს იცოდნენ, მაგრამ არაფერი თქვეს წინასწარ, რათა უსიამოვნო სიტუაციაში არ მოხვედრილიყვნენ, თქვენი აზრით, როგორი ადამიანები არიან ისინი?**

ა) ძლიერი ხასიათის, მედგარი ადამიანები — 0

ბ) ადამიანები, რომლებსაც სულს იქით არაფერი აბადიათ — 3

გ) ბაქიბუქა ადამიანები — 5

**11. იცნობთ საკმაოდ შეძლებულ ადამიანს, რომელიც ყოველთვის იაფფასიან ნივთებს იძენს, თქვენი აზრით, ასე რატომ იქცევა?**

ა) უბრალო ადამიანია და იმიტომ — 3

ბ) უყვარს დაზოგვა — 0

გ) ძუნწია — 5

**12. თქვენი აზრით, პუტკუნა ადამიანები....**

ა) სხვებზე სიმპათიურები არიან, რადგან კეთილები, მხიარულები და ურთიერთობების მოყვარულები არიან — 3

ბ) აპათიურები და ზარმაცები არიანი — 0

გ) ისინი ისეთები არიან, როგორიც სხვები — კარგებიც და ცუდებიც — 5

**შედეგები:**

**0-30 ქულა** —ასეთი ადამიანი საკუთარ მოსაზრებაში ყოველთვის დარწმუნებული არაა. ხშირად არაობიექტურია, რადგან ადვილად იცვლის შეხედულებას და სხვების გავლენის ქვეშ ექცევა.

**31-60 ქულა** — ასეთები გარშემომყოფებს ობიექტურად აფასებენ და არასოდეს გაურბიან საკუთარი შეცდომების აღიარებას.

## ეს იცოდით?

❖ კომპოზიტორი როსინი რეკორდსმენია ოპერების წერაში. მან 39 ოპერა შექმნა.

❖ ლევ ტოლსტოის ჟურნალისტები არ უყვარდა. ერთხელ ერთმა კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა. „რად გინდათ?“ — შეეკითხა მწერალი. „როგორ? რუსეთში უკანასკნელი სულელიც კი ინტერესდება თქვენით“, — უპასუხა ჟურნალისტმა. „ამაში ახლა მე საკუთარი თვალითაც დავრწმუნდი“, — მიუგო მწერალმა.

❖ ერთ-ერთ საზოგადოებაში მარკ ტვენი სახუმარო ამბებს ყვებოდა. ყველა გულიანად ხარხარებდა, მხოლოდ ერთი ბანკირი არ იზიარებდა საერთო მხიარულებას. იგი წამოდგა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და განაცხადა: „ნეტავ რა არის აქ არაჩვეულებრივი?“. ყველამ მარკ ტვენს შეხედა: „თქვენ მართალი ხართ. ამაზე უჩვეულო ამბებიც არსებობს, — მიუგო მწერალმა და დასძინა, — განა ჩვეულებრივია, ბანკირი საკუთარ ჯიბეში იყოფდეს ხელს?“.

❖ ლუდოვიკო XI-ის კარის ასტროლოგმა ზუსტად იწინასწარმეტყველა მეფის ფავორიტი ქალის მოწამვლა. ლუდოვიკომ მისი სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა, ჯალათთან ერთად თავისთან მიიხმო და ირონიულად ჰკითხა: „ყველას სიკვდილს რომ წინასწარმეტყველებ, თავად შენ რამდენი დრო დაგრჩა?“. „მე თქვენზე სამი დღით ადრე მოვკვდები“, — უპასუხა ასტროლოგმა და... სიკვდილსაც გადაურჩა.

## სუდოკუ

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | 3 | | | | | 8 |
| | | 3 | | | 5 | | 9 | |
| | 2 | | 1 | | 6 | | | 7 |
| 7 | | | 9 | | | | | |
| | | 8 | | | | 1 | 5 | |
| | 6 | | | | 4 | | | 2 |
| | 9 | | | 2 | | 8 | | |
| 8 | | 5 | | 7 | | 4 | | |
| | 1 | | | 3 | | | 6 | |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 7 | 8 | 9 | | | |
| | | | | | | 5 | 2 | 1 |
| 3 | 6 | 4 | | | | | | |
| | | 7 | | | 1 | 8 | | |
| | | | | 4 | | | 3 | |
| 9 | | | 2 | | | | | 5 |
| 7 | | 5 | 3 | | | | | 4 |
| | 8 | | | | | 9 | | |
| | 2 | 1 | | | 7 | | | 6 |

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.



Cyan Magenta Yellow Black

ტესტი გოგონებისთვის

# „ბინდის“ რომელი გმირი ხართ?



**1. როგორ ქალაქში ისურვებდით ცხოვრებას?**
ა) მზიან, ხმაურიან მეგაპოლისში — 8
ბ) იქ, სადაც ახლა ვცხოვრობ, ყველა მეგობარი ხომ ამ ქალაქში მყავს — 2
გ) ძველ ქალაქში, სადაც ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ — 4
დ) სულ ერთია, მთავარია ქალაქი ლამაზი იყოს — 6
ე) წყნარ, მშვიდ ქალაქში, იქ სადაც ახლა ვცხოვრობ — 0

**2. აღწერეთ თქვენი ხასიათი.**
ა) მშვიდი, კეთილი, ჭკვიანი — 0
ბ) საინტერესო, დაუდგრომელი, თავისნათქვამა — 8
გ) ძლიერი, მრავალმხრივი — 4
დ) ცნობისმოყვარე, მხიარული, კეთილი, ლაქლაქა — 2
ე) უბრალო, კეთილი — 6

**3. როგორი თმა გაქვთ?**
ა) მოკლე — 8
ბ) ხვეული — 2
გ) მუქი, საშუალო სიგრძის — 0
დ) ღია ფერის, აბრეშუმივით თმა — 4
ე) ჩვეულებრივი, ჩემი საყვარელი ფერის და ყოველთვის კეფაზე შეკრულს ვატარებ — 6

**4. რომელი ფერი გიყვართ?**
ა) ნაცრისფერი და მუქი, უღიმღამო ფერები — 0
ბ) სხვადასხვა ფერი, გააჩნია, როგორ ხასიათზე ვარ — 4
გ) მწვანე, ვარდისფერი და სხვა ნაზი ფერები — 2
დ) ყველა კაშკაშა ფერი — 8
ე) ბორდო, იისფერი — 6

**5. როგორ გაქვთ საქმე სპორტის მხრივ?**
ა) არაჩვეულებრივად — 8
ბ) მომწონს, მაგრამ დიდად არ ვარ ჩართული — 4
გ) დიდ ინტერესს არ ვიჩენ, მაგრამ თუ დამჭირდა, წარმატებას ვაღწევ — 2
დ) არ მიყვარს — 0
ე) განსაკუთრებული წარმატებები არ მაქვს, სპორტი არ მაინტერესებს — 6

**6. რას იტყვით თქვენს მეგობრებზე?**
ა) ბევრი მეგობარი მყავს მაგრამ ურთიერთობა 1-2-თან მაქვს — 6
ბ) ან ერთი ნამდვილი მეგობარი მყავს, ან დიდი ხნის ნაცნობების მცირე კომპანია — 8
გ) მაღალი რანგის მეგობრები მყავს, ადამიანებისთვის, როლებიც არაფერს წარმოადგენენ, დრო არ მაქვს — 4
დ) ძალიან ბევრი მეგობარი მყავს — 2
ე) ყოველთვის ჩემს შესაფერის მეგობრებს ვირჩევ — 0

**შედეგები:**

**0-10 ქულა — ბელა**
ალბათ უკვე გყავთ საკუთარი ვამპირი. კეთილი, ნაზი, სათნო ადამიანი ხართ, ნებისმიერთან პოულობთ ურთიერთობის სწორ ფორმას.

**11-20 ქულა — ჯესიკა**
ჩვეულებრივი გოგო ხართ, ცოტა კეკლუცი, მაგრამ ძალიან კეთილი. თქვენ საუკეთესო მეგობარი ხართ, მაგრამ საშიში მტერი.

**21-30 ქულა — როზალი**
ლამაზი, ცოტა ქედმაღალი გოგო-ვამპირი. ნამდვილი ფოტომოდელის გარეგნობა გაქვთ, ოღონდ გირჩევთ, ნაკლებად მკაცრი იყოთ, ხანდახან ზედმეტი მოგდით.

**31-39 ქულა — ანჯელა**
გოგონა, რომელიც გარეგნულად ყინულს ჰგავს, შინაგანად კი ნამდვილი ცეცხლია. თქვენ რომ გაგიგონ, კარგად უნდა გაგიცნონ. გირჩევთ, ურთიერთობებში ცოტა მეტად გაიხსნათ.

**40-48 ქულა — ელისი**
გოგო-ვამპირი, რომელსაც თავისი სტატუსი დიდად არ მოსწონს. ძალიან ძლიერი ხართ და ბევრი რამე გადაიტანეთ, მაგრამ ამ ტკივილს კარგად ნიღბავთ საკუთარი მხიარული ხასიათით.

# როგორი აღმზრდელი ხართ?



**1. თქვენმა შვილმა კლასელთან იჩხუბა და ამის გამო სკოლაში გიბარებენ, როგორ მოიქცევით?**
ა) ცხელ გულზე ბავშვს დავსჯი — 10
ბ) გაარკვევთ, რის გამო იჩხუბა და ამის შემდეგ განსაზღვრავთ, როგორ დასაჯოთ — 5
გ) პირველ რიგში, თანაკლასელებს და მასწავლებლებს დაველაპარაკები — 0

**2. შვილი სახლის დალაგებაში გეხმარებოდათ და მოულოდნელად ლარნაკი გატეხა, რა რეაქცია გექნებათ?**
ა) წამოვუთაქებ — 5
ბ) გაღიზიანებული ეტყვით: „წადი აქედან, უშენოდ მივხედავ ყველაფერს“ — 10
გ) ბავშვს დაამშვიდებთ, ეს ხომ სპეციალურად არ გაუკეთებია — 0

**3. შვილი დასაჯეთ, შემდეგ კი მიხვდით, რომ არასწორად მოიქეცით, რას იზამთ?**
ა) გაჩუმდებით, რათა ბავშვის თვალში ავტორიტეტი არ დაკარგოთ — 10
ბ) ბოდიშს მოუხდით — 5
გ) საკუთარ შეცდომას აღიარებთ და ეტყვით, რომ უფროსებიც ცდებიან — 0

**4. ძალიან დაღლილი ხართ, შვილი კი ათასგვარ შეკითხვას გისვამთ...**
ა) შეაწყვეტინებთ და ეტყვით: „მაცადე, სული მოვითქვა“ — 5
ბ) რაღაცას უპასუხებთ, ოღონდ რამე უპასუხოთ და თავიდან მოიცილოთ — 10
გ) აუხსნით, რომ ძალიან დაღლილი ხართ და სხვა დროს უპასუხებთ ყველაფერზე — 0

**5. შვილი გთხოვთ, დავალების დაწერაში დაეხმაროთ, როგორ მოიქცევით?**
ა) შავად დაუწერთ, მას მხოლოდ გადათეთრება მოუწევს — 10
ბ) მკაცრად ეტყვით: „შენით დაწერე, მხოლოდ ასე მიეჩვევი დამოუკიდებლად შრომას და რაღაცის სწავლას“ — 5
გ) მირჩევთ სათანადო რჩევებს და ეცდებით, დამოუკიდებლად შეასრულოს დავალება — 0

**6. შვილი თევზებისა და აკვარიუმის ყიდვას გთხოვთ, თქვენ...**
ა) უარს ეტყვით, რადგან ეს უამრავ დროს წაართმევს — 10
ბ) „რაკი ასე გსურს, ვიყიდოთ, მათ მოვლაში დაგეხმარები“ — 5
გ) „კარგად დაფიქრდი და ყველაფერი გაითვალისწინე? მაშინ გიყიდი, ოღონდ მათ თავად მოუვლი“ — 0

**შედეგები:**

**0-35 ქულა** — მშვენიერი აღმზრდელი და ფსიქოლოგი ბრძანდებით.

**40-70 ქულა** — გირჩევთ, სერიოზულად დაუფიქრდეთ თქვენს პედაგოგიურ მეთოდებს. ბევრ რამეში აღმზრდელის თვისებები არ გაქვთ.

**75-100 ქულა** — აღმზრდელის არანაირი თვისება არ გაქვთ. შეიძლება ითქვას, თავად ხართ აღსაზრდელი.



Cyan Magenta Yellow Black



# ტუბერკულოზი: საშიში მეზობლობა

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად ტუბერკულოზით 20 მილიონზე მეტი ადამიანი ავადდება. სამწუხაროდ, ეს სნეულება გადამდებია, რომელსაც მიკობაქტერია (კოხის ჩხირი) იწვევს. ის მეტად სიცოცხლისუნარიანია: სითბოშიც და სიცივეშიც თავს მშვენივრად გრძნობს. ქუჩის მტვერში შეუძლია რამდენიმე თვის განმავლობაში იცოცხლოს. ტუბერკულოზის მიკობაქტერიის განადგურება მხოლოდ მზის სხივების ხანგრძლივი ზემოქმედებით, მაღალი ტემპერატურითა და ქლორის შემცველი საშუალებებით შეიძლება.

როგორ ხდება დასნებოვნება? ღია ფორმის მქონე ავადმყოფები დახველების, ცხვირის დაცემინების, საუბრის, სიცილის, სიმღერის დროს გამოყოფენ თვალისთვის შეუმჩნეველ წვეთებს, რომლებიც ბაცილებს დიდი რაოდენობით შეიცავს. ინფიცირება ხდება ამ წვეთების შესუნთქვის შედეგად. მიჩნეულია, რომ ერთი წლის განმავლობაში ტუბერკულოზის ღია ფორმის მქონე ავადმყოფს შეუძლია 10-15 ადამიანი დააინფიციროს. დასნებოვნება ასევე შესაძლებელია ნერწყვით (კოცნის დროს).

იმუნური სისტემის დაცვის წყალობით, ადამიანის ორგანიზმში მოხვედრილ ტუბერკულოზის ჩხირს შეუძლია ხანგრძლივად დარჩეს ბლოკირებულ მდგომარეობაში, მაგრამ, თუ ორგანიზმი დასუსტებულია და ბაქტერიებისთვის ხელსაყრელი პირობებია შექმნილი, მაშინ კოხის ჩხირი სწრაფად გამრავლებას იწყებს. ტუბერკულოზს შეუძლია დააზიანოს პრაქტიკულად ნებისმიერი ორგანო და სისტემა: თვალი, ძვლები, ნაწლავები, ღვიძლი. მაგრამ ყველაზე გავრცელებულ ფორმად ფილტვის ტუბერკულოზი ითვლება.

### ხელშემწყობი ფაქტორები

დაინფიცირების მაღალი რისკის ჯგუფს წარმოადგენენ: არასრულფასოვან კვებაზე მყოფები, ავადმყოფები, რომლებიც ხანგრძლივად იღებდნენ სტეროიდულ ჰორმონებს, აგრეთვე სხივურ თერაპიაზე მყოფი ადამიანები, სხვადასხვა თანმხლები დაავადების (შაქრიანი დაიბეტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება და სხვა) მქონე პირები, ალკოჰოლიკები, ნარკომანები, შიდსით დაავადებულები.

### სიმპტომები

ეს დაავადება ცბიერია იმით, რომ შეუძლია დიდი ხნის განმავლობაში უსიმპტომოდ მიმდინარეობდეს, პრაქტიკულად თავის არსებობა არაფრით გასცეს. ხშირად მას შემთხვევით აღმოაჩენენ მორიგი პროფილაქტიკური გასინჯვისას. ადამიანს შეიძლება აწუხებდეს მხოლოდ საერთო სისუსტე, მომატებული დაღლა, მადის დაქვეითება. ე.ი. სიმპტომები, რომლებიც მრავალი სხვადასხვა დაავადების დროს აღმოცენდება. ტყუილად არ არის, რომ ფთიზიატრები ტუბერკულოზს „ყველა დაავადების მაიმუნს" უწოდებენ.

საშიშროება დროულად რომ გამოიცნოთ, ფხიზლად იყავით. თუ ხველა 2 კვირაზე მეტ ხანს გრძელდება, აღინიშნება მკერდში ტკივილი, სხეულის ტემპერატურის მცირე მომატება, ღამით ოფლიანობა, მადის დაქვეითება, სისუსტე ან დაღლა, თერაპევტს ან ფთიზიატრს მიმართეთ.

### მკურნალობა

ტუბერკულოზი განაჩენი არ არის. არსებობს პრეპარატები, რომლებიც განკურნებას ეხმარება, თუმცა მკურნალობა ხანგრძლივია (არანაკლებ 6 თვისა) და ავადმყოფისგან პასუხისმგებლობას მოითხოვს. მკურნალობის თვითნებურად შეწყვეტის შედეგად დაავადება შეიძლება უფრო მძიმე ფორმით დაბრუნდეს და მისი განკურნება ბევრად უფრო ძნელი, ზოგჯერ შეუძლებელი იქნება. ტუბერკულოზის საწინააღმდეგო თერაპიის კურსის ჩატარების შემდეგ პაციენტი დისპანსერულ აღრიცხვაზე დგება (არანაკლებ 2 წლისა). თუ ამ პერიოდის განმავლობაში დაავადება აღარ განმეორდება, დიაგნოზს ხსნიან.

რაც შეეხება კვებას, ტუბერკულოზით დაავადებულთათვის განსაკუთრებით საჭიროა ცილა. ყველაზე სრულყოფილ ცილას შეიცავს ძროხის, ცხვრის, ქათმის ხორცი, ღვიძლი, რძე, თევზი, კვერცხი. ცხიმებიდან სასარგებლოა კარაქი და მზესუმზირის ზეთი. C ვიტამინი ავადმყოფმა 2-ჯერ მეტი უნდა მიიღოს, ვიდრე ჯანმრთელმა. C ვიტამინს დიდი რაოდენობით შეიცავს კომბოსტო, მწვანე ხახვი, ციტრუსები, ნიგოზი და სხვა.

### პროფილაქტიკა

ზოგიერთი მონაცემით, დედამიწის მოსახლეობის ყოველი მესამე მცხოვრები კოხის ჩხირის მატარებელია, მაგრამ ტუბერკულოზი მხოლოდ 7-9%-ში ვითარდება. ამიტომ დამცავი ძალების გაძლიერება ტუბერკულოზის საუკეთესო პროფილაქტიკაა. პირადი ჰიგიენის წესების დაცვა, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით მდიდარი საკვები, რეგულარული ფიზიკური დატვირთვა და სხეულის გამოწრთობა შეუვალს გაგხდით როგორც ტუბერკულოზის, ასევე სხვა მავნე მიკროორგანიზმების მიმართ.

# უნივერსალური ვაშლი



უძველესი დროიდან ცნობილია, რომ ვაშლი არამხოლოდ საჭმელი, ასევე უნივერსალური და უწყინარი სამკურნალო საშუალებაა. ქორფა და შემწვარი საჭმლის მონელებას აუმჯობესებს, სუსტი საფაღარათო მოქმედება გააჩნია. ნაღველისა და შარდის გამოყოფას აძლიერებს, შეშუპებას ამცირებს. ზედმეტი შარდმჟავას წარმოქმნას აბრკოლებს, ამიტომ რეკომენდებულია პოდაგრის, ართრიტის დროს. ასევე მეტად სასარგებლოა სისხლძარღვების სკლეროზის, ქრონიკული რევმატიზმის, თირკმელში კენჭების დროს.

ვაშლი ასევე გამოიყენება სისხლნაკლულობის, ავიტამინოზის, თავის ტკივილის შემთხვევებში. ვაშლის თბილ ნახარშს სამკურნალო თვისება აქვს გაციებით გამწვეული ხველისა და ხმის ჩახლეჩის დროს.

ვაშლის ჩაი ეხმარება ათეროსკლეროზის, ქრონიკული რევმატიზმის შემთხვევებში. ქორფა 3-5 ვაშლი კანიანად დაჭერით, 1 ლიტრი წყალი დაასხით და თავდახურულ ჭურჭელში 10-15 წუთი ადუღეთ. 4 საათი დადგით, გაწურეთ. დღეში რამდენჯერმე თბილი სახით დალიეთ, როგორც ჩაი.

### ეს უნდა იცოდეთ!

ვაშლი დიეტის იდეალური ძირითადი შემადგენელია. მასში ბევრი ვიტამინი, მიკროელემენტი და პექტინია (საჭმლის მონელებას აუმჯობესებს). მაგრამ ამ შესანიშნავ ხილს აქვს ისეთი თვისება, რომლის ცოდნა აუცილებელია.

მჟავე ჯიშის ვაშლი რეკომენდებული არ არის მათთვის, ვისაც წყლული, მომატებული მჟავიანობთი გასტრიტი აწუხებს. ასეთი დაავადებების დროს დასაშვებია შემწვარი ვაშლის ჭამა. სამაგიეროდ კუჭის წვენის არასაკმარისი სეკრეციის დროს, პირიქით, მჟავე ვაშლი სასარგებლოა.

ვაშლს პიურეს სახით ჭამენ შარდკენჭოვანი დაავადებებისა და ქრონიკული კოლიტის დროს.

ალერგიული ადამიანები ვაშლთან ფრთხილად უნდა იყვნენ. მნიშვნელობა არ აქვს, სახელდობრ, როგორ გამოვლინდება დაავადება — კანის რეაქციით თუ ასთმით. ნებისმიერ შემთხვევაში უპირატესობა მიანიჭეთ მწვანე ვაშლს, ვინაიდან წითელ-ნარინჯისფერ ნაყოფს შეუძლია გამწვავება გამოიწვიოს.

### განმტვირთავი დღე

ვაშლით განტვირთვის დღე შეგიძლიათ კვირაში 1-2-ჯერ მოაწყოთ. დღეში ნებადართულია კილონახევარი ვაშლი და უგაზო მინერალური წყალი, ასევე მწვანე ჩაი (არანაკლებ 2 ლიტრისა). ასეთი განტვირთვის დღის მოწყობა ბევრს გაუჭირდება, ვინაიდან ვაშლი მადას ასტიმულირებს. ამიტომ უმჯობესია ზოგიერთი პროდუქტი, მაგალითად კეფირი დაუმატოთ, დღეში 1 ლიტრამდე. მთავარი — კეფირსა და ვაშლს შორის შუალედი არანაკლებ ერთი საათისა უნდა იყოს.

კიდევ ერთი პროდუქტი, რომელიც ვაშლს კარგად ეთვისება, ეს არის თაფლი. დღის განმავლობაში დასაშვებია 3 ჩაის კოვზი თაფლი (დილით, შუადღეს და საღამოს 6 საათისთვის თითო ჩაის კოვზი). სასმელის მიღების რეჟიმი უცვლელია.

### ვაშლის ძმრის აბაზანა

როდესაც საქმე არ ეწყობა, ცუდ განწყობაზე ხართ, თავს გამოფიტულად გრძნობთ, ვაშლის ძმრის აბაზანა მიიღეთ. მას გამამხნევებელი ეფექტი აქვს. მოტკბო სასიამოვნო სუნი განწყობას სწრაფად აუმჯობესებს. აბაზანის ეფექტი განსაკუთრებით შესამჩნევია, როდესაც დატვირთული დღის შემდეგ საჭიროა დაღლის სწრაფად მოხსნა.

აბაზანაში სასიამოვნოდ ცხელი წყალი ჩაუშვით, 2 ფინჯანი ვაშლის ძმარი დაუმატეთ და 20 წუთი ჩაწექით. ნარევი არ ჩამოიბანოთ, უბრალოდ, სხეული პირსახოცით შეიმშრალეთ. მაგრამ, თუ ვაშლის ძმრის გარდა აბაზანაში სურნელოვან ქაფს დაუმატებთ, მაშინ პროცედურის დამთავრებისას შხაპის ქვეშ უნდა დადგეთ. ასეთი შემთხვევაში გამოიყენეთ ტემპერატურის კონტრასტი — ეს კიდევ უფრო ამხნევებს. და გახსოვდეთ: რაც უფრო ცხელია წყალი, პროცედურის დრო მით უფრო ნაკლებია. სხვაგვარად, მხნეობის მაგივრად უკუეფექტს მიიღებთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძე



Cyan Magenta Yellow Black

# გვპასუხობს ექიმი



**— 10 წლის გოგონას ყურზე, ზუსტად იმ ადგილას, სადაც საყურე უნდა გაკეთდეს, აქვს ხალი, როგორ მოვიქცეთ?**

— არ გირჩევთ ხალიან უბანზე ხელის ხლებას. გოგონა ჯერ პატარაა და შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ ხალმა ადგილი შეიცვალოს.

**— თირკმლებში მაქვს კენჭები, 5 მმ. რა წამალი მივიღო?**

— წამლის თვითნებურ მიღებას არ გირჩევთ, რადგან შეიძლება მოხდეს ე.წ. კენჭების ადგილიდან დაძვრა, რაც, პირველ რიგში, გამოიწვევს გაუსაძლის ტკივილს და შეიძლება არასასურველი შედეგით დამთავრდეს, გარდაუვალი გახდეს სასწრაფო ოპერაცია.

**— ხანდახან მკერდში რაღაც მწიწკნის ამოსუნთქვის დროს. მენსტრუაციამდე რამდენიმე დღით ადრე მტკივა მკერდი. ვარ 16 წლის, საშიშია?**

— თქვენ ორი სხვადასხვა სიმპტომი დაასახელეთ, რომლებიც, ერთი შეხედვით, მკერდთან არის დაკავშირებული. პირველ შემთხვევაში შეიძლება ნევროზული სიმპტომი იყოს. რაც შეეხება მენსტრუაციის წინ ტკივილს, ეს საკმაოდ ხშირია, რაც საგანგაშო ნამდვილად არ არის, მაგრამ ტკივილის მომატების შემთხვევაში აუცილებლად უნდა მიმართოთ მამოლოგს, რომ მასტოპათია არ გამოგეპაროთ, რასაც ადრეულ სტადიაზე მარტივად უშველით.

**— ვარ 24 წლის, 3 წელია გათხოვილი ვარ, ფეხმძიმედ არ ვყოფილვარ შეგნებულად. მქონდა სოკო და ტრიქომონა, ვიმკურნალე. ინტიმური ურთიერთობისას მაქვს საშინელი გამონადენი და საკვერცხეების ტკივილი. 3 წლის განმავლობაში არ განმიცდია ორგაზმი. ვის შეიძლება მივმართო? მეშინია, რომ ამდენი ხნის შემდეგ დავფეხმძიმდები, თავშეკავება ხელს ხომ არ შემიშლის?**

— აუცილებლად მიმართეთ გინეკოლოგს და ჩაიტარეთ ძირეული გამოკვლევა, სხვაგვარად პასუხს ვერავინ გაგცემთ.

**— ვარ გათხოვილი. მაქვს მოჭარბებული ლორწოვანი, თეთრი გამონადენი. ზოგჯერ წელის არეში ტკივილიც. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

— პირველ რიგში, უნდა გაიკეთოთ ნაცხის ანალიზი, რადგან, რასაც თქვენ ლორწოვან გამონადენს ეძახით, შეიძლება ანთებითი პროცესის, სოკოვანი დაავადების მანიშნებელი იყოს. მიმართეთ გინეკოლოგს. სასურველია, ჩაიტაროთ ექოსკოპიური კვლევა, რომ დადგინდეს წელის ტკივილი მომდინარეობს თუ არა გინეკოლოგიური პრობლემიდან თუ უბრალო დამთხვევაა და მიზეზი სხვა არის.

**— როგორ ვუმკურნალო სოკოთი დაავადებულ ფრჩხილს?**

— საჭიროა როგორც გარეგანი, ასევე შინაგანად მისაღები ანტიმიკოზური თერაპიის ჩატარება. მკურნალობის თანამედროვე მეთოდები იძლევა საშუალებას, დერმატოლოგიურ ლაბორატორიაში ჩატარდეს ფრჩხილის ანაფხეკის ანალიზი და მკურნალობაც ისე დაინიშნოს, რომ შედეგმა არ დააყოვნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება მიიღოთ ძლიერი პრეპარატები, მაგრამ შედეგი არ გქონდეთ. სანამ სპეციალისტს მიმართავთ, გირჩევთ, ფრჩხილზე წაისვათ იოდი, შემდეგ კი — კლოტრიმაზოლის მალამო, რაც დროებით შეაჩერებთ პროცესის შორს წასვლას და გართულებას. საუკეთესო შედეგებს იძლევა ის პრეპარატები, რომლებიც ნივთიერება ტერბინაფინს შეიცავს. ეს პრეპარატები სააფთიაქო ქსელში სულ არის.

**— მაინტერესებს, რამდენად საშიშია სპირალი. უკვე 10 წელია მაქვს და არ მაწუხებს, არც კონტროლზე მივსულვარ. ბოლო დროს დამეწყო წელის ტკივილები. შეიძლება ეს სპირალით იყოს გამოწვეული?**

— გამორიცხული არ არის, რომ სპირალით იყოს გამოწვეული, თუმცა დაბეჯითებით ამის მტკიცება არავის შეუძლია, სანამ გინეკოლოგთან არ მიბრძანდებით კონტროლზე.

**— ნერვიულობის ნიადაგზე ვიყავი ძალიან ცუდად, ექიმმა დამინიშნა ამიტრიპტილინი. 2 წელი ვსვამდი, ახლა აღარ მშველის, რას მირჩევთ?**

— აუცილებლად უნდა შეწყვიტოთ მისი მიღება და მიმართოთ ნევროპათოლოგს, რომ სხვა პრეპარატით განაგრძოთ მკურნალობა.

**— შეიძლება, ჩიყვი შინაური წამლებით განიკურნოს?**

— წარმოუდგენელია, რადგან ეს დაავადება არის ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონალურ-ფუნქციური მოშლილობით გამოწვეული. მისი მედიკამენტური მკურნალობაც კი მკაცრ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს. მედიკამენტები მხოლოდ ენდოკრინოლოგის მკაცრი კონტროლით და სქემით უნდა მიიღოთ, სხვა შემთხვევაში, შეიძლება უკუშედეგი მოგცეთ.

**— ვარ 39 წლის ქალი, ღვიძლზე მაქვს ჰემანგიომები. არის თუ საშიშროება, რომ ციროზად გარდაიქმნას. ჰეპატიტის ან ღვიძლის სხვა რომელიმე დაავადება არ მაქვს.**

— ღვიძლის ციროზი ასე არ წარმოიქმნება. ასე რომ, დამშვიდდით. თუ მკურნალობთ, ღვიძლის მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ.

**— მაქვს საშვილოსნოს ყელის პოლიპი. დაფეხმძიმებას ხელს უშლის?**

— პოლიპი ხშირ შემთხვევაში არდაფეხმძიმების მიზეზია.

**თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 1779 მაგთიდან ან ჯეოსელიდან. თქვენს კითხვებს შეძლებისდაგვარად გავცემთ პასუხს. ერთი სმს-ის ფასია 50 თეთრი.**

## ხალხური სიმღერა აჯანსაღებს



ვოკალოთერაპია — ეს არის მღერით მკურნალობა. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი შედარებით ახლახან გაჩნდა, სიმღერის სამკურნალო შესაძლებლობები ადამიანმა ძალიან დიდი ხნის წინ აღმოაჩინა.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში გუნდური სიმღერის დახმარებით უძილობას კურნავდნენ, ბერძენი მკურნალები სულიერი აშლილობის დროს მღერას ურჩევდნენ.

ძველ რუსეთში თუ რომელიმე თანასოფლელი ავადმყოფობდა, ადამიანები ავადმყოფს ცენტრში სვამდნენ, მის ირგვლივ მიმოდიოდნენ და განსაკუთრებულ სარიტუალო სიმღერებს ასრულებდნენ. არავითარი მისტიკა — ავადმყოფი სამკურნალო ხმების ვიბრაციის ფოკუსში იმყოფებოდა. წინათ, ქირურგიული ჩარევის დროს, ექიმები პაციენტებს ურჩევდნენ, ლოცვები ხმამაღლა ემღერათ.

რატომ მხოლოდ სიმღერა და არა მეტყველება ფლობს განსაკუთრებულ სამკურნალო ძალას? საქმე ეხება ბგერების ვიბრაციის სიხშირეს. ადამიანის ხმის დიაპაზონი 65-1300 ჰერცი ს ფარგლებშია. ჩვეულებრივი საუბარი ამ დიაპაზონის მხოლოდ 10-20%-ს მოიცავს, ხოლო სიმღერის დროს სიხშირის მთელი პოტენციალი სრულად გამოიყენება.

ვოკალოთერაპიით დამოუკიდებლად რომ ივარჯიშოთ, უბრალოდ იმღერეთ, თქვენი ხმის შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენეთ. სახმო აპარატს ძალა არ დაატანოთ, საყვარელ მსახიობს არ მიბაძოთ. თქვენი ხმა ბუნებრივად უნდა ჟღერდეს, ისე, როგორც ბუნებამ მოგცათ. თუ გსურთ, პროფესიულად იმღეროთ, ვოკალის მასწავლებელთან იმეცადინეთ, მაგრამ ეს უკვე სამკურნალო მღერა არ არის.

აქვს თუ არა მნიშვნელობა, სახელდობრ, რას იმღერებთ? ბევრი გამოკვლევით დამტკიცდა, რომ ყველაზე დიდი სამკურნალო ძალა აქვს ემოციებით გაჯერებულ ხალხურ სიმღერებს.

ვოკალოთერაპიით მნიშვნელოვნად შეიძლება ჯანმრთელობის გაუმჯობესება — ტკივილის მოხსნა, ანთებების დაძლევა. მთავარი — სიამოვნებით სიმღერა ნერვებს ამშვიდებს, შინაგან დაძაბულობას ხსნის და ბევრი დაავადების ღრმა მიზეზებს აქრობს.



Cyan Magenta Yellow Black

1. კომედიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 2. ... ელექტრა; 3. განძი, საუნჯე ძველად; 4. ხილისგან დამზადებული გამაგრილებელი სასმელი; 5. დენის წინაღობის ერთეული; 6. ... მაუსი; 7. დიდი პროზაული ნაწარმოები; 8. რუსული ავტომარკა; 9. კოლხი მედეას დედა; 10. ჯარისკაცი თურქეთში; 11. საზეიმო წვეულება; 12. შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში; 13. სპორტშეჯიბრში გამარჯვებული; 14. ფულადი ჯილდო რაიმე დამსახურებისათვის; 15. რამდენიმე მუსიკალური ბგერის ერთდროული ჟღერა; 16. ტიბეტური ხარი; 17. ყაიმი; 18. ბიბლიური წინასწარმეტყველი; 19. მთავარი არტერია; 20. სახელმწიფო აფრიკაში; 21. მესამე ნოტი; 22. ... კორო; 23. შხამიანი მცენარე; 24. კავშირი; 25. ჯომოლუნგმა; 26. რომის პაპის საგანგებო ელჩები; 27. სინაგოგა; 28. ალკოჰოლიანი სასმელი; 29. ტაბლეტი; 30. იუპიტერის თანამგზავრი; 31. ბინძური თავლის პატრონი მეფე ბერძნულ მითოლოგიაში; 32. ლითონის ერთგვარი სამკაული ტანისამოსზე; 33. გაოცების გამომხატველი შეძახილი; 34. ქიმიური ელემენტი; 35. პატარა ზომის კენგურუ; 36. ხახვის სახეობა; 37. სამხედრო წოდებულება; 38. ... გამსახურდია; 39. მუსიკოსთა სამეული; 40. ვაზების მწკრივი; 41. ფულის მისაღები თამასუქი; 42. მინერალური წყალი; 43. ერთგვარი ღია მრუდი; 44. ... ახვლედიანი; 45. ფილმების ჩვენება-განხილვა გარკვეული წესით; 46. ერთ-ერთი მშობელი; 47. იაპონური ავტომარკა; 48. ხმადაბლა მუსიკაში; 49. ოსირისის ძმა და მკვლელი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 50. საწარმოს მართვის სისტემა; 51. ძაღლის ჯიში; 52. რისამე მოკლე ჩანაწერი დასახსომებლად; 53. პატარა სარწყავი არხი; 54. ზოდიაქოს ნიშანი; 55. ერთგვარი ღვინო; 56. იაპონური ჭიდაობა; 57. ტელევიზორის ნაწილი; 58. რაიმე მოძღვრების მომხრე; 59. ნაცია; 60. პატარა საწნახელი; 61. ... პიტი; 62. ცენტრალური მცველი ფეხბურთში; 63. სიმებიანი საკრავი.




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. სარასატე; 2. სან; 3. ანგინა; 4. რამპა; 5. არტალა; 6. აბაჟური; 7. ალ; 8. არვე; 9. ლაჯანა; 10. აჟიო; 11. კიი; 12. უმლაუტი; 13. მინა; 14. ესპადრონი; 15. სინი; 16. ოსიპ; 17. კეპლერი; 18. პიცა; 19. არხოტი; 20. ერა; 21. ბადე; 22. ოდა; 23. ეკიუ; 24. ლატარია; 25. ნაკლი; 26. პასტილა; 27. ბარნოვი; 28. ტირე; 29. ვენდეტა; 30. ძაუ; 31. ინა; 32. კვირტი; 33. უნისონი; 34. პორტიე; 35. რტო; 36. ბებია; 37. ორბიტა; 38. ნოე; 39. სტილბი; 40. ბანი; 41. კენზო; 42. კრევეტი; 43. ადლი; 44. მადონა; 45. ტრიტონი; 46. ასტამი; 47. აზია; 48. პაი; 49. პოეტი; 50. პატრიარქატი; 51. ტერორი; 52. ბრინჯი; 53. ამინდი; 54. აჰა; 55. დიანა; 56. მადამ; 57. ბოლიდი; 58. ლამარა; 59. და; 60. რა; 61. ორი; 62. დონორი.**სურათებზე:**კრისტი ტარლინგტონი; ჯონ ტრავოლტა; ტომ ჰენკსი; ლა ტოია ჯეკსონი.

**კოდი: ღიადი**



Cyan Magenta Yellow Black

# მწვანე სკანვორდი





1. უარყოფის ნაწილაკი
2. ბოლო ნოტი
3. მღვდელი საფრანგეთში
4. კაენის მსხვერპლი
5. ღამის ფრინველი
6. მხარეთა მაჩვენებელი
7. მერიმეს ნოველა
8. ფულის კურსის აწევა
9. რის გამო
10. ძველბერძენი მებრძოლები
11. ქალაქი ესპანეთში
12. ქოჩრიანი თუთიყუში
13. ფრანგული ყველი
14. გ. ლეონიძის ლექსი
15. შვლის ნაშიერი
16. მავნებელი მწერი
17. დენის ძალის საზომი ერთეული
18. ფრანგი მომღერალი ქალი
19. ყვავილი
20. ხმელი შესანახი ხორცი
21. გამოქვაბული კლდეში
22. სამიანი ნარდში
23. ... პაჩინო





## წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ალკოჰოლიკი; 2. ლი; 3. ჰო; 4. საარი; 5. აია; 6. რუპია; 7. კოალა; 8. ჩორთი; 9. კუ; 10. ბოა; 11. ბრერა; 12. მი; 13. რეა; 14. ტაო; 15. ია; 16. მარინა; 17. უმადური; 18. ამია; 19. „მუმუ“; 20. საბო; 21. სია; 22. მანტია; 23. აცანა; 24. პან; 25. დუ; 26. ია; 27. პა.**სურათებზე:** ძროხა; თხა; ცხვარი; ღორი.

# რომელ ქვაბში მოვამზადოთ კერძი?

**რომელ ქვაბში ამზადებთ სადილს, ამაზე დამოკიდებულია არამხოლოდ კერძის გემო, ასევე თქვენი ახლობლების ჯანმრთელობაც. რომელი მასალის ქვაბი სჯობს, ამაზე ქვემოთ შეიტყობთ.**

### ალუმინის

ალუმინის ქვაბში სადილის მომზადება მოსახერხებელია: საჭმელი არ მიიწვება და ადვილად ირეცხება. და მაინც, ქიმიკოსი მეცნიერები გვირჩევენ, მჟავე წვნიანები და სოუსები ალუმინის ქვაბში არ მოვამზადოთ, ხოლო რძის ადუღება და ფაფების მოხარშვა შეიძლება. არ დაიზაროთ და პროცესის დასრულების შემდეგ კერძი ემალის ან მინის ჭურჭელში გადაიტანეთ. ეს ჯანმრთელობისთვის მავნე ალუმინის ნაერთების (საკვებ პროდუქტებთან ალუმინის ურთიერთზემოქმედებით წარმოიქმნება) საჭმელში მოხვედრას შეამცირებს.

### ემალის

ემალის ქვაბებსა და ჯამებს თუჯის, ფოლადის ან ალუმინისგან ამზადებენ და ემალით ფარავენ. ის არ იჟანგება და ჯანმრთელობას არავითარ ზიანს აყენებს. თუმცა კერძი მასში უფრო ნელა მზადდება, ხოლო რძე ხშირად მიიწვება. არის ერთი ნიუანსი. ემალის უმცირესი ახლეჩა-მომტვრევისას ლითონის ტოქსიკური ნაერთები გარეთ იდევნება. ასეთი ქვაბი დაუნანებლად გადააგდეთ.



### ტეფლონის

ასეთი ჭურჭელი მოსახერხებელი და ჯანმრთელობისთვის უვნებელია. მისი მთავარი ღირსება — კერძი პრაქტიკულად არ მიიწვება. მაგრამ, თუ აღმოაჩინეთ, რომ ქვაბის ან ტაფის შიგნით ტეფლონის საფარი დაზიანებულია, გადააგდეთ. ჯანმრთელობა უფრო ძვირფასია! ჭურჭელი თავის ვადაში (საშუალოდ 4 წელია) კარგად რომ გემსახუროთ, ექსპლუატაციის წესები დაიცავით: რბილი ნეჭით გარეცხეთ და კერძის მომზადების დროს მხოლოდ ხის კოვზით მოურიეთ.

### ფოლადის

ლითონის ქვაბებს შორის ყველაზე ეკოლოგიურად ითვლება. ძირზე იპოვეთ ნიშანი 18/10 — ის ფოლადის მაღალ ხარისხზე მიუთითებს. რაც უფრო სქელია ძირი, მით უკეთესია. სიმხურვალე ჭურჭელში თანაბრად ვრცელდება. ფოლადის ჭურჭლის მთავარი ღირსება მისი ხანგამძლეობაა. არ იჟანგება, არ ტყდება, პრაქტიკულად დეფორმაციას არ განიცდის. ამავდროულად, ალუმინისგან განსხვავებით, ფოლადის ჭურჭელში შეგიძლიათ საჭმელი დატოვოთ და მავნე ნაერთების შიში არ გქონდეთ.



### მინის

ცეცხლგამძლე მინის ქვაბები ყველაზე ეკოლოგიურია. ეს მასალა პროდუქტებთან ქიმიურ რეაქციებში არ შედის, ადვილად ირეცხება, ხოლო დაბალი სითბოგამტარობის წყალობით, საჭმელი დიდხანს თბილად ინახება. მინაზე ბზარები რომ არ გაჩნდეს, ქვაბი ყოველთვის ალის გამანაწილებელზე დადგით და ცხელი ჭურჭელი სველ მაგიდაზე არ დადოთ. მინის ჭურჭელში კერძის მომზადება უმჯობესია მიკროტალღოვან ღუმელში, სადაც მთელი ჭურჭლის თანაბრად გაცხელება ხდება.

# ლამაზი ნიკაპი



ბევრი ქალი ფიქრობს, რომ ღაბაბი მსუქანი ადამიანების პრობლემაა, მაგრამ ასე არ არის. საბედნიეროდ, პირველ ეტაპზე მისი გადაჭრა უბრალო მეთოდით შეიძლება.

კბილებით ფანქარი დაიჭირეთ, ნიკაპი წინ წამოსწიეთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია და ჰაერში მოხაზეთ გეომეტრიული ფიგურები (წრეები, კვადრატები, სამკუთხედები და ა.შ.), ციფრები (20-მდე და პირიქით ან ანბანის ყველა ასო). რომ არ მოიწყინოთ, შეგიძლიათ მთლიანი წინადადებები დაწეროთ.

ეს სავარჯიშოები შეგიძლიათ ტელევიზორის ცქერისას გააკეთოთ. ტელეწამყვანის საუბრიდან რომელიმე წინადადება დაიმახსოვრეთ და ჰაერში დაწერეთ. შემდეგ — მომდევნო ფრაზა და დღეში 5-10 წუთი ასე ივარჯიშეთ. რამდენიმე დღეში ნიკაპზე კანი მოიჭიმება, სახის ოვალს ახალგაზრდული და უკეთესი შესახედაობა ექნება.



# ჩინელების დღეგრძელობის საიდუმლო

ჩინეთში ჯანმრთელობისა და კარგი თვითშეგრძნების საწინდრად, ასევე ნებისმიერი დაავადების პროფილაქტიკად ითვლება სწორი კვებისა და სასიცოცხლო ენერგიების შესაბამისობა. ინ — ეს არის გარეთ მიმართული სხეულის ენერგია, ხოლო იან — შიგნით მიმართული სულის ენერგია. ჩინელთა კვების სისტემაში მთავარია ყოველდღიურ რაციონში ამ ენერგიების გულმოდგინედ ბალანსირება.

საჭირო არ არის ყოველ შთანთქმულ პროდუქტში ენერგიების სახეობებისა და რაოდენობის განსაზღვრა. საკმარისია, იხელმძღვანელოთ უნივერსალური ფორმულით „50-30-10-10“. ეს ნიშნავს, რომ რაციონის 50%-ს უნდა შეადგენდეს ნებისმიერი მარცვლოვანი პროდუქტი, 30%-ს — ყველანაირი ხილი და ბოსტნეული. რაციონის 10% ზღვის პროდუქტებსა და პარკოსნების წილზე მოდის, ხოლო ხორცის ხშირად მოხმარებას ჩინელები არ გვირჩევენ. უკანასკნელ 10%-ს სასმელები და სანელებლები შეადგენს. ყველაზე სასარგებლოდ ითვლება უბრალო წყალი, ასევე შავი და მწვანე ჩაი. უმჯობესია მათი შაქრისა და თაფლის გარეშე გამოყენება.

ჩინელები ყველა კერძს აზავებენ ზღვის მარილით, ქუნჟუტით, მდოგვით, მწვანილით, არარაფინირებული ზეთით და ნიგვზით. მათ ყველაზე სასარგებლო სანელებლებად თვლიან. ასეთი სისტემით კვების შემდეგ წონაში შესამჩნევად იკლებთ, უმჯობესდება განწყობა და შრომისუნარიანობა, მთელ სხეულში სიმსუბუქეს გრძნობთ და ცხოვრების სიხარულს განიცდით.

# ფრთხილად, აზრები ხორცს ისხამს!

სიტყვებში გამოთქმული აზრები ხორციელდება. ჩვენმა წინაპრებმა ამის შესახებ იცოდნენ და სიტყვის ძალას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. თუ გამუდმებით წუწუნებთ ცხოვრებაზე, მაშინაც კი, თუ ყველაფერი არცთუ ცუდად არის, შესაძლებელია ნამდვილი უსიამოვნებები მიიზიდოთ. ეს ეხება დაავადებებზე საუბარსაც. რატომ უნდა დავაპროგრამოთ თავი ჯანმრთელობასთან პრობლემებზე? დაიმახსოვრეთ რამდენიმე „არასდროს“:

- არასდროს ისაუბროთ საკუთარ დაავადებებზე, ფარულსა თუ აშკარაზე იქ, სადაც ამის ადგილი არ არის (განსაკუთრებით ჭამის ან ოჯახური წვეულებების დროს). სატკივარზე მხოლოდ ექიმთან ან მხოლოდ ახლობელ ადამიანთან იმსჯელეთ, როდესაც მათგან კონკრეტული დახმარება გესაჭიროებათ.
- არასდროს დაიჩივლოთ ჯანმრთელობაზე თანაგრძნობის გამოსაწვევად.
- არასდროს გამოუგონოთ დაავადებები თავს („მკერდში რაღაც მჩხვლეტს, ალბათ სტენოკარდიაა“). სხვაგვარად დაავადებას მაგნიტივით მიიზიდავთ. განიხილეთ ექიმთან, თუ ეჭვი გაქვთ.
- არასდროს უსურვოთ ცუდი ჯანმრთელობა სხვებს. თქვენი სიტყვები ადრე თუ გვიან უკანვე დაგიბრუნდებათ.
- არასდროს გააკრიტიკოთ ადამიანები თავიანთი დაავადებების გამო. დახმარება გსურთ? კარგი რჩევა მიეცით და თქვენი უპირატესობა არ აჩვენოთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

## ქართული ანეკდოტები



**სვანი დაიჭირეს და ეკითხებიან:**
**— რატომ სცემეთ მოქალაქე?**
**— სიგარეტი მთხოვა.**
**— მერე?**
**— არ მაქ-მეთქი და უკულმა შემაგინა, ოხ, ჩემი დედაო!**

ქუთაისელი მანქანით მოძრაობს თბილისში. გააჩერა და პოლიციელს ეკითხება:
— ჩემი ძამია, ნახალოვკაში რაფრა მივიდე?
— აი, ასე, პირდაპირ იარე.
— და იგი მოკლეკაბიანი გოგო გევიტანო?!

❖ ❖ ❖

ორი ზესტაფონელი უკაცრიელ კუნძულზე მოხვდა. გავიდა რამდენიმე დღე და ერთი მეორეს ეუბნება:
— მე რაფერც ვატყობ, აქანა ჩვენ საჭმელს არავინ მოგვიტანს და იქნება ერთმანეთი შეგვეჭამა?!

❖ ❖ ❖

— გუშინ ათლარიანი დევინახე ბორდიურზე დაგდებული, წევიკუზე ასაღებად და ვიღაცამ პანღური არ მლეწა, სიმონ?! — შესჩივის ქუთაისელი ძმაკაცს.
— არა, ბუჯო, აბა, ასთე უშრომელად მოგცემდნენ ქუთეისში ათ ლარს!

❖ ❖ ❖

— თქვენ ალბათ იმიტომ სვამთ, რომ დარდი დაივიწყოთ, არა? — ეკითხება ოფიციანტი კლიენტს.
— დიახ, რა თქმა უნდა.
— ა, მაშინ თქვენ ანგარიში, 200 ლარი და ეს უფრო დაგავიწყებთ დარდს!

❖ ❖ ❖

— წამომყვები, ქეთინია, ცოლად?
— რას ამბობ! შენს წამოყოლას, ჯობია, რიონს გავყვე. უფასოდ მაინც ჩამიყვანს ფოთში!



**მთვრალი მხერხავი ბოძს შეეჯახა, უკან დაიხია და თითი ჰაერში შეათამაშა:**
**— მოვიყვან ხვალ მე შენთან ტექნიკას!**

❖ ❖ ❖

უფროსმა თავისი ნივთები ჩაალაგა და თანამშრომლებს ემშვიდობება:
— აბა, კარგად იყავით. ხვალიდან თქვენ ახალი უფროსი გეყოლებათ.
— ისიც თქვენსავით იდიოტი იქნება? — იკითხა ერთმა.

❖ ❖ ❖

გურულმა მაღაზია გახსნა. შევიდა კლიენტი, სიგარეტი იყიდა და იქვე გააბოლა.
— აქანე მოწევა არ შეიძლება, — გააფრთხილა გურულმა.
— მეიცა ერთი, თუ ძმა ხარ. ყიდი და მოწევა რეიზა არ შეიძლება?
— მე უბორნიის ქაღალდსაც ვყიდი და აქანე უნდა ჩამიცუცქდეს ყველა?!



**ორი ქალი ჩხუბობს:**
**— თავი რომ ძალიან პატიოსნად მოგაქვს, იცი, დედაშენი ვინ იყო?**
**— ვინ იყავი, დედიკო?**

❖ ❖ ❖

— რას დაბოდიალობ ამ შუაღამეს ქუჩაში?
— გაბრაზებული ვარ, ცოლი გავაგდე სახლიდან.
— წადი ახლა, აბა, სახლში და მეისვენე, დამშვიდდი...
— მიშობს მერე შით?!

❖ ❖ ❖

— მამი, ფეხმძიმედ ვარ!
— ქალოო, ბალღმა ლაპარაკი ისწავლა!

❖ ❖ ❖

— მამი, ნახე, რა ლამაზი დათვია.
— ლამაზი არა, ის!.. ვერ ხედავ, დედდაშენივით ქვეშ-ქვეშ რო იმზირება?!

❖ ❖ ❖

— ვინ უფრო ბედნიერია, კაცი, რომელსაც 6 შვილი ჰყავს თუ კაცი, რომელსაც 6 მილიონი აქვს?
— რა თქმა უნდა, 6 შვილის მამა.
— რატომ?
— 6 მილიონის პატრონს მეშვიდე და მერვე უნდა...

❖ ❖ ❖

— ოო, — ეუბნება პლასტიკური ქირურგი კლიენტს, — მაგარი სამუშაოა, ლოყები სულ ამოღრუტნული გაქვთ.
— არა, ეგ ცხვირია, ექიმო!

❖ ❖ ❖

— ცემი ცოლი მეგლელ კაცთან სევისწალი ლოგინსი, — ეუბნება ოსი მეგობარს.
— მელე აპატიე?
— აბა ლა ვქენი.
— ლატომ? უალი ველ უთხლა?
— ლოგოლ ეტყოდა? იცის მეგლული?

❖ ❖ ❖

— შენ მაგ სიტყვას ვის უბედავ, იცი, მამაჩემი ვინაა?!
— დედაშენს ჰკითხე მაგი და რომ გაიგებ, მერე ბოდიშს მომიხდი.

❖ ❖ ❖

— რაია, ბუჯო, მთელი ღამე რომ ბღაოდი, არ დამაძინე კაცი! — საყვედურობს მეზობელი ქუთაისელს.
— შვილს ველაპარაკებოდი თბილისში.
— დეგერეკა, შე კაცო, მერე ტელეფონით!



**სამხატვრო აკადემიაში მისაღებ გამოცდაზე:**
**— თბილისი, თოვლი, ალმართი... აბა, ყმაწვილო, რა ასოციაცია გაგიჩნდათ?**
**— ბათინკები!**

❖ ❖ ❖

— რა ხმაურია, რა ტირილის ხმა ისმის? — ამბობს ექიმი სამშობიაროში.
— გუშინ რომ ექვსი ტყუპი გოგო დეიბადა, ექიმო...
— მერე ასე ბოხი ხმით რავა ტირიან, კაცო?
— არა, ბაღნები ჩუმათ არიენ, ექიმო, მამამაგათი ღრიალებს.

❖ ❖ ❖

— მორჩა, მე შენ საქეიფოდ ფულს აღარ მოგცემ, — ეჩხუბება ცოლი ქმარს, — მოდიხარ გალეწილი მთვრალი შუაღამეს და მეზობლებს აღვიძებ!
— რა პრობლემაა, ჩემო მარგალიტო, — დატკბა ქმარი, — ცოტა მომიმატე დაფინანსება და დილამდე არ შეგაწუხებთ.



**— ექიმო, როდის გამწერით აქედან?**
**— აი, ამ მონიტორზე კლაკნილ ხაზს უყურეთ და რომ გასწორდება, ავტომატურად გაიწერებით.**

---

✓ შეკრიბა მერმან მერკვილიშვილმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატები




ჩემი „კრაისლერით“ ნელ-ნელა მივიწევდი მაღლა, ლა-ვერნ-ტერასათი, სტაინერის სახლისკენ.

ახლა, დღის შუქზე, ყურადღებით ვათვალიერებდი ციცაბო დაღმართს და ხის იმ კიბეს, რომლითაც მკვლელი გაიქცა. ქვევითა ქუჩა შესახვევზე განიერი არ იყო. მასზე ფანჯრებით ორი სახლი გამოდიოდა, მაგრამ სტაინერის სახლთან არც ისე ახლოს იდგნენ და წვიმის ხმაურის დროს სროლის ხმებს მეზობლები ძნელად თუ გაიგებდნენ.

მოსაღამოებული მზის შუქზე სტაინერის სახლი მშვიდობიან შთაბეჭდილებას ტოვებდა. მისი შეუღებავი სოლყავრის სახურავი წვიმისაგან ჯერ ისევ სველი იყო. ქუჩის იქითა მხარეს ამწვანებული ხეები ჩანდა, გზა კი ცარიელი იყო, მანქანების გარეშე.

შესასვლელ კარს ქუჩიდან ბზის ბუჩქები ფარავდა, მაგრამ შევნიშნე, რომ იქ ვიღაცამ გაიარა.

ცოცხალი ღობის ველობში თეთრ-მწვანე შოტლანდიის პალტოიანი, უშლაპო კარმენ დრავეკი გამოჩნდა, მოულოდნელობისაგან გაინაბა და შეშინებულმა შემომხედა — ეტყობა, მანქანის ხმა ვერ გაიგონა. შემდეგ სწრაფად შეტრიალდა და ბუჩქნარში მიიმალა. მე გზა განვაგრძე და ჩაუსახლებელი სახლის წინ გავჩერდი.

მანქანიდან გადმოვედი და სტაინერის კოტეჯისკენ გავემართე. ახლა უკვე ვხვდებოდი, რა სახიფათო საქმეც მელოდა.

ცოცხალ ღობეს გავცდი თუ არა, ღია კარის წინ კარმენი დავინახე. ის იდგა და უხმოდ შემომცქეროდა. შემდეგ მარჯვენა ხელი ნელა მიიდო ტუჩზე და საოცრად უხეში ცერა თითი, როგორც მომეჩვენა, მოიკვნიტა. თვალების უპეებზე მუქ-ლურჯი წრეები ემჩნეოდა.

სიტყვაც არ მითქვამს, ისე ვუბიძგე ოთახისკენ, თავადაც შევედი და კარი მივიხურე. ჩვენ ვიდექით და ერთმანეთს შევცქეროდით. ქალიშვილმა ნელა დაუშვა ხელი და ოდნავ შესამჩნევად ჩაიცინა.

— ნუ ღელავ, შენი მტერი არ ვარ, — მივმართე თითქმის ალერსიანად, — როგორც მამაშენის მეგობარი, შენს მეგობრადაც მიგულე. აი, იმ სავარძელში ჩაჯექი და აღარ ინერვიულო.

კარმენი მაგიდასთან მივიდა და სტაინერის შავი სავარძლის ყვითელ ბალიშზე დაჯდა.

დღის შუქზე ოთახი მოუვლელი, უსიცოცხლო ჩანდა. ეთერის სუნი ისევ იდგა.

კარმენმა მოთეთრო ენის წვერით ტუჩები გაილოკა. მისი შავი თვალები ახლა უფრო ცივად გამოიყურებოდა, ვიდრე შეშინებულად. მე წიგნები გავწიე, მაგიდის კიდეზე ჩამოვჯექი, სიგარეტი ამოვიღე, აუჩქარებლად გავაბოლე და მშვიდად შევეკითხე:

— კარმენ, მითხარი, აქ რას აკეთებ?

ქალიშვილმა პასუხად პალტოს ფრჩხილით ფხაჭნა დაიწყო. მაშინ ისევ შევეკითხე:

— გუშინდელი საღამოს შესახებ რა გახსოვს?

ამჯერად მიპასუხა ფრთხილი, ხრინწიანი ხმით:

— რა მახსოვს? გუშინ საღამოს... ავად გავხდი და შინ ვიყავი...

— მანამდე? ვიდრე შინ მიგიყვანდი?

კარმენი ნელ-ნელა გაწითლდა, თვალები გაკვირვებისაგან გაუფართოვდა.

— თქვენ... თქვენ... ისა ხართ? — აღმოხდა მას და ისევ შეუდგა უხეში ცერის კვნეტას.

— ჰო, ის ვარ. აბა, რას გაიხსენებ?

— თქვენ პოლიციიდან ხართ? — შემეკითხა კარმენი.

— არა, უკვე გითხარი, მამაშენის მეგობარი ვარ.

— მაშ, პოლიციელი არ ხართ?

— არა-მეთქი.

ბოლოს და ბოლოს მიხვდა. ღრმად ამოისუნთქა:

— ჩემგან რა გინდათ?

— სტაინერი ვინ მოკლა?

მხრები შეუტოკდა, მაგრამ სახის გამომეტყველება არ შეცვლია.

— კიდევ ვინ იცის? — შეშინებულმა შემეკითხა.

— წარმოდგენა არა მაქვს. არც პოლიცია, არც სხვა ვინმე აქ, მგონი, არ ყოფილა. იქნებ მარტი, ჰა?

ჩემს შეკითხვას მეხის გავარდნის ეფექტი მოჰყვა.

— მარტი! — შეჰკივლა კარმენმა.

რაღაც წამების მანძილზე ორივე გავჩუმდით. მე ვეწეოდი, ის ცერს იკვნეტდა.

— ნუ ეშმაკობ, — შევხედე კარმენს, — ის მართლა მარტიმ მოკლა?

— ჰო, — მომიგო არც მთლად დამაჯერებლად.

— რატომ?

— მე... მე არ ვიცი, — დაბნეულად ამოღერღა ქალიშვილმა.

— ბოლო დროს მარტის ხშირად შეხვედრიხარ?

მან ხელები მუშტებად შეკრა.

— მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ.

— იცი, სად ცხოვრობს?

— კი! — უხეშად მომახალა კარმენმა.

— რატომ ასეთი ტონით? მეგონა, მარტი მოგწონდა.

— ვერ ვიტან! — შესძახა მან.

— ამიტომ გინდა, ამ შარში გახვიო? — შევაპარე ვარაუდი.

რაკი ჩემი სიტყვები ყურებშუა გაატარა, მათი ახსნა დამჭირდა:

— ანუ გინდა, პოლიციას შეატყობინო, ეს რომ მარტიმ ჩაიდინა?

მის თვალებში უეცრად შიში ამოვიკითხე.

— მას შემდეგ, რაც შენს შიშველ ფოტოსურათს გავანადგურებ, — მშვიდად დავამატე.

ქალიშვილმა ჩაიხითხითა.

მისდამი ზიზღი ვიგრძენი. რომ დაეყვირა, გაფითრებულიყო ან ისტერიკა მოსვლოდა, ამას ბუნებრივ რეაქციად ჩავთვლიდი, ის კი მხოლოდ ხითხითებდა.

მე მისი გარეგნობაც მაღიზიანებდა და მისი გაუთავებელი ხითხითიც, თანდათან ისტერიკულში რომ გადადიოდა. ბოლოს მაგიდიდან ჩამოვხტი, მასთან მივედი და ხელები ლოყებზე შემოვუტყაპუნე.

— ისევე, როგორც გუშინ საღამოს, — დავამატე თან.

კარმენმა მაშინვე შეწყვიტა ხითხითი და ისევ ცერის კვნეტას შეუდგა, მე კი ისევ მაგიდაზე ჩამოვჯექი.

— შენ აქ იმ ფოტოგრაფიის ასაღებად მოხვედი, რომელზეც ტიტველი ხარ გადაღებული. დაგაგვიანდა, ღამით მეც ვეძებდი, მაგრამ გაქრა. როგორც ჩანს, მარტიმ წაიღო. მაგ ყმაწვილის შესახებ ხომ არ მატყუებ?

ქალიშვილმა ენერგიულად გააქნია თავი, რაც უარს ნიშნავდა, მერე კი ნელა წამოდგა სავარძლიდან და ისე თქვა, თითქოს ჩაის სუფრას ვუსხედით:

— ახლა კი წავალ.

კარმენი კარისკენ გაემართა და უკვე მის გამოღებას აპირებდა, რომ ამ დროს ბორცვზე მანქანა ამოვარდა და სახლის წინ გაჩერდა. მერე იქიდან ვიღაცა გადმოვიდა.

ქალიშვილი შემოტრიალდა და შიშით სავსე თვალებით შემომხედა.

კარი გაიღო და ოთახში უცხო მამაკაცი შემოვიდა.

უცნობს მოგრძო სახე ჰქონდა, ყავისფერ კოსტიუმსა და შავი ფეტრის შლაპაში იყო. მარცხენა სახელო აკეცილი ჰქონდა და პიჯაკის ბორტზე დიდი, შავი ინგლისური ქინძისთავით იყო მიმაგრებული.

მან შლაპა მოიხადა, მხრით კარი მიხურა და რბილი ღიმილი მიაპყრო კარმენს. გამობურცულ შუბლს ხშირი, მოკლედ შეკრეჭილი თმა უმშვენებდა. ტანსაცმელი ტანზე კარგად ედგა და საერთოდ, დამნაშავეს არ ჰგავდა.

— გაი სლეიდი, — წარმოგვიდგა შემოსული, — მაპატიეთ მოულოდნელი შემოჭრისთვის. ზარი არ მუშაობს. სტაინერი სახლშია?

დარეკვა არც უცდია, თორემ გავიგონებდი.

კარმენმა გულგრილად შეხედა სლეიდს, მერე მე, მერე ისევ სლეიდს და ტუჩები გაილოკა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— მისტერ სლეიდ, — მივუგე მე, — სტაინერი აქ არ არის და არც ის ვიცით, სად შეიძლება იყოს.

მან თავი დააქნია და შლაპით თავის გრძელ ნიკაპს შეეხო:

— თქვენ მისი მეგობრები ხართ?

— ჩვენ აქ გავლით შემოვედით, უფრო სწორად, გარკვეული განზრახვით, — მის ღიმილს ჩემი შევაგებე.

— რა განზრახვით?

— წიგნი გვინდოდა რაღაცა, ოღონდ სახელი დამავიწყდა. კარი ღია იყო, დავაკაკუნეთ და შემოვედით. ზუსტად ისე, როგორც თქვენ.

— გასაგებია, — თქვა სლეიდმა, — ყველაფერი ძალიან მარტივადაა.

ვერ მივხვდი, მარტივში რას გულისხმობდა, მაგრამ აღარ მიკითხავს. ჩუმად იყო კარმენიც და დაუკითხავად შემოსულის ცარიელ სახელოს თვალს არ აცილებდა.

— მაშ, წიგნისთვის შემოხვედით, არა? — ჩამეძია სლეიდი.

მისი ტონით ბევრ რამეს მივხვდი. ეტყობა, კარგად იცოდა სტაინერის საეჭვო საქმიანობების შესახებ.

მე კარისკენ გავიხედე და ვთქვი:

— თქვენ კი არც დაგიკაკუნებიათ.

მან მორცხვად გაიღიმა:

— მართალი ხართ. მაპატიეთ.

— ჩვენი წასვლის დროა, — ვისროლე დარდიმანდულად და კარმენს გავხედე.

— წერილი დატოვეთ... სტაინერი იქნებ მალე დაბრუნდეს, — ხმადაბლა





Cyan Magenta Yellow Black

ჩაილაპარაკა სლეიდმა.

— თქვენი შეწუხება არ გვინდა, — ჩემი პასუხი აშკარად ყურით მოთრეული იყო.

— სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო, — მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა მან.

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და კარი გამოვაღე. სლეიდს ღრმად ჩამჯდარი თვალები მხიარულად უბრწყინავდა.

— ქალიშვილი წავიდეს, — თქვა მან, — თქვენთან კი ცოტა სალაპარაკო მაქვს.

გაოცებით შევხედე, თან ვცდილობდი, მშვიდი ვჩვენებოდი:

— რა გაინტერესებთ?

უეცრად კარმენმა რაღაცა მიყვრა, ადგილს მოსწყდა და სახლიდან გავარდა. მერე მისი სწრაფი ნაბიჯების ხმაც მომესმა და მივხვდი, თავისი მანქანისკენ რომ მიიჩქაროდა.

— თქვენ აქ რა ჯან... — დავიწყე აღშფოთებულმა, მაგრამ სლეიდმა სიტყვა არ დამამთავრებინა:

— მორჩით, — თქვა ცივად, — აქ რაღაც ისე არ არის. ახლავე გავარკვევ, რა ხდება.

ის ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, თან წარბებს ჭმუხნიდა. მე კი ყურადღებას აღარ მაქცევდა. ამან ჩაფიქრება მაიძულა. მზერა ფანჯარას ვტყორცნე, მაგრამ მწვანე ღობის თავზე მისი მანქანის სახურავის გარდა არაფერი დამინახავს.



ცოტა ხნის შემდეგ სლეიდმა მაგიდაზე გრაფინი და ორი პატარა სირჩა შენიშნა, მივიდა, ერთ-ერთი დაყნოსა და ზიზღით ისროლა:

— ბინძური მაჭანკალი!

შემდეგ წიგნებს ჩამოუარა, ერთ-ორს შეეხო, მერე იმ გობელენთან მივიდა, რომელიც იმ ადგილს ფარავდა, სადაც ღამით სტაინერის გვამი იდო. „ძაღლის ყნოსვა აქვს თუ უკვე იცის ყველაფერი?“, — გავიფიქრე ჩემთვის, ჯიბიდან რევოლვერი ამოვიღე, ხელები უკან წავიღე და კედელს ავეკარი.

სლეიდმა გობელენი გვერდზე გასწია ფეხით, ჩაიჩოქა და იმ ადგილს დააკვირდა. მერე ყვირილით წამოიჭრა ზეზე, მის ხელში კი „ლიუგერის“ სისტემის შავმა, გრძელმა პისტოლეტმა გაიელვა. მე არ გავნძრეულვარ. მას პისტოლეტი გრძელ, ფერწასულ თითებში მოექცია, მაგრამ დამიზნება არ უცდია.

— გობელენის ქვეშ სისხლია, ბევრი სისხლი, — მშვიდი, მტკიცე ხმით თქვა მან, თვალების მხიარული გამოხედვა კი მკაცრი გაუხდა.

— მეც შევნიშნე, — ვთქვი ღიმილით, — ეს ძველი სისხლია, უკვე გამშრალი.

სლეიდი სტაინერის საწერ მაგიდას მიუჯდა, ტელეფონი თავისკენ მიიწია, პისტოლეტი იქვე დადო, მკაცრად შემოტრიალდა და თქვა:

— პოლიცია უნდა გამოვიძახო.

— ეს მაწყობს, — ვთქვი კმაყოფილმა.

ამ კაცს ჩემი ნათქვამი აშკარად არ მოეწონა. წამით ისიც კი გავიფიქრე, თავისი „ლიუგერი“ არ აამოქმედოს-მეთქი.

— ჯანდაბას, ვინ ხართ?! — გამოსცრა კბილებშუა.

— კერძო დეტექტივი. ქალიშვილი კი ჩემი კლიენტია. სტაინერმა ის შანტაჟის გამოყენებით რაღაც აფერაში გახვია. ჩვენ მასთან დასალაპარაკებლად მოვედით, ის კი აქ აღარ იყო.

— აკი წიგნი გვინდოდაო?

— ეს სიტყვის მასალა იყო, რასაც ბევრი მიმართავს, — წამით შევისვენე, — მისტერ სლეიდ, ხომ არ ფიქრობთ, რომ სტაინერი ჩვენ მოვკალით?

მან ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა, თქმით კი არაფერი უთქვამს.

— თუ ფიქრობთ, რომ სტაინერმა მოკლა ვიღაცა, თავად კი გაიქცა?

— სტაინერს არავინ მოუკლავს, — თქვა სლეიდმა, — ამისათვის გამბედაობა არ ეყოფოდა.

— აქ, როგორც ხედავთ, ჩვენ გარდა არავინაა. იქნებ სტაინერი სადილად წიწილის ხორცს მიირთმევდა, იქნებ სასტუმრო ოთახში ამ საბრალო ფრინველს ყელი თავად გამოსჭრა და...

— ეს უკვე შავი იუმორია, — მომიჭრა მან, — ვერ ვხვდები, რისი თქმა გსურთ.

ისევ გავიღიმე:

— მაშინ ნუ მომისმენთ და თქვენს ქალაქელ მეგობრებს დაურეკეთ, ოღონდ იცოდეთ, მათი რეაქცია არ მოგეწონებათ.

ის ტუჩებმოკუმული იჯდა და ფიქრობდა, სახეზე კი ერთი ნაკვთიც არ შეტოკებია.

— რატომაც არ დავურეკავ?! — თქვა ბოლოს.

— მისტერ სლეიდ, მე თქვენ გიცნობთ. პეპისაიდზე რომ აზარტული თამაშებით ცნობილი კლუბი „ალადინია“, იმის მფლობელი ხართ. სტაინერთან საკმაოდ ახლოს ხართ, მის სახლში დღისით დაუკაკუნებლად რომ შემოხვიდეთ. თავის საეჭვო საქმიანობაში მას დროდადრო თანადგომა სჭირდება, რაშიც თქვენი დახმარების იმედი აქვს.

სლეიდს სახე დაემანჭა, ხელი „ლიუგერს“ დაადო და ჩუმი ხმით თქვა:

— დღეს მაღაზიაში არ მისულა და არც სატელეფონო ზარებს უპასუხა. მოვედი, რომ გამეგო, რა მოხდა.

— კიდევ კარგი, სტაინერისთვის თქვენ არ გისვრიათ.

ამის თქმა და მისი იარაღის ჩემზე დამიზნება ერთი იყო.

— პისტოლეტი დაუშვით, სლეიდ, — ვთქვი მშვიდად, — მაგით ვერ შემაშინებთ, რადგან სიკვდილის მოლოდინს მიჩვეული ვარ. თქვენ ჯერ ყველაფერი არ იცით, ამიტომ, ვიდრე მესვრით, გირჩევთ, მომისმინოთ.

— კარგი, ასე იყოს, — დამყაბულდა ის და პისტოლეტი მაგიდაზე დადო.

— დღეს სტაინერის მაღაზიიდან წიგნებს ეზიდებოდნენ, რაც მის ბიზნესს უკავშირდება. სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ სტაინერი აქ მოკლეს, გვამი კი სადღაც გადამალეს, მისი ბიზნესისა და მოგების ხელში ჩასაგდებად. ცხადია, მკვლელს, ვინც უნდა ყოფილიყო ის, სისხლი უნდა გადაერეცხა ანუ კვალი გაექრო, მან კი ეს არ ქნა. საკითხავია, რატომ? იქნებ ვინმემ შემოუსწრო და ველარ მოასწრო? — მცირე პაუზის შემდეგ განვაგრძე, — გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ ეს ყველაფერი ასე მოხდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იმან, ვინც წიგნები გადაზიდა, სტაინერის მკვლელობის შესახებ ყველაფერი იცის და მაღაზიაში მომუშავე ქერა ქალიც უმიზეზოდ არ იქნებოდა ასე შეშინებული.

— მერე? — მშვიდად იკითხა სლეიდმა.

— რაღაც ინფორმაცია კიდევ გადასამოწმებელია, მაგრამ თქვენი ჩარევა ჯერ ალბათ არ ღირს.

— ახლავე ჯობია, — თქვა მან, ორი თითი ტუჩებშუა მოიქცია და ორჯერ ხმამაღლა დაუსტვინა.

ქუჩაში მანქანის კარი გაიღო. მალე ნაბიჯების ხმაც მომესმა.

სლეიდი პისტოლეტს დასწვდა თუ არა, მთელი ხმით დავუყვირე:

— ხელი გაუშვი!

რატომღაც დამემორჩილა, მე კი, რევოლვერით ხელში, გვერდი ავუარე და წინკარში შევიმალე. ოთახში ვიღაცეები შეჯლიგინდნენ. მეც სწრაფად შევვარდი და მაგიდასთან გაუნძრევლად მდგარ სლეიდს ამოვეფარე.

მომხდურნი ორნი იყვნენ — ერთს მოკლე, ჟღალი თმა, ფერმკრთალი სახე და დაფეთებული თვალები ჰქონდა და აშკარად შეშინებულს ჰგავდა. მეორე პირწავარდნილი მოკრივე იყო და, შეჭყლეტილი ცხვირი და ბიფშტექსივით სქელი მარცხენა ყური რომ არა, ლამაზიც კი ეთქმოდა.

უცნობები, როგორც ჩანს, უიარაღოდ იყვნენ. მოკრივემ ფართოდ, გულგრილად გაიღიმა და ქათქათა, მიჯრილი კბილები გამოაჩინა, მეორე კი, ჟღალთმიანი, როგორც ვთქვი, შეშინებული იყო და სლეიდს მისჩერებოდა.

ჩამოწოლილ სიჩუმეში ამ უკანასკნელის ხმადაბალი, მაგრამ მკაფიო ბრძანება მომესმა:

— ბიჭებო, ამ ნაძირალამ სტაინერი მოკლა! ახლავე აიყვანეთ!

ჟღალთმიანმა ხელი ჯიბისკენ წაიღო, მაგრამ დავასწარი და ჩემი რევოლვერი შიგ შუბლში დავარტყი. ის წაბარბაცდა, გადაქანდა და ისე დაენარცხა იატაკზე, კრინტი არ დაუძრავს.

მოკრივე არ განძრეულა, როგორც ჩანს, შენელებული რეაქცია ჰქონდა. სამაგიეროდ სლეიდი გამოყოჩაღდა და ვინ იცის, რას იზამდა, მისთვისაც რომ არ დამესწრო და მუშტი რომ არ მეთხლიშა თავში. მას „ლიუგერი“ ხელიდან გაუვარდა, თავად კი მაგიდას დაემხო, აღარ განძრეულა და ალბათ არც ის გაუგონია, როგორ ვთქვი:

— ცალხელას ცემა არ მიყვარს, მით უფრო, უკნიდან. ამის ჩადენა სიტუაციამ მაიძულა.

აქ უკვე მოკრივეც ალაპარაკდა, ცხადია, სანდომიანი ღიმილის თანხლებით:

— კარგი, მეგობარო. ახლა რას იზამ?

— წასვლა მირჩევნია, თუმცა დარჩენაც შემიძლია, ვიდრე პოლიცია მოვა. ჩემთვის სულ ერთია.

ის ჩაფიქრდა. ჟღალთმიანი იატაკზე კვნესოდა, სლეიდი კი ჩუმად იყო, თუმცა, ჩემი ვარაუდით, ცოცხალი.

შემდეგ მოკრივემ ხელები მაღლა ასწია, სქელ კისერზე შემოიწყო და უშფოთველად თქვა:

— არ ვიცი, ეს ალიაქოთი აქ რისთვის ატყდა და, სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს. შარის თავი არ მაქვს. შეგიძლიათ წახვიდეთ.

— მეგობარო, თქვენ თქვენს შეფზე კეთილგონიერი ყოფილხართ, რასაც გულითადად გილოცავთ და რაც, სავარაუდოდ, კარიერულ წინსვლაში დაგეხმარებათ.

— გმადლობთ, გმადლობთ...

— აბა, კარგად, — მივაძახე კეთილ გოლიათს და, მის პასუხს არ დაველოდებივარ, ისე გამოვვარდი ოთახიდან.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

---

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი



Cyan Magenta Yellow Black

www.facebook.com/Tinatinbonney

თინათინ ბონი

# ეიფორია

დასაწყისი №7-16

## მესამე ნაწილი

### ასაკი, ალქმა და სიბიძნე

სანდრო არ გამოჩენილა. მე არ ვურეკავ. აი, ისევ ვთამაშობ ამ თამაშს, მაგრამ თვითონ რატომ არ მირეკავს? თუმცა მე კარგად ვარ. გუშინ ძილის წინ ჩამოვწერე ფურცელზე, რა მინდა. მერე მადლობის გადახდის ფორმა მივეცი და მობილურზე ჩავწერე. ამ ტექსტის მოსმენაში ჩამეძინა. ალარ ვითხოვ კონკრეტულად არაფერს, ჩემი არსებული კაცი მოერგება ჩემს სურვილებს თუ სხვა გამოჩნდება, ერთი ის ვიცი, რომ სტაბილური, თბილი ურთიერთობა მინდა. ოჯახიც მინდა. მე ალარ ავფორიაქდები და ალარ ვიფართხაფურთხებ. დაე, მოვიდეს ჩემს ცხოვრებაში ის, რასაც ვიმსახურებ, მე კი საუკეთესოს ვიმსახურებ.

ვზივარ სამსახურში და ბუკლეტებს ვათვალიერებ. ფერები არ მომწონს და ალბათ თავიდან დავაბეჭდვინებ. იკარგება სამკაულები ფოტოებზე.

მობილური რეკავს.

— ხო, დედა, — ასეთ დროს როცა მირეკავს, კარგი ამბავი არ არის ხოლმე.

— დედიკო, რას შვრები?

— ვმუშაობ.

— საღამოს?

— რა ხდება?

— მედიკოს ბიჭი ჩამოვიდა ლონდონიდან და წაიყვანე სადმე.

— დედა, მედიკოს ბიჭი რამდენი წლისაა? თორმეტის?

— კარგი, ლენა. შენი ასაკისაა, ხომ იცი.

— მაშინ მე რატომ უნდა წავიყვანო სადმე?

— შვიდი წელია, წასულია და მივიწყებული აქვს აქაურობა.

— არც მეგობრები ჰყავს?

— არ ვიცი, დედიკო, მე მედიკომ მთხოვა, ლენამ იქნებ წაიყვანოსო.

— წავიყვან, დედა, მაგრამ არც იფიქროთ, რომ გამირიგოთ!

— რას ლაპარაკობ! — დედა მიკიდებს.

როგორი ცუდი მატყუარაა. არც მახსოვს, მედიკოს ბიჭს რა ჰქვია? შოთიკო? ვასიკო? გივიკო? რაღაცა „კო“ უნდა იყოს. წავიყვან, რა, ჩემი რა მიდის.

ვსხედვართ ბარში მე და აჩიკო. ხომ ვამბობდი, რაღაც „კო“ იყო-მეთქი. ვწრუპავ ატმის დაიკირის. მაცვია ჯინსები, მაისური და კოხტა შარფი მაქვს შემოგდებული. აჩიკო კოსტიუმშია. ვსხედვართ ჩუმად. ჩავცალე მთელი სასმელი. ხალხი ჯერ არ მოგროვილა.

— ორი ლუდიც მოგვეცით, — ეუბნება აჩიკო ბარმენს, — და დღეისთვის გვეყოფა.

უკაცრავად? მე არ მინდა ლუდი და „გვეყოფა“ რას ნიშნავს? აჩიკო ლუდს მაწვდის.

— მე დაიკირის ვსვამ, — ვეუბნები მშრალად.

— ლენუკა, როგორ არ გამოჩნდა კაცი, რომ შენ ადგილი მიგიჩინოს? — მეუბნება და ლუდს ყლუპავს.

— უკაცრავად? — გაოგნებული ვარ.

— რაც გაიგე. გაგივიდათ ამ ქალებს თავს. კაცი რასაც ამბობს, ის არის კანონი.

თვალებდაჭყეტილი ვუყურებ და ვფიქრობ, შემოვარტყა ლუდის ბოთლი თუ საფერფლე მივაზილო. მის ბედზე ხალხი მატულობს და გადაკოცნით ვკავდები. თვითონ ზის კიტრივით მარტო. თბილისში ყველა ერთსა და იმავე ადგილას დადის. დაბადების დღის გადახდა რომ მომინდება, უბრალოდ აქ მოვალ და ყველა დამხვდება ისედაც. ცოტა დამღლელია ეს. უკრავს „Agyness Deyn-Who“. „Something Borrowed“ ვნახე წინაზე. ძალიან საყვარელი ფილმია სიყვარულზე. როცა გიყვარს ადამიანი, უნდა უბრალოდ უთხრა ეს. არ უნდა დაელოდო და არც არავის უნდა დაუთმო. ნუ, ორსულებს და თვითმკვლელებს არ ვგულისხმობ. მაგათ უნდა დაუთმო. გაწითლებული მაქვს ლოყა უკვე.

— მე წავედი, — მეუბნება აჩიკო და 10 ლარს აწვდის ბარმენს.

ჩემი კოქტეილი არ გადაიხადა! უნდა შევეგუოთ იმას, რომ ზოგიერთი ადამიანი უბრალოდ უზრდელი და უტაქტოა. აჩიკო მიდის და მე ვაგრძელებ გადაკოცნას და უაზრო შეკითხვებზე პასუხის გაცემას.

ღამის სამი საათია. ცოტა ნასვამი ვარ. ვაჩერებ ტაქსს და რატომღაც ვეუბნები სანდროს ახალ მისამართს. რაც იქნება, იქნება!

ვრეკავ ზარს. მესმის ბრახუნი, მერე გინება და საბოლოოდ კარის ჩხაკუნი. აჩეჩილი სანდრო ბოქსერებში დგას და ცალი თვალით მიყურებს. შევდივარ შიგნით და კარს ვკეტავ. სანდრო საძინებელში ბრუნდება და ოფიციალურად ასკდება საწოლს.

— მოგენატრე? — მეკითხება ოდნავ გამოფხიზლებული.

— შეიძლება, — ვეუბნები და ფეხზე ვიხდი.

სანდრო ზურგზე წვება და თავქვეშ ილაგებს ხელებს. ვრთავ მუსიკალურ ცენტრს და იწყება „Heaven-I Monster“. რაღაცის გაფუჭების ხასიათზე ვარ და სანდრო მყავს მიზანში ამოღებული. ვიხდი ჯინსებს და იატაკზე ვაგდებ. სანდროს ეღიმება. რით დავიმსახურე, რომ ეს სილამაზე მხოლოდ ჩემია?

— სტრიპტიზი მელის? — კმაყოფილი სანდრო ბალიშს ეყუდება.

ხმას არ ვიღებ. ყელიდან ვიხსნი შარფს და მუსიკის ტაქტში ვუახლოვდები სანდროს. გაოცებას ვერ მალავს. ოთხით ავდივარ ლოგინზე და კბილებით შარფი მიჭირავს. სიმღერა იცვლება „freedom _ Anthony Hamilton & Elayna Boynton“. ვდგავარ მუხლებზე სანდროს გვერდით და შარფს ვშლი.

— რას მიპირებ? — თავისით მიწვდის ხელებს.

ვუკრავ შარფით მაჯებს და ხელებს ზემოთ ვაწევინებ. ვიხდი მაისურს და სადღაც ვისვრი. სანდრო გაფართოებული თვალებით მიყურებს. „Simply Red _ Picture Book“ იწყება და ფეხზე ვდგები. სექსუალურად ვიხდი ლიფს და ხელში ვატრიალებ, როგორც ლასოს. ამ ტრიალ-ტრალში კოჭი მიბრუნდება და ვეცემი სანდროს ზემოდან, თანაც ცოტა უხერხულად. პრინციპში ძალიან უხერხულად. სანდრო ღრიალებს ტკივილისაგან და შეკრულ ხელებს იქნევს.

— ვაიმე, სანდრო, ბოდიში! ბოდიში! — ვცდილობ, წამოვდგე, მაგრამ ამაოდ.

სანდრო გვერდზე წვება და ორად იკეცება. აჰა, ლენა, შენი სექსუალური თამაშები, დაასაჭურისე კაცი. ვკოცნი სანდროს ბეჭზე.

— კინაღამ მომკალი, — ღრმად ისუნთქავს სანდრო.

— ბოდიში! ბოდიში! — ვუხსნი შეკრულ ხელებს.

სანდრო მაჯებს ისრესს და შუქს აქრობს.

— ძილის დროა! — მეუბნება და ერთი მოქმედებით მაგდებს მის გვერდით.

მკერდზე ვადებ თავს და თვალებს ვხუჭავ. სანდრო საბანს მაფარებს და უფრო მიხუტებს. მესმის მისი გულისცემა და საოცრად ვმშვიდდები.

— მუსიკა არ გამოვრთო? — ვეკითხები და მკერდზე ვკოცნი.

— მორჩება დისკი და გაითიშება.

ბარი ვაითი მღერის და მე სანდროს სხეულს ვეტმასნები. რა კარგია. რატომ არ შეიძლება, სულ ასეთი კარგი იყოს? კარზე ზარია.

— Che cazzo? — იგინება სანდრო და ლოგინიდან დგება.

სიჩუმეა და მესმის სანდროს ხმა: „ალარ მოხვიდე ამ დროს. ხო, აი, ასე იქნება აწი. საერთოდ ალარ მოხვიდე!“

კარის მიჯახუნების ხმა და სანდრო საწოლში ბრუნდება.

— ვინ იყო? — ვეკითხები გაღიზიანებული.

— ძველი მეგობარი.

— და რატომ გააგდე?

— ამ დროს არ უნდა მოდიოდეს არავინ.

— მე რომ მოვედი?

— შენ ყველა არ ხარ.

სანდრო, წვება, მიხუტებს და საბანს იფარებს.

— სანდრო ქალი იყო?

სანდრო ხმამაღლა ოხრავს.

— სანდრო!

— ქალი იყო.

— რა უნდოდა?

— რა უნდათ ქალებს ღამე, როცა მიდიან კაცთან?

— ასეც ვიცოდი, — ვცდილობ, ხელი გავაშვებინო. უნდა წავიდე!

— რას ფართხალებ ერთი?

— მივდივარ!

— ლენა, არ გაინძრე, ნერვი არ ამიშალო!

— ხელი გამიშვი! — ვფართხალებ.

სანდრო ზურგზე მაგდებს და კისერში მკოცნის.

— სანდრო, ადექი!

— მაიძულე, — მეუბნება ცინიკურად.

მეღიმება და ბრაზიც სადღაც ქრება. სანდრო ფეხებით უფრო მიჭერს და ტუჩებში მკოცნის. არსად ალარ მივდივარ!

ვწევვარ და არ მეძინება. სანდრო დაიქანცა და აშკარად სძინავს. მე კიდევ ლაპარაკი მინდა.



Cyan Magenta Yellow Black

— სანდრო, გძინავს?
სიჩუმე.
— სანდროოოო...
სიჩუმე.
— სანდრო! — ხმას ვუწევ.
— მმმმმ! — ღმუის პასუხად.
— ბედნიერი ხარ?
— კი, — მპასუხობს ძილ-ღვიძილში.
— რატომ?
— მმმმ...
— ამჟამად რამდენი ქალი გყავს?
— ლენა, დაიძინე! — სანდრო გვერდზე წვება და მეც მაბრუნებს ისე, რომ უკნიდან მომეხუტოს.
— მიყვარხარ! — ჩამჩურჩულებს ყურში.
— მეც მიყვარხარ! — ვეუბნები და თვალებს ვხუჭავ.
ეს ჩემი სანდროა, რომელიც მიყვარს. მეტი არავინ მახსოვს ამ წამს. მე კარგად ვარ. ღმერთო, გევედრები, აწი სულ ასე იყოს!
ვიღვიძებ ცარიელ ლოგინში. სად წავიდა ის ბიჭი? ურჩევნია, სახლში იყოს. საოცარი ღამე იყო. კიდევ კარგი, გავბედე და მოვედი. ვდგები და ვიღებ კარადიდან სანდროს პერანგს. გავდივარ სააბაზანოში და ვწესრიგდები. ვიწევ თმას და ვცდილობ, თვალების შეშუპება ჩავაცხრო ცივი წყლით.
სანდრო სამზარეულოში ზის და რაღაცას წერს. ვკოცნი ლოყაზე და მის გვერდით ვჯდები.
— რას აკეთებ?
— სცენარს ვწერ.
— შენ ხომ ხატავდი? — რამ გამახსენა მისი ნატიტყნი?
— მე მრავალმხრივ განვითარებული მამაკაცი ვარ, — ღიმილით მეუბნება.
— შეიძლება გადავხედო, რა დაწერე? მაინც მიმუშავია მაგ სფეროში და მესმის.
სანდრო ფურცლებს მაწვდის და თვითონ ჩაიდანს რთავს.
ვიღებ ერთ ფურცელს და ვკითხულობ:
„სცენა 9
ინტ. ოფისი-საპირფარეშო შემდგომი დღე — დილა
დიმა კაფელის იატაკზე ზის. მას თვალი აქვს ჩალურჯებული. მამაკაცები შედიან და გადიან საპირფარეშოდან ისე, რომ არც კი აქცევენ მას ყურადღებას.
შემოდის რამაზი. იგი უემოციოდ უყურებს დიმას და საპირფარეშოს კაბინაში შედის.
რამაზი (ხმა):
ყველაფერი რიგზეა?
დიმა:
არ არის თქვენი საქმე.
რამაზი (ხმა):
ზედმეტად გაქვს თავში ავარდნილი.
დიმა იატაკიდან დგება და ხელებს იბანს. რამაზი გამოდის კაბინიდან და ისიც იბანს ხელებს.
რამაზი:
არა და უბრალოდ უნდა მოითხოვო.
დიმა:
რა მოვითხოვო?
რამაზი:
რა კი არა და როგორ.
დიმა (გამწარებული):
ბატონო რამაზ, არ ვარ დღეს თქვენი თამაშების ხასიათზე. შემეშვით, თორემ ჩემს თავზე პასუხს არ ვაგებ.
რამაზი:
ასეთი მაგარი ბიჭი თუ ხარ, შენ რატომ გაქვს ჩალურჯებული თვალი?
დიმა მარცხენა ხელს ყელში უჭერს რამაზს და მარჯვენათი მუშტს კრავს, რომ ჩაარტყას.
რამაზი (ხროტინით):
რა იყო, მოხუცი კაცების დაჩაგვრის სკოლა გაქვს გავლილი?
დიმა ხელს უშვებს და სახეზე წყალს ისხამს.
დიმა:
რა გინდათ ჩემგან?
რამაზი:
მინდა, გასწავლო ის, რაც შენს ცხოვრებას თავდაყირა დააყენებს.
დიმას თვალი გაურბის რამაზის როლექსის საათისკენ. მის სახეზე ზიზღი ისახება.
რამაზი:
ძალიან ცდები, თუ გგონია, მთელი ცხოვრება ფუფუნებაში გავატარე. შენზე უარეს მდგომარეობაშიც კი ვიყავი სულ რამდენიმე წლის წინ.
დიმა:
უდაოდ კარგი იუმორის პატრონი ბრძანდებით.
რამაზი:
რამდენიმე წლის წინ ერთი მიგდებული ქარხნის დარაჯად ვმუშაობდი.
დიმას ცინიკურად ეღიმება.
რამაზი (განაგრძობს):
ერთ ღამეს გარეთ სიგარეტს ვეწეოდი. უეცრად არსაიდან ქალი გამოჩნდა. შიშისგან კინაღამ სიგარეტი გადავყლაპე. ამ ქალმა რვეული მომცა და გამაფრთხილა, დრო რომ მოვა, შემდეგს გადაეციო.



დიმა:
კი, როგორ არა, ზუსტად მასე მოხდა.
რამაზი:
არ დაკვირვებიხარ, რომ რაც მე და შენ აქ ვართ, კაციშვილი არ შემოსულა?
(პაუზა)
ეს იმიტომ, რომ მე არ მინდოდა, შემოსულიყვნენ.
რამაზი კარს აღებს და დიმასკენ ტრიალდება“.
— სანდრო, რა მაგარია! — გაოცებას ვერ ვმალავ.
— მიხარია, რომ მოგწონს.
სანდრო ჩაის ჭიქას მაწვდის და ადგილს უბრუნდება.
— შენ გჯერა ქვეცნობიერის და ეგეთების? — ვეკითხები და ჩაის ვყლუპავ.
— კი. ოდესმე მეტს გიამბობ ამაზე, — სანდროს ეღიმება.
სანდრო განაგრძობს წერას. მე ჩაის ვსვამ და ვუყურებ. როგორი უბრალო დილაა, ორი უბრალო ადამიანით სამზარეულოში. ერთი უბრალო ბავშვიც და პრაქტიკულად სამოთხეა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

❖ ბრაზილიელ მარია დე სოკროს სიმაღლე მხოლოდ 79 სანტიმეტრია. ის მსოფლიოში ყველაზე დაბალი დედაა. მისი ახალდაბადებული შვილი 2,37 კილოგრამს იწონიდა და 46 სანტიმეტრი სიგრძის იყო.
❖ ლონდონში მცხოვრები ინდოელი მინჯიტ საინი გასაოცარი ძალის პატრონია. მან ორსართულიანი ავტობუსი ცალი ხელით ასწია და რეკორდი დაამყარა.

## ეს იცოდით?

❖ ინდიელები ქოქოსის პალმას სიცოცხლის ხეს უწოდებენ. პალმის ღეროსგან ამზადებენ ავეჯს, ნავებს, იარაღს, ფოთლებით ხურავენ ქოხებს. პალმის წვენისაგან ამზადებენ ღვინოს, შაქარს და სხვ.
❖ დედამიწაზე არის ტბა, რომლის ქვაბულიც წყლის ნაცვლად ასფალტითაა სავსე. ეს გახლავთ ტბა პიჩლეიკი კუნძულ ტრინიდადზე. ტბა ბორცვზე მდებარეობს, მის ნაპირებთან ასფალტი მაგარი და ცივია, შუაში ჯერ რბილდება, შემდეგ კი თანდათან თხევადდება და ცხელი ხდება, ცენტრში კი დუღს. ტბა ღრმაა. რამდენიმე ათეული წელია, რაც იქ ასფალტის მოპოვება მიმდინარეობს, მაგრამ მისი დონე დღემდე უცვლელია.
❖ ცუნამების 80% პროცენტი წყნარ ოკეანეში ხდება.



Cyan Magenta Yellow Black

ლელა ცუცქირიძე

# გაურკვევლობა

მთელი დღე იჯდა და ტიროდა, ტიროდა და იჯდა. დიდ, უზარმაზარ სვიტერში მობუზულ, პატარა ჩიტს ჰგავდა. რა უნდა, რას ერჩის? ხმას არ იღებს, არანაირ პრეტენზიას არ უყენებს სხვა ცოლებივით. უვლის, საჭმელს უკეთებს, ურეცხავს, არასდროს დასცდენია საყვედური უსახსრობაზე...

კი, ბატონო, ესმის, რომ მხატვარია, ხელოვანი და თავისი სამყარო აქვს, განიცდის, რომ არ აფასებენ, ნახატებს ვერ ყიდის, მაგრამ დიკამ რა დააშავა? ახლა ხომ აქვს სერიოზული შეკვეთა? ის კი მაინც ჩხუბობს... აი, მოხვია ხელი თავის ტანსაცმელს და სულაც სახელოსნოში გადავიდა საცხოვრებლად.

— ცოტა ხნით იქ ვიქნები, ორივესთვის ასე აჯობებს, — გამოუცხადა დიკას და წავიდა.

ორი კვირაა, სახლში არ მოსულა, არ უკითხავს, დიკა როგორ არის, უჭირს თუ არა უმისოდ ყოფნა. თავად რამდენჯერ დაურეკა, მაგრამ ისე ცივად ელაპარაკა, დარეკვის სურვილიც დაეკარგა. არადა, რომ უყვარს? ჰო, ასეთიც უყვარს, ჯუჯღუნა, უხასიათო, ეგოისტი, მარტო საკუთარ თავზე, საკუთარ გრძნობებზე რომ ფიქრობს. ვერც ვერავისეუბნება დიკა, რა ხდება მის თავს, როგორ ენგრევა ოჯახი, თითებს შორის ეცრება. ჰა, ჰა და ვითომ არც ყოფილა, ბავშვი მაინც ჰყავდეთ... მარტო მეგის გაუმხილა, უფრო სწორად, მეგი თავად მიხვდა ყველაფერს.

— რა გჭირს ბოლოს და ბოლოს? — ჰკითხა გამომცდელად ერთხელაც, მორიგი სტუმრობის დროს.

— არაფერი, — შეცბა დიკა, — რა უნდა მჭირდეს?

— ხომ იცი, მე ვერ მომატყუებ, — უთხრა მეგიმ, — მითხარი, გულზე მაინც მოგეშვება, იჩხუბეთ?

— ჰო, ოღონდ თავად მეჩხუბა, — როგორც იქნა, ამოღერღა დიკამ და მიხვდა, რომ მართლა მოეშვა გულზე.

— შენ რომ არ იჩხუბებდი, ეს ვიცი, — უთხრა მეგიმ, დააკვირდა, — იცი რა, პრინციპში, არც ვამტყუნებ. აბა, ჩაიხედე სარკეში, რას ჰგავხარ? რომელ კაცს მოეწონება ასეთი ცოლი?

დიკამ სარკისკენ გააპარა თვალი, მართლა რას ჰგავდა ამ უზარმაზარ სვიტერში. „მაგრამ განა გარეგნობაზე მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს სიყვარული? მე ხომ არ ვაქცევ ყურადღებას, როგორ გამოიყურება? რა მნიშვნელობა აქვს ჩასაცმელს? მთავარია, სუფთად იყო, წკრიალებდე, ზედმეტი რა საჭიროა?“

— ადექი ახლავე, წამოდი, ჩემს სალონში უნდა მიგიყვანო, — მეგი წამოდგა, ზანტად აიღო მობილური და კლატჩი მაგიდიდან.

— მოიცა, სად წამოვიდე ასე? — თვალები ამოიწმინდა დიკამ, ცხვირიც მოიხოცა, ბარაქიანად.

— აბა, სახლში უნდა იჯდე და ტირილით დაოსდე? ადექი, მე გეპატიჟები, ნუ ინერვიულებ მაგაზე, — მეგიმ სათვალე გაიკეთა, სარკეში ჩაიხედა, — მეც მოსაწესრიგებელი ვარ.

— შენ რა გჭირს მოსაწესრიგებელი, არ გამაგიჟო, — დიკამ კიდევ ერთხელ მოიხოცა ცხვირი.

— თმას მივხედავ, — მეგიმ სარკეში ჩაიხედა, თმა შეისწორა, — თან ცოტას წავიჭორავებ. ადექი, ადექი, წამოდი.

— კარგი რაა... — მეგობრის მოერიდა დიკას. როგორც ყოველთვის, ყველაფრის ერიდებოდა.

— მოკლედ, მომკლა შენმა მორიდებამ. ეს მორიდება აღარაა, კომპლექსიანი ხარ. ნეტავ, საერთოდ როგორ გათხოვდი ან სექსი როგორ გაქვს ქმართან? ალბათ ჩაცმული წევხარ, დახურული პიჟამათი და თვალებს მაგრად ხუჭავ, — უთხრა მეგიმ.

— სულაც არ ვწევარ დახურული პიჟამათი, პერანგი მაცვია, — მორცხვად ჩაიბუტბუტა დიკამ, ერთიანად გაწითლდა.

„არადა ზუსტად ასეა, — გაიფიქრა გულში, — თითქმის ასე“.

როგორ უნდა ილაპარაკოს, თუნდაც მეგისთან, ამდენი ხნის მეგობართან, თავის ინტიმზე, არ ესმის. თავად მეგი კი მოაღებს ხოლმე პირს და მიდიი... დიკამ სულ ზეპირად იცის, რა დროს რა ფერის საცვალი აცვია არამარტო მეგის, არამედ შალვასაც, მეგის ქმარს, ფრიად პატივსაცემ პიროვნებას ქალაქში. სხვაც ბევრი რამ იცის დიკამ და ამას ვერც იტყვის, ის კი არა, გაფიქრებისაც რცხვენია.

— ცოდვაში გაგდებ, არა? — ყოველი ასეთი საუბრის მერე სიცილით კვდება მეგი დიკას დახრილი თვალების შემხედვარე, — ნეტა ერთი შენ, მოგცლია! ცხოვრება ისეთი ხანმოკლეა, იმით დავიღლი თავს, რა ვთქვა და რა არა. ან რას ვამბობ ისეთს, უცხო ხომ არ ხარ.

დიკამაც ბევრჯერ სცადა, მეგისათვის მიებაძა, მაგრამ არა, არ გამოუვიდა. რა გაჩნდა ასეთი მორიდებული!

აი, ახლაც ერიდება მეგის ხარჯზე სალონში წასვლა. მერე რა, რომ მეგის ამის პრობლემა არ აქვს. შალვა მეგის თან ჰყვება, ხელისგულზე ატარებს. ეამაყება თავისზე ბევრად უმცროსი, ლამაზი ცოლი.

— ადექი, ადექი, წამოდი, — მეგი უკვე კარში იდგა, დიკას ელოდებოდა.

დიკაც ადგა, გაჰყვა, ბოლოს და ბოლოს, უხერხულია, ადამიანი გეპატიჟებოდეს და შენ უარს ეუბნებოდე უმიზეზოდ.

მართლა ლამაზი გოგოა მეგი, ძალიან ლამაზი. მიდის, მიშრიალებს, თითქოს აყვავებულ ნუშს აუდგამს ფეხი. თავადაც იცის, ჩუმი ღიმილი უკრთის სახეზე: „შემომხედეთ და დატკბით, შემომხედეთ და გშურდეთ...“

გვერდით დიკა მიჰყვება, მეგისთან შედარებით ზედმეტად უბრალო ჩანს: მოკრძალებულად, ჩვეულებრივად აცვია, ხან ბაზრობის, ხან იაფფასიანი მაღაზიის, ხან მეორადის სამოსი, ხშირად მეგიც ჩუქნის, მაგრამ დიკას მაინცდამაინც არც აინტერესებს ჩაცმა. როგორც კი ფული გაუჩნდება, თავის მხატვარი გიოსთვის ყიდულობს ყველაფერს. წიგნებით ცხოვრობს, გამოფენებით, მუზეუმებით, ერთი ბალახი რომ დაინახოს ასფალტიდან ამოწვერილი, ის ახარებს...

სალონში შევიდნენ.

— მეგაან, — ხელებგაშლილი შეეგება მეგის ალ-მიშარ. ჰო, სწორედ ასე: ალ-მიშარ და არა ალ-მიშარი. სინამდვილეში, მიშა ჰქვია, გლდანში ცხოვრობდა, ახლა ვერაზე აქვს ნაქირავები ფართი, თავადაც აქვე ცხოვრობს, თავისი სალონის დიასახლისია ან მამასახლისი, ვერ გაარკვევ, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, კლიენტები ჰყავს, კარგად აწყობილი ბიზნესი, კარგად აწყობილი საქმე... სალონსაც ასე ჰქვია — „ალ-მიშარ“.

სალონს ელეგანტურად აღმოსავლური ელფერი დაჰკრავს. ესეც ხერხია, ამდენ ევროპულ სალონებში, ამდენი „ლიუსები“, „ჯეინები“, „ბიუტიფულები“ და უცებ „ალ-მიშარ“.

თავიდან, სანამ ვინმე გაიცნობდა, სალონის გარეთ, ტროტუარზე, ჭრელი, აზიური ტახტი ედგა, ყოველ დილას გამოჰქონდა, ჭრელი ბალიშებით და მუთაქებით აწყობდა, ვიტრინაში ჩამოშლილი სპარსული ხალიჩის წინ დგამდა. ვინც არ იცოდა, რომ აქ სალონი იყო, აზიური მაღაზია ეგონათ ან შაჰის ჰარამხანის პატარა ნაწილი. თავად ალ-მიშარიც იქვე იდგა ხოლმე, ღიმილით შემოგთავაზებდა არაბულ ყავას ან ხილის ძვირფას ჩაის, თანაც უფასოდ.

მერე მოხსნიდა ფერად გუდას პირს და ათას ამბავს ამოალაგებდა პოლიტიკიდან, ბუდუარებიდან, პრესიდან, ტელევიზიიდან... ყველაფერი იცოდა, მათ შორის, კარგი მოსმენაც, არც კომპლიმენტებს იშურებდა. მოკლედ, პროფესიონალი პიარ-მენეჯერი აღმოჩნდა, სწორი გათვლებით. სრულიად უცხო და უცნობი ამ გარემოსთვის, მალე ყველას ახლობელი გახდა, ყველას მესაიდუმლე, თანაც სნობური. მეგიც, რა თქმა უნდა, მასთან დადის. მივა, მიშრიალდება ულამაზესი, დახვეწილი, ოდნავ ირონიული, ოდნავ უდარდელი, ოდნავ შეფერილი, ყველაფერი დოზირებული, ყველაფერი შერჩეული...

— ალ-მიშარ, როგორ ხარ, ჩემო კარგო? — მეგიმ ჰაერში გადაკოცნა, სალონს თვალი მოავლო.

— ოი, მეგან! — ხელებგაშლილი შეეგება ალ-მიშარ, — როგორ მომენატრა შენი თმა, ჩემო შეჰერეზადა, ათას ერთი ღამის ზღაპარო.

— კარგი, გეყოფა, უცხო ხომ არ ვარ, — გაუღიმა მეგიმ, რა თქმა უნდა, მაინც ესიამოვნა.

— რა შუაშია ეგ, ძვირფასო მეგან, — ალ-მიშარმა მეგის მძიმე, გრძელი თმა ხელში მოიმწყვდია, ზევით ასწია, მერე ხელი გაუშვა, — ნუ, პრელესტ, ქუულ, გეტყვი, რომ ასეთი თმით აქ არავინ შემოდის.

— არც ის? — ძალიან ცნობად-ელიტურ სახეზე მიანიშნა მეგიმ.

— ვინ, გოგო, ის? — ალ-მიშარმა ცხვირი აიბზუა, — იმას



Cyan Magenta Yellow Black

თმა სად აქვს, თმა კი არა, ნამდვილი... ნუ, რა ვთქვა — აქეთ-იქით მიმოიხედა, — ბაზრობის პარიკი ადევს თავზე.

— ჰოო? — მეგის ჩაეცინა, თავის თმას დიდ სარკეში შეავლო თვალი, — ძალიან კარგი. ჰო, გაიცანი, ეს ჩემი მეგობარია, დიკა, კარგად უნდა მიხედოთ.

— რა თქმა უნდა, მეგან, — ალ-მიშარმა დიკა აათვალიერ-ჩაათვალიერა. სხვა დროს შეიძლებოდა არც გაეღიმა მისთვის, ბოლოს და ბოლოს რეკლამა აღარ სჭირდებოდა, მაგრამ დიკა მეგის ახლდა, ესე იგი აუცილებლად ისევე უნდა მომსახურებოდა, როგორც მეგის, ამიტომაც დაშაქრდა, დადნა, ყალბად წამოიძახა, — რა სილამაზეა! ახლავე მოგხედავენ. სვეტლიჩოოკ! — გასძახა სადღაც.



სალონის სიღრმიდან ციცინათელა არ გამოსულა, ერთი ქალბატონი გამოვიდა, მსუქანი, მაგრამ, როგორც ჩანს, ძალიან აქტიური, რეზინის ბურთივით მოხტოდა.

— სვეტლიჩოკ, ამ სილამაზეს გაბარებ, — უთხრა ქალს, — კარგად მიხედე, უმაღლეს დონეზე, გასაგებია? ვიპ-კლიენტკაა!

— ახლავე, — ქალმა ღიმილით წაიყვანა გაბრუებული დიკა.

— რა ხდება შენკენ, მეგან? ახლავე ყავას მოგიდუღებ, მე თვი-თონ! — ხაზგასმით აღნიშნა.

— ისეთი არაფერი, ალ-მიშარ, — მეგიმ მოწყენით მოავლო თვალი სალონს, — დროს ვკლავ, ვმოგზაურობ, სულ ერთი და იგივე, ერთი და იგივე... დავიღალე უაზრობისგან. ახლა ერთი გასართობი ვნახე, ცოტას მაინც გადავაყოლებ გულს.

— რა გასართობი? — მაშინვე ჩაეძია ალ-მიშარი.

— ისეთი არაფერი, რომ თქმად ღირდეს, — ხელი ჩაიქნია მეგიმ, — მითხარი, აქეთ რა ხდება? კარგა ხანია, შენთან არ მიჭორავია.

— შენს მეგობარს რა სჭირს? — ვერ მოისვენა ალ-მიშარმა, — ძალიან ისეა, აი, ნუ, ეტყობა, რომ რაღაც ცუდი შეემთხვა. თუ სულ ასეთია?

— დიკაზე ამბობ? — მეგიმ ყავა მოსვა, — ოჰ, ეგ სულ ასეთია, კომპლექსებით დახუნძლული. არადა მეგობარია, ხელს ხომ არ ვკრავ? განსაკუთრებით ახლა, როცა ქმართან აქვს უსიამოვნება.

— რას ამბობ! — შეიცხადა ალ-მიშარმა, — რატომ?

— რა ვიცი, ეტყობა, მობეზრდა ასეთი ცოლი სახლში, არანაირი სიახლე, სულ სიმშვიდე, უკონფლიქტობა... ხომ იცი, ხანდახან ესეც აუცილებელია, ასე არაა?

— აბა, რა, — მაშინვე დაეთანხმა ალ-მიშარი, — თან თავს უნდა უვლიდეს, ფორმაში იყოს... ღმერთო ჩემო, შენი მეგობარი და ასეთი? ნუ, რა ვიცი, რა ვიცი... ხომ არ გწყინს, ამას რომ გეუბნები? მაგრამ ფაქტია და რას ვიზამ, ვერ მოგატყუებ, შენ ნამდვილი მზეთუნახავი ხარ.

— ბავშვობის მეგობრებს არ ვირჩევთ, — მეგიმ მხრები აიჩეჩა, — ისინი ბავშვობასთან ერთად არიან და არიან ჩვენთან.

დიდხანს იჭორავეს. ახლა ალ-მიშარმა მოხსნა თავის ჭრელ გუდას თავი, ამოალაგა ცხელ-ცხელი ამბები, სულ უბან-უბან დახარისხებული...

დიკა რომ გამოიყვანა ბურთივით მოხტუნავე სვეტლიჩოკმა, რაღაცაზე გულიანად იცინოდნენ. სიცილი უცებ შეწყვიტეს, დიკას მიაჩერდნენ.

— აი, სასწაული! — წამოიძახა მეგიმ, — დიკ, ეს შენ ხარ?

— აბა, როგორ მოგწონს? — ამაყად შეხედა მეგის ალ-მიშარმა, — ხომ ხედავ, ჩვენთან სასწაულები ხდება!

დიკა იდგა, ბრწყინავდა, ბრჭყვიალებდა, ანათებდა, ცისფერი თვალებიც გაცოცხლებოდა. ასეთ შედეგს თავადაც არ მოელოდა, არც იცოდა, ასეთი ლამაზი თუ იყო. „ახლა რომ მნახოს გიომ, — გაიფიქრა, — ახლაც არ დაბრუნდება სახლში? დღესვე მივაკითხავ, რა დროს მორიდებაა, მორჩა!“.

— დედაჩემთან გამიყვანე, მეგ, — სთხოვა მეგის, მანქანაში რომ ჩასხდნენ.

— გინდა, შენებმაც განახონ, არა, ასეთი ლამაზი? — გაეცინა მეგის, — გიოსთანაც ახვალ?

— არა, გიოსთან არავითარ შემთხვევაში, — დაუმალა დიკამ, — თავად არ ვუნდივარ და... ჩემებთან დავრჩები.

— როგორც გინდა, — უთხრა მეგიმ, — ესე იგი დედაშენთან რჩები დღეს?

— კი, კი, აქ დავრჩები, თან დიდი ხანია, არ დავრჩენილვარ და გაუხარდება, — სწრაფად დაეთანხმა დიკა.

საღამო იყო, გარეთ რომ გამოვიდა, არც უფიქრია დედასთან დარჩენა. ერთი სული ჰქონდა, გიო ენახა, უფრო სწორად, გიოს ენახა ასეთ ფორმაში, ასე ლამაზად, ასე კარგად...

სახელოსნოს კართან გაჩერდა, ღრმად ამოისუნთქა.

„ახლა მორიდების დრო არაა, ან რისი მერიდება, ბოლოს და ბოლოს ჩემი ქმარია, ცოლიანი საყვარელი ხომ არა?“ — გაიფიქრა, თვალები დახუჭა და ზარი დარეკა.

კარი გიომ გააღო, დიკას დანახვაზე სახე შეეცვალა.

— აი, მოვედი, — დიკამ გაუღიმა, ჩათვალა, რომ გიო მისმა გარეგნულმა ცვლილებამ გააოგნა. გვერდით ბავშვივით გაუძვრა და გაბრწყინებული შევიდა ოთახში.

— მეგი? — გაშეშდა იქვე, კარს მიეყრდნო, ყველაფერს წარმოიდგენდა და მეგის გიოსთან — ვერა, თანაც ნახევრად შიშველს, დივანზე სანახევროდ მიწოლილს.

— დიკა, — წამოხტა მეგი, სწარაფად აიფარა გახდილი კოფთა, — ეს ის არ არის, რაც გგონია, უბრალოდ მხატავს, მეტი არაფერი, სიურპრიზი მინდა, შალვას დაბადების დღისთვის გავუკეთო და ჩემი პორტრეტი ვაჩუქო...

— გხატავს? — ჩაიჩურჩულა დიკამ, ცრემლები მოადგა, მაინც შეიკავა თავი, — და მე არ ვიცოდი? არაფერი ვიცოდი ამის შესახებ?

— მეგი მართალია, მე უბრალოდ ვხატავ, — შემოვიდა გიოც, არეული იყო, დიკას მისვლას ნამდვილად არ ელოდა.

— თქვენ, თქვენ... — დიკამ სიტყვები ვერ მოძებნა, ვერც დაიყვირა, საკუთარ თავზე უფრო გაბრაზდა, ვიდრე მათზე, საკუთარ უსუსურობაზე, სწრაფად გამოტრიალდა და გარეთ გამოვარდა.

მორბოდა ქუჩაში, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, ძალიან უნდოდა, დაეჯერებინა, რომ მეგი იმ წუთას გიოსთვის ლამაზი ქალი კი არა, არამედ ნატურა იყო. როგორ უნდოდა ამის დაჯერება და არ გამოსდიოდა...

❖ პეპლებს მხოლოდ წითელი, მწვანე და ყვითელი ფერების აღქმა შეუძლიათ.

❖ პეპლების სხეულის საშუალო ტემპერატურა 86 გრადუსია. ეს ტემპერატურა ოდნავადაც რომ დაეცეს, ისინი ველარ იფრენენ.

❖ ჭიანჭველა მხოლოდ 45-60 დღე ცოცხლობს.

❖ დედამიწაზე მტრედების 300-მდე სახეობა არსებობს, რომელთაგან უმეტესობა ტროპიკული ქვეყნების ბინადარია.

## ეს იცოდით?

❖ ამერიკის შეერთებულ შტატებში ალასკას ყველაზე დიდი ტერიტორია უკავია. იქ ბევრი რამაა „ყველაზე დიდი“, გარდა მოსახლეობისა. ალასკაშია ჩრდილო ამერიკის ყველაზე დიდი დათვები, ყველაზე გრძელი და ყველაზე ცივი ზამთარი და ყველაზე ბევრი ოქრო, ასევე ყველაზე მაღალი ფასები კვების პროდუქტებზე.

❖ მაროკოში მდებარე უნივერსიტეტი კარაუნი ერთ-ერთი უძველესია დედამიწაზე. ის 859 წელს ქალაქ ფესში დაარსდა.

❖ ამერიკული დოლარის სიმბოლო, რომელიც დღესაც გამოიყენება, მდიდარმა პლანტატორმა, ამერიკაში ემიგრირებულმა ირლანდიელმა ოლივერ პოლოკმა გამოიგონა 1773 წელს.

❖ მე-15 საუკუნეში აღმოსავლეთ სლოვაკეთში მინისაგან დამზადებული ფულის მონეტები გამოიყენებოდა. დღეს ეს საოცარი მონეტები ჩეხეთისა და სლოვაკეთის ეროვნულ მუზეუმებშია დაცული.



Cyan Magenta Yellow Black

## გავიცნობ, ვეძებ

sms-ები გამოგზავნეთ ორშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 27 აპრილი 17 საათი.

### გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. ვარ 32 წლის, სიმპათიური მამაკაცი. გავიცნობ ლამაზ გოგოს ან ქალს. 577193190

2. გავიცნობ 21-35 წლამდე ქალს, განათხოვარს ან გათხოვილს. გამომეხმაუროს დასაქმებული, მანქანიანი, ეშხიანები, ლამაზები და სერიოზული ადამიანები. ვარ 26 წლის. 555416480

3. გავიცნობ 23 წლამდე გოგოს შეხვედრებისთვის. ვარ 23 წლის, მაქვს სამსახური და საკუთარი ბინა საბურთალოზე, სასურველია იყოს თბილისელი. 558419166. გიო

4. შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე ქალს. ვარ 35 წლის ბიჭი. 557229949

5. ვარ რუსთაველი, სერიოზული, კარგი ხასიათის მამაკაცი. გავიცნობ ასევე რუსთაველ, სასიამოვნო გარეგნობის და კარგი ხასიათის ქალს შეხვედრებისთვის და სამეგობროდ, თუნდაც ოჯახიანს. 555400945

6. შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-35 წლამდე ქალს. 557229949. ზურა

7. შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-დან 45 წლამდე თბილისელ გოგოს ან ქალს. ვარ თბილისელი, უკომპლექსო, მოსიყვარულე, 38 წლის მამაკაცი. 557994892

8. ხანგრძლივი შეხვედრებისთვის და სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ, 30 წლამდე ლამაზ ქალს. ვარ 46 წლის, თბილისელი. 558375189. ალეკო

9. ვარ 30 წლის, თბილისელი, სიმპათიური ბიჭი. შეხვედრებისთვის გავიცნობ 36 წლამდე ლამაზ, მიმზიდველ გოგოს. 593973884

10. გავიცნობ 30 წლამდე თბილისელ გოგოს. 558945056. გიორგი

11. სამეგობროდ გავიცნობ 30-50 წლამდე სერიოზულ, ლამაზ ქალს, ვინც მოკლებულია სითბოს და სიყვარულს, ვისაც შეუძლია ერთგული მეგობრობა. 593503424. პაატა

12. ვარ 30 წლის, სიმპათიური მამაკაცი. გავიცნობ 40 წლამდე ბინიან ქალს სამეგობროდ. 558650637. ლუკა

13. ვარ 45 წლის მამაკაცი, გავიცნობ კარგი გარეგნობის ქალს. 555248769. გოჩა

14. გავიცნობ 25-45 წლამდე თბილისელ ქალს შეხვედრებისთვის. 555562562

15. სამეგობროდ და შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს, სასურველია თბილისელი. ვარ 29 წლის. 557240429. ნიკა

16. გავიცნობ 40 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, მარტო მცხოვრებს. ვარ 25 წლის, სტუდენტი და დასაქმებული. 555243760. გიორგი

17. გავიცნობ ოზურგეთში მცხოვრებ 39 წლამდე ქალს ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. 557784256. ომარი

18. ვარ ქუთაისელი, დაოჯახებული ბიჭი. შეხვედრებისთვის გავიცნობ ადგილობრივ ქალს. 555355911

19. შეხვედრებისთვის წყალტუბოელი, 38 წლის სიმპათიური მამაკაცი გავიცნობ ბათუმელ ან ქობულეთელ, მხოლოდ ქვრივ, 35 წლამდე ქალს. 557994113. ჯონი

20. გავიცნობ ბათუმელ, 40 წლამდე განათხოვარ ქალს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 33 წლის. 557517355. მამუკა

21. ვარ მაღალი, სიმპათიური, ფინანსურად უზრუნველყოფილი თბილისელი მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე თბილისელ, გათხოვილ ლამაზ გოგოს. 593050806

22. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილ და ვნებიან თბილისელ, 35 წლამდე ქალს, თუნდაც გათხოვილს. შეხვედრებისთვის მაქვს ბინა და მყავს ავტომანქანა. 557330883. ლაშა

23. ვარ 42/178/75, სიმპათიური, სპორტული აღნაგობის, სერიოზული მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს, რომელსაც სურს შეიძინოს ერთგული, თბილი და ყურადღებიანი მეგობარი მამაკაცი. 593638594

24. ვარ სიმპათიური, თბილისელი, გავიცნობ სიმპათიურ გოგოს შეხვედრებისთვის. 593135572. დათო

25. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ კარგ, ლამაზ და პატიოსან გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 28 წლის ბიჭი, სამსახურით უზრუნველყოფილი, მყავს მანქანაც. 593386039. გიო

## 2017

26. ვარ 35/180/70, კარგი აღნაგობის, სიმპათიური, დასაქმებული, თბილისელი მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე, სადა გარეგნობის, თბილისელ ქალს. 557704587

27. გავიცნობ ბათუმელ ან აჭარაში მცხოვრებ 35-დან 50 წლამდე ქალს. ვარ სიმპათიური, სპორტული აღნაგობის სანდო მამაკაცი, მაქვს შეხვედრის ადგილი. 555220882

28. სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ 35 წლამდე გოგოს. ვარ მაღალი, ცისფერთვალება 38 წლის მამაკაცი. 558901306

29. გავიცნობ თბილისელ, გამხდარ, თავისუფალ ქალს ხანგრძლივი მეგობრობისთვის, სასურველია მანქანიანი. ვარ 48 წლის მამაკაცი. 555161421

30. გავიცნობ თბილისელ გოგოს შეხვედრებისთვის. 5903383099

### გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. გავიცნობ თბილისელ, განათლებულ ქალს, რომელიც გახდება ჩემი ცხოვრების თანამგზავრი. ვარ 31 წლის, თბილისელი, შეძლებული, საკმაო სიმპათიური მამაკაცი. 558634634

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 20-დან 5 წლამდე გოგოს, თუნდაც განათხოვარს და შვილიანს. ვარ ყურადღებიანი, მოსიყვარულე და დასაქმებული ადამიანი. გპირდებით ბედნიერი და გახარებული იქნებით მთელი ცხოვრება. 557212868. გიო

3. გავიცნობ მარტოხელა, ბინიან ქალს მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 30 წლის, სერიოზული, დასაქმებული ბიჭი. 557803113. გიორგი

4. ვარ 28 წლის, ახლა ჩამოვედი გერმანიიდან, მაქვს მაღალანაზღაურებადი სამსახური. გავიცნობ 18-28 წლამდე გოგოს ოჯახის შექმნის მიზნით, ვცხოვრობ თბილისში მარტო. 593160340. გიორგი

5. გავიცნობ სერიოზულ გოგოს ოჯახის შესაქმნელად. ვარ 28 წლის. 558725588. ბაჩო

6. ვარ 31 წლის მამაკაცი, ვცხოვრობ და ვმუშაობ თბილისში, ვარ კარგი ხასიათის და მორწმუნე. ლამაზი და ბედნიერი ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალს. 593181903

7. ვარ 32 წლის, წესიერი და მშვიდი მამაკაცი. ოჯახის შექნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ქალს. 557475347

8. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მარტოხელა, 60 წლამდე ქალს. ვარ 49 წლის, უბინაო, უცოლშვილო მამაკაცი. 555354757

9. გავიცნობ ქალიშვილ, პატიოსან გოგოს ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 31 წლის. 558508966

10. ვარ თბილისელი, 45 წლის, თბილი ბუნების მამაკაცი, მაქვს თბილისის ცენტრში კარგი ბინა. ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ 33 წლის ასაკის, რაიონელ, ქალიშვილ გოგოს, სხვა ასაკით არ ვინტერესდები. მინდა მშვიდი, სადა პიროვნების გაცნობა. 558215498

### გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. გავიცნობ 32-დან 40 წლამდე, თბილისელ, შეგნებულ, დასაქმებულ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად, ვარ ბავშვიანი. 557297331

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სიმპათიურ და ჩამოყალიბებულ მამაკაცს. ვარ 35 წლის, მყავს შვილი. 558575382

## მიყვარხარ, მენატრები

ალეკო, ჩემო დახატულო, ძაან მენატრები, შენ ჩემი ულევი სიხარული ხარ. ყოჩაღად და იმედიანად იყავი, მალე ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება. უფალი გფარავდეს. მიყვარხარ. ნინო

დათუნა, როგორ ხარ? წინა კვირას ვერ მოვახერხე მომეწერა, ძალიან მენატრები. ჩემზე რა გითხრა, ჭკვიანად ვარ, გელოდები. გკოცნი ბევრს. მარიამი

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ რამე ან გაუმხილოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 27 აპრილის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. წერილი, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აბონენტისაგან მიწერილ ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება



Cyan Magenta Yellow Black

# პირველი Samsung Galaxy S4 — „შენი ცხოვრების კომპანიონი“ უკვე საქართველოშია!




პირველი Samsung Galaxy S4 უკვე საქართველოშია და საბურთალოს ქუჩაზე მდებარე „ალტას“ შოურუმში განთავსდა. ტექნოლოგიურ სამყაროში წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენას Samsung-ის სმარტფონს Galaxy S4-ს დაცვის თანხლებით აეროპორტში დახვდნენ და 30 მანქანიანი საგანგებო კორტეჟით მიაცილეს „ალტას“ საბურთალოს მაღაზიაში, სადაც ხალხი მას დილიდან ელოდებოდა.

24 აპრილიდან დაიწყება წინასწარი შეკვეთების კამპანია, რომლის ფარგლებშიც მომხმარებლებს შეეძლებათ განათავსონ წინასწარი შეკვეთები Samsung Galaxy S4-ზე ექსკლუზიურად „ალტას“ მაღაზიაში და 29 აპრილს, ოფიციალურ გაყიდვებამდე 10 დღით ადრე მიიღონ სმარტფონი „სამსუნგის“ ინოვაციურ აქსესუართან ერთად. სმარტფონის ღირებულება 1499 ლარი იქნება. ამ თანხის სრულად დაფარვის შემთხვევაში, თქვენ ასევე შეგეძლებათ ისარგებლოთ სახლში მიტანის უფასო სერვისით.

Galaxy S4 მისი წინამორბედი მოდელის Galaxy S3-ის ყველა ღირსებით არის შემკული, ამავდროულად იმდენი ტექნოლოგიური ინოვაცია აქვს დამატებული, რომ მას არა მხოლოდ წინამორბედზე, ბაზარზე არსებულ ყველა სხვა სმარტფონზე ერთი თავით მაღლა აყენებს. Galaxy S3-მა თავის მხრივ უდიდეს წარმატებას მიაღწია და მსოფლიო მასშტაბით 40 მილიონზე მეტი ოდენობით გაიყიდა.

ახალი მოდელის Galaxy S4-ის მეშვეობით კი 5-დიუმიან ეკრანზე ინტერნეტ გვერდების გადაფურცვლა შეხების გარეშე, მზერითაა შესაძლებელი. სმარტფონს აქვს დახვეწილი დიზაინი, დიდი ეკრანი და გამძლე ელემენტი, წინამორბედზე უფრო თხელია (7,9 მილიმეტრი) და მსუბუქი (130 გრამი). ამ ეტაპზე გაყიდვაში იქნება მხოლოდ 2 ფერი: შავი და თეთრი.

სმარტფონს გააჩნია მსოფლიოში პირველი Full HD რეზოლუციის Super AMOLED ეკრანი, რომელიც საუკეთესო ხარისხის გამოსახულებას უზრუნველყოფს. მის 5-დიუმიან ეკრანს გააჩნია 441 პიქსელ/დიუმიანი ჩვენების PPI ხარისხი. ორივე მხარეს განლაგებულ კამერებს აქვს ერთდროულად გადაღების ფუნქცია. ძირითადი კამერა იღებს 13 მეგაპიქსელის, ხოლო ფრონტალური კამერა 2 მეგაპიქსელამდე გაფართოებით. სმარტფონი იღებს ერთდროულად ფოტოს და ვიდეოს. გადაღების 8 სხვადასხვა რეჟიმის საშუალებით შესაძლებელია ორი კამერის მიერ გადაღებული სურათების ერთში გაერთიანება, ორმაგი კამერა კი საშუალებას იძლევა, ვიდეოზარის განხორციელებისას დაენახოთ მოსაუბრეს და ამავდროულად აჩვენოთ ის გარემო, სადაც იმყოფებით.

ეს არის ნამდვილად რევოლუციური ტექნოლოგია, რომელიც იძლევა საშუალებას, მართო სმარტფონი ეკრანზე შეხების გარეშე. მაგალითად, თუ მომხმარებელი მოწყვეტს მზერას და მას აღარ უყურებს, ვიდეო თავისით პაუზდება. სმარტფონი აანალიზებს მაჯის და მზერის მოძრაობას, რის შედეგადაც თავად ფურცლავს ელექტრონულ წერილებს ან ინტერნეტ-გვერდებს. Galaxy S4-ს Samsung-ის ინჟინრებმა სურათიდან არასასურველი ობიექტების ან ადამიანების წაშლის, ანიმაციური ფაილების და სერიული გამოსახულებების ფუნქციებიც რეალობად აქციეს.

„ამ დღეს დიდი ხანი ველოდით, პირველი Samsung Galaxy S4 უკვე საქართველოშია და ის „ალტას“ საბურთალოს მაღაზიაში განთავსდა. მომხმარებელს შეუძლია წინასწარ შეუკვეთოს და მიიღოს სმარტფონი ოფიციალურ გაყიდვებამდე ძვირადღირებულ საჩუქართან ერთად და რაც მთავარია, შეიძინეთ მხოლოდ Samsung-ის ოფიციალური ჰოლოგრამით“, — აცხადებს Samsung-ის კავკასიის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი, ბატონი სანგ პილ ჩანი.

Galaxy S4-ის მფლობელს, სურვილისამებრ, შეუძლია სმარტფონის საშუალებით აკონტროლოს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც — დისპლეიზე მუდმივად ჰქონდეს წნევის და სისხლში შაქრის დონის შესახებ ინფორმაცია, ასევე გამოიყენოს ბარომეტრი და თერმომეტრი.

Galaxy S4 აპრილის ბოლოსთვის 155 ქვეყანაში გაიყიდება, საქართველოში კი უკვე 24 აპრილიდან იქნება ხელმისაწვდომი.



Cyan Magenta Yellow Black



# წრფელი სინანული არის ის იარაღი, რომელიც ჩვენს ცოდვებს სამუდამოდ აცამტვერებს

## ხსენება ღირსისა მოწამისა ევდოკიასი

შეგნებულად არა, მაგრამ ისე დაემთხვა, რომ ნეტარი ფოტინეს შემდეგ ისევ ისეთ წმინდანზე გვიწევს საუბარი, რომელსაც ეკლესია მოიხსენიებს სამარიტელად. თუ ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვებით, ირკვევა, რომ წმინდა მოწამე ევდოკია სამარიაში არ დაბადებულა. მოვლენებს ნუ გავასწრებთ და ადვილი შესაძლებელია, გზადაგზა გამოიკვეთოს ამ შემთხვევის ნამდვილი მიზეზი, რისი იმედი ჩვენც დიდი გვაქვს.

წმინდა მოწამე ევდოკია დაიბადა ქალაქ ილიოპოლისში მეორე საუკუნის პირველ ნახევარში. ილიოპოლისი, რომელიც თარგმანში მზის ქალაქს ნიშნავს, მდებარეობდა დღევანდელი სირიის ტერიტორიაზე. დღეს ამ ადგილს ეძახიან მბაალბეკს, მაგრამ ახლა იქ მხოლოდ ნაქალაქარია და ძველი წარმართული ძეგლების ნანგრევებილაა შემორჩენილი. იმ დროისთვის კი საკმაოდ მნიშვნელოვანი ქალაქის სტატუსით სარგებლობდა, რადგან მაშინდელი განვითარებული სამყაროს სავაჭრო ცენტრი იყო და ეს სტატუსი ერთიორად ზრდიდა მის, როგორც ქალაქის ავტორიტეტს.

გადმოცემის თანახმად, წმინდა ევდოკია ულამაზესი ახალგაზრდა ქალი ყოფილა, რამაც ხელი შეუწყო მის უზნეო და არაქრისტიანულ ცხოვრებას. თავისი სილამაზის პატრონმა სამეძაო სახლი გააკეთა და ამ გზით საკმაოდ დიდ სიმდიდრეს მოუყარა თავი. იმ დროისთვის შეძლებული მამაკაცები არაფერს იშურებდნენ, თუნდაც ერთი ღამე გაეტარებინათ მასთან. წმინდანს აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ მისი საქციელი ღვთისთვის მიუღებელი და საზიზღრობა იყო, რომ არა ერთი შემთხვევა.

ღმერთი ყველას აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ულირსება და უგვანო საქციელი გამოასწოროს. ასე მოხდა წმინდანის შემთხვევაშიც. გარდა იმისა, რომ სულიერ შიმშილს განიცდიდა და ქრისტიანული მრწამსის საწინააღმდეგოდ ცხოვრობდა, ახლა ხორციელმა უძლურებამ შემოუტია. ამიტომაც ერთ დღეს თავის სახლში, რომელიც ქალაქ ილიოპოლისის ცენტრში მდებარეობდა, მარტოდმარტო იყო და თავის განვლილ ცხოვრებაზე ფიქრობდა.

კაცთმოყვარე ღმერთი მარადჟამ ფიქრობს საკუთარ ქმნილებაზე და მას არასოდეს ივიწყებს. წმინდა ევდოკიას სახლის კედელზე მოდგმული იყო სასტუმრო, რომელშიც რამდენიმე დღით ცხოვრობდა შორი გზიდან საკუთარ სამშობლოში მიმავალი ღვთისმოშიში და მადლით შემოსილი ბერი გერმანე. ის ხმამაღლა კითხულობდა თავის ოთახში მამათა ნაშრომებს, რომლებიც აუწყებდნენ ცოდვილი ადამიანების ენით აუწერელ სატანჯველს ჯოჯოხეთში, რისთვისაც საჭირო იყო სინანული და ყოვლისშემძლე და ყოვლადმოწყალე ღმერთი მოგვიტევებდა ჩვენ ყოველგვარ შეცოდებას, როგორი მძიმე და საშინელიც უნდა ყოფილიყო.

ამის გამგონე ევდოკიამ მუხლი მოიყარა და მთელი ღამე ცრემლით ითხოვდა უფლისგან ცოდვათა მიტევებას. როცა გათენდა, მივიდა, მოინახულა მონაზონი გერმანე და ჰკითხა: „რა იყო ის სიტყვები, რასაც წუხელ ღამით გაიძახოდი და ან შენ ვინ ხარ, აქ საიდან მოხვდი? ჩვენს სამშობლოში ამის მსგავსი არაფერი მსმენია. თუ ყველანი, ვინც სცოდავენ, ჯოჯოხეთში მიდიან, მაშ, ვიღას შესწევს იმის ძალა, რომ გადარჩეს? როგორც ამბობდი, მდიდარი უფრო ძნელად დაიმკვიდრებს სასუფეველსო, მაშ, მე რაღა მეშველება, რომ ვარ მდიდარიც და ცოდვილიც ორივე ერთად?“.

მაშინ ჰკითხა ღირსმა გერმანემ, თუ გყავს ქმარი, რომელი სარწმუნოების აღმსარებელი ხარ და ეგ სიმდიდრე, რომელიც გაქვს, როგორ დააგროვეო. ევდოკიამ მიუგო: „სამარიტელი ვარ და კანონიერი ქმარი არ მყავს, ვცხოვრობ უკანონოდ იმასთან, ვინც მოისურვებს ჩემთან ყოფნას. ამ გზით დავაგროვე ის სიმდიდრეც, რაც მაქვს. მასწავლე მე, როგორ არის შესაძლებელი, რომ გადავრჩე ჩემს სიმდიდრესთან ერთად, რადგან მგონია, სიმდიდრე ცუდი რომ ყოფილიყო, ღმერთი არც მომცემდა“.

გაოგნებულმა გერმანემ მიუგო ევდოკიას: „ვინც მდიდარი არის ღვთის ჩარევით, მშობლების დანატოვარი სიმდიდრით ან საკუთარი ოფლით და შრომით, ასეთ ადამიანს არც განსაცდელი ელის. ხოლო ის, ვინც მდიდარია უსამართლო და უკანონო გზებით და არც მშიერ-მწყურვალთ ეწევა, ის ჯოჯოხეთისთვის არის განწირული“. ისევ ჰკითხა ევდოკიამ: „ნუთუ არ ვიმსახურებ ამ სიმდიდრეს, რომელიც გამაჩნია, მე ხომ ამ სიმდიდრიდან ვუნაწილებდი გლახაკებსაც, ქვრივ-ობლებსაც და არასოდეს დამვიწყებია ისინი“.

ამაზე გერმანემ მიუგო: „შენი სიმდიდრე არის საძაგელი და უსამართლო, ამიტომაც არ იწირავს უმანკო უფალი მანკიერებით და ბინძური გზებით დაგროვებულ შენს მოწყალებას. ვიდრე იმყოფები მეძავობის ჭაობში, რითაც დააგროვე სიმდიდრე, არასდროს აღიარებს უფალი შენს მოწყალებას. მხოლოდ მაშინ დაფასდება შენი მოწყალება, როცა გათავისუფლდები ამ მომაკვდინებელი სენისგან და მიეცემი წრფელ სინანულს. თუ გსურს, რომ მოგისმინოს უფალმა, ამისთვის ორი რამ უნდა მოიმოქმედო გულწრფელად. პირველი არის ნათლობა, რომელიც განწმენდს შენს სხეულს და სულს ჩადენილი ცოდვებისგან და მეორე, არა ღვთივსათნო საშუალებით მოხვეჭილი სიმდიდრე უნდა დაურიგო მშიერ-მწყურვალთ, რითაც შენი სინდისი გათავისუფლდება და შეძლებ წმინდანებთან დამკვიდრებას ღვთის სასუფეველში საუკუნოდ“.

ამის გამგონე ევდოკიამ შეცბუნებულმა უპასუხა მამა გერმანეს: „ამის შემდეგ, რასაც მეუბნები, როგორ უნდა ვიცხოვრო. თუ ყველაფერს სხვებს დავურიგებ, მე, რომელიც ფუფუნებას მივეჩვიე, როგორ გადავეჩვიო, ვინ იზრუნებს ჩემზე ან როგორ დავრწმუნდე იმაში, რომ რასაც მეუბნები, არის ჭეშმარიტება?“. მამა გერმანემ მიუგო: „ნუ გაქვს ეჭვი და გულისთქმები ჩემს ნათქვამზე, რადგან ეშმაკი არის ცბიერი და როგორც კი ნახავს, რომ ეჭვი გაგიჩნდა, მაშინვე ცდილობს, შენი გულისთქმები სათავისოდ გამოიყენოს, რათა არ დაკარგოს შენზე კონტროლი და ემანდ არ დაკარგოს შენი სახით თუნდაც ერთი წევრი საუკუნო სატანჯველისთვის, ჩაუქრობელი ცეცხლისთვის. თუ მაინც არ გჯერა ჩემი სიტყვების, ის ხომ მაინც შეგიძლია, ეგ მდიდრული სამოსელი მოიშორო, შეიმოსო გლახაკის სამოსელით, ერთი კვირა ჩაიკეტო მარტოდმარტო ოთახში და ითხოვო უფლისგან, რათა გაგანდოს და გამოგიცხადოს, რა იქნება შენთვის უფრო სასარგებლო. ღმერთი ყოვლადმოწყალეა და თანაც კაცთმოყვარე და გამოგიცხადებს უზენაესი თავის ნებას“.

მაშინ სთხოვა ევდოკიამ მამა გერმანეს, დარჩენილიყო კიდევ ერთი კვირა მათ ქალაქში და ელოცა, რომ უფალს გაემჟღავნებინა თავისი სურვილი. მისცა მამა გერმანეს სახარჯო ფულიც, რაც დასჭირდებოდა ერთი კვირის მანძილზე, ვიდრე ილიოპოლისში იცხოვრებდა. თვითონ კი შეუდგა ღირსი მამის კურთხევის აღსრულებას. მამა გერმანეც შეუდგა თხოვნის აღსრულებას და შემდეგი სიტყვებით მიმართავდა უფალს: „მეუფეო, შენ, რომელმაც განამართლე მეზვერე და იხსენ მეძავი, გამოიხსენ ეს ულირსი მხევალიც ცოდვათა და ურჯულოებათა მისთა, რათა საქვეყნოდ განედიდდეს შენი ყოვლადწმინდა სახელი“.

ამის შემდეგ ერთმანეთი აღარ უნახავთ მამა გერმანეს და ევდოკიას. ერთი კვირის შემდეგ მიაკითხა მამა გერმანემ და ჰკითხა, ხომ არაფერი გინახავს ჩვენების მსგავსი ამ ერთი კვირის განმავლობაშიო. მაშინ დაიწყო ევდოკიამ იმის შესახებ, რომელიც იხილა ჩვენებით:

„როგორც დამარიგე, მართლაც ისე ვიქცეოდი, ცრემლით ვევედრებოდი უფალს ცოდვათა მოტევებას, რომლებიც აღურიცხავი იყო ჩემს ცხოვრებაში. ამის მიუხედავად, ერთ დღესაც მომიახლოვდა თეთრებში გამოწყობილი ახალგაზრდა, რომელმაც მითხრა, რომ წავყოლოდი. ამიყვანა ზეცად, სადაც ყველა, ვინც იქ





Cyan Magenta Yellow Black

იმყოფებოდა, იყო თეთრებში გამოწყობილი და სიხარულით შეხვდნენ ჩემს მისვლას. როცა გადაწყდა, რომ იქაურობა უნდა დამეტოვებინა, საოცარი სევდა დამეუფლა. გარეთ გამოსვლის შემდეგ კარებთან დაგვხვდა შავი, საშინელი გარეგნობის დემონი, რომელიც ისეთი ხმით, რომ იქაურობას აყრუებდა, გაჰკიოდა ჩემი თანმხლების და ჩემი მისამართით. ამას იმდენი ცოდვა აქვს ჩადენილი ცხოვრებაში და მაინც ღვთის წიაღში ცდილობთ მის დაბინავებას, მე რაღა დავაშავე, ერთი შეცდომისთვის მთავარანგელოზებმა საუკუნო ბრძოლა გამომიცხადეს და არაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მოვინანიო და მეც ვიხილო ღმერთი; მთელ კაცობრიობაზე ფიქრობთ, რომ უწმინდურებიდან სიწმინდისკენ შემოაბრუნოთ და უსამართლო ადამიანები გაამართლოთ ამ მეძავის და ცოდვილის მსგავსად, ჩემი მისამართით კი უსამართლოდ იქცევითო. ამ და კიდევ უამრავ საშინელებას გაჰკიოდა შავი ცოფიანი დემონი, როცა ყველას გასაგონად მოისმა ტკბილი და სასიამოვნო ხმა: „ეს შეიბრალა ღმერთმა იმიტომ, რომ ცდილობს ჩადენილის მონანიებას და გამოსწორებას“. რის შემდგომაც მოისმა ხმა ისევ ტკბილი და სასიამოვნო: „წაიყვანე, მიქაელ, ეს ქალი თავის სახლში, რათა იღვაწოს სინანულისთვის და შეუნდო ჩადენილი ცოდვანი და უსჯულოებანი, რადგან მსურს, რომ ჩემი წაილის მკვიდრი გახდეს და არაფერში დაემორჩილოს უხსენებელ დემონებს“. ამის შემდეგ დამაბრუნეს ისევ აქ, ჩემს სახლში და ანგელოზმა მითხრა: „მშვიდობით იყავი, ღვთის მონაო ევდოკია, მხნედ იყავი და განძლიერდი, რადგან სურს ძალსა ღმრთისასა, იყოს შენთან განუწყვეტლივ“. მაშინ ვკითხე, ვინ იყო, ვინც ასეთი ნეტარება მაჩვენა. მან კი მომიგო: „მე ვარ ჭეშმარიტი ღმერთის მთავარანგელოზი. ის, რომელიც მზად არის, დაეხმაროს ყველას, ვინც ნანობს საკუთარ ცოდვებს, ამიტომაც ღვთის დავალებით მივუძღვები ღვთის სასუფევლისკენ, სადაც ხარობენ დანარჩენი ღვთის ანგელოზები, რადგან შეინანა ერთმა ცოდვილმა კიდევ და ცხონდა, რადგან ყოვლადმოწყალე ღმერთს არ სურს არც ერთი ადამიანის წარწყმედაც კი, არამედ ყოველი მათგანის შემობრუნება სინანულისკენ“.

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ სიხარულის ცრემლებს ველარ იკავებდა მამა გერმანე და მიუგო ნეტარ ევდოკიას: „ირწმუნე ახლა მაინც, რომ არსებობს მოწყალე და კაცთმოყვარე უფალი, რომელიც ხელგაშლილი ეგებება ცოდვილთა სინანულს. მიხვდი, რა დიდი განსხვავება ყოფილა მზის ნათებასა და სამოთხის ნათებას შორის, ახლა როგორ გეჩვენება ან გწამს, რომ იესო ქრისტე არის ჭეშმარიტი ღმერთი და კაცთმოყვარე და ყოვლადმოწყალე, თუ ისევ გაქვს გულში ეჭვები მისი მისამართით?“ მაშინ მიუგო ევდოკიამ: „მე ვირწმუნე და მჯერა, რომ სხვა ღმერთი არ არსებობს გარდა იმისა, რომელიც იბრალებს ცოდვილებს, რომლებიც ნანობენ და მე ულირსმა ცოტა დროით, მაგრამ შევიგრძენი ღვთის ნათელი, რომელიც არის ენით აღუწერელი“.

ამის შემდეგ მამა გერმანემ მიუგო: „მაშ, თუ ასეა და მოგეწონა ის, რაც იხილე, მართალია, ცოტა ხნით, მაგრამ მაინც იღვაწე, რათა დაემკვიდრო საუკუნოდ, ცრემლით ევედრე უფალს, რათა აღარასდროს მიუბრუნდე შენს ცოდვებს, განიწმინდე შენი სული და გრძნობა, ხორციელზე და მიწიერზე ზრუნვის ნაცვლად იზრუნე სულიერზე და ზეციერზე, რომელიც ნახე და შეიცანი“.

ამის შემდეგ ნეტარ ევდოკიას აღარ შეეძლო გაეგრძელებინა ისეთი ცხოვრება, ვიდრე ჩვენებამდე ცხოვრობდა, მაგრამ არც ის იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო და ცრემლმომდგარმა მიმართა მამა გერმანეს: „მამაო წმინდაო, ნუ დამტოვებ, მეც თან წამიყვანე, რადგან არც ძველი ნაცნობები და არც ძვირფასი ნივთები, რომლებიც წლების განმავლობაში დავაგროვე, თავს არასდროს დამანებებენ და წარვწყმდები საუკუნოდ“. მიუგო მამა გერმანემ: „ყველაფერი, რაც სიმდიდრე გაქვს, დაურიგე გაჭირვებულებს, მოინათლე და სახლიდან არ გამოხვიდე, ვიდრე მე არ დავბრუნდები“.

მართლაც დარჩა დაღონებული ევდოკია საკუთარ სახლში მამა გერმანეს მოლოდინში. ლოცულობდა თვალცრემლიანი, მარხულობდა, მისი საკვები იყო პური და წყალი. მალევე გადაწყვიტა და მივიდა ადგილობრივ ეპისკოპოსთან, სახელად თეოდოტისთან და სთხოვა, ღვთის გულისათვის მოენათლა ყოვლადწმინდა სამების სახელით, მისი მთელი სიმდიდრე კი გაჭირვებულებისთვის დაერიგებინათ, რადგან ეკლესიამ უკეთ უწყოდა, თუ ვის რა გასაჭირი ჰქონდა.

ეპისკოპოსმა თეოდოტიმ იგრძნო, რომ მის წინ ნამდვილი მონანული იდგა. მაშინვე იხმო თავისთან ერთი მღვდელმონაზონი, რომელიც იყო უანგარო ღვთისმოსავი და სთხოვა, ევდოკიას დახმარებოდა ამ სიმდიდრის გაჭირვებულებისთვის სამართლიანად განაწილებაში. მართლაც უდიდესი სიმდიდრე აღმოაჩნდა ნეტარ ევდოკიას, ბევრი რამ თვითონაც კი აღარ ახსოვდა. ერთი ადამიანისთვის ნამდვილად ენით აუწერელი სიმდიდრე გაუნაწილეს ყველას, ვისაც კი ილიოპოლისში ამის აუცილებლობა ჰქონდა.

როცა წმინდანი სრულიად გათავისუფლდა ხორციელი საზრუნავისაგან, სწორედ მაშინ დაბრუნდა მამა გერმანე. დაპირებისამებრ წაიყვანა წმინდა ევდოკია ერთ-ერთ დედათა მონასტერში, რომელშიც ცხოვრობდა ოცდაათამდე მონაზონი და საკმაოდ მოშორებული იყო მოსახლეობისაგან. ღირსი ევდოკია ყველაზე მეტად იღვწოდა, ვინც კი ცხოვრობდა ამ მონასტერში. იმის შემდეგ, რაც მონათლა ეპისკოპოსმა ილიოპოლისში და ნათლობის კვართით შემოსა, აღარასდროს გაუხდია. მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაეცვა ზემოდან დახეული ანაფორის მსგავსი, როცა გაუსაძლისი სიცივე იყო.

ევდოკიამ შეისწავლა საღვთო წერილიც, ფსალმუნთა წიგნიც და შეუორგულებლად აღასრულებდა თავის კანონს. როცა მონასტერს გარდაეცვალა წინამძღვარი, იღუმენიად ერთხმად აირჩიეს წმინდა ევდოკია, რომელიც კაცთმოყვარე და ყოვლისშემოქმედი ღმერთისთვის ყველაზე სათნო აღმოჩნდა. უამრავი ღვთივსათნო საქმე მოიმოქმედა წმინდანმა, რამდენიმეს შევეხებით და მოგახსენებთ, რადგან მათი სრულყოფილად ჩამოთვლა უბრალოდ შეუძლებელია.

ერთხელ წმინდა ევდოკიას ძველმა ნაცნობმა, სახელად ფილოსტრატოსმა, რომელიც ავხორცულ ჟინს იკმაყოფილებდა მასთან, შეიტყო ევდოკიას გადაწყვეტილების შესახებ, რომ საკუთარი ქონება სხვებს დაურიგა, ძველებური ცხოვრების წესზე ხელი აიღო და მონასტერში წავიდა სამოღვაწეოდ. ფილოსტრატოსს სასაცილოდ არ ეყო ეს და ბოროტის შთაგონებით განიზრახა, მოეძებნა და ეცდუნებინა ცოდვას განშორებული ღირსი ევდოკია. შეიმოსა მონაზვნის სამოსით, მოძებნა მამა გერმანე და სთხოვა, ევდოკიას ადგილსამყოფელი ესწავლებინა, რადგან სულიერი რჩევებისთვის უნდოდა მასთან შეხვედრა. მამა გერმანე მიხვდა ყველაფერს, მაგრამ ბოროტებისთვის ხელი არ შეუშლია, სურდა, ევდოკიას გამოცდილება და სულიერი თუ ხორციელი მზადყოფნაც შეემოწმებინა.

მიადგა ფილოსტრატოსი მონასტრის კარიბჭეს და მოითხოვა ევდოკიასთან შეხვედრა. როგორც კი შეხვდნენ, მაშინვე იცნეს ერთმანეთი. როგორც კი შეხედა ფილოსტრატოსმა დამბადლებულ, მარხვისაგან გალეულ და ნამოღვაწარ ევდოკიას, ცხოველური ჟინით მიაშტერდა და გამხეცებულმა მიუგო: „რამ გაიძულა, ევდოკია, ჩავარდნილიყავი ამგვარ უგნურებაში, დაგეტოვებინა ამდენი სიმდიდრე, ხორციელი სიამოვნება და აღმოჩნდი აქ მოწყენილი, დამდაბლებული, ყოველგვარ ბედნიერებას მოკლებული. მთელი ქალაქი მოსთქვამს და წუხს შენ გამო. იქნებ დაფიქრდე და ძველებურად მიიღო მაქსიმალური სიამოვნება ცხოვრებისგან, როგორც აკეთებდი მთელი ცხოვრება, ვიდრე აქ იშიმშილო, იფხიზლო, ლოცვაში გადაიტყავო მუხლები. იყავი ულამაზესი, ყველა მამაკაცი შენ შემოგნატროდა. ვინ გადაგრია, რომ ეს უგუნურება ჩაგედინა და შენი მთელი ქონება და სიმდიდრე სხვებისთვის დაგერიგებინა. კიდევ უარესი ის არის, რომ არც დარწმუნებული ხარ, რას მიიღებ მომავალში ამის სანაცვლოდ, ამიტომ ვიდრე ჯერ კიდევ გვიან არ არის და საბოლოოდ არ დაგიკარგავს ის ძველი მშვენიერება და სილამაზე, გამომყევი, დავტკბეთ ამქვეყნიური ბედნიერებით, ვიდრე არ დავბერებულვართ და გავმხდარვართ მოხუცები“.

გაბრაზებულმა ევდოკიამ შემდეგი სიტყვები უთხრა: „უფალმა ჩემმა იესო ქრისტემ, სამართლიანმა მსაჯულმა, რომლის მონაც შევიქენი მე ულირსი და ცოდვილი, განგსაჯოს და მოგაგოს აქედან გასვლის შემდეგ, რისი ღირსიც ხარ, ვინაიდან შენ იმსახურებ სასჯელს და ხარ შვილი ეშმაკისა და იმოძღვრები ისე, როგორც მას სურს“. ამის თქმა იყო და დავარდა ძირს ფილოსტრატოსი და სული განუტევა.

ამის მნახველი მონაზვნები მიხვდნენ, რომ საქმე ჰქონდათ ღვთივსათნო მოღვაწესთან, რომელსაც უსმენდა უფალი. შუაღამეზე წმინდანმა იხილა ჩვენება, სადაც იესო ქრისტე მოუწოდებდა: „ევდოკია, ახლავე ადექი და ილოცე, რათა მკვდრეთით აღდგეს გარდაცვლილი, რათა შენც ირწმუნო ეჭვგარეშე ჩემი ძალის. ამის შემდეგ მე მოგანიჭებ სხვა ნიჭსაც, ვინაიდან შენ უარი თქვი ამქვეყნიურ სიამტკბილობაზე და მირწმუნე მე“.

წმინდანი სწორედ ისე მოიქცა, როგორც უფალმა აკურთხა.

**ქრისტესმიერი სიყვარულით
პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**



Cyan Magenta Yellow Black

# „ვინც ირჩევს არაეკლესიურ ცხოვრებას, ეგუება მხოლოდ ფიზიოლოგიურ არსებად ყოფნას“



■ მამა გიორგი

ნებისმიერი დანაშაული, რაც კი სიტყვით, საქმით თუ გულისხმისყოფით ჩაგვიდენია, ცოდვის შედეგია. ცოდვას ჩვენს არსებაში ღრმად აქვს გადგმული ფესვი. ადამიანი, რომელსაც ცოდვასთან გამკლავება სურს, ეცემა, დგება, ისევ ეცემა და ისევ დგება, მასში უხილავი ბრძოლები მუდმივად მიმდინარეობს, რათა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავში სძლიოს მტერი, რადგან ღმერთისკენ მიმავალი გზა ხშირ შემთხვევაში თავადვე აქვს გადაკეტილი. მაგრამ ამ მტრის დამარცხება უფლის დახმარების გარეშე წარმოუდგენელია. ის, რაც შეუძლებელია კაცთათვის, შესაძლებელია ღვთის მიერ — გვასწავლის ქრისტიანობა.

ამ „უხილავ ომზე“, რომელიც კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე გრძელდება, იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) გვესაუბრება.

**— მამაო, როგორ ესმოდათ ადამიანებს ცოდვის არსი უძველესი დროიდან?**

— არაეკლესიური აზროვნება ცოდვას ჩადენილ დანაშაულთან აიგივებს. მაგალითად, სოკრატეს ცოდვა ესმოდა, როგორც ცუდის არცოდნა. მისი აზრით, თუ ეცოდინებოდა, რომ მოვლენა ცუდი იყო, ადამიანი არც შესცოდავდა.

ქრისტიანობამ ცოდვის აბსოლუტურად სხვა განმარტება მოიტანა. როდესაც მოციქულები ბერძნულ ენაზე წერდნენ სახარებას (მოგეხსენებათ, წმინდა წერილის ყოველი სიტყვა ღვთივსულიერია, ამიტომ იქ ყველაფერს თავისი დატვირთვა აქვს), ცოდვის აღმნიშვნელად იხმარეს სიტყვა „ამარტია“ (ქართულად ითარგმნება, როგორც აცდენა). ამით მოციქულებმა მიანიშნეს, რომ თუ ღმერთი ერთ მხარესაა, ჩვენ კი სხვა მხარეს მივემართებით, ეს ცოდვაა. გარდა ამისა, პავლე მოციქული გვეუბნება, ყველაფერს ღვთის სადიდებლად უნდა ვიქმოდეთ, ანუ ის, რითაც ღვთის დიდება არ ხდება, ის, რაშიც ღმერთისთვის ადგილი არ არის, ცოდვაა. რა თქმა უნდა, ცოდვა ბოროტებასაც უკავშირდება.

**— საიდან გაჩნდა ადამიანებში ცოდვა?**

— ქრისტიანობა დაჟინებით ასწავლის, რომ ჩვილი ბავშვიც ატარებს ცოდვას და ეკლესიაც ამიტომ სავალდებულოდ მიიჩნევს მის მონათვლას; ადამიანისთვის, რაც უნდა კეთილი იყოს ის, თვით ჩვილისთვისაც კი, ვერ ვილოცებთ, თუ მოუნათლავი აღესრულა. მაშასადამე, გვაქვს რაღაც თანდაყოლილი, რაც საფუძველია ცოდვისა. გვინდა-არგვინდა, ბოროტების ძიებაში ჩვენს პირველ მშობლებს, ადამსა და ევას მივადგებით. ისინი ღმერთმა ქმნილებათა შორის ყველაზე სრულყოფილ არსებებად შექმნა, მათში ცოდვა ან სხვა ბოროტება არ იყო. სატანამ აცდუნა ადამიანი, რომელმაც ღმერთს ნებით აქცია ზურგი და თავადაც ღმერთობა მოინდომა. აი, აქ მოხდა კატასტროფა — ადამიანის ბუნება დაზიანდა.

ვიცით, რომ ადამიანი შედგება სულის (სამშვინველისა) და ხორცისაგან. ისინი ერთმანეთთან გარკვეულ იერარქიაში იმყოფებიან. ამ დაზიანებამ კი ყველაფერი ამოატრიალა: ადამიანის ხორცმა სამშვინველზე დაიწყო ბატონობა, სამ-

**„სასაცილოა ბედნიერების ძიება, როცა სიკვდილს გულისჯიბით დავატარებთ. ის მუდამ ჩვენ გვერდითაა. ადამიანის ცხოვრება საპნის ბუშტს ჰგავს, ლამაზი და მშვენიერია, მაგრამ ყოველ წუთს შეიძლება გასკდეს“.**

შვინველმა კი სულზე, ადამიანის პიროვნება ადამიანურ ბუნებასვე დაემონა. ადამს აღარ შეეძლო ღმერთთან ყოფნა, საკუთარ თავთანაც გაუცხოვდა, ლეღვის ფოთლების შესამოსელი შეიკერა. მიუხედავად იმისა, რომ ადამი და ევა ერთმანეთის სხეულის ნაწილები იყვნენ, უკვე ერთმანეთისაც შერცხვათ. მანამდე თითქოს ნათლით იყვნენ შემოსილი, მერე ტყავის სამოსელი — პირუტყვული სხეული მიეცათ; ერთმანეთსაც არა — სიყვარულით, არამედ მომხმარებლურად უყურებდნენ. უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, ადამიანს მეორე ადამიანის სიყვარულის უნარი დაეკარგა, ამიტომაც არის ხშირი ცოლქმრული დაპირისპირება, ადამიანს არ ეთმობა საკუთარი მე.

ადამიანები ემალებიან ღმერთს, სიკეთისა და ბედნიერების წყაროს, გულს არ უხსნიან მას. „ადამ, სადა ხარ?“ — უფალი მოუწოდებს, ადამს კი უკვე აღარ შეუძლია ღმერთთან ყოფნა. აი, ეს არის ცოდვა, ბოროტება, რომელიც ადამიანის პიროვნული არჩევანით გაჩნდა, დააზიანა მისი ბუნება და შედეგად აბსოლუტურად დააკარგვინა ღმერთთან ურთიერთობის უნარი. ამიტომაც არის ნათქვამი ბიბლიაში რამდენიმე ადგილას, რომ შეუძლებელია, ადამიანმა ღმერთი პირისპირ იხილოს და არ მოკვდეს.

**— ყველამ ვიცით, რომ მრავალ ცოდვას ჩავდივართ, მაგრამ ხშირად არ შეგვიძლია მათი ცოდვად აღქმა. როგორ მივაღწიოთ, რომ გვქონდეს „განცდა თვისთა ცოდვათა“ და როგორ ვებრძოლოთ მათ?**

— უნდა გამოვიკვლიოთ ღვთის მცნებები, ზედმიწევნით აღვასრულოთ ისინი, ვიყოთ ერთგულნი უფლისა. ადამისა და ევას პირველივე მემკვიდრე მკვლელი იყო. ყოველი ადამიანი საკუთარ თავში გენეტიკურად ატარებს იმ დაზიანებულ ბუნებას, რომელსაც პირველქმნილი ცოდვა ეწოდება.

ადამიანის მთელი არსების — ხორცისა და სულის ანალიზი რომ მოახდინო, პირველქმნილ ცოდვას ვერსად იპოვი, რადგანაც, როგორც ეკლესია განმარტავს, ესაა ადამიანის მდგომარეობა, როცა იგი არ მიდის ღვთისკენ და, რომც მოინდომოს, ვერ წავა. როცა ამას აცნობიერებს, კაცი ქრისტეს აღიარებს არა როგორც არსებას, რომელიც გვაჯილდოებს ან ამქვეყნიური პრობლემებისგან გვიხსნის, არამედ როგორც მხსნელს იმ ცოდვისაგან, რომელიც ადამიანს ღმერთისკენ არ უშვებს. და კაციც იწყებს ცხოვრებას არამხოლოდ სიკეთით (ამას პირუტყვებიც ჩადიან), არამედ სათნოებებით — ღვთის მსგავსებისკენ ისწრაფვის. მაშინვე აღმოაჩენს, რომ საკუთარ თავში მტერი ჰყავს დაცემული ბუნების სახით და იწყებს მის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ ბრძოლაში ეხმარება ღვთის მადლი, რომელიც ჩვენში შემოდის რწმენით, სინანულით, ხოლო სინანული მხოლოდ ცრემლების ღვრა ან სინდისის ქენჯნა კი არ არის (ეს ათეისტსაც შეიძლება ჰქონდეს), არამედ ესაა ადამიანის მტკიცე გადაწყვეტილება, ზურგი შეაქციოს ულმერთობას, ულმერთო ცხოვრებას და ღვთისაკენ წავიდეს, მას დაემოწაფოს, დაიწყოს უფლის მოცემული მცნებების აღსრულება, რომლებიც ღვთისკენ სვლას გვიადვილებს.

ამგვარად, ცოდვა საკუთარ თავში ატარებს პირველქმნილ ბოროტებას, რო-

**„თუ ადამიანი გულისხმისყოფაში არ ებრძვის ცოდვას, ის აუცილებლად გამოვლინდება სიტყვაში და თუ სიტყვაში არ ებრძვის, აუცილებლად გამოვლინდება საქმეში“.**

მელიც ღმერთთან დაბრუნების საშუალებას გვისპობს. ეკლესიური ცხოვრების დაწყება ადამიანის პიროვნულ-ზნეობრივი მტკიცე გადაწყვეტილებაა. როგორც კი დაიწყებს ასეთ ცხოვრებას, იმ წამსვე საშინელ წინააღმდეგობას წააწყდება საკუთარ თავთან. ჩვენში არის რაღაც არა ინერტული, რაც ვერ წაგვითრევია ღვთისაკენ, არამედ მტრულად განწყობილი, აქტიური, რომელიც ჩვენივე წინააღმდეგ იბრძვის.

აი, ეს არის ცოდვა. ის ისეთი ღრმაა, ისეა ჩაკირული ჩვენს არსებაში, რომ აბრაამი და იობიც კი, რომელთა გამაოგნებელი რწმენა, სიყვარული ღვთისა ეტალონია, ჯოჯოხეთში ჩავიდნენ. ამიტომაც არის, რომ ეკლესიური ცხოვრების ანუ ქრისტესთვის დამოწაფების, მასთან ყოფნის გარეშე შეუძლებელია გადარჩენა. როცა მოციქულები გაიაზრებენ, რომ ადამიანისთვის ეს შეუძლებელია, უფალი ანუგეშებს — ის, რაც

ადამიანისთვის შეუძლებელია, შესაძლებელია ღვთის მიერ. მთელი ქრისტიანული ცხოვრება, მთელი ეკლესიური ცხოვრება იმისკენაა მოწოდებული, რომ გვასწავლოს, როგორ არის შესაძლებელი ეს ღვთის მიერ.

— **როგორ შეიცვალა ცოდვის მიმართ დამოკიდებულება ძველი აღთქმიდან ახალ აღთქმამდე?**

— ძველ აღთქმაში მცნებები (ათი მცნება და ძველი აღთქმის სხვა მცნებანი) აკრძალვების სახით იყო მოცემული, ახალ აღთქმაში კი მოცემულია გზა, მითითებულია, როგორ უნდა ვმოქმედებდეთ. ადამიანებს მოგვეცა არამხოლოდ აკრძალვები, არამედ აქტიური მოწოდება, რა უნდა ვაკეთოთ, რა შემთხვევაში ვიქნებით ნეტარნი (ხომ გახსოვთ ცხრა ნეტარება). ქრისტიანობა გვეუბნება: იმისთვის, რომ ადამიანმა შეიმეცნოს საკუთარი თავი, რაც აუცილებელია ღვთისაკენ სასიარულოდ, მან ღვთის მცნებების ზედმიწევნით შესრულება უნდა დაიწყოს, სხვაგვარად ვერ გააცნობიერებს, რომ იღუპება, ვერც წინააღმდეგობას წააწყდება საკუთარ თავში, ვერც იმას მიხვდება, ღვთისკენ მიმავალი გზა საკუთარი თავისავე მიზეზით რომ აქვს გადაკეტილი.

— **არსებობს ცოდვა საქმით, სიტყვით და გულისხმისყოფით. ჩვენი სულიერი მდგომარეობისთვის აქვს თუ არა განსხვავება, რომელი სახით ჩავდივართ ცოდვას ან განსხვავებულებად თუ მოგვეკითხება მათ გამო?**

— რა თქმა უნდა, საქმით ჩადენილი ცოდვა უფრო მძიმეა, ვიდრე სიტყვით. სიტყვით ჩადენილი უფრო მძიმეა, ვიდრე გულისხმისყოფით, მაგრამ ცოდვა ვითარდება. ასე რომ, თუ ადამიანი გულისხმისყოფაში არ ებრძვის ცოდვას, ის აუცილებლად გამოვლინდება სიტყვაში და თუ სიტყვაში არ ებრძვის, აუცილებლად გამოვლინდება საქმეში. მართალია, საქმით ჩადენილი ცოდვა გაცილებით მძიმეა, მაგრამ როცა ადამიანი კარგავს ღმერთს, კარგავს ბედნიერებას, რასაც ღმერთთან მყოფობა ჰქვია. განა გონივრული იქნება, თავი იმით ინუგეშოს, რომ ჯოჯოხეთის ცოტა უფრო ზედა იარუსზე მოხვდება და ნაკლებად დაიტანჯება?

— **რა გავლენას ახდენს ცოდვა ადამიანზე, რა არის მისი შედეგი?**

— დაცემამდე ადამიანი უფალმა გააფრთხილა, თუ სცოდავ, მოკვდებიო. ამრიგად, ცოდვის მთავარი შედეგი სიკვდილია და არამარტო ხორციელი, არამედ სულიერიც. ხორციელი სიკვდილი, ვიცით, რაც არის, სულიერად მკვდარი ადამიანი კი ღმერთის დანახვის უნარს კარგავს, მასთან ყოფნა არ შეუძლია. ფიზიკური სიკვდილი ურწმუნო ადამიანსაც თვალწინ აქვს და თუ მას ოდნავი სიღრმე მაინც გააჩნია, აუცილებლად შეაშფოთებს და ძიებას დააწყებინებს, ეს პროცესი კი გარკვეულწილად ღმერთის აღიარებამდე მიიყვანს. თუ შემდეგ ლოგიკურად, სინდისის თანახმად იფიქრებს და იცხოვრებს, ჭეშმარიტებასაც აუცილებლად მისწვდება.

ცოდვის უმთავრესი შედეგი — სიკვდილი, აბსოლუტურად დაუძლეველია ადამიანისთვის. სასაცილოა ბედნიერების ძიება, როცა სიკვდილს გულისჯიბით დავატარებთ. ის მუდამ ჩვენ გვერდითაა. ადამიანის ცხოვრება საპნის ბუშტს ჰგავს, ლამაზი და მშვენიერია, მაგრამ ყოველ წუთს შეიძლება გასკდეს. ვინც დღეს შეგნებულად ირჩევს ულმერთობას, ხაზს უსვამს საკუთარ არარელიგიურობას, არაეკლესიურ ცხოვრებას, გამოდის, რომ ეგუება მხოლოდ ფიზიოლოგიურ არსებად ყოფნას, ესე იგი მისი პიროვნება დაიყვანება ხელამდე, ფეხამდე, თვალამდე, კუჭამდე... შეიძლება ხმამაღლა არ ამბობდეს, მაგრამ ამ დამოკიდებულებით მაიმუნების შთამომავლობას აღიარებს. ესეც ნიშანია ცოდვისა — ადამიანს ღვთის ხატად ყოფნა არ სურს და მხოლოდ წარმავალ, ამაო ცხოვრებაზე თანხმდება.

— **არაეკლესიურად მცხოვრებნი შეიძლება გარეგნულად ძალიან ბედნიერად გამოიყურებოდნენ. ისინი არ ებრძვიან ცოდვას და, შეიძლება ითქვას, კომფორტულადაც კი გრძნობენ თავს მასთან ერთად. მართლაც უზრუნველია მათი ცხოვრება თუ სინამდვილეში აწუხებთ ეს „აუღიარებელი“ ცოდვები?**

— ვიცით, რა ხდება თითოეული ადამიანის სულში? ავიღოთ მდიდარი, ძალაუფლების მქონე პიროვნება. რა ვიცით, არის თუ არა ბედნიერი? ჩვენ მისი ცხოვრების მხოლოდ ნაწილს ვხედავთ. ასეთი ადამიანის ცხოვრება ხშირად დაუოკებელი სწრაფვაა გართობისაკენ, მუდმივად სიახლის ძიებაა. რატომ ვერ ახერხებს, ცოტა ხნით შეჩერდეს და საკუთარ თავში ჩაიხედოს? ადამიანის გულში არსებული ზღვა უფსკრული მხოლოდ ღმერთმა შეიძლება ამოავსოს. უამისოდ კაცი საკუთარი თავის გარეთ ცხოვრებას იწყებს.

**„ვინც დღეს შეგნებულად ირჩევს ულმერთობას, ხაზს უსვამს საკუთარ არარელიგიურობას, არაეკლესიურ ცხოვრებას, გამოდის, რომ ეგუება მხოლოდ ფიზიოლოგიურ არსებად ყოფნას, ესე იგი მისი პიროვნება დაიყვანება ხელამდე, ფეხამდე, თვალამდე, კუჭამდე... შეიძლება ხმამაღლა არ ამბობდეს, მაგრამ ამ დამოკიდებულებით მაიმუნების შთამომავლობას აღიარებს“.**

თუ ტელევიზორს, გაზეთს ან სხვა გასართობს აღარ მივცემთ ადამიანს, შეიძლება გაგიჟდეს, რადგან შინაგანი სამყარო არ გააჩნია, მის შიგნით სიცარიელეა. შინაგანი ცხოვრებით მცხოვრები ადამიანი კი უბედნიერესია. ჯერ ერთი, მისი შინაგანი სამყარო გაცილებით ლამაზია, ვიდრე ჩვენი გარემომცველი სამყარო, რადგანაც ეს ის ადგილია, სადაც შეიძლება ღმერთმა დაიდგას ტახტი.

მეორეც, უფალი ბედნიერების წყაროა, მასთან ურთიერთობა ბედნიერს ხდის ადამიანს. როცა კაცს ბედნიერების ეს წყარო დახშული აქვს, მთელ თავის შემოსავალსა და ენერგიას გარეგან, ცრუ ცხოვრებას ახმარს. სინდისსაც აჩუმებს ქველმოქმედებით, გარკვეულ კომფორტს მართლაც გრძნობს, რადგან საკუთარ ბუნებას არ უწევს წინააღმდეგობას, დაცემული ბუნების შესატყვისი ცხოვრებით ცხოვრობს, არ იცის, რა არის საკუთარი თავის იძულება, რის გარეშეც ადამიანისთვის სასუფეველი ვერ გაიღება. უფალი ხომ პირდაპირ ამბობს: „სასუფეველი ღვთისა იიძულებისო“. ამ იძულების გარეშე ფიზიოლოგიის ტყვეობაში მოქცეული ადამიანური პიროვნება ვერასოდეს წავა ღვთისკენ.

— **პირველი ქრისტიანების დროს ამა თუ იმ ცოდვის გამო სასჯელი გაცილებით მძიმე იყო, ვიდრე ახლა. ეს იმაზე ხომ არ მიუთითებს, რომ ცოდვის მიმართ ეკლესიის დამოკიდებულება შეიცვალა?**

— ეკლესია უფალმა ადამიანებისთვის დააარსა. პირველ ქრისტიანებში მრუშობისთვის ცოლის ან ქმრის მოღალატეს 14 წელი არ აზიარებდნენ, მეძავს ან უქორწინებელს — 7 წელი. მათ მხოლოდ კართან მდგომს შეეძლოთ წირვა-ლოცვის მოსმენა. სჯულის კანონში ეს ვადები 3 წლამდე დაიყვანეს, დღეს კი კიდევ უფრო შემცირებულია. ეს დრო ადამიანს ეძლევა არა დასასჯელად, არამედ სინანულისთვის, ღმერთთან ყოფნის სურვილის გასამძაფრებლად. ეკლესია და მისი მსახურება ყველაზე მშვენიერი, ყველაზე სადღესასწაულო მოვლენა იყო. მისგან მოკლება თავისთავად სასჯელი გახლდათ.

დღეს კი იგივე რომ გავაკეთოთ, კაცი წავა და რამე გასართობს გადააყოლებს გულს, დაიკარგება ეკლესიისგან. დღეს თუ ადამიანს ეკლესიურ საიდუმლოებებში მონაწილეობის უფლებას მოვუსპობთ, ღმერთთან მყოფობის სურვილი კი არ გაუმძაფრდება, პირიქით, დაითრგუნება და საბოლოოდ დაიღუპება. ამიტომაც არის სასჯელი შემსუბუქებული, მაგრამ არსობრივად ცოდვა იგივე რჩება. ცოდვისადმი ეკლესიის დამოკიდებულება არ შეცვლილა.

✓ **მანანა ნოდია**

## ეს იცოდით?

❖ შვედეთში რამდენიმე წლის წინ გამოიცა სპეციალური ლოცვების წიგნი მძოლებისათვის. მასში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საცობში მოხვედრილ მძღოლებზე. მათ ამ დროს მოთმინებისათვის უნდა ილოცონ.

❖ კართაგენი ფინიკიელებმა დააარსეს.

❖ „მშვიდობის მტრედი“ პიკასომ შექმნა.

❖ მარკოზის სახარება ყველაზე ძველია.

❖ რომანი „კლისონი და ეჟენი“ ნაპოლეონ ბონაპარტმა დაწერა.

❖ ვოლტერის ნამდვილი სახელი და გვარია მარი ფრანსუა არუე.

❖ ცნობილი ფრანგი მწერალი დენი დიდრო იმდენად გულმავიწყი იყო, რომ ხშირად კვირის დღეების, თვეებისა და უახლოესი ნათესავების სახელებიც კი ავიწყდებოდა.

❖ სოკრატეს სწამდა, რომ ფასი ჰქონდა მხოლოდ იმას, რაც სიცოცხლისათვის აუცილებელი იყო, დანარჩენი ყველაფერი არასასარგებლოდ მიაჩნდა.



Cyan Magenta Yellow Black

# ლაბირინთი

დაეხმარეთ ჰაჭარას,
სახლთან მივიდეს



# გააფერადეთ





Cyan Magenta Yellow Black

## ჭარხალი ქინძმარში

**მასალა:**
**ჭარხალი — 1 კგ**
**ქინძი — 2 კონა**
**კამა — 2 კონა**
**ძმარი — 2-3 ს.კ.**
**წყალი — 1-1,5 ჩ.ჭ.**
**ნიორი — 3-4 კბილი**
**მარილი, პილპილი — წიწაკა — გემოვნებით**



**მომზადება:** მოხარშული ჭარხალი გაფცქვენით და ფიგურული დანით პატარა ნაჭრებად დაჭერით. მოასხით ქინძმარი და აურიეთ კარგად.

ქინძმრის მოსამზადებლად ქინძი, კამა და ნიორი დანაყეთ (ან გაატარეთ ხორცსაკეპში), შეურიეთ 1 ჩაის ჭიქა წყალი, შეაზავეთ ძმრით, მარილით და პილპილით.

## ლობიოს წვნიანი

**მასალა:**
**ხმელი ლობიო — 2 ჩ.ჭ.**
**კარტოფილი — 2-3 ცალი**
**სტაფილო — 2 ცალი**
**ხახვი — 2 თავი**
**მაკარონი — 50-60 გ**
**დაფნის ფოთოლი — 2 ცალი**
**ზეთი — 100-150 გ**
**ნიორი — 3-4 კბილი**
**ტომატი-პასტა — 1 ს.კ.**
**ქინძი, ნიახური, ოხრახუში — 3-3 ძირი**
**მარილი, წიწაკა — გემოვნებით**



**მომზადება:** გადარჩეული, გარეცხილი ლობიო ქვაბში ჩაყარეთ, დაასხით ცივი წყალი და ცეცხლზე შემოდგით. როცა წამოდუღდება, ნახარში გადაღვარეთ. დაასხით ცივი წყალი (ისე, რომ კარგად ფარავდეს) და ადუღეთ ლობიოს მოხარშვამდე. შემდეგ დაუმატეთ სიგრძეზე ნაჭრებად დაჭრილი სტაფილო, წვრილად დაჭრილი ნიორი, მაკარონი, ორად გაჭრილი კარტოფილი და დაფნის ფოთოლი.

ხახვი აკეპეთ, ზეთში მოშუშეთ და ლობიოს შეურიეთ. დაუმატეთ ტომატი-პასტა, შეაზავეთ მარილით და წიწაკით. 1-2 წუთის შემდეგ მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი და გადმოდგით ცეცხლიდან.

## ყვავილოვანი კომბოსტო ნიგვზით

**მასალა:**
**ყვავილოვანი კომბოსტო — 2 კგ**
**ნიგოზი — 2 ჩ.ჭ.**
**ნიორი — 4-5 კბილი**
**ბროწეული — 1 ცალი**
**ხმელი ქინძი, უცხო სუნელი — თითო ჩაის კოვზი**
**ყვითელი ყვავილი — 1 ჩ.კ.**
**ქინძი, კამა — თითო კონა**
**წითელი დაფქული წიწაკა, მარილი, ძმარი — გემოვნებით**

**მომზადება:** გარეცხილი ყვავილოვანი კომბოსტო დაანაწევრეთ და მარილწყალში მოხარშეთ.



გატარებულ ნიგოზს შეურიეთ დანაყილი ნიორი, ხმელი ქინძი, უცხო სუნელი, ყვითელი ყვავილი, დაჭრილი ქინძი, ოხრახუში და კარგად აურიეთ. მოასხით ანადუღარი ცივი წყალი იმდენი, რომ სქელი ფაფისმაგვარი მასა მიიღოთ. შეაზავეთ წიწაკით, ძმრით და მარილით.

ყვავილოვანი კომბოსტოს თითოეული ნაწილი ამოავლეთ ნიგვზიან მასაში და ფართო ლანგარზე დააწყვეთ. ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი კამა და ბროწეული მარცვლები.

## კარტოფილის ჩაქაფული

**მასალა:**
**კარტოფილი — 1 კგ**
**მწვანე ლობიო ან სოკო — 0,5 კგ**
**ზეთი — 150 გ**
**ახალი ტყემალი — 1 ჭიქა**
**თეთრი ღვინო — 1 ჭიქა**
**მწვანე ხახვი — 4-5 კონა**
**ნიორი (ქორფა) — 1 კონა**
**ტარხუნა — 4-5 კონა**
**წიწმატი — 1 კონა**
**ქინძი, კამა, რეჰანი, ოხრახუში — თითო-თითო კონა**
**წიწაკა, მარილი — გემოვნებით**



**მომზადება:** წვრილად დაჭერით მწვანე ხახვი, ახალი ნიორი (ფოჩებიანად), ქინძი, ოხრახუში, კამა, ტარხუნა და ცოტაოდენი წიწმატი. კარტოფილი გათალეთ და ოთხად გაჭერით.

საშუალო ზომის ქვაბში ჩაასხით ზეთი და ფენებად ჩაალაგეთ ჯერ კარტოფილი, შემდეგ წინასწარ დაჭრილი მწვანილეული, წინასწარ მოხარშული მწვანე ლობიო ან ქამა სოკო, შემდეგ დაასხით წყალი (დაახლოებით ქვაბის ნახევრამდე), შემოდგით ნელ ცეცხლზე და ხარშეთ. როცა კარტოფილი ნახევრად მოიხარშება, დააყარეთ ახალი ტყემალი და მარილი გემოვნებით. კერძის სრულ მომზადებამდე რამდენიმე წუთით ადრე დაასხით ერთი ჭიქა თეთრი ღვინო, ადუღეთ კიდევ 5 წუთი და გადმოდგით ცეცხლიდან.

## ალუბლის სიროფი

**მასალა:**
**ალუბალი — 1 კგ**
**ალუბლის ფოთოლი — 700 ცალი**
**წყალი — 7 ლ**
**შაქარი — 7 კგ**
**ლიმონის მჟავა — 6 ჩაის კოვზი**



**მომზადება:** ალუბალი და ალუბლის ფოთლები გარეცხეთ, მოათავსეთ მომინანქრებულ ქვაბში, დაასხით წყალი და დადგით ცეცხლზე. დუღილის დაწყებიდან 20 წუთის შემდეგ გადმოდგით, გააცივეთ და გაწურეთ.

გაწურული წვენი 7 ლიტრი უნდა გამოვიდეს. თუ აკლია, შეავსეთ წყლით. შეურიეთ შაქარი და ადუღეთ 15 წუთი. ცეცხლიდან გადმოდგმამდე 5 წუთით ადრე დაუმატეთ ლიმონის მჟავა. მდუღარევე ჩაასხით სუფთა ბოთლებში, დაახურეთ სახურავი და შეინახეთ გრილ ადგილას.

## კივის სასმელი

**მასალა:**
**კივი — 3-4 ცალი**
**წყალი — 1 ლ**
**შაქარი — 1 ჩ.ჭ.**



**მომზადება:** კივი გათალეთ, დაჭერით პატარა ნაჭრებად და მოათავსეთ მომინანქრებულ ქვაბში. მოაყარეთ შაქარი, დაასხით წყალი და მიქსერით კარგად ათქვიფეთ. განაზავეთ ცოტა წყლით და მაცივარში შედგით. როცა კარგად გაცივდება, ჩაასხით ჭიქებში და სუფრასთან მიიტანეთ.



Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

# სააღდგომო კვერცხის მოხატვა

სააღდგომოდ ყველა ცდილობს, კვერცხები ლამაზად შეღებოს ან მოხატოს. კვერცხის მოხატვის ერთ მარტივ ხერხს ახლა გაგაცნობთ.

ამისთვის დაგვჭირდება უკვე შეღებილი კვერცხი, საკანცელარიო საჭრელი დანა და შავი ფანქარი.

უკვე შეღებილ კვერცხზე დავხატოთ ჩვენთვის სასურველი ფიგურები: ჩიტები, ყვავილები, ორნამენტები... ამის შემდეგ აუცილებლად დანის წვერით, მოხატულ ადგილებს ფრთხილად, ისე, რომ კვერცხი არ დაგვემტვრეს, შემოვავლოთ მკვეთრი კონტური. გასაფერადებელ ადგილებს კი დანის უფრო მსუბუქი დაჭერით ამოვაფხიკოთ საღებავი. ძალიან მარტივია, შედეგად კი ლამაზად მოხატულ კვერცხებს მივიღებთ.

სულ ესაა.

**გისურვებთ წარმატებას!**

✓ ლელა ცუცქირიძე







## წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 3 | 1 | 2 | 8 | 6 | 7 | 9 | 4 |
| 4 | 9 | 6 | 7 | 5 | 3 | 1 | 8 | 2 |
| 8 | 7 | 2 | 1 | 4 | 9 | 6 | 3 | 5 |
| 1 | 4 | 3 | 9 | 2 | 8 | 5 | 6 | 7 |
| 7 | 2 | 5 | 6 | 3 | 4 | 9 | 1 | 8 |
| 6 | 8 | 9 | 5 | 1 | 7 | 2 | 4 | 3 |
| 3 | 1 | 7 | 8 | 9 | 5 | 4 | 2 | 6 |
| 2 | 6 | 4 | 3 | 7 | 1 | 8 | 5 | 9 |
| 9 | 5 | 8 | 4 | 6 | 2 | 3 | 7 | 1 |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 8 | 3 | 7 | 6 | 4 | 9 | 2 | 5 |
| 6 | 7 | 4 | 9 | 2 | 5 | 1 | 3 | 8 |
| 2 | 5 | 9 | 1 | 8 | 3 | 4 | 6 | 7 |
| 7 | 2 | 6 | 8 | 1 | 9 | 3 | 5 | 4 |
| 4 | 1 | 5 | 6 | 3 | 2 | 8 | 7 | 9 |
| 3 | 9 | 8 | 5 | 4 | 7 | 2 | 1 | 6 |
| 9 | 6 | 2 | 3 | 7 | 8 | 5 | 4 | 1 |
| 8 | 4 | 7 | 2 | 5 | 1 | 6 | 9 | 3 |
| 5 | 3 | 1 | 4 | 9 | 6 | 7 | 8 | 2 |

## ეს იცოდით?

❖ 1493 წელს მოგზაურობიდან დაბრუნებული ქრისტეფორე კოლუმბისა და მისი მეზღვაურების საშუალებით ევროპამ გაიცნო მისთვის სრულიად ახალი პროდუქტები — კარტოფილი, თამბაქო, სიმინდი და პომიდორი. ასევე ევროპისათვის ცნობილი გახდა ინდიელებისა და მათი კულტურის არსებობის შესახებ.

❖ ტაილანდი ერთადერთი სამეფოა, რომლის მეფეც ყველა რელიგიის მფარველია. თავად კი, ტაილანდის კონსტიტუციით, იგი აუცილებლად ბუდიზმის მიმდევარი უნდა იყოს.

❖ ლუვრი 1190 წელს საფრანგეთის მეფეს ფილიპე II-ის ბრძანებით ააშენეს. თავდაპირველი იდეით ამ უნიკალურ ნაგებობას მხოლოდ ციხესიმაგრის ფუნქცია უნდა შეესრულებინა.

❖ თანამედროვე იემენის ტერიტორიაზე პირველი სამეფო მინე იყო, რომელმაც ძვ.წ.აღ-ით 1200 წლიდან, ძვ.წ.აღ-ით 650 წლამდე იარსება.

❖ ყველაზე ცნობილი ქანდაკება, რომელიც კაცობრიობას უძველესი მსოფლიოდან შემორჩა, სიყვარულის ქალღმერთ აფროდიტეს მარმარილოს ქანდაკებაა. მისი შემქმნელის ვინაობა უცნობია. ქანდაკება ჩვ.წ.აღ-მდე 100 წლით თარიღდება.

❖ მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრების — როდოსის კოლოსის აგების იდეა ჩვ.წ.აღ-მდე 304 წელს გაუჩნდათ.

❖ დისნეილენდში არ იყიდება საღეჭი რეზინი. უოლტ დისნეის არ სურდა, სტუმრები ძირს დაგდებული რეზინებით შეეწუხებინათ.

❖ ყოველ წელს დისნეილენდი 5.000 გალონ საღებავს იყენებს, რათა პარკი ახალი და სუფთა გამოჩნდეს.

❖ როდესაც „ტიტანიკმა“ პორტი დატოვა, გემზე მომარაგებული იყო დაახლოებით 1000 პური, 86.000 ფუნტი ხორცი, 40.000 კვერცხი და 36.000 ვაშლი. საკვების ეს მარაგი ეკიპაჟს 7 დღე უნდა ჰყოფნოდა.

❖ რძის პროდუქტების უმსხვილესი მწარმოებელი ქვეყანა ინდოეთია.

❖ პირველად ჭადრაკი ჩრდილოეთ ინდოეთში ითამაშეს. მაშინდელი მისი წესები რადიკალურად განსხვავდება თამაშის თანამედროვე წესებისაგან.

❖ პირველი ტყვიაგაუმტარი ჟილეტი ქალებს ეცვათ.



Cyan Magenta Yellow Black

# საუკეთესო, რაც ადამიანს ძალუძს შექმნას, შვილებია





"ავერსისთვის" ქველმოქმედება დაარსების დღიდან პრიორიტეტად იქცა. ამის გამო, კომპანიის დამფუძნებელმა საქველმოქმედო ფონდი შექმნა, რომელიც მუდმივად ეხმარება ბავშვთა სახლებს, მოხუცთა პანსიონატებს და ორგანიზაციებს, სპონსორობას უწევს საქველმოქმედო აქციებს. "ავერსი" სასულიერო პირების, ქართველი ოლიმპიელებისა და ვეტერანი სპორტსმენების ჯანმრთელობაზეც ზრუნავს, თუმცა საზოგადოებისთვის და თავად "ავერსისთვის" გამორჩეულად მნიშვნელოვანი, ისევ და ისევ, მრავალშვილიანთა დახმარების პროგრამაა, რადგან მომავალი თაობა ყოველი ოჯახისთვის იმედი, ცხოვრების დედააზრი და უმთავრესი საზრუნავია.

საქველმოქმედო პროექტი "ავერსმა" იმ ოჯახების დასახმარებლად წამოიწყო, რომლებიც ფინანსური სიდუხჭირის მიუხედავად შვილებზე უარს არ ამბობდნენ, თუმცა მრავალშვილიანთა დახმარების პროგრამა მხოლოდ ცალკეული ოჯახებისთვის გაწეული დახმარება არ გახლავთ; ის ყველაზე ეროვნული პროექტია, რომელიც ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებას, შვილიერების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

პროექტი "ავერსის" დამფუძნებლის ინიციატივით დაიწყო. პაატა კურტანიძე თავადაც ექვსი შვილის მამაა და არაერთხელ უთქვამს, რომ შვილები მისთვის ყველაზე ძვირფასი განძია:

- ოჯახში სამი და-ძმა ვიზრდებოდით, ასე რომ, დედმამიშვილობის ფასი ყოველთვის მესმოდა, თუმცა დაოჯახებამდე ნამდვილად არ მიფიქრია, რომ ექვსი შვილი მეყოლებოდა. არც მერე დამიგეგმავს მრავალშვილიანობა, უბრალოდ, როდესაც ჩემი უფროსი შვილის თვალებში პირველად წავიკითხე აზრი, იმდენად სასიამოვნო იყო ამის დანახვა და შეგრძნება, იმდენად საოცარი ემოცია გამიჩნდა, რომ მივხვდი: საუკეთესო, რაც ადამიანს ძალუძს შექმნას, არც ფირმაა, არც ხარისხის დაცვა ან რაიმე სხვა მატერიალური ფასეულობა - ეს არის შვილი. აქედან გამომდინარე, მივხვდი, რომ რაც უფრო მეტი შვილი მეყოლებოდა, მით უკეთესი იქნებოდა ჩემთვისაც, ჩემი ოჯახისთვისაც და ქვეყნისთვისაც.

**- რა უპირატესობა აქვს მრავალშვილიან ოჯახს სხვებთან** შედარებით?

- ვფიქრობ, რომ როცა ოჯახში ბევრი ბავშვია, უფრო მეტად სწავლობენ სიყვარულს, მზრუნველობას და ერთმანეთის მხარდაჭერას, ოჯახიც უფრო ძლიერია, შვილიც უფრო მყარად დგას ფეხზე, რადგან დედმამიშვილების იმედი და თანადგომა აქვს. თუმცა მიმაჩნია, რომ მხოლოდ რაოდენობა არ არის მნიშვნელოვანი; მთავარია, როგორ ადამიანად დაიზრდებიან, როგორ პიროვნებებად ჩამოყალიბდებიან, რა გზას დაადგებიან... ამიტომ მრავალშვილიანობა ძალიან საპასუხისმგებლოა, არც ერთ შვილს არ უნდა მოაკლო ყურადღება, სიყვარული... ამას კი უდიდესი ძალისხმევა, ენერგია და მონდომება სჭირდება.

**- როგორი მამა ხართ?**

- ამას, ალბათ, მომავალი უკეთ გვიჩვენებს, თუმცა დიდი სურვილი მაქვს, შვილების აღზრდაში საკუთარი წვლილი შევიტანო. ვცდილობ, ყოველ საღამოს გამოვნახო დრო მათთან ურთიერთობისთვის, ვეკითხები, როგორ ჩაიარა დღემ სკოლაში, ვამოწმებ, როგორ არიან მომზადებულები მომდევნო დღისთვის. კვირა დღესაც ოჯახთან ერთად ვატარებ, თუმცა ბავშვების აღზრდით უმთავრესად მაინც ჩემი მეუღლეა დაკავებული.

**- "ავერსი" მრავალშვილიან ოჯახებს ეხმარება. გვესაუბრეთ, პროექტის შესახებ რომელიც საზოგადოებაში ასეთი პოპულარობით სარგებლობს**

- დემოგრაფიული პრობლემა დღეს ძალზე აქტუალურია საქართველოსთვის - მცირერიცხოვანი, თანაც კლებადი ერი ვართ, ამიტომ მიმაჩნია, რომ ყველა ოჯახმა უნდა გაიაზროს ეს პრობლემა და რაც შეიძლება მეტი შვილი გაუზარდოს ქვეყანას. ექვსი შვილი მყავს და კარგად მესმის, ბავშვების აღზრდა დიდ ბედნიერებასთან ერთად რამხელა პასუხისმგებლობაა. ჩავთვალე, რომ შემეძლო სხვა მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური და მორალური მხარდაჭერაც. სწორედ ამიტომ დაიწყო "ავერსის" მუდმივმოქმედი პროექტი, რომელიც კვლავაც წარმატებით გრძელდება. ამასთანავე, მინდა აღვნიშნო, რომ მრავალშვილიანთა დახმარების პროგრამა არ გულისხმობს მხოლოდ მატერიალურ დახმარებას - ბევრი ასეთი ოჯახისგან მსმენია, რომ მათთვის მორალური თანადგომა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფინანსური; როდესაც ვილაც მადლობას ეუბნება, რომ ქვეყანას მომავალ თაობას უზრდიან, ეს გაცილებით ღირებული რამაა მათთვის.

მართლაც, მრავალშვილიან ოჯახებს თანადგომა და დაფასება სჭირდებათ, რადგან ასეთი ოჯახები ქვეყნის სიძლიერეა, სწორედ აქ ეზრდება ქვეყანას დამცველები და მომავალი დედები...

ვესაუბრეთ ოჯახებს, რომლებმაც "ავერსის" მრავალშვილიანთა დახმარების პროექტში მონაწილეობა მიიღეს. ყოველი მათგანი აღნიშნავს, რომ "ავერსის" მხრიდან ყურადღება და დაფასება მათთვის შეუფასებლად დიდი თანადგომაა:

**თოფურიძეების** ოჯახში დღეს 5 ბავშვი იზრდება. როგორც ოჯახის დიასახლისმა, ქალბატონმა ვერამ აღნიშნა, "ავერსი" ერთადერთი კომპანიაა, რომელიც ეროვნულ საქმეს ასე უანგაროდ ემსახურება:

- "მრავალშვილიანი ოჯახები მომრავლდნენ - დღეს უკვე აღარავის უკვირს ოჯახში თუ 5-6 ბავშვი იზრდება... სასიამოვნოა, რომ მათ ისეთი ძლიერი და ეროვნული ინტერესების მქონე კომპანია უდგათ მხარში, როგორიცაა "ავერსი". მრავალშვილიანთა დახმარების პროგრამით ის უამრავ გაჭირვებულ ოჯახს უმართავს ხელს, ამასთანავე სხვებსაც შეახსენებს, რომ ბევრი შვილის ყოლა საამაყოა. რაც დიდია ოჯახი, მით დიდია იმედი მშობლებისთვისაც და ქვეყნისთვისაც".

8 ბავშვის მშობლები არიან ზაზა და ხატია **თურმანიძეები,** როგორც მათ აღნიშნეს, "ავერსისგან" მატერიალურ თანადგომაზე მეტად მორალური მხარდაჭერა ახარებთ:

- სასიხარულოა, რომ "ავერსისთვის" ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაა, ეს იმას ნიშნავს, რომ ბატონი პაატა ქვეყნის ინტერესების დამცველი და პატრიოტია. პირველად "ავერსის" დახმარება მაშინ მივიღეთ, როცა მეხუთე შვილი შეგვეძინა, მას შემდეგ ყოველ მომდევნო ბავშვის დაბადებაზე სოლიდურ თანხას გვჩუქნიდა, ნაბოლარა ანდრია რომ შეგვეძინა მოვლის საშუალებებით დაგვასაჩუქრეს. ძალიან სასიამოვნოა, რომ "ავერსი" მრავალშვილიან ოჯახებზე ასე ზრუნავს. როგორც ვიცი, ის ერთადერთია, რომელიც მსგავს პროექტს ახორციელებს" - აღნიშნა ზაზამ

ქვეყანაში არც თუ სახარბიერლო სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიუხედავად ბოლო ხუთი წლის მანძილზე, მრავალშვილიანი ოჯახები მომრავლდნენ, თუმცა დემოგრაფიული მდგომარეობა ჯერ კიდევ საგანგაშოა. ამის გათვალისწინებით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის პროექტი, რომელიც "ავერსის" ინიციატივით წამოიწყო და დღემდე წარმატებით გრძელდება.

**ავერსი გისურვებთ ჯანმრთელობას და გამრავლებას!**
2-911-072; 2-967-227
www.aversi.ge

სილქნეტი
SILKNET

მხოლოდ სილქნეტის ინტერნეტ აბონენტებისთვის

# ნოუთბუქები

უპრეცედენტოდ დაბალ ფასად!




~~699 ლარი~~

**579 ლარი**

დანაზოგი: 120 ლარი

acer




~~640 ლარი~~

**550 ლარი**

დანაზოგი: 90 ლარი

ASUS

- ყველა ნოუთბუქზე ვრცელდება 1 წლიანი გარანტია
- ისარგებლეთ სილქნეტის ანტივირუსით სპეციალურ ფასად

ტექნიკური უზრუნველყოფა
მაღაზია “კამარა სისტემს”
ალ. ყაზბეგის გამზ. 19

ტექნიკური უზრუნველყოფა
მაღაზია "ულტრა"
ღვინის აღმართი 23, ალ.ყაზბეგის.9

კამარა სისტემს

ULTRA
Smart Solution

Silk Optic

Find us on: facebook

2 100 100

www.silknet.com

ოპტიკური ტექნოლოგიები